

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი კალანდაძე

ტექსტოლოგიური და საგამომცემლო კვლევები გაბრიელ მცირის  
„გზრგზნის“ შესახებ

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის

დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ქეთევან გიგაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მაია ნინიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი

თელავი  
2019 წელი

## შესავალი

საქართველოს თექვსმეტსაუკუნოვანი ლიტერატურული ტრადიცია აქვს. მისი მხატვრულ-შემოქმედებითი საგანძური ბევრ გენიალურ ქმნილებას შეიცავს. თითოეული ლიტერატურული ნაწარმოები თანადროულ ეპოქასა და ავტორის სულიერ მოთხოვნილებას ასახავს. საქართველოში ქრისტიანული ლიტერატურა წარმოადგენს ფუნდამენტს ქართული მწერლობის შემდგომი განვითარებისთვის. სიძველეთსაცავებში დაცული ხელნაწერების უმრავლესობა, რომლებიც XIX საუკუნემდეა შექმნილი, სასულიერო ხასიათისაა. თვით საერო მწერლობაც სარწმუნოებრივი სულისკვეთებითაა განმსჭვალული.

ქართველმა ხალხმა IV საუკუნეშივე, ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებისთანავე, ინტენსიურად დაიწყო წმიდა წიგნების თარგმნა და ორიგინალური სასულიერო ლიტერატურის შექმნა. ამის საუკეთესო მაგალითებია: „წმინდა ნინოს ცხოვრება“; „წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“; „მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“; „წამება წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაზოძისი, რომელი იწამა ქართლსა შინა, ქალაქსა ტფილისს, ჳელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქმული იოვანე, მისა საბანისი. ბრძანებითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა“; „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებლისაჲ, და მის თანა ჳსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ“ და სხვა.

ილია ჭავჭავაძე - წმიდა ილია მართალი ქრისტიანობისადმი ქართველი ერის დამოკიდებულების შესახებ წერდა: „ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალს აღთქმას შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისთვის და რაც თავის დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი ადამიანობს: შეუერთა მამული და ეროვნობა. ეს სამი ერთმანერთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანერთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდიქმნა და მიწა-წყლის დაცვა - რჯულის დაცვად. რჯული ჩვენის მამულის, ჩვენის ეროვნობის ხმლად იქცა ზედმისევისათვის და ფარად -

ზედმოსეულთათვის“ (ჭავჭავაძე, 2007: 23). ერს, რომელსაც ხან არაბები ესეოდნენ, ხან მონღოლ-თათრები, ხან კი თურქები და სპარსელები, განსაკუთრებით ესაჭიროებოდა სარწმუნოებრივი სიმტკიცე, რომელიც, როგორც ილია ჭავჭავაძე წერს, მისი არა მხოლოდ სულიერი გადარჩენის, არამედ ხორციელი არსებობის შენარჩუნების მთავარი საყრდენი იყო.

საუკუნეების მანძილზე არ შეწყვეტილა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ (სინას მთაზე, იერუსალიმში, ათონში, პეტრიწონში და სხვ.) არსებულ ქართულ მონასტრებში სასულიერო ლიტერატურის შექმნა, თარგმნა და ნუსხათა გამრავლება.

XVIII საუკუნის ბოლოს, მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთმა რუსეთის იმპერიასთან სამეგობრო ტრაქტატი დადო (1783 წელს), საქართველოს მოსაზღვრე მუსლიმანური ქვეყნები კიდევ უფრო გამძვინვარდნენ. ამის ყველაზე თვალსაჩინო დასტურია 1795 წელს ირანის გამგებლის, ალა-მახმად-ხანის, შემოსევა, თბილისის აღება და აოხრება. ქვეყანას არანაკლებ ზიანს აყენებდა ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანი ტომების, განსაკუთრებით ლეკების ხშირი თავდასხმებიც.

ზოგადად, მუსულმანთა საბრძოლო ტაქტიკის ნაწილი დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის გამუსულმანება იყო. ასეთ ვითარებაში ერის მთელი ყურადღება სულიერი სიმტკიცისადმი იყო მიმართული. მართალია, ამ დროს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მხატვრული თხზულებები არ შექმნილა, მაგრამ ეკლესია-მონასტრებში კვლავ დიდი ძალისხმევით გრძელდებოდა სასულიერო ლიტერატურის როგორც შექმნა, ისე უცხო ენებიდან თარგმნა და გამრავლება.

ასეთ დროს მოღვაწეობდა გაბრიელ მცირე, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს გარეჯის ლიტერატურული სკოლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია.

XVII-XVIII საუკუნეებში გარეჯის მრავალმთის მონასტერთა მწიგნობრული მოღვაწეობის მნიშვნელობა საქართველოსთვის განსაკუთრებულად გამორჩეულია. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს გარეჯა ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის მხრივ ყველაზე ძლიერი ქართული საგანმანათლებლო ცენტრი იყო, სადაც ძალუმად იგრძნობოდა ძველი ქართული საგანმანათლებლო კერების ტრადიციები. „დავით გარეჯის უდაბნო გახდა მემკვიდრე ძველი ქართული

სამწიგნობრო სკოლებისა. ამიტომ მოხდა სწორედ, რომ გვიანფეოდალურ ეპოქაში ქართული საეკლესიო მწერლობისა და კულტურის მედროშეობა და წინამძღვრობა დაეკისრა გარეჯის სკოლას“ (ქავთარია, 1965: 41).

აქ, მონასტერთა წიაღში მოღვაწეობდნენ: სულხან-საბა ორბელიანი (1725+), ონოფრე მაჭუტაძე (1733+), ნიკოლოზ ორბელიანი (1735+), ბესარიონ კათოლიკოსი (1737+), გაბრიელ საგინაშვილი, გრიგოლ დოდორქელი, ნიკოლოზ მაღალაშვილი, ზაქარია მონაზონი, ბერი იოზი, იოსებ არაგვის ერისთავის შვილი (XVII-XVIII), იოანე მანგლელი (1751+), ტიმოთე გაბაშვილი (1764+), ანტონ კათოლიკოსი (1788+), დავით ვაჩნაძე, რომანოზ გიორგის ძე ერისთავი, მღვდელ-მონაზონი გაიოზი, იოანე კახმდივანიშვილი (XVIII), პორფირი (1801+) და სხვანი.

დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის დამსახურებაა ქართველი წმიდანების ცხოვრებათა კრებულების ახალი რედაქციების შექმნა. 1699 წელს ონოფრე მაჭუტაძის წამოწყებითა და ხელმძღვანელობით შეადგინეს ქართველთა ჰაგიოგრაფიული კრებული. შემდგომ ამგვარი კრებული შეადგინა დომენტი კათოლიკოსმა. ამ მხრივ შრომა კიდევ უფრო განავრცო ბესარიონ კათოლიკოსმა. მას წიგნში თავისი ორიგინალური თხზულებებიც შეუტანია: „ღუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი“; „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისი და უწყება წამებისა მათისა“. წმიდანთა ცხოვრების შემდეგი კრებული, რომელსაც „მარტირიკა“ ეწოდება, XVIII საუკუნის დიდ მოღვაწეს, ანტონ კათოლიკოსს ეკუთვნის. მისი ადრეული პირის გადაწერა 1769 წლის 19 ნოემბერს დასრულებულა. გრიგოლ ვახვახიშვილს, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც გრიგოლ დოდორქელი, ეკუთვნის: „თთუესა სეკდემბერსა იგ წამებად ყოვლადდიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისაჲ, რომელი იწამა სპარსთა მეფისა შაჰაბაზ უსჯულოდსა მიერ ქალაქსა შირაზისასა“. მასვე შექმნა სხვადასხვა საგალობელი. ნიკოლოზ მაღალაშვილს ეკუთვნის: „ცხოვრება და შესხმად ახლად მოწამედ გამოჩენილისა შიოსი და ხუთთა მონაზონთა, რომელნი დახოცეს დავით გარეჯას ლეკთა უღთოთა“.

გარეჯში სათანადო ყურადღება ექცეოდა დოგმატურ ხასიათის საკითხებს, მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლათა დაცვას და არასწორ სწავლებათა

გამოაშკარავებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ბესარიონ კათოლიკოსის მიერ შექმნილი ნაშრომი „გრდემლი“, რომელშიც ლათინების ცრუსწავლებაა დაგმოხილი. ასევე ანტონ კათოლიკოსის „მზამეტყველება“, ტიმოთე გაბაშვილის ნაშრომები: „მოხილვა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთის ადგილთა“, „მარწუხი“, „დღესასწაულისათვის ღმრთისმშობლისა მარიამისა“, სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებები და სხვა.

გარეჯში მოღვაწე მწიგნობრები ასევე ყურადღებით ეკიდებოდნენ ლიტურგიკულ მწერლობას, ბიბლიოთეკების შექმნას, წიგნების გადაწერა-გამრავლებას და მათ გამშვენებას.

გაბრიელ მცირეს შექმნილი აქვს რამდენიმე ორიგინალური სასულიერო ხასიათის თხზულება, შედგენილი აქვს პატერიკული კრებულები, რომლებსაც საფუძვლად უდევს მისი სრულიად ახლებური და მაღალდიდაქტიკურ შედეგზე გათვლილი სარედაქციო კონცეფცია. ჩვენ დავინტერესდით ამ წიგნებით და საჭიროდ მივიჩნიეთ მათი მეცნიერული გამოცემების მომზადება და ტირაჟირება, რათა ისინი ხელმისაწვდომი გაგვეხადა ფართო მკითხველისათვის.

მეცნიერულ გამოცემათა მოსამზადებლად საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვეჩია წიგნთა მომზადების მეთოდოლოგია და ჩასატარებელი სამუშაოების თანმიმდევრობა: 1. გაბრიელ მცირის ავტოგრაფული და არავტოგრაფული ტექსტების მიკვლევა და მათი ბიბლიოგრაფიის შექმნა; 2. ფრაგმენტული და არაფრაგმენტული ნაბეჭდი პროდუქციის შესწავლა; 3. კრიტიკულად დასადგენი ტექსტისთვის საჭირო ხელნაწერების შერჩევა; 4. მათგან ძირითადი ტექსტის გამოყოფა; 5. ძირითადი ტექსტის გაშიფვრა-დადგენა; 6. შესადარებლად არჩეული ნუსხების ძირითად, გაშიფრულ ტექსტთან შედარება და გამოვლენილი სხვაობების სქოლიოებში წარმოჩენა; 7. ძირითად ტექსტში არსებული ქარაგმების გახსნა; 8. ტექსტში წმიდა წერილიდან მოყვანილი ციტატების მოძიება, მათი ადგილის მითითება და კლასიფიცირება მათი ზუსტად გადმოღების თუ საკუთარი სიტყვებით გადმოცემის მიხედვით; 9. გაბრიელ მცირის შედგენილ კრებულებში შემავალ თხრობათა წარმომავლობის დადგენა. 10. გამოცემებისათვის პირთა და გეოგრაფიულ საძიებელთა დართვა; 11. ბოლოთქმის სახით მცირე მეცნიერულ

გზამკვლევათა დართვა; 12. თანამედროვე მკითხველისათვის ძნელად გასაგებ სიტყვათა განმარტებების დართვა სქოლიოების სახით.

ჩვენი აზრით, საგამომცემლო კონცეფცია გამოსაცემი ტექსტების დამუშავებისა უნდა ყოფილიყო მიმართული ძირითადი ტექსტის დადგენისაკენ და ყველა შესაძარებლად არჩეულ ტექსტში არსებული განსხვავებების წარმოჩენისაკენ სქოლიოებში. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა არა მარტო მეცნიერული ტექსტის დადგენისა, არამედ მკითხველისათვის უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენს უმარტივესად მიიღოს ინფორმაცია ძირითადი ტექსტიდან სხვა, შედარებული ნუსხების განსხვავებებისა. საჭიროდ ჩავთვალეთ ადრეულ, ჩვენ მიერ ძირითად ტექსტად არჩეულ ხელნაწერში გაგვესწორებინა უდაოდ მექანიკური შეცდომები. ამ მხრივ ზუსტი გადაწყვეტილებების მიღებისათვის გამოვიყენეთ გვიანდელი ავტოგრაფი და სხვა საკვლევად არჩეული არაავტორიზებული ხელნაწერები. ამგვარი ხარვეზები ძირითად ტექსტისა და ჩვენ მიერ არჩეულ სხვა ხელნაწერებს შორის განსხვავებანი წარმოვაჩინეთ სქოლიოებში.

2017 წელს გამოვეცით „სამოთხის ყუავილი“ (258 გვ.), ასევე - „მლუდელმთავრისა ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი“ (32 გვ.), 2018 წელს გამოვეცით „ჯუარშემოსილი“ (168 გვ.), ასევე - „სამასეული“ (96 გვ.), ხოლო 2019 წელს - „ოქროს წყარო“ (212 გვ.). თითოეულ ამ გამოცემას დართული აქვს კვლევა ხელნაწერისა და მისი ავტორის შესახებ, სქოლიოებში და არშიებში წარმოდგენილია არსებულ ხელნაწერთა შორის განსხვავებები, გახსნილია ქარაგმები. ასევე გამოსაცემად მომზადებული გვაქვს გაბრიელ მცირის ნაშრომები: „კლიტე“, და „გვრგვნი“, მზადების პროცესშია კრებულები „მანანა“ და „სუფევა“.

რაც უფრო მეტს ვმუშაობდით ამ წმიდა მამის მიერ შედგენილ კრებულებზე, მით უფრო თვალნათლივ ვაცნობიერებდით მათ მნიშვნელობას. გადავწყვიტეთ, რომ ერთ-ერთი მათგანი - „გვრგვნი“, რომელიც წმიდა გაბრიელის თანამედროვეთა შორის და შემდგომაც ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა, არა მხოლოდ მეცნიერულად გამოგვეცა, არამედ ფუნდამენტურად შეგვესწავლა. ამ კრებულის მიმართ იმ დროისათვის არსებულ დიდ მოთხოვნაზე მეტყველებს მის ხელნაწერ

ნუსხათა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა. სიძველეთსაცავებში ამჟამად „გვრგუნის“ 44 ხელნაწერია დაცული.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი გახდა დადგენილიყო „გვრგუნის“ შემდგენლის ზუსტი ვინაობა, რადგან ამ მხრივ მეცნიერთა აზრი არ იყო ერთგვაროვანი. „გვრგუნის“ კვლევისთვის საჭირო იყო აგვერჩია მისი ძირითადი ტექსტი, გამოგვეკვეთა ავტოგრაფული ტექსტების ძირითადი მახასიათებლები. შეგვესწავლა მასში ორთოგრაფიის, გრამატიკული ფორმების და გრაფემების გამოყენების თავისებურებანი. „გვრგუნის“ ტექსტის ზუსტად შესწავლისათვის შეგვედგინა გამოყენებული გრაფემების და ქარაგმების ცხრილი. აგვერჩია ძირითად ტექსტთან შესადარებლად არაავტოგრაფული ტექსტები. გამოგვევლინა გაბრიელ მცირის „გვრგუნის“ ავტოგრაფულ და არაავტოგრაფულ ტექსტებში სხვაობები. დაგვედგინა „გვრგუნში“ შემავალ თხრობათა წარმომავლობა. ასევე აუცილებლად ჩავთვალეთ შეგვესწავლა „გვრგუნის“ სტეფანე კარბელაშვილისეული გამოცემა (1892 წ.), რადგან შესაძლოა იგი ფლობდა ისეთ ხელნაწერებს, რომელიც დღეს სიძველეთსაცავებში აღარ გვხვდება.

დასმული ამოცანების მიმართულებით კვლევა დღემდე არ იყო შესრულებული. „გვრგუნის“ ტექსტი XIX საუკუნის ბოლოს გამოიცა. ესაა ამ წიგნის ერთადერთი გამოცემაც. მასში ტექსტოლოგიური კვლევები არ ჩანს და არც წიგნის შემდგენლის ვინაობა. „გვრგუნის“ ხელნაწერი მას შემდეგ აღარ გამხდარა კვლევის საგანი.

ბუნებრივია, „გვრგუნის“ კვლევისას გვერდს ვერ ავუვლიდით მის რედაქტორ-შემდგენელს - გაბრიელ მცირეს. ამიტომ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, რაც კვლევას მონოგრაფიის სახეს მისცემდა.

მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილი ზიგიერთი ძირითადი ფაქტი გაბრიელ მცირის ცხოვრებიდან, დაუდგენელი იყო არაერთი ბიოგრაფიული დეტალი. მაგალითად: გაბრიელ მცირის დაბადების, მონასტერში მისვლის, მონაზვნად აღკვეცის, იოეროდიაკონობისა და მღვდლად კურთხევის თარიღები; გარემოებანი თუ რატომ იყო იგი მონასტრიდან გამოსული მოწამეობრივად აღსრულებისას. როდის შერაცხეს წმიდანად.



ასევე საჭიროდ ჩავთვალეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ისეთ ცხოვრებისეულ დეტალებზე, რომელზედაც ყურადღება არავის მიუქცევია. მაგალითად, წმიდა გაბრიელის სასწაულებრივი განკურნება, მის მიერ წმიდა საფლავთა მონახულებანი, მისი ურთიერთობა მეფესთან, მის მიერ სიწმიდეების მოლოცვა, ვინ იყვნენ მისი მოძღვრები, ჰყავდა თუ არა მას სულიერი შვილები და სხვა.

ქვემოთ წარმოდგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, ხოლო დანართში - კრებულ „გვრგუნის“ კრიტიკულად მომზადებული ტექსტი და სამეცნიერო აპარატი.

## თავი I.

### წმიდა გაბრიელ მცირის ცხოვრება და მოღვაწეობა

#### § 1. მასალები ბიოგრაფიისათვის

წმიდა გაბრიელ მცირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მწირი ცნობები მოიპოვება. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან მასალას შეიცავს საქართველოს ეროვნულ არქივში 121 ნომრით დაცული „გვრგვნის“ ერთ-ერთი ნუსხა. იგი ადრე მოსკოვში, ლაზარევის სახელობის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში, ალექსანდრე ხახანაშვილის კოლექციაში ინახებოდა. ეს არქივი 1967 წელს საქართველოში ჩამოიტანეს და ხელნაწერთა ინსტიტუტში დააბინავეს (შემოსულობათა წიგნი: N 294), ხოლო თავად „გვრგვნის“ ხელნაწერი, სადაც გაბრიელ მცირეზეა საუბარი, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული.

„გვრგვნის“ აღნიშნულ ნუსხაზე, რომელიც 1815 წლის 3 აპრილს არის გადაწერილი პეტერბურგში, უფლისწულ ბაგრატის მიერ მიწერილია გარკვეული ცნობები წმიდა გაბრიელის შესახებ. მინაწერიდან დასტურდება, რომ გაბრიელ მცირე იყო „მოწესე წმიდისა იოვანე ნათლისმცემელის მრავალმთის მონასტრისა“, რომ „გვრგვნი“ მის მიერ არის შედგენილი: „მრავალთაგან სამღთოთა მამათა წერილებთაგან“ და რომ წიგნი შეიქმნა „სარგებელად ცოდვილთა სინანულისათვის“.

ამავე მინაწერიდან ვიგებთ წმინდა გაბრიელ მცირის ბიოგრაფიულ დეტალებსაც: „ხოლო ესე ნეტარი გაბრიელ იყო მცხოვრები ტფილისით მოქალაქეთაგანი და ხელოვნებითა მკერვალი, რომელმანცა დაუტევა ღმრთისა სიყუარულისათვის სახლი, დედა და ძმანი და მეგობარნი თვისნი და ყოველი მონაგები და წარვიდა მონასტერსა ზემოხსენებულსა. და აღიკვეცა და იქმნა მონაზონ და ისწავლნა სამღთო წერილნი შეწევნითა და ნიჭითა სულისა წმიდისათა. და იყო ფრიად ღვაწლსა და მარხვასა შინა, რომლისაცა სათნოებანი არცდათუ რიცხვითა შესაძლებელ არს აღწერად“.

ბაგრატ ბატონიშვილი ასევე მოგვითხრობს წმიდა გაბრიელის მოწამებრივი აღსასრულის შესახებ. მისი გადმოცემით, 1802 წელს თბილისელი მთავარდიაკონი იოანე ჩუბინისძე ჩასულიყო გარეჯში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში დიდმარხვის გასატარებლად, მაგრამ ცოლ-შვილი მონატრებია, მარხვის ბოლომდე ვეღარ გაუძლია და მათ მოსანახულებლად თბილისში ჩასვლა გადაუწყვეტია. ბაგრატ ბატონიშვილის მიხედვით, ამ კაცს „იძულებული“ გაუხდია წმიდა გაბრიელი, რომ თან გაჰყოლოდა ქალაქში. უკან დაბრუნებისას, როდესაც მრავალწყაროს ხევს მისდგომიან, მათ თავს დასხმიან ლეკები, რომლებსაც მოუკლავთ როგორც მამა გაბრიელი, ისე დიაკონი იოანე.

„გვრგვნის“ ნუსხაზე გაკეთებული ეს მინაწერი მთავრდება სიტყვებით: „ხოლო გვამი ნეტარისა მამისა მის მოიღეს ძმათა მის მონასტრისათა და დაფლეს მუნვე მონასტერსა შინა, რომელიცა სუფევს ქრისტეს ღმრთისა თანა და მეოხ არს სულთა ჩუენთათვის. ამინ“ (სქა N 121, 479-481; კეკელიძე, 1951: 371-372).

ხსენებული წყარო დღეისათვის ყველაზე ვრცელ ცნობებს შეიცავს გაბრიელ მცირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მასში წარმოჩენილია წმიდა გაბრიელის ცხოვრების გზა, გამოკვეთილია მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული დეტალები. ბაგრატ ბატონიშვილმა არა მხოლოდ თავად აღწერა წმინდა გაბრიელ ბერის ბიოგრაფია, არამედ სხვებსაც მოუწოდა, ვინც მის ამ წიგნს გადაწერდა, შემდგენლის ბიოგრაფიაც არ დაევიწყებინა და აუცილებლად დაერთო წიგნისთვის: „ვინცა ამა წიგნისა აღწერასა მიემთხვივნეთ, ამა წმიდისა გაბრიელის ცხოვრებაც აღწერეთ“ (სქა N 121, 479-481).

გაბრიელ მცირის შესახებ ზოგიერთ დამატებით დეტალს გვაწვდის მისი თხზულების - „ჯუარშემოსილის“<sup>1</sup> ტექსტის ბოლოს დართული მინაწერი (დაცულია ინგლისში, ბოდლეს ბიბლიოთეკაში), რომელშიც მოთხრობილია, რა ვითარებაში აღესრულა წმიდა გაბრიელი. მართალია, ზოგიერთი რამ არ ემთხვევა

---

<sup>1</sup> დაცულია ინგლისში, ბოდლეს ბიბლიოთეკაში: MS. Wardr. f 6. მისი მიკროფილმი კი - მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში - N B-3 და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში - Rt XVIII,2

ბაგრატ ბატონიშვილის მონათხრობს, მაგრამ შესაძლოა ეს იყოს ურთიერთშემავსებელი და არა ურთიერთგამომრიცხავი ცნობები.

მინაწერში ნათქვამია, რომ ბერის მონასტრიდან გასვლის მიზეზი მისი ავადმყოფობა იყო („სწეულება რაიმე შეემთხვა მონასტერსა შინა მყოფსა გაბრიელს“), მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ, რომ მამა გაბრიელი ავადაც ყოფილიყო და თავისი სულიერი ძმის მარტო გაშვებაც არ სდომებოდა. ბოდლემი დაცული წყაროც ბატონიშვილისეულზე ნაკლებ სარწმუნო არ უნდა იყოს: მასში ისეთი დეტალებია, რომლებიც ბაგრატს არა აქვს ნახსენები. კერძოდ, ბერის აღსრულების ზუსტი თარიღი - 11 მარტი, სამშაბათი. ბოდლეს წყაროში წელი მითითებული არ არის, მაგრამ თუ მოცემულ ცნობას შევაჯერებთ ბაგრატ ბატონიშვილის მიერ დასახელებულ წელთან - 1802-თან და გადავამოწმებთ მუდმივ კალენდარში, დავრწმუნდებით, რომ 1802 წლის 11 მარტი მართლაც სამშაბათი დღეა. გარდა ამისა, ბოდლემი დაცულ წყაროში დაკონკრეტებულია ისიც, თუ ამ ორი სასულიერო პირიდან რომელი როგორ აღესრულა: „გაბრიელ – თავმოკვეთით და იოანე – თოფით“.

კრებულ „ჯუარშემოსილიდან“ შესაძლებელი ხდება გაბრიელ მცირის შესახებ სხვადასხვა ბიოგრაფიული ფაქტების დადგენა. კერძოდ: წმიდა გაბრიელის ბერად აღკვეცის თარიღთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ იგი იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში დიდსქემოსანი სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ მისულა. წმიდა გაბრიელი წერს: „იყო ამას მონასტერსა შინა დიდ-ცქემოსანი ყოვლადღირსი და ყოვლადპატიოსანი სერაპიონ, რომელი მცირედ წინათ ჩემისა აქა მოსლვისა აღესრულა“ (გაბრიელ მცირე, 2018: 78). მამა სერაპიონი გარდაიცვალა 1773 წელს. მაშასადამე, გაბრიელ მცირე მონასტერში 1773 წლის ახლო ხანებში მისულა. ივანე ლოლაშვილის ვარაუდით, წმიდა გაბრიელი ამ დროს 20-25 წლის იყო (ლოლაშვილი, 1962: 17). თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტური წყარო არ არის მითითებული და სიძველეთსაცავებშიც არსად ჩანს. თუ ვივარაუდებდით, რომ ამ აზრის გამოთქმისათვის ი. ლოლაშვილს რაიმე დოკუმენტური საფუძველი ჰქონდა, მაშინ შესაძლო გახდებოდა წმიდა გაბრიელ მცირის დაბადების თარიღი

გვევარაუდა: 1773 წელს გამოკლებული 20-25 წელი, ანუ 1748-1753 წლების მონაკვეთი.

წმიდა გაბრიელს ორი სულიერი შვილი ჰყავდა. ერთი მათგანი იყო ანტონი, რომელიც დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა. როდესაც ანტონი თავის მოძღვართან, არქიმანდრიტ ევთიმესთან, ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში მივიდოდა ხოლმე, გაბრიელ მცირესაც ეწვეოდა და მასთან რჩებოდა. ერთხელ ანტონს თავის მოძღვრისთვის უთხოვია: რადგან მოხუცებულობის გამო აღარ შემიძლია მოვიდე დავით გარეჯის მონასტრიდან იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში, ჩემს მოძღვრად მამა გაბრიელი გამოირჩიეო. ევთიმეს გაბრიელისთვის უთქვამს: „მამასა ანტონის ექმენ მოძღვარ და მოურნე სულისა“. ამასთან დაკავშირებით წმიდა გაბრიელი წერს: „ხოლო მე დაღაცათუ უღირს ვიყავ ცოდვათა ჩემთა ძლით, გარნა მორჩილებისათვის მამისა ჩემისა თავს ვიდე“ (გაბრიელ მცირე, 2018: 94).

მამა ანტონის გარდაცვალების დროს მასთან ყოფილან: მისი შვილი დიმიტრი, წმიდა გაბრიელ მცირე და ერთი იეროდიაკონი. მათ წაუკითხავთ მამა ანტონისთვის სულთბრძოლის ლოცვა. სულის განსვლის წინ მამა ანტონის გამოცხადებიან ღირსი წმიდანები: ანტონი და არსენი, დავით გარეჯელი, ილარიონ ქართველი, გრიგოლ ღმრთისმეტყველი, წმიდა გიორგი, იოანე ნათლისმცემელი, ასევე წმიდა ანგელოზნი და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი თავისი ბრწყინვალეობით. შემდგომ კი: „შეიხმუჟნა და განუტევა სული მან ნეტარმან და მე მივჰყუნენ თითონი ჩემნი და დაუწუხენ თუალნი მისნი“, - მოგვითხრობს წმიდა გაბრიელ მცირე (გაბრიელ მცირე, 2018: 96). მას მამა ანტონის განსაცვიფრებელი გარდაცვალება ღირსი სისო დიდის (IV-V სს.) მიცვალებასთან აქვს შედარებული.

გაბრიელ მცირის სულიერი შვილი იყო ასევე პორფირი, რომელიც მშობლებს ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში ათი წლის ასაკში მიუყვანიათ. მისი აღზრდა და სულიერად განსწავლა წმიდა გაბრიელისთვის დაუვალებიათ. როდესაც პორფირი 27 წლის გამხდარა, წმიდა გაბრიელს მისი მღვდლად კურთხევა გადაუწყვეტია, მაგრამ პორფირი დასნეულებულა და იმავე წელს გარდაცვლილა (იქვე: 124). წმიდა გაბრიელმა მოიყვანა თავისი მეგობარი მღუდელმთავარი სტეფანე

და აწირვინა მისთვის (გაბრიელ მცირე, 2018: 125). გაბრიელ მცირემ პორფირს მოთხოვნა და ეპიტაფია მიუძღვნა, სადაც მას ღრმად განსწავლულ, ნიჭიერ და ღმრთისმოყვარე პიროვნებად წარმოსახავს. წმიდა გაბრიელი თავის ეპიტაფიაში დიდ მწუხარებას გამოთქვამს და იქვე დასძენს: „შენ, ყოვლადღირსო, წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა იშვებ სულითა...“ და მიმართავს: „მეცა მსწრაფლ წამიყვანე შენთანა“ (გაბრიელ მცირე, 2018: 126). პორფირი გარდაიცვალა 1801 წელს, ხოლო გაბრიელ მცირე მოწამეობრივად აღესრულა 1802 წლის 11 მარტს.

თავის მხრივ, პორფირს ოცდაორი წლის ასაკში მშობლების პატივსაცემად თავისი მოძღვრის, გაბრიელ მცირის, თაოსნობით გადაუწერია: „გვრგვნი“, „ოქროს წყარო“ და „სამასეული“ და ისინი ერთ წიგნად შეუკრავს. ეს წიგნი მშობლებისთვის გაუგზავნია.

ხსენებულ წიგნს ერთვის „ეპისტოლე მშობელთა მიმართ“, სადაც საყურადღებო ცნობებია გაბრიელ მცირის შესახებაც: „საყურადღებო, არა რად მეპოვების მიგებად კეთილისა მის წილ, რომელი მომაგეთ მე, რათამცა მიგაგო თქუენ ამისა უდიდესი და უბრწყინვალესი, რომელი ესე მოძღვარმან ჩემმან სულიერმან კაცმან ღმრთისამან, მამამან გაბრიელ სიყვარულითა მით სულიერითა თქუენისაცა სულისა ინება წარმართებად და წინა დამისხნა აღწერად ყოვლად შუჭნიერი ესე წიგნი, რომელსა შინა არიან აღწერილ სანოვაგენი სულისანი, ნათელ-მყოფელნი სწავლანი და საკვირველებანი, რომელნი ღმრთივ-შუჭნიერად ნაყოფიერ ჰყოფენ სულსა აღმასრულებელთასა. ხოლო პირველად აღვსწერენ თხოვნი იგი ყოვლად შუჭნიერნი და საკვირველნი, და სწავლანი ოქრო-მდინარისანი, ორნივე იგი ღმრთივ-შუჭნიერად შეწყობილ ქმნილნი კაცისაგან ღმრთისა და სხუანიცა იგი სწავლანი დიდებულისა ღმრთის-მეტყუელისა გრიგორისნი და დიდისა ვასილისნი და წმიდისა მაქსიმესნი, რომელნი ფრიადითა შრომითა პოვნულ არიან და ფრიადითა გულს-მოდგინებითა წმიდათა შინა წერილთა მამისა ამის ჩემისა მიერ სულიერისა“ (ხეც H 211, 249-250).

ზემოთ მოყვანილი ტექსტი იმითაც არის საინტერესო, რომ ის ნათელყოფს გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი ერთ-ერთი წიგნის, კერძოდ, „სამასეულის“, წარმომავლობას. „სამასეულს“ არ ერთვის ანდერძი, ან „ბეჭედი“, საიდანაც

დადგინდებოდა, რომ მისი შემდგენელი გაბრიელ მცირეა. მოყვანილ ამონარიდში კი ბერი პორფირი გვაუწყებს, რომ სწორედ გაბრიელ მცირის მიერ იქნა ნაპოვნი ის ტექსტები, რომლებსაც „სამასეული“ მოიცავს.

წიგნიდან „ჯუარშემოსილი“ ასევე ვგებულობთ: წმიდა გაბრიელი მრავალჯერ ყოფილა დოდო გარეჯელის საფლავის მოსალოცად. ერთხელ განსაცვიფრებელი სურნელება გამოსულა წმიდა დოდოს საფლავიდან (გაბრიელ მცირე, 2018: 63-64).

1786 წლის ახლო ხანებში გაბრიელ მცირე მუხლების ტკივილს იმდენად შეუწუხებია, რომ სხვისი დახმარების გარეშე კიბეზე სამი საფეხურის ასვლაც კი აღარ შეეძლო. მონასტერში მყოფთ ურჩევიათ მისთვის 6000 მოწამის სამკვლელები ასვლა და ამ სიწმიდის მოლოცვა, რადგან სწორედ ამგვარად განკურნებულა ბერი, რომელიც თურმე საერთოდ ვეღარ დგებოდა ფეხზე. წმიდა გაბრიელმა შეასრულა თანამოძმეთა რჩევა და განიკურნა სნეულებისაგან. ამის შემდეგ ამ სენს აღარ შეუწუხებია (გაბრიელ მცირე, 2018: 65).

ერთხელ იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში გადამდები სენი გაჩენილა, რომელსაც მრავალი დაუსნეულებია; ერთი მხცოვანი ბერი კი მოუკლავს. გაბრიელ მცირე ორ კაცთან ერთად წასულა 6000 მოწამის სამკვლელებზე. იქიდან პატივით ორი წმიდა ნაწილი წამოუბრძაებიათ, ჯვრის ფორმით შეუკრავთ და ეკლესიის შუაში დაუბრძანებიათ. პარაკლისი გადაუხდიათ, წმიდა ნაწილები აიაზმაში განუბანიათ და წყალი მიუღიათ, შემდეგ კი მონასტრის მთელი ტერიტორიისთვის ეს წყალი უსხურებიათ. ღმრთის მაღლით და მოწამეთა მეოხებით, ყველა სნეული მყისიერად განკურნებულა და ის გადამდები სნეულება სრულად გამქრალა (გაბრიელ მცირე, 2018: 67).

სიონის ტაძარში, როდესაც გიორგი მეთორმეტემ საიდუმლოდ გაახსენვინა დავით გარეჯის ბერთუბნის მონასტერში მოღვაწე წმიდა მამის - იოანე მანგლელის ლუსკუმა, მას თან ახლდა გაბრიელ მცირე. წმიდა გაბრიელი წერს, რომ ლუსკუმიდან „კეთილსულნელი გამოხდა“ და რომ იოანე მანგლელის ძვლები ცვარივით იყო დაფარული მირონით. გაბრიელ მცირე მის შუბლის თხემს მთხვევია (გაბრიელ მცირე, 2018: 71).

ის ფაქტი, რომ საიდუმლო ქმედების დროს გიორგი მეთორმეტეს გაბრიელ მცირე თან ახლდა, მეფესთან მის ახლო ურთიერთობაზე მიუთითებს. ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ გიორგი მეთორმეტემ წმიდა იოანე ბოლნელის ლუსკუმა ორჯერ გაახსენებინა: როდესაც 1790 წელს დაბადებული ვაჟი - ილია გაუხდა ავად და მეორედ, როდესაც მისი ასული - თამარი დასნეულდა (კენკიშვილი, 2005). ამ ორი შემთხვევიდან როდის ახლდა გიორგი მეთორმეტეს გაბრიელ მცირე, არაა ცნობილი; მაგრამ ცხადია, რომ ხსენებული ფაქტი 1790 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

1779 წელს მამა გაბრიელს გიორგი მეფისთვის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი მიუერთმევია, რომელიც შემდგომ გიორგი მეფის ძეს, მიხეილს ჰქონდა (იოსელიანი, 1893: 53). სამეფო კართან გაბრიელ მცირის ახლო ურთიერთობას ასევე ცხადყოფს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში „ოქროს წყაროს“ S 3650 ნომრით დაცული ხელნაწერი, რომელიც წმიდა გაბრიელს გიორგი მეფის ძმისთვის, ფარნავაზისათვის, მიუძღვნია. ის ფაქტი, რომ ხელნაწერს არა მხოლოდ ბოლოში აქვს გაკეთებული მიძღვნა ფარნავაზისადმი, არამედ პირველ და მეორე ფურცლებზეც (1v: „...ვიგულსმოდგინე ესე „ოქროს წყარო“. იმრთელე, მეფის (ერეკლე მეორის) ძეო, ფარნავაზ, გიძღვნი გლახაკი მონა შენი“ 2v: „წმიდაო მამაო იოანე ოქროპირო... მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა მეფის ძეს ფარნავაზს“) მოწმობს იმას, რომ ხელნაწერი იმთავითვე ფარნავაზისთვის მისაძღვნელად შეიქმნა.

განსაკუთრებით საინტერესოა ერთ-ერთი ბოლო მინაწერთაგანი, რომელშიც ვკითხულობთ: „წყაროო ცხოვრებისა და უკუდავებისაო ქრისტე, წყაროდ წყალობისა და სუჭტად ნათლისად გამოაჩინე ფარნავაზ და მრავალჟამ ჰყვენ წელნი ცხოვრებისა მისისანი, რომელიცა დღეს ბრძანდება ოცის წლისა, ხუთის თვისა და ცხრამეტის დღისა“ (197r). ტექსტს ორი სხვადასხვა თარიღი აქვს მიწერილი: 1795 წლის 5 ივნისი“ (196v) და 1795 წლის 5 აგვისტო (196r) „წელსა განჯორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა ჩღჟე, თუჴსა აგვისტოსა, რიცხვსა ე. ლოცვასა ვითხოვ“.

1795 წელს ფარნავაზ ბატონიშვილმა ჯვარი დაიწერა ანა გიორგის ასულ ერისთავზე. ეს წიგნი ბატონიშვილისთვის მომზადებული საქორწინო საჩუქარი უნდა იყოს. სავარაუდოდ, ამით უნდა იყოს გამოწვეული მასზე ორი განსხვავებული თარიღის მითითება. 5 ივნისი უნდა იყოს წიგნის გადაწერის დასრულების დრო, 5



ავგისტო კი ჯვრისწერის და ფარნავაზისთვის ამ წიგნის მიძღვნის დღე. საგულისხმოა, რომ 1795 წელს 5 ავგისტო საუფლო დღეს, კვირას ემთხვევა. სწორედ ჯვრისწერის დღის გამო უნდა ჰქონდეს გაბრიელ მცირეს ასეთი დიდი სიზუსტით მითითებული ფარნაოზის იმჟამინდელი ასაკი: 20 წელი 5 თვე და 19 დღე. გენეალოგიურ ნუსხაში ბატონიშვილების დაბადების ზუსტი თარიღები, როგორც წესი, მითითებული არ არის ხოლმე. ძირითადად გამონაკლისს წარმოადგენენ ტახტის მემკვიდრეები. ფარნაოზის დაბადებასთან დაკავშირებით წერია 1777 წელი, მაგრამ თუ წმიდა გაბრიელ მცირის ამ ჩანაწერს გავითვალისწინებთ, იგი დაბადებული უნდა ყოფილიყო 1775 წლის 14 თებერვალს.

„ჯუარშემოსილში“ კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტია აღწერილი წმიდა გაბრიელის ცხოვრებიდან. გაბრიელ მცირე თავისი სიცოცხლის მანძილზე არაერთი სასწაულის თვითმხილველი ყოფილა: ერთხელ იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში ახალგარდაცვლილი ყმაწვილის საფლავს კვეთდნენ და შემთხვევით დააზიანეს 15 წლით ადრე გარდაცვლილ მღვდელმთავარ, ზენონის სამარხი, საიდანაც საკვირველი კეთილსურნელება გამოსულა (გაბრიელ მცირე, 2018: 77)].

დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა ბერი არსენი. მკაცრი ასკეტი და მრავალმხრივი მოღვაწე, რომელსაც წინასწარ უწყებია, რომ მალე აღესრულებოდა და გაბრიელ მცირისთვის იგავური ენით მიუწერია ამის შესახებ: „კარაული ჩემი დაეცა გზასა აწ უკუჭ ქრთილი მოუმატოაა, ანუ თუ ესრეთ უტევო უღვაწად?“ წმიდა გაბრიელსაც ასევე იგავურად უპასუხია: „მოუმატე ქრთილი ზომით, რათა ვიდრე სადგურადმდე მიიტანოს ტვირთი თვისი“ და გასამხნეველად მოუნახულებია იგი. ღმრთისა და ღმრთისმშობლისადმი სამადლობელ ვედრებაში მყოფი ბერი ორი კვირის შემდეგ აღესრულა (გაბრიელ მცირე, 2018: 98).

გარეჯში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში, პატარაობიდანვე აღუზრდიათ ყმაწვილი, სახელად იოანე. როცა იგი თექვსმეტი წლის გამხდარა, მოუმზადებიათ ბერად აღსაკვეცად, მაგრამ ყმაწვილი უეცრად ავად გამხდარა და გარდაცვლილა. ამას მონასტრის კრებულზე ძლიერ უმოქმედია. გაბრიელ მცირის მოსიყვარულე გულსა და მგრძნობელობაზე მეტყველებს ის სიტყვები, რომლითაც აღწერს თავის განცდებს ამ ჭაბუკის გარდაცვალების გამო: „მიერთვან აქამომდე

ოდესღა მოვიხსენო სიყვარული კეთილობისა მისისა და უმეტესად საშინელება მიცვალებისა მისისა: ზრზოლა ედების სულსა ჩემსა და ძრწოლა ძვალთა ჩემთა“ (გაბრიელ მცირე, 2018: 99-102).

იმის გამო, რომ გაბრიელ მცირის ბიოგრაფია არ არსებობს, კვლევის მეშვეობით გვიხდება თითოეული თარიღის დადგენა. მაგალითად, ორი სხვადასხვა თხზულების მიხედვით მოვახერხეთ მისი იეროდიაკონობისა და მონაზვნად კურთხევის მიახლოებითი თარიღების განსაზღვრა.

გვალვის, ავი ქარისა თუ სხვა გასაჭირის დროს მონასტრის მამები ევედრებოდნენ ღმერთს ლხინებისათვის და ატარებდნენ წირვებს. ერთი ასეთი შემთხვევის აღწერისას წმიდა გაბრიელი იხსენებს, რომ მისი იეროდიაკონობის დროს ერთ მღვდელთან ერთად საწირველად ასულა 6000 მოწამის საძვალეზე და წაუკითხავთ ბრძოლის ლოცვა, რადგან იმ დროს ხშირი ყოფილა შეტაკებები ქართველებსა და სხვადასხვა მომხდურს შორის. მოგვიანებით გაუგიათ, რომ იმ დღეს მართლაც მომხდარა ბრძოლა და ქრისტიანებს გაუმარჯვიათ. მამა გაბრიელის თქმით, ეს მომხდარა 25 იანვარს, კვირას, გრიგოლ ღმრთისმეტყველის ხსენების დღეს (გაბრიელ მცირე, 2018: 62). რამდენადაც უკვე გავარკვიეთ, რომ გაბრიელ მცირე იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში დაახლოებით 1773 წელს მივიდა, ეს ფაქტი ამ თარიღის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

გაბრიელ მცირის გარდაცვალებამდე 25 იანვარი კვირა დღეს ემთხვევა 1775, 1786, 1792 და 1797 წლებში. იმის გამო, რომ ზუსტად არ ვიცით, რომელ წლამდე იყო წმიდა გაბრიელი იეროდიაკონი, მთლიანად გადავათვალიერეთ 1775-1797 წლების ისტორიული მოვლენები და ჩვენი ყურადღება მიიპყრო 1786 წლის იანვარში იმერეთის მეფის, დავით II-ის, მიერ რაჭაში გამართულ ბრძოლაში ახალციხიდან გადმოსულ თურქთა და ლეკთა 1500-კაციანი ჯარის განადგურების ფაქტმა. მართალია, ბრძოლის თარიღად 26 იანვარია მითითებული, მაგრამ ცნობილია, რომ ძირითადი იერიშის დროს დამარცხებულებმა სხვაგვასა და კვარას ციხეებს შეაფარეს თავი და, თუ მთავარი შეტაკება 25 იანვარს იყო, ციხეებში შეფარებული მომხდურთა ჯარის საბოლოო დამარცხება შეიძლება მეორე დღეს დასრულებულიყო. როგორც ცნობილია, სხვაგვას ციხეში ჩაკეტილები ქართველებმა

მთლიანად გაანადგურეს, კვარას ციხეში თავშეფარებულები კი დროულად დანებდნენ და მეფისგან შეწყალება მიიღეს (მერკვილაძე, 2016: 146, 158). შესაბამისად, წმიდა გაბრიელის მიერ მოთხოვნილი ამბავი ამ დღეს მოპოვებულ გამარჯვებას უნდა ეხებოდეს. ამ ისტორიული მოვლენისა და მონათხრობის დაკავშირება დაგვეხმარა იმის გარკვევაშიც, რომ 1786 წლის 25 იანვარს წმიდა გაბრიელ მცირე ჯერ კიდევ იეროდიაკონი იყო.

გაბრიელ მცირის ნაშრომი „ჯუარშემოსილი“ მოიცავს ტექსტს: „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ცქემოსან ონისიფორესი“. ამ თხრობასთან დაკავშირებით გაბრიელ მცირე გვამცნობს: „ვეწიფე და ვიხილე თუალითა ჩემითა ყოვლადპატიოსანი მამა, ცქემოსანი ონისიფორე, რომლისა ცხოვრება და მოქალაქობა უვრცელესად აღვსწერე, სხვათა მიერ ბრძანებითა, იეროდიაკონებასა ჩემსა, ოდეს იგი ნეტარი აღესრულა“ (გაბრიელ მცირე, 2018: 77-78). ამ თხობაში წმიდა გაბრიელი წერს, რომ წმიდა ონისიფორე გარდაიცვალა 1786 წლის 6 იანვარს (ძვ. სტ.).

მამა ონისიფორეს გარდაცვალების ამ თარიღს ადასტურებს სხვა წყაროც, კერძოდ: „შიოდსა და ხუთთა მონაზონთა ცხოვრება“ (ხეც A 1367). მის გარეკანზე მიწერილი თარიღი ზუსტად ემთხვევა გაბრიელ მცირის ცნობას. შესაბამისად, წმიდა გაბრიელმა ონისიფორეს აღსრულების შემდეგ აღწერა მისი ცხოვრება, 1786 ან 1787 წელს. სამწუხაროდ, ამ თხზულების დედანი სიძველეთსაცავებში არ იძებნება, იგი მხოლოდ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში H 436 ნომრით დაცულ ხელნაწერში და „ჯუარშემოსილშია“ დაცული.

ამ ორი თხზულებიდან მიღებული ცნობები რომ შევაჯეროთ, 1886 წლის 25 იანვარს მამა გაბრიელი ჯერ კიდევ იეროდიაკვნის ხარისხში ყოფილა. წმიდა გაბრიელის ერთ-ერთ ანდერძში, რომელიც დართულია ნაშრომზე „ღმრთივშვენიერებით მღუდელმთავრის ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი, ვითარმედ ყოველსა მღუდელ-შვენიერებით მოქმედებასა მისსა საიდუმლობითი ძალი უპყრიეს“, ვკითხულობთ: „მოგიძღვნი, შეიწირე მეუფეო წმიდაო, სახსენებელად სიგლახაკისა ჩემისა, რათა რაჟამს აღასრულებდე ღმერთ-მყოფელსა ამას საიდუმლოსა, მომიხსენო მეცა მსასოებელი სიწმიდისა თქვენისა

ყოვლად უღირსი იერომონახი გაბრიელი“. ხსენებული ანდერძი დათარიღებულია 1892 წლის 10 ივლისით. აქედან გამომდინარე ირკვევა, რომ გაბრიელ მცირე მღვდლად უკურთხებიათ 1786 წლის 25 იანვრიდან 1892 წლის 10 ივლისამდე პერიოდში.

წმიდა გაბრიელის მოძღვრები იყვნენ დანიილი და ევთიმი. დანიილის შესახებ წმიდა გაბრიელი გვამცნობს: „ესე ყოველი ღმრთივსულიერისა მამისა ჩემისა და მოძღვრისა დანიილის მიერ მესმა, რამეთუ იგი იყო მოძღვარი ყოვლადღირსისა სერაპიონისა და ამის ღირსისა ზაქარიასიკა“ (გაბრიელ მცირე, 2018: 84). დანიილი იყო კარგი მოსაუბრე, დიდად განსწავლული, დაუღალავი მლოცველი, მიუკერძოებელი და მოწყალე ბერი. მას მრავალჯერ გაუცია მოწყალეობა წმიდა გაბრიელის ხელითაც (გაბრიელ მცირე, 2018: 85). დანიილის მიცვალების დროს სწორედ წმიდა გაბრიელს წაუკითხავს მისთვის სულთბრძოლის ლოცვა. ამის შესახებ იგი საოცარი განცდით წერს: „ოდეს სრულ-ვჰყავ სახარება, მანცა სრულ-ჰყო ცხოვრება თვისი... და ჩვენ დაგვიტევა ობლად ტკბილისა მამობისაგან თვისისა და სულით წარვიდა უფლისა წინაშე“ (გაბრიელ მცირე, 2018: 88).

„ჯუარშემოსილში“ შემავალ ერთ-ერთ თხრობაში არქიმანდრიტ ევთიმს ბერი ანტონი მიმართავს: „არქუ სულიერსა ამას შვილსა შენსა გაბრიელს“ (გაბრიელ მცირე, 2018: 94). ამ ადგილიდან ირკვევა, რომ გაბრიელ მცირის მოძღვარი ევთიმიც ყოფილა. იგი იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში აღკვეცილა ბერად და შემდგომ ხსენებული მონასტრის წინამძღვარი გამხდარა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მამა ევთიმი ასევე მეფე გიორგის XII მოძღვარი და მეგობარი ყოფილა. გიორგი მეფე მისი რჩევით ცდილობდა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას, მაგრამ პლატონ იოსელიანის თქმით, რუსებმა გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ დაივიწყეს ევთიმეს ღვაწლი. რუსი ჩინოვნიკები ავიწროებდნენ და უპატივცემულოდ ექცეოდნენ მას, ბოლოს კი წინამძღვრობიდანაც გადააყენეს. ევთიმიმ ასეთი დევნა მშვიდად მიიღო და ამბობდა: „მომეგო მე ჯერისაებრ... მოქმედება ჩემი და მეცადინეობა რუსთა მოყვანისა არა იყო ორგულება ქვეყნისა“ (იოსელიანი, 1993: 191). საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ არქიმანდრიტი ევთიმი წმიდანად შერაცხა.

წმიდა გაბრიელს წიგნში „ჯვარშემოსილი“ მოხსენიებული ჰყავს მამა ილარიონი, რომელიც დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა. როდესაც მამა ილარიონი გარდაცვლილა, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის მამათათვის უუწყებიათ მისი მიცვალება. წმიდა გაბრიელიც წასულა, მთხვევია მის ნეშტს და მმათა კრებულთან ერთად დაუსაფლავებია იგი (გაბრიელ მცირე, 2018: 93).

გაბრიელ მცირის შესახებ რამდენიმე ცნობას გვაწვდის წიგნი „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“. მის მიხედვით გაბრიელ მცირე მამა სერაპიონის მოწაფე იყო („გაბრიელ ბერი, მოწაფე სერაპიონისავე“), მაგრამ, თავად მამა გაბრიელის ნაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ცნობა ზუსტი არ უნდა იყოს. ზემოთ ვახსენეთ, რომ მისი თქმით, იგი მონასტერში მამა სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ მივიდა („ყოვლადპატიოსანი სერაპიონ, რომელი მცირედ წინათ ჩემისა აქა [მონასტერს] მოსლვისა აღესრულა“ (გაბრიელ მცირე, 2018: 78). მეორე ცნობის მიხედვით, მან თავდაპირველად დოდო გარეჯელის მონასტერში იღვაწა და 120 წლისა აღესრულა („120 წლისა, პირველად, დოდოს მონასტერსა ყოფილი, მოკლეს ლეკთა 1802 წელსა“). ამ ორი ცნობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, რადგან ისინი არც ერთ სხვა წყაროში დასტურდება, მაგრამ ინფორმაცია მამა გაბრიელის მკვლელობის შესახებ ლეკების მიერ 1802 წელს სხვა წყაროებშიც მოიპოვება.

მამა გაბრიელს დიდი სურვილი ჰქონია, გამოჩენილიყო 1395 წელს მარტყოფის მონასტრიდან დაკარგული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რომელიც ანტონ მარტყოფელმა ედესიდან ჩამოაბრძანა და გაუჩინარებამდე საგანგებოდ მის სახელზე აშენებულ ტაძარში იყო დაბრძანებული („ამან იმარხვა 40 დღე, რათა ჰპოვოს ხატი ღვთაებისა წმიდის ანტონის მარტო მყოფის მონასტერს“ (იოსელიანი, 1893: 54). მართალია, ეს ცნობა მხოლოდ პლატონ იოსელიანის ზემოხსენებულ წიგნშია

შემონახული და სხვა წყაროები არ მოგვეპოვება, მაგრამ, ბუნებრივია, რომ ხსენებულ ცნობას მხოლოდ ამ მიზეზით ვერ უარვყოფთ<sup>2</sup>.

ამავე ისტორიული ქრონიკიდან ვიგებთ, რომ გაბრიელ მცირე გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1802 წლის დასაწყისში, ესწრებოდა ბერთუბანში მწირად მყოფი მესვეტე იოანიკე ჭოტორელის დაკრძალვას და „ცრემლით წართქვა ქებითი სიტყვა“. პლატონ იოსელიანის თქმით, გაბრიელ მცირის ეს სიტყვა წერილობითი სახით მას უნახავს რუსთავის არქიეპისკოპოს იოანესთან (იოსელიანი, 1893: 268).

კორნელი კეკელიძე მიიჩნევს, რომ თედო ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ (ჟორდანიას, 1903: 130) და 1774 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ სიგელში ნახსენები მღვდელმონაზონი მამა გაბრიელი, რომელიც მაგლობელთა შორის არის დასახელებული, გაბრიელ მცირეა. რამდენადაც ჩვენ ორი სხვადასხვა წყაროს საფუძველზე დავადგინეთ, რომ მამა გაბრიელი 1786 წლამდე ჯერ კიდევ იეროდიაკონი იყო (გაბრიელ მცირე, 2018: 162), ვარაუდი მისი მაგლობლობის შესახებ არადამაჯერებლად გვეჩვენება. საგულისხმოა, რომ გაბრიელ მცირის მაგლობლად მყოფობა არსად არ არის ნახსენები.

1802 წლის 11 მარტს წმიდა გაბრიელი ლეკებმა მოკლეს. იგი დაკრძალეს იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში (სეა N 121, 478). მისი წმიდანად შერაცხვის თარიღი ამ დროისთვის დოკუმენტურ წყაროებში არ გვხვდება, მაგრამ ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი: მეფე გიორგის ძის, ბაგრატის, ცნობით, გაბრიელ მცირე „მათ [ლეკთა] მიერ მოიკლა და შეირაცხა იგი რიცხვსა წმიდა მღვდელმოწამეთასა“ (სეა N 121, 479-481). ეს ცნობა დაწერილია 1815 წლის 3 აპრილს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ გაბრიელ მცირე 1802 წლის 11 მარტიდან 1815 წლის 3 აპრილამდე დროის მონაკვეთში შეურაცხიათ წმიდანად.

---

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი „გზრგზნის“ ერთ-ერთი ნუსხა, კერძოდ, ხეც A 228 მარტყოფის მონასტრის საკუთრება იყო. მასზე გვხვდება წარწერა: „მარტყოფის კელითუქმნელის სობოროსი არის“ (საცავი ფურცლის r).

წმიდანად შერაცხვის შესახებ ზოგადად უნდა ითქვას, რომ საქართველოში, ისევე როგორც სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში, კანონიზაცია, ანუ წმიდანად შერაცხვა, არ ხდებოდა სინოდის განჩინების საფუძველზე, არამედ სასულიერო და საერო პირთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით. საქართველოში ამჯერად კანონიზაცია სინოდის გადაწყვეტილებით ხდება. საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ პირველი კანონიზირებული წმინდანი ილია ჭავჭავაძეა, რომელიც 1987 წელს შერაცხეს წმიდანად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე გაბრიელ მცირის კანონიზირებაც ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოხდებოდა, როგორც ღვაწლით გამორჩეული, წამებული ბერისა. სავარაუდოდ, კანონიზირება დაკრძალვის დროს, ან ამ დროის ახლო ხანში უნდა მომხდარიყო. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა წმიდა შუშანიკის, წმიდა გიორგი მთაწმინდელისა და სხვა მრავალი წმიდანის მაგალითი.

## **§ 2. წერილობითი მემკვიდრეობა**

წმიდა გაბრიელ მცირის ორიგინალური სასულიერო-ლიტერატურული და რედაქტორ-შემდგენლობითი მემკვიდრეობა ძველ ქართულ და ათონის სკოლის ტრადიციებზეა დაფუძნებული. იგი გარეჯის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი და XVIII საუკუნის მიწურულის ქართული სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი მოღვაწე იყო. წმიდა გაბრიელის ხელნაწერებისა და მათი ასლების მრავალრიცხოვნება (ჩვენამდე მოღწეულია 142 ხელნაწერი) თავისთავად მოწმობს მათ იმჟამინდელ პოპულარობას. სწორედ ამიტომ ქართული სასულიერო ლიტერატურის ისტორიისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მისი თითოეული ტექსტის მეცნიერული შესწავლა და გამოცემა.

გაბრიელ მცირის ლიტერატურული საქმიანობის დასაწყისად კორნელი კეკელიძე 1780 წელს მიიჩნევს (კეკელიძე, 1951: 372). რამდენადაც მის მიერ გადაწერილი ადრეული წიგნები 80-იანი წლებით თარიღდება. როგორც სიძველეთსაცავებში დაცული ტექსტებიდან ჩანს, წმიდა გაბრიელს თავდაპირველად

ხელნაწერების გადაწერა დაუწყია. მათ შორისაა: ანტონ I კათოლიკოსის „კატელორია. სიმეტნე“ (A 233, 1781 წ.), პარაკლისთა კრებული (A 1418; H 2406, 1785 წ.), იოანე დამასკელის მოკლე „წინამძღვარი“ (A 240, 1791 წ.), „მცირე სჯულისკანონი“ (A 229, 1791 წ.), რომის პაპ გრიგოლის „დიალოღონი“ (A 238, 1793 წ.), იოანე ოქროპირის „მარგარიტი“ (Q 725, 1793; S 94, 1795 წ.). ბაუმეისტერის „საითიკო ფილოსოფია“ (A 1161, 1801 წ.).

წიგნების უმეტესობას გაბრიელ მცირე ნინოწმინდელ ეპისკოპოს სტეფანეს დაკვეთით ქმნიდა (ხეც A 227, A 229, A 233, A 238, A 240, Q 725), მაგრამ მოღვაწეობის დასაწყისშიაც არ ყოფილა უბრალოდ გადამწერი. იგი აწესრიგებდა ტექსტების სტრუქტურას, რათა მკითხველისთვის ადვილად გამოსაყენებელი გაეხადა. ამის საუკეთესო მაგალითია „მცირე სჯულისკანონი“ (ხეც A 229), რომელიც გაბრიელ მცირეს თავებისა და თხრობების მიხედვით სტრუქტურულად გაუმართავს და ზანდუკი დაუმატებია.

ცნობილ საეკლესიო მამათა ნაფიქრალ-ნააზრევის მიხედვით, წმიდა გაბრიელ მცირემ, როგორც რედაქტორ-შემდგენელმა, შექმნა XVIII-XIX საუკუნეებში საყოველთაოდ ცნობილი და პოპულარული წიგნები: „გვრგვნი“ (ხეც A 228, 1795 წ.), „სამოთხის ყუავილი“ (ხეც S 128, 1796 წ.), „ოქროს წყაროდ“ (ხეც S 3650, 1795 წ.), „კლიტე“ (ხეც S 127, 1794 წ.), „სუფევა“ (ხეც H 906, 1798 წ.), „მანანა“ (ხეც H 1748, XVIII ს.) და „სამასეული“ (ხეც A 224, 1797 წ.).

### **§ 3. ორიგინალური სასულიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა**

რედაქტორ-შემდგენლობით საქმიანობასთან ერთად, მოგვიანებით გაბრიელ მცირემ ორიგინალურ სასულიერო თხზულებათა შექმნაც დაიწყო. მათ შორისაა: 1792 წელს დაწერილი „მღუდელმთავრისა ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი“ (ხეც A 884), „სულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყვარეთანი“ (ხეც Rt XVIII, 2), „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და



ნეტარისა მამისა ჩვენისა ცქემოსან ონისიფორესი“ (ხეც H 436), „განმარტება მამაო ჩვენოსი“ (ხეც Rt XVIII, 2), „განმარტება მაზარისა“<sup>3</sup> (ხეც Rt XVIII, 2), „მოთხრობა პორფირისათვის“<sup>4</sup> (ხეც Rt XVIII, 2) და „ეპიტაფია სტავროფორესი“<sup>5</sup> საფლავსა ზედა პორფირისსა“ (ხეც Rt XVIII, 2).

გაბრიელ მცირის ზოგიერთი ორიგინალური ტექსტი ცალკე გადაწერილ ნუსხებადაც გვხვდება, კერძოდ: „მღუდელმთავრისა ლიტურდიისა განმარტებად სახისმეტყველებითი“ და „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ცქემოსან ონისიფორესი“. 1801-1802 წლებში წმიდა გაბრიელმა თავისი ორიგინალური ნაშრომებისგან შეადგინა კრებული, რომელსაც „ჯუარშემოსილი“ უწოდა. იგი შედგება ოთხი ძირითადი განყოფილებისგან: „განმარტება ლიტურდიისა“, „განმარტება მამაო ჩვენოსი“, „განმარტება მაზარის კურთხევისა“ და „ღმრთივსულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყვარეთა ფრიად სარგებელნი“.

„გიორგი XIII-ის ცხოვრების“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ჯვარშემოსილი“ იმ დროს იმდენად პოპულარული წიგნი ყოფილა, რომ გაბრიელ მცირეს მისი ავტორობით ცნობდნენ. პლატონ იოსელიანი ასე მოიხსენიებს მას: „გაბრიელ მონაზონმა ნათლისმცემელისა, აღმწერელმან „ჯვარ-შემოსილისა“.

„ჯუარშემოსილის“ თხრობებს წამძღვარებული აქვს „წინასიტყვა“. განყოფილებაში - „თხრობა სულიერი მამათა“ შედის ტექსტები: „ლოცვა ჯვარშემოსილ სტავროფორესი“; „მოკლე მოთხრობა თვით პორფირისათვის“ და „ეპიტაფია სტავროფორესი საფლავსა ზედა პორფირისსა“. როგორც ჩანს, როდესაც მამა გაბრიელი კრებულის შედგენას ამთავრებდა, სწორედ მაშინ გარდაიცვალა მისი მოწაფე პორფირი და „მოკლე მოთხრობა თვით პორფირისათვის“ კრებულს ბოლოს დაემატა. ტექსტის დასაწყისში ვკითხულობთ: „ჟ მე, საყვარელნო, ოდესღა მოიწია

---

<sup>3</sup> მაზარა - შავი ფერის სამონაზვნო შესამოსელი.

<sup>4</sup> პორფირი - იეროდიაკონი, გაბრიელ მცირის სულიერი შვილი.

<sup>5</sup> „სტავროფორე“ ბერძნულად „ჯვარშემოსილს“ ნიშნავს და ამ სახელით ტექსტში წიგნის ავტორი გაბრიელ მცირე მოიაზრება.

ღმრთივსულიერი ესე წიგნი აქამომდე, მაშინ აღფრინდა, ვითარცა ტრედი უმანკო, სასურველი შვილი ჩემი პორჭირი“.

„ჯუარშემოსილის“ ხელნაწერს არ ახლავს ანდერძი, საიდანაც უდავოდ წარმოჩნდებოდა გაბრიელ მცირის ავტორობა. თუმცა ამ მიმართულებით კვლევა ადასტურებს მისი ავტორობის ფაქტს. ნაშრომი: „ღმრთივშეწიერებით მღუდელმთავრის ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი“, რომელიც „ჯუარშემოსილში“ პირველ განყოფილებადაა წარმოდგენილი, ცალკეულ წიგნებადაც გვხვდება. მათში არის ავტოგრაფული ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც ნათლადაა წარმოჩენილი მისი შემქმნელის ვინაობა: „იერომონახი გაბრიელი“ [ხეც A-228, A-884, A-1568]. ამასთანავე, წმიდა გაბრიელის მოწამეობრივად აღსრულების შემდგომ შექმნილ დოკუმენტებში „ჯუარშემოსილის“ ავტორად ყველგან გაბრიელ მცირეა მოხსენიებული.

„ჯუარშემოსილი“ კითხვა-მიგების ფორმითაა დაწერილი. მოპასუხე არის სტავროფორე, რაც ბერძნულიდან თარგმანებით ჯვარშემოსილს ნიშნავს. ეს სახელი ამ შემთხვევაში გაბრიელ მცირეს აღნიშნავს. კითხვების დამსმელია პორფირი - წმიდა გაბრიელის სულიერი შვილი. სტავროფორე რომ უეჭველად გაბრიელ მცირეა, დასტურდება შემდეგი ამონარიდიდან: როდესაც პორფირი გარდაიცვალა, წმიდა გაბრიელმა მას მიუძღვნა „მოკლე მოთხრობა თვით პორჭირისათვის“ და „ეპიტაჴია სტავროჭორესი საფლავსა ზედა პორჭირისსა“. მოთხრობაში წერია: „აღფრინდა, ვითარცა ტრედი უმანკო, სასურველი შვილი ჩემი პორჭირი“ (გაბრიელ მცირე, 2018: 124). ხოლო ეპიტაჴიაში ვკითხულობთ: „ღმრთივსულიერო შვილო და სულეზრ საყვარელო ძმაო და სარწმუნოო მეგობარო პორჭირი“ (გაბრიელ მცირე, 2018: 126).

აქედან გამომდინარე, როდესაც „ჯუარშემოსილში“ ავტორისეული თხრობა პირველ პირშია, მაშინ ავტორი - გაბრიელ მცირე თავის თავზე წერს. წამოვადგენთ ერთ ასეთ მაგალითს: „დავშით მისთანა სამნი ოდენ, მე და იეროდიაკონი იგი

---

<sup>6</sup> გაბრიელი - დაწერილია ხელთრთვით, ხუცურად - გლ, რომელიც სხვა წიგნებშიც გვხვდება, სადაც მისი ავტორობა უდავოა.

ჩემთანა მყოფი და შვილი მისი“ (გაბრიელ მცირე, 2018: 176). ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

„ჯუარშემოსილი“, როგორც აღვნიშნეთ, დაწერილია მოძღვარსა და მოსწავლეს შორის კითხვა-მიგების ფორმით; ისე, როგორც გრიგოლ რომთა პაპის „დიალოღონი“. იმის დასტურად, რომ გაბრიელ მცირისთვის ეს წიგნი კარგად იყო ცნობილი, მოწმობს ის ფაქტი, რომ მას ის გადაწერილი აქვს (ხეც A-238) და მისი ერთ-ერთი თხრობა, კერძოდ: ონორატეზე და ლივერტინოსზე „ჯუარშემოსილში“ მაგალითად მოჰყავს. შესაძლოა, წმიდა გაბრიელის მიერ „ჯუარშემოსილისთვის“ შერჩეული სტრუქტურა (კითხვა-მიგების ფორმა) სწორედ „დიალოღონით“ იყოს შთაგონებული.

„ჯუარშემოსილის“ შედგენა 1801-1802 წლებშია დასრულებული. ამ თარიღის დადგენის საფუძველს იძლევა შემდეგი გარემოება: „ჯუარშემოსილში“ გაბრიელ მცირეს მოხსენიებული აქვს მისი სულიერი შვილის, პორფირის, გარდაცვალება და იქვე დასძენს: ამ დროს იგი ოცდაშვიდი წლის იყო. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში H 211 ნომრით დაცული ხელნაწერი წარმოადგენს პორფირის ავტოგრაფს, რომელიც თარიღდება: 13.5.1796. ამ ხელნაწერის ბოლო ნაწილში შედის: „ეპისტოლე მშობელთა მიმართ“, სადაც ვკითხულობთ: „და წელსა ოცდაორისა ჟამთა შინა შესრული აღვედ გონებასა ჩემსა და განვიზრახე პატივის პყრობაჲ თქუენი“. ეს ნიშნავს, რომ როდესაც პორფირიმ ეს ეპისტოლე დაწერა, ოცდაორი წლის იყო. აქედან გამომდინარე, 1801 წელს იგი ოცდაშვიდი წლის იქნებოდა. ამიტომ „ჯუარშემოსილის“ შედგენა 1801 წელზე ადრე ვერ დასრულდებოდა. 1802 წლის 11 მარტს წმიდა გაბრიელს თავი მოჰკვეთეს, ამიტომ, 1802 წლის 11 მარტის შემდეგ ეს თხზულება ვერ შეიქმნებოდა.

წმიდა გაბრიელს „ჯუარშემოსილის“ შექმნისას მრავალი წყარო გამოუყენებია: პატერიკების კრებული „სამოთხე“, იოანე სინელის „კიბე“, დიონისე არეოპაგელის თხზულებები, იოანე ოქროპირის „თარგმანებაჲ მათეს და იოანეს სახარებისაჲ“, გრიგორი ნოსელისა და მაქსიმე აღმსარებლის წიგნები და სხვა. „ჯუარშემოსილი“ მდიდარია წმიდა წერილის ციტატებით, ლიტურგიკული საკითხავებიდან ამონარიდებით და წმიდა მამათა ნააზრევით.

სასულიერო თხრობების კითხვისას იკვეთება წმიდა გაბრიელის მსოფლმხედველობა და განწყობილებები, ღვთის ურყევი სიყვარული, მოყვასისადმი სათუთი დამოკიდებულება, ადამიანთა ღვაწლის დაფასებისა და თანადგომის სურვილი. ის სიბრძნე და შთაგონების ძალა, რომლითაც გაჯერებულია გაბრიელ მცირის მიერ დაწერილი ტექსტები, არის ნაყოფი ხანგრძლივი განმარტოების, ლოცვის და წმიდა ცხოვრებისა. იგი სიღრმისეულად განჭვრეტს ადამიანთა შინაგან სამყაროს და წარმოაჩენს მათ ბრძოლებსა და გამარჯვებებს, რაც მკითხველს მაგალითად ეძლევა და მას ღვთისადმი თავგანწირვის, განწმედის, მოყვასის სიყვარულისა და წმიდა მამების მიმსგავსების სურვილს აღუძრავს.

„ჯუარშემოსილის“ და მასში შემავალი ტექსტების ავტოგრაფები და ასლები დაცულია როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. გთავაზობთ ნუსხათა ჩამონათვალს, რომლებიც სიძველეთსაცავებში ინახება. განსასხვაველად გაბრიელ მცირის ავტოგრაფებს კურსივით და მუქი შრიფტით გამოვყოფთ:

„ჯუარშემოსილი“ - ინგლისი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, ბოდლეს სახელობის ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი, *MS. Wardr. f 6*. ორიგინალის მიკროფილმი და მისი ფოტოფირი დაცულია მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკში - N B-3 და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში - Rt XVIII,2.

„ჯუარშემოსილში“ შემავალი ტექსტები:

„წინასიტყვა“ - საქართველოს ეროვნული არქივი, № 226.

„ღმრთივშვენიერებით მღუდელმთავრის ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი, ვითარმედ ყოველსა მღუდელ-შვენიერებით მოქმედებასა მისსა საიდუმლობითი ძალი უპყრიეს“: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: **A 228, 26.4.1795**; A 802, 12.7.1815; **A 884, 10.7.1792**; **A 1568, 15.7.1792**; H 423, 9.4. 1842; H 483, XIX ს.; H 1433, 29.12.1795; Q 330, 18. 9. 1861; Q 654, 1797 წ.; Q 718, XVIII ს., Q 828, 11.

---

<sup>7</sup> „Catalogue of the Wardrop collection and of other Georgian books and manuscripts in the Bodleian library“ Oxford 1973, p. 346.

2. 1837; Q 1061, 29.[..].1995; Q 1291, XIX ს.; Q 1617, XVIII ს.; S 2582, XIX ს.; S 2801, XIX ს.; S 2432, XIX ს.; S 5182, 5.5.1823; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი - K 309, XIX ს.; K 478XIX ს.

„ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ცქემოსან ონისიძორესი“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: A 1367, ჭვირნიშანი - 1788.

1802 წელს გარდაიცვალა ბერთუბანში მწირად მყოფი მესვეტე იოანიკე ჭოტორელი. ამის შესახებ პლატონ იოსელიანი წერს: „ბოდბელმა იოანემ, დროსა ამას ნათლისმცემლის მონასტერსა მყოფმან, დაასაფლავა მისსავე სასვეტოსა. გაბრიელ მონაზონმა ნათლისმცემლისა, აღმწერელმან „ჯვარ-შემოსილისა“, ცრემლით წართქვა ქებითი სიტყვა, რომელიცა მინახავს იოანე რუსთავისა არქიეპისკოპოსთან. ვისა აქვს იგი დღეს, არა უწყი“ (იოსელიანი, 1893: 54). სავარაუდოდ, პლატონ იოსელიანის მიერ ნახსენები „ქებითი სიტყვა“ გაბრიელ მცირის ბოლო ნაშრომი უნდა იყოს, რადგან 1802 წელს გარდაიცვალა ბერი იოანიკე, ხოლო 1802 წლის 11 მარტს გაბრიელ მცირე ლეკებმა მოკლეს. სამწუხაროდ, დღეს ეს ტექსტი დაკარგული ჩანს, რადგან სიძველეთსაცავებში არ იძებნება.

#### **§ 4. რედაქტორ-შემდგენლობითი მოღვაწეობა**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაბრიელ მცირის რედაქტორ-შემდგენლობით მოღვაწეობას შვიდი მნიშვნელოვანი კრებულის შედგენა უკავშირდება. ესენია: „სამოთხის ყუავილი“, „გვრგვნი“, „ოქროს წყარო“, „კლიტე“, „სუფევა“, „მანანა“ და „სამასელი“. ეს ხელნაწერი წიგნები კომპოზიციურად იმდენად მტკიცედ არის შეკრული, რომ რაიმეს დამატება ან გამოკლება დაარღვევდა მათ სტრუქტურულ მთლიანობას. წიგნებს ერთვის „ბეჭედი“, სადაც წმიდა გაბრიელი განმარტავს შედგენის პრინციპებს და ამ პრინციპების საღვთისმეტყველო სიმბოლურ არსს. კრებულები თემატურად და შინაარსობრივად იმგვარადაა აგებული, რომ დედააზრი კარგად აღწევს მკითხველის გულსა და გონებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასულიერო ლიტერატურისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ხელნაწერი სხვადასხვა მოვლენის გამო შესაძლოა მოხვდეს სხვა საცავში, ზოგჯერ სხვა ქვეყანაშიც კი, სასურველია ამა თუ იმ ეტაპზე მათი სრული ჩამონათვალის შექმნა-გადამოწმება. ხელნაწერთა ასეთი ჩამონათვალი ხელს უწყობს სასურველ თემატურ საკითხთა მეცნიერულ დამუშავებასაც. გაბრიელ მცირის მიერ შექმნილი ან გადაწერილი ნუსხების სრული ჩამონათვალი დღემდე არ არსებობდა, რისი გაკეთებაც საშურ საქმედ ჩავთვალეთ.

გთავაზობთ გაბრიელ მცირის მიერ შედგენილ კრებულთა ნუსხების ჩამონათვალს, რომლებიც სიძველეთსაცავებში ინახება. ავტოგრაფების სხვა ხელნაწერებიდან განსასხვავებლად მათ კურსივით და მუქი შრიფტით გამოვყოფთ:

„სამოთხის ყუავილი“ - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი - **A 244, 19.4.1797**; A 414, 1799; A 588, 9.9.1813; **A 852, 24.3.1797**; A 854, 20.6.1837; A 1693, 1801; H 892, 1862; H 1043, XVIII ს.; Q 46, 1842; Q 1547, XIX ს.; **S 128, 28.4.1796**; S 2529, XIX ს.; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი - K 190, 1800; K 328, XIX ს.; K 331, XIX ს.; K 446, 1.4.1858; K 674, XIX ს..

„ოქროს წყარო“ - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: A 1501, 1826 წ.; H 211, 13.5.1796; H 257, 1796; H 860, XIX ს.; H 1074, 1796; Q 330, 1861; Q 654 - XVIII ს.; Q 743 - XIX ს.; Q 864 - XIX ს.; **S 2436, 31.10.1794**; S 2600, 27.5.1795; **S 3650, 5.6.1795**. საქართველოს ეროვნული არქივი - N 314. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი - K 117, 1797; K 253, XIX ს.; K 309, 1861; **K 712, 1794**; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი (პეტერბურგი) - C 14 (C21; G156a). 1796.

„კლიტე“ - S 127, 1794, **A 227, 1799**; H 2113, 1810; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი (პეტერბურგი) - C13 (C17; G144), 1799.

„სუფევა“- A 22, XIX ს.; **A 232, 28.6.1799**; H **906, 31.10.1798**; S 54, XVIII ს.; S 120, XIX ს.; **S 4806, 13.5.1799**, საქართველოს ეროვნული არქივი N 370; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი (პეტერბურგი) - C2 (C9; G147), 1798.

„მანანა“ - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: A 403, 1801; A 522, 17.1.1845; A 1310, XVIII -XIX სს.; A 1441, XIX ს.; H 261, XVIII ს.; H 833, XVIII ს.; H 1247, XVIII ს.; H 1417,

XVIII ს.; *H 1748, XVIII ს.*; H 1764, XIX; H 3083, 1823; Q 269, 1800; Q 753, XIX ს.; Q 1625; S 2330, 1803; S 3643, XIX. საქართველოს ეროვნული არქივი - N 42; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი - K 190, 1800; K 411, 1858; K 584, 14.3.1798; K 585, XVIII ს.; K 680, 1845; დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, ზუგდიდი - ზსიემ/ზწ-9, 1860, N 16. ოქსფორდის უნივერსიტეტი, ბოდლეს სახელობის ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი, უორდროპის კოლექცია - MS wardr. e17, 1825; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი (პეტერბურგი) - E170 (E61), 1825.

„სამასეული“ - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: *A 224, 23.4. 1797*; H 211, 13.5.1796; H 1248, 1797; S 77, XIX ს.; S 127, 3.8.1794; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი - K 321, 1798; K 431 - „სულიერი სწავლანი“, 1789 წ.; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი (პეტერბურგი) - C18 (G29; G145), XVIII ს.

„გვრგვნის“ რედაქტორულ-შემდგენლობითი სტილის დადგენისთვის საჭიროდ ჩავთვალეთ ამ მხრივ გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი სხვა კრებულების შესწავლა, რაც ასევე სრულყოფილ შთბეჭდილებას გვიქმნის გაბრიელ მცირეზე, როგორც რედაქტორ-შემდგენელზე.

„სამოთხის ყუავილი“ - გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი კრებული. დაყოფილია ათ თავად. ყოველ მათგანს ერთი ზოგადი, გამამთლიანებელი სახელწოდება აქვს მისადაგებული: პირველია „სიმდაბლისათვის და სიმშვიდისათვის ქრისტეს მსგავსისა“; მეორე – „მორჩილებისათვის იესო ტკბილის უფლისა“; მესამე – „აღსარებისათვის და სინანულისა ანგელოსთა მხიარულ-მყოფელისა“; მეოთხე – „მოთმინებისათვის სულთა ჩუენთა მაცხოვრისა“ და ასე შემდეგ.

თითოეული თავი ათი სასულიერო თხრობისგან შედგება. ყოველი თხრობა შინაარსის მიხედვით არის დასათაურებული. წმიდა გაბრიელი განმარტავს, თუ რა მიზეზითაა წიგნი ამ პრინციპით, ასეთი წყობით შედგენილი: 10 თავი – ათი მცნება, 100 – თესლი კეთილის ასული ნაყოფი. დასაწყისიდან ტექსტის დასასრულამდე წმიდა გაბრიელი მკითხველს სთვაზობს ათ ძირითად თემას.

მათში წარმოდგენილია ათი ისეთი უმთავრესი საკითხი, რომელიც ქრისტიანის ცხოვრების ღმრთივსათნოდ წარმართვისთვისაა აუცილებელი: 1. სიმდაბლე და სიმშვიდე; 2. მორჩილება; 3. აღსარება და სინანული; 4. მოთმინება; 5. მარხვა და ლოცვა; 6. მოწყალება; 7. სიმართლე და ჭეშმარიტება; 8. სიწმიდე; 9. სარწმუნოება; 10. სიყვარული. ყოველი საკითხი ათი სხვადასხვა თხრობითაა დადასტურებული და განმტკიცებული. ასეთი შედგენილობა ნაშრომს კომპოზიციურ სიმტკიცეს ანიჭებს და დიდაქტიკურ შედეგს აძლიერებს. ამგვარად, მკითხველს საშუალება ეძლევა თითოეული საკითხი ათი სხვადასხვა სწავლებით და მაგალითით შეიმეცნოს.

მართალია, კრებულში წარმოდგენილი თხრობების ავტორი გაბრიელ მცირე არ არის, მაგრამ მას ყოველი თხრობა ორიგინალურად აქვს გადაწყვეტილი და ახლებურად გაფორმებული. თითოეული მოთხრობა რამდენიმე ნაწილს მოიცავს. პირველი – შესავლის მსგავსი ნაწილი, რომელიც აუცილებლად წმიდა წერილიდან მოტანილი ამბით და ციტატით არის გამყარებული. მთელ წიგნში სასულიერო ხასიათის ასი თხრობაა და ეს პრინციპი თითქმის ყველგანაა გატარებული. გამონაკლისი მხოლოდ თითო-ოროლაა. ამ წინასწარი განწყობის შექმნის შემდეგ მოთხრობილია თვით ამბავი – პატერიკი. ამის შემდეგ არის მონაკვეთი შეგონებისა და დალოცვისა, რომელიც იწყება მიმართვებით. მაგალითად: „ამისთვის გლოცავ და გევედრები“, „წე გევედრები“, „საყუარელნო ძმანო“ და ა. შ..

„სამოთხის ყუავილის“ ავტოგრაფთა მინაწერები, წიგნის შედგენის სტრუქტურა, ენობრივი ქსოვილი, თხზულებაზე დართული „ბეჭედი“ და სხვადასხვა დროს მოღვაწე მეცნიერთა კვლევები და დაკვირვებანი ამტკიცებს, რომ სწორედ წმიდა გაბრიელია „სამოთხის ყუავილის“ შემდგენელი.

„სამოთხის ყუავილის“ ბეჭედში გაბრიელ მცირე წერს: „ღმრთივსულიერსა ამას წერილსა ეწოდების „სამოთხის ყუავილი“ მით, რამეთუ წიგნისა მისგან მამათასა, რომელ არს „სამოთხე“, რჩევით აღმოწერილ არს და დატკობილ სამღთოთა სიტყვებითა და განათლებულ სარგებელად სულთა ღმრთისმოყუარეთა“. გაბრიელ მცირის ამ ცნობის მიხედვით თვალნათლივ



იკვეთება, რომ თხზულება „სამოთხის ყუავილი“ უკვე არსებული ლიტერატურული წყაროდან სახელწოდებით – „სამოთხე“ გამოკრებილი თხრობებითაა შედგენილი, „რჩევით აღმოწერილ არს“.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ „სამოთხის ყუავილში“ შემავალ თხრობათა სიუჟეტების უმეტესობა შინაარსობრივი თვალსაზრისით ყველაზე მეტ თანხვედრას თეოფილე ხუცესმონაზონის ხელნაწერთან ამჟღავნებს (ხეც A 1105, 93 თხრობა თანხვედრაშია მასთან). თეოფილე ხუცესმონაზონის ხელნაწერს დასაწყისი აკლია, მაგრამ მისი მინაწერებიდან ირკვევა, რომ წიგნს „სამოთხე“ ჰქონდა სათურად. „სამოთხის ყუავილი“ გარკვეულ თანხვედრაშია „ანბანურ პატერიკთან“; ასევე მცირე შინაარსობრივი მსგავსება აქვს იოანე მოსხის „სამოთხესთან“.

ტექსტებში მკაფიოდაა გამოკვეთილი, რომ კრებულ „სამოთხიდან“ გამოკრებილი სიუჟეტები „სამოთხის ყუავილში“ გადამუშავებული სახითაა შეტანილი. ამას ტექსტთა შედარებითი ანალიზი ადასტურებს. წმიდა გაბრიელ მცირემ ისარგებლა არსებული სასულიერო ქადაგებებითა და თხრობებით და მათ ახლებური სახე მისცა. ძველი დიდაქტიკურ-ზნეობრივი შრომები იმ კუთხით შეარჩია, რომ იმდროინდელი მკითხველისთვის ადვილად შესაცნობი, გასაგები და აღსაქმელი ყოფილიყო.

ამ ნაშრომის დანიშნულების შესახებ წმიდა გაბრიელი თავად აღნიშნავს. „სამოთხის ყუავილის“ სარჩევში იგი მიუთითებს, თუ როდის არის მიზანშეწონილი და განსაკუთრებით სასარგებლო რომელიმე თხრობის წაკითხვა: „უკეთუ ვისმე ენებოს მდაბალთა ერთა მითხრობად, ესეგვართა სარჩევითა კეთილ არს და შუენიერ!“

„სამოთხის ყუავილში“ შემავალ თხრობებს ჰომილეტიკური დანიშნულებაც ჰქონდა. ამას ცხადყოფს სარჩევის შემდგომი მინაწერი: „და უკეთუ კულადცა ჰსუროდეს ვისმე მაღლისა შეძინება, რომელნიცა ამათგანი სულიერნი თხრობანი დაშთენ, წმიდათა დიდთა მარხვათა თვითოეულსა დღესა წარუკითხვიდეს ერსა...“. სავარაუდოდ, თხრობებს მთელი წლის განმავლობაში კვირა დღისით და, სურვილის შემთხვევაში, სხვა დღეებშიც კითხულობდნენ. ამ აზრს ამყარებს ამონარიდი „სამოთხის ყუავილის“ 81-ე თხობიდან: „ამისთვის გლოცავ და

გევედრები, ქრისტეს მიერ საყუარელნო, პატიოსანნო მსმენელნო“. „მსმენელნო“ ამ შემთხვევაში მრევლზე მიანიშნებს.

„ოქროს წყაროდ“ - გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი კრებული. წარმოადგენს იოანე ოქროპირის სწავლათაგან შედგენილ წიგნს. წმიდა გაბრიელი ამ შრომის ბოლოს დართულ „ბეჭედში“ გვამცნობს: „ღმრთივსულიერსა ამას წერილსა ეწოდების „ოქროს წყაროდ“, მით: რამეთუ ოქროს პირისაგან ოქროს წყაროდსა ჯერ არს წამონაკადულებად“. წიგნის სტრუქტურის შესახებაც „ბეჭედიდან“ ვგებულობთ: „ჰქონან თვის შორის თავნი ოცდაათსამეტნი, მსგავსად იესო ღმერთ-მამაკაცისა ჰასაკ სრულისა ოცდაათსამეტ წლისა. ხოლო თვითეულსა თავსა შინა სამი სწავლაჲ, ვითარმედ ორისა და სამის მოწამისათა დაემტკიცების ყოველი სიტყვა. და სწავლისა ასეული რიცხვი, იგავისამებრ, რომელსა ედგა ასი ცხოვარი და აღმასრულებელთა ნაყოფი გამოიღიან ოცდაათეული, სამოცეული და ასეული. სადიდებელად ძისა ღმრთისა ცხოველისა. ამინ“

თუ „ოქროს წყაროდს“ თავისებურებებს დაუპყვირდებით მისი შედგენის თვალსაზრისით, ნათლად დავინახავთ მის მსგავსებას გაბრიელ მცირის მიერ შედგენილ სხვა ნაშრომებთან. ნიშანდობლივია თხრობათა რაოდენობის გააზრება, რაოდენობისათვის სიმბოლური მნიშვნელობის მინიჭება, რაც, როგორც წესი, ტექსტის ბოლოს დართულ „ბეჭედშია“ წარმოჩენილი.

„ოქროს წყაროდს“ ადრეული ოთხი ხელნაწერიდან სამი წმიდა გაბრიელ მცირის ავტოგრაფია, ხოლო ერთი მისი თაოსნობითაა გადაწერილი. კორნელი კეკელიძეც აღნიშნავს: „ის [ოქროს წყაროდ] რომ გაბრიელ მცირეს ეკუთვნის, ეს, სხვათა შორის, ჩანს შემდეგი ანდერძისაგან: „ყოვლადის სურვილით ტკბილსიტყვაობისათვის ოქროპირისა მწერალი ამისი გევედრები ყოველთა, ლოცვასა მომიხსენეთ ყოვლად უღირსი იერომონახი გაბრიელ, მრავალმთის უდაბნოს გარესჯისასა, მონასტერსა ნათლისმცემელისასა“ (კეკელიძე, 1951: 375; ხეც S 2436, გვ 374; ქიემ K 712, გვ. 360).

საყურადღებო ცნობაა დაცული იოანე ოქროპირის სწავლათა კრებულ „კლიტეს“ ბოლოს, თანდართულ „ბეჭედზე“, რომელიც გაბრიელ მცირეს ეკუთვნის. მასში ჩამოთვლილია წმიდა იოანე ოქროპირის ადრეული კრებულები: „ხოლო უწინარეს ამისა სხუასაცა ვისმე ბრძენსა კეთილგონიერებით შემოუკრებიეს

ოქროპირისა თქმულთაგან და „მარგარიტი“ უწოდებიეს, ვითარცა ზღვისაგან ვრცელისა გამოღებული მარგარიტი კეთილ-შეწიერი. კვალად სხუასა სხუათა სულიერთა თხრობათა მიერ შემოუკრებია და სიტკბოებისათვის „ჭუტკარი“ უწოდებია, ვითარმცა მრავალთაგან კეთილსუნნელ ყვავილთა ერთი გოლეული თაფლი ჰქმნეს. და კვალად სხუასა მრავალთაგან თხრობათა და სწავლათა მიერ შემოკრებული, რომელსაცა „სასურველ“ ეწოდების“. ამ ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული „ოქროს წყაროდ“, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ნაშრომს წმიდა გაბრიელი ადრე შექმნილ კრებულად არ განიხილავს. საპირისპირო შემთხვევაში, წმიდა გაბრიელი მასაც მოიხსენიებდა.

„ოქროს წყაროდში“ შემავალ თხრობათა წარმომავლობის დასადგენად აუცილებელი გახდა ამ ტექსტის შედარება ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ ნათარგმნ მათეს და იოანეს სახარების განმარტებებზე დართულ „სწავლანთან“. კვლევამ ცხადყო, რომ გაბრიელ მცირის შედგენილი „ოქროს წყაროდს“ ოთხმოცდასამი სწავლა მომდინარეობს ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი ტექსტებიდან. ასი თხრობიდან ოთხმოცდასამ თხრობას მოეძებნა პირველწყარო.

კრებულ „ოქროს წყაროდში“ წიგნის ბოლოს, ანდერძის შემდეგ (196 r) დაწერილია: **31211131**. ეს მინაწერი შემდეგნაირად უნდა წავიკითხოთ: 3=გ; 1=ა; 2=ბ; 1 ორი წერტილით (წერტილი ნიშნავს 0), ანუ 100=რ; 1 ერთი წერტილით (წერტილი ნიშნავს 0), ანუ 10=ი; მეორედება იგივე, 10=ი; 3 ერთი წერტილით, ანუ 30=ლ. წაკითხვა ამ მიწერილი შიფრისა არის გაბრიელი.

გაბრიელ მცირის ხელნაწერებში ეს ერთადერთი შემთხვევაა, რომელიც მას ხელრთვის მაგივრად აქვს გამოყენებული.

„კლიტე“ - გაბრიელ მცირის მიერ იოანე ოქროპირის სწავლათაგან შედგენილი კრებულია. გაბრიელ მცირე ტექსტზე დართულ „ბეჭედში“ წიგნის შედგენილობის თავისებურებებს განმარტავს: „რომელსაცა ჰქონან თვის შორის სწავლანი, რიცხვით სამათნი, რამეთუ სამათთა შინა დღეთა მთოვარე მოქცევით განახლდების და სამათისა წლისამან ჯორციელთა ჰასაკითა იესო ნათელს იღო და მიერთგან კაცთა ბუნება განათლდების და სამათისა აღფერხებითა კიბე სათნოებათა ცადმდე ამალდების. იგი – კიბე მონაზონთა და ესე – კლიტე მორწმუნეთა, ხოლო მას ზედა

აღმავალი და ამის მიერ განმლებელი სასუფეველსა დაემკვიდრების სადიდებელად სამწმიდაარსობით საგალობელისა სამგუამოვნისა, ერთარსისა ღმრთისა, რომელი არს კურთხეულ ყოვლადვე უკუნისამდე. ამინ“.

წმიდა გაბრიელი ხსენებული წიგნის სახელწოდებასთან დაკავშირებით იქვე აღნიშნავს: „ღმრთისულიერსა ამას წერილსა ეწოდების კლიტე. რაჟსა? სასუფეველისა. ვითარ? მით, რამეთუ რომელმან ადასრულნეს ტკბილნი ესე ღმრთივშვენიერნი სწავლანი, ნამდვილვე განეხმიან მას კარნი წყალობისანი და შევალს უოხჭნოსა დიდებასა, ვითარცა ბრძანებს უფალი: „კეთილ მონაო, სახიერო და სარწმუნოო, შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა და მიიღე სიმართლისა იგი გვირგვინი“.

„კლიტეს“ თავისებურებანი შედგენის მხრივ და ასევე დართული „ბეჭედი“ ნათლად წარმოაჩენს გაბრიელ მცირის ლიტერატურულ სტილს და მის, როგორც შემდგენლის მიდგომებს. ამ მხრივ წმიდა გაბრიელისთვის ნიშანდობლივი თავისებურებები და საკუთარი შემოქმედებითი მიდგომები მის სხვა კრებულებსაც გასდევს. ეს დამაჯერებელს ხდის, რომ კრებულ „კლიტეს“ შემდგენელი გაბრიელ მცირეა. ამასვე ამყარებს ფაქტი, რომ კრებულ „კლიტეს“ ავტოგრაფს (ხეც A 227) გადაწერის თარიღის შემდეგ დართული აქვს წმიდა გაბრიელის ხელრთვა (ავტოგრაფი), რომელსაც იგი მის მიერ გადაწერილ თუ შექმნილ თითქმის ყველა ნუსხაში იყენებს.

როგორც აღვნიშნეთ, „კლიტეს“ ტექსტს მოსდევს „ბეჭედი“. მასში ჩამოთვლილია სხვადასხვა დროს იოანე ოქროპირის ტექსტებიდან გამორჩევით შემდგენილი კრებულები. მათ შექმნაზე გაბრიელ მცირე წარსულ დროში საუბრობს, ხოლო კრებულ „კლიტეზე“ ბრძანებს: „ეგრეთვე ესე ყოველივე ოქროპირისა თქმულთაგან შემოკრებული სულთა ღმრთისმოყვარეთათვის სარგებელად, რათა სიდიდისათვის არავინ უნაყოფო დაშთეს სიტკბოებისაგან მრავალთა და ვრცელთა ოქროპირისა თქმულთა მიერ და „კლიტე სასუფეველისა“ ეწოდა, რათა განრჩეულ იყოს სხუათაგან“. ეს ამონარიდიც ამყარებს მართებულობას იმისა, რომ წიგნის შემდგენელი სწორედ გაბრიელ მცირეა.

„კლიტეში“ შემავალ თხრობათა წარმომავლობის დასადგენად აუცილებელი გახდა ამ ტექსტის შედარება ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ ნათარგმნ მათეს სახარების განმარტებებთან. კვლევამ ცხადყო, რომ გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი „კლიტის“ ტექსტი მომდინარეობს სწავლათგან, რომელიც დართული აქვს ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილ წიგნს „თარგმანებად მათეს სახარებისად“. ამ მხრივ „კლიტის“ მხოლოდ ერთი თხრობაა გამონაკლისი, რომელიც მომდინარეობს „თარგმანებად მათეს სახარებისადს“ განამარტებებიდან და არა მასზე დართულ სწავლათგან. კრებულ „კლიტეში“ შემავალი ოცდაათი თხრობიდან ყველას მოეძებნა პირველწყარო.

„სუფევა“ - გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი კრებულია. მასში შემავალი ტექსტები ბასილი დიდის სწავლათგან არის გამოკრებილი. წიგნის სახელწოდების მნიშვნელობას გაბრიელ მცირე ნაშრომის ბოლოს დართულ „ბეჭედში“ განმარტავს: „და ეწოდების ამას „სუფევა“, მით, რამეთუ ვინათგან წიგნსა მას საგალობელსა ჭსალმუნსა ეწოდების მთქმელისა მის სახელი დავითი და სამღთოსა დიონვისიოსის წიგნსა – დიონვისიოს და გრიგორი ღმრთისმეტყველის წიგნსა – ღმრთისმეტყველი და სხუათა მრავალთა ესრეთვე, ვითარ იგი ეჭრემი და დამასკელი. ამისთვის ამასცა ღირსად და სამართლად, შვენიერად ეწოდა „სუფევა“, რამეთუ ვასილი სუფევად გამოითარგმანების“.

„სუფევა“ შედგება თორმეტი სწავლისაგან. მათი სათაურებია: 1) სარწმუნოებისათვის წმიდისა სამებისა, 2) სიყვარულისათვის ღმრთისა, 3) სურვილისათვის ღმრთისა, 4) სიმდაბლისათვის, 5) სამარადისოსა ლოცვისათვის და მადლობისათვის ღმრთისა, 6) მოწყალებისათვის გლახაკთასა, 7) ანგაჰართა მიმართ, 8) მოვახშეთა მიმართ, 9) მრისხანეთათვის, 10) მოშურნეთა მიმართ, 11) სინანულისათვის, 12) ღმობიერებისათვის.

სწავლათა რაოდენობის, ანუ რიცხვ თორმეტთან მიმართებით გაბრიელ მცირეს პარალელები მოჰყავს: „მსგავსად იესო ტკბილისა მოძღვრებისა, რაჟამს იყო რა იგი ათორმეტის წლისა ტაძარსა შინა მჯდომარე, სიტყვას უგებდა და განაკვირვებდა ყოველთა. და შემდგომად გამოირჩივნა ათორმეტნი მოციქულნი და წარავლინნა ქადაგებად და სწავლად. და ესეცა ამცნო ღმრთივშვენიერად მეტყველმან: „არა

ათორმეტნი ჟამნი არიანაა დღისანი? რომელი ვიდოდეს ამათ რიცხვთა სწავლათა შინა არა წარსცეს ფერკი საბრხითა ეშმაკისათა, რამეთუ ნათელსა ამის სოფლისასა ჰხედავს, რომელ არს მეტყველი: „მე ვარ ნათელი სოფლისა“ და მერმესა მას შვებასა „დასხდეთ თქვენცა ათორმეტთა საყდართა, დასჯად ათორმეტთა ტომთა ისრაილისათა“. ეს, რა თქმა უნდა, მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ გაბრიელ მცირეს სწავლათა რაოდენობაც გამიზნულად აქვს შერჩეული.

„სუფევაში“ შემავალ თორმეტ სწავლას მოსდევს: „ეპისტოლე წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩვენისა დიდისა ვასილისა, ღმრთისმეტყველისა გრიგორის მიმართ“ და „გრიგორის მიერ ღმრთისმეტყველისა დიდისა ვასილის საფლავსა ზედა წარწერილნი სიტყვანი, რომელსა ეწოდების ეპიტაფია“.

წიგნში შემავალი სწავლანი ნათარგმნია ეფთვიმე ათონელის მიერ. სწავლათა უმრავლესობა მომდინარეობს X-XI საუკუნის „ითიკის“ ტექსტებიდან. წიგნის ბოლოს დართულ - „გრიგორის მიერ ღმრთისმეტყველისა დიდისა ვასილის საფლავსა ზედა წარწერილნი სიტყვანი, რომელსა ეწოდების „ეპიტაფია“, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გამოკვლეული, ეფრემ მცირისეულ თარგმანს წარმოადგენს.

„მანანა“ - წმიდა გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი კრებულია. მის ბოლოს დართულ „ბეჭედში“ განმარტებულია მისი სათურისა და შედგენილობის სიმბოლური დატვირთვა და მნიშვნელობა: „ღმრთივსულიერსა წიგნსა ამას ეწოდების „მანანა“ ტკბილსიტყვაობისათვის და ღმრთისმშობლის სიყვარულისა, რამეთუ ღმრთისმშობელისა მიერ მოვიღეთ ნამდვილ ჭეშმარიტი ყოვლადტკბილი იესო, პური ცხოვრებისა და უკუდავებისა, რომელი გარდამოხდა ზეცით და მოგვანიჭა ცხოვრება საუკუნო, და რომელი ჰსჭამდეს ამას სულიერსა საზრდელსა, სცხონდეს უკუნისამდე, რომლისათვის ბრძანებს თვით პური ზეცისა ტკბილი უფალი: „არა პურითა ხოლო სცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა სამღთოდთა, ესევეთართა სიტკბობითა და საწადელითა“.

შედგენილობასთან დაკავშირებით წმიდა გაბრიელი განმარტავს: „ხოლო ჰქონან ამას წერილსა თვის შორის შესხმანი ორმოცნი, ძველთა და ახალთაგან პატივცემული რიცხვითა“. გაბრიელ მცირე შემდგომ პარალელებს ავლებს ორმოცი დღის მნიშვნელობასთან დაკავშირებით: 40 დღის შემდგომ გამოვიდა ნოე

კიდობნით წარღვნისაგან, მოსე 40 დღე იმარხულა და გაბრწყინდა ღმრთის ხილვით და მიიღო საღმრთო სჯული, ილია 40 დღის მარხვის შემდეგ „იხილა ღმერთი ნიაგ-წვლილითა და ამაღლდა ცეცხლისა ეტლითა“. ორმოცი დღის უფალმა იესო ქრისტემ „განსწმიდნა მკლავნი მართლისა სვიმეონისნი“ და 40 დღის მარხულობის შემდეგ ეშმაკი განდევნა და მეორმოცე დღეს ამაღლებულმა ანგელოზნი გაამხიარულა. „ხოლო ორმოცი რა შეიკეცოს ოთხ ათეულად იხილვების მსგავსად ოთხთა მახარებელთაგან, ოთხთა კიდეთა სოფელისათა, განათლებისა ღმრთივშვენიერთა სიტკბოებითა სამღთოსა სახარებისათა“.

„მანანაზე“ თავდართული „ბეჭედიდან“ ასევე ვიგებთ ამ წიგნში შემავალ თხრობათა შედგენილობას. ყოველი მათგანი შედგება ოთხი ნაწილისგან: I შესხმა წმიდათა, II თხრობა სულიერი, III სწავლება და IV ლოცვა. ყოველი თხრობა არის „ადვილ-სასმენელ, ტკბილ-სათნო და მარტივ-მოკლე“. თხრობების შედგენილობა, მათი ფორმისა და შინაარსის ამგვარი გააზრება ქართულ სასულიერო ლიტერატურაში ამ დროისთვის არ იძებნება. მცდელობების მიუხედავად, ანალოგიური შედგენის პრინციპის პოვნა ამ ეტაპზე უცხოურ წყაროებშიც ვერ ხერხდება. ამიტომ ეს თხრობები თავისი აგებულებით ჩვენთვის სიახლეს წარმოადგენს.

„მანანა“ შედგება ორმოცი შესხმისგან. პირველი თორმეტი შესხმა ღმრთისმშობელისადმი მიძღვნილი. XIII, XIV, XV - იესო ქრისტესადმი. XVI, XVII - ცხოველსმყოფელი ჯვარისადმი. XVIII, XIX - ანგელოზებისადმი. XX, XXI, XXII - იოანე ნათლისმცემლისადმი. XXIII, XXIV, XXV - მოციქულთადმი. XVI, XVII, XVIII - მოწამეთადმი. XIX, XXX, XXXI, XXXII - მღვდელმთავართადმი, XXXIII, XXXIV, XXXV, XXXVI - ღირსთა მამათადმი, XXXVII - ილიასადმი, XXXVIII - წმიდა მეფეთა, XXXIX - მართალთადმი, XXXX - ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისადმი. დასასრულს ერთვის ლოცვა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისადმი და „ბეჭედი“.

ტესტში არის თხრობები, რომლებიც საქართველოს ეხება და მათი პირველწყაროები ქართულ ენაზეა შექმნილი. მათ შორის: წმიდა ნინოს ცხოვრება, გაბრიელ ქართველის მიერ ყოვლად წმიდა მთაზე წმიდა ღმრთისმშობლის ხატის

ზღვიდან გამობრძანების თხრობა და სხვა. ეს ფაქტი მკაფიოდ მიანიშნებს წიგნის ქართულ წარმომავლობაზე.

სარჩევის ბოლოს გაბრიელ მცირე დასძენს: „ესრეთ არცა ერთი დაშთეს უხმრად, არამედ ყოველივე სადიდებელად ღმრთისა, რომელი არს კურთხეულ უკუნისამდე. ამინ“. წიგნის სარჩევიდან ცხადი ხდება, რომ მასში შემავალი ყველა თხრობა შესატყვისი დღესასწაულების დროს იკითხებოდა.

„სამასეული“ - გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი კრებულია. ის მოიცავს სამი წმიდა მამის: გრიგოლ ღმრთისმეტყველის (IV ს.), ბასილი დიდისა (IV ს.) და მაქსიმე აღმსარებლის (VI-VII ს.) ას-ას სულიერ სწავლას. XI საუკუნეში მათი თხზულებები ქართულ ენაზე წმიდა ეფთვიმე მთაწმინდელმა თარგმნა. შემდეგ ისინი ერთ წიგნად გააერთიანა წმიდა გაბრიელ მცირემ.

„სამასეულის“ შედგენასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებია გაბრიელ მცირის სულიერი შვილის, პორფირის, ხელნაწერში (ხეც H 211). ის ტექსტის, „ეპისტოლე მშობელთა მიმართ“. ბოლოს წერს: „სხუანიცა იგი სწავლანი დიდებულისა ღმრთის-მეტყუზლისა გრიგორისნი და დიდისა ვასილისნი და წმიდისა მაქსიმესნი, რომელნი ფრიადითა შრომითა პოვნელ არიან და ფრიადითა გულს-მოდგინებითა წმიდათა შინა წერილთა მამისა ამის ჩემისა მიერ სულიერისა“ (იგულისხმება გაბრიელ მცირე, რადგან სწორედ ის იყო პორფირის მოძღვარი). ეს ტექსტი ადასტურებს, რომ „სამასეული“ სწორედ გაბრიელ მცირემ შეადგინა.

„სამასეულის“ პირველ განყოფილებაში შესულია: „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩვენისა გრიგორი ღმრთისმეტყველისანი“. ამ ნაშრომის პირველწყაროს წარმოადგენს წმიდა ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი თხზულება: „სწავლანი სულიერნი წმიდისა გრიგოლ ღმრთისმეტყველისანი“. იგი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემდეგი ნომრებით დაცულ ხელნაწერებშია: A 1, გვ. 879-910, XI საუკუნე; A 16, 1739 წ. A 80, XII-XIII საუკუნე, 271v-290r; A 87, 265v-278v, XI საუკუნე, 518, 1708 წელი, 230v-244r; Q 1467, XIX საუკუნე, 38r-47v; S 383, 309v-322v, XI საუკუნე. S 4616, 36r-45r, XVIII-XIX საუკუნე.



„სამასეულის“ მეორე განყოფილებაში შესულია: „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩვენისა დიდისა ვასილისნი“. ამ ნაშრომის პირველწყაროს წარმოადგენს წმიდა ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი თხზულება: „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისანი სწავლანი ლოცვისათჳს და სხუათა თითოსახეთა სათნოებათათჳს საცხოვრებელად სულისა“. იგი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემდეგი ნომრებით დაცულ ხელნაწერებში გვხვდება: A 81, 2r-30r (XVIII); A 100, 44v-57v (1713); A 181, 1816 წელი, 36v-47v; A 394, 185v-199r, XVIII საუკუნე; A 1512, 52r-72v, 1822 წელი; H 2350, XVIII საუკუნე, 144r-154v; Q1381, 69r-75v, XVIII საუკუნე; Q 1467, XIX საუკუნე, 48r-66r; S 1595, გვ. 293-336, XI საუკუნე, ერთრეტი, არ მიჰყვება სიტყვასიტყვით, საკამაოდ სხვაობს), S 376, 1798 წელი, 85-111 გვ.; S 3661, 134r-144r, XVIII-XIX საუკუნე, S 4616, 45r-62r, XVIII-XIX საუკუნე. გამოცემულია „გრაგნილში“ III, 2015 წ., გვ. 22-54.

„სამასეულის“ მესამე განყოფილებაში შედის: „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩვენისა მაქსიმე აღმსარებლისანი“. ამ ნაშრომის პირველწყაროს წარმოადგენს წმიდა ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი თხზულება: „სწავლანი სულიერნი წმიდისა მაქსიმე აღმსარებლისანი“. იგი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემდეგი ნომრებით დაცულ ხელნაწერებში გვხვდება: A 126, 282r-302v, XVIII საუკუნის დასაწყისი; A 146, 65r-90r, XIV საუკუნე; A 337, 1r-31r, XVIII საუკუნე; Q1381, 69r-75v, XVIII საუკუნე.

გრიგოლ ღმრთისმეტყველი, ბასილი დიდი და მაქსიმე აღმსარებელი ზოგადად თავიანთი სწავლებითა და კონკრეტულად ამ ტექსტებითაც შეაგონებენ მკითხველს საკუთრი თავის წმიდად დაცვის აუცილებლობას; აჩვენებენ გზას, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი ღმრთივსათნოდ. მათი სწავლანი დაფუძნებულია წმიდა წერილზე, წმიდა გადმოცემაზე და სხვა საღმრთო სწავლათა სიღრმისეულ ცოდნაზე; განდეგილად ცხოვრების, ლოცვის, მარხვის და უკეთურთან ბრძოლის მრავალწლიან გამოცდილებაზე. ყოველი თხრობა გამსჭვალულია მოყვასის სიყვარულით, ადამიანზე ზრუნვით და მისი გადარჩენის სურვილით.

ამ სამი წმიდა მამის თხზულებები საუკეთესოდ აქვს ნათარგმნი X-XI საუკუნის ქართველ მოღვაწეს, ღმრთივგანბრძნობილ წმიდა მამას, ეფთვიმე მთაწმინდელს; ისე,

რომ ეს თარგმანები ქართველებისთვის არა მარტო ნათელი და გასაგები, არამედ სისხლხორცეულია. ეგრემ მცირე წმიდა ეფთვიმეზე წერდა: „კელეწიფებოდა შემატება და დაკლება სულისა მიერ წმიდისა“. წმიდა ეფთვიმე ათონელი რიგ შემთხვევებში თავისუფალი სტილით თარგმნიდა და ითვალისწინებდა ერის ფსიქოლოგიასა და ქართული ენის სიტყვის მიღმიერ შინაარსს.

წმიდა გაბრიელმა კი ეს, მართლაც, ღმრთივსულიერი სწავლანი გაამთლიანა, ერთ წიგნად შეკრა და მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადა.

## **§ 5. გაბრიელ მცირის ორიგინალური თხზულებებისა და მის მიერ შედგენილი კრებულების ბეჭდური გამოცემები**

გაბრიელ მცირის კრებულების პირველი გამოცემები ეპისკოპოს სტეფანე კარბელაშვილს ეკუთვნის, რომელიც წმიდანადაა შერაცხული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. XIX საუკუნის მიწურულს მან დააფუძნა წიგნების სერია „ქართული ძუელი სასულიერო მწერლობა“. ამ სერიის ფარგლებში გამოსცა გაბრიელ მცირის სამი კრებული: „გვრგვნი“ – 1892-1894 წლებში, „სამოთხის ყვავილი“ - 1895 წელს და „ოქროს წყარო“ - 1905 წელს.

სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილი აღნიშნული წიგნების წინასიტყვაობებში გულისტკივილით აღნიშნავდა საქართველოს იმდროინდელ დაქვეითებას და სირთულეებს. მას გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა ქართული სასულიერო ლიტერატურის დასტამბვა-გავრცელება და ამ გზით ქართველთა განსწავლა-განათლება. იგი ამაყობდა ჩვენი ძვირფასი კულტურით, მხნე და წმიდა წინაპრებით, მათი დანატოვარი საუნჯით. წმიდა სტეფანე წერდა: „ქართველობას წინაშე კაცობრიობისა დიდი ღვაწლი მიუძღვის ქრისტეანობის გულისათვის. სხუა საკელმწიფონი თუ მილლიონებს ჰხარჯავდნენ იმის გულისათვის, ქართველები თავისის სისხლით ინახავდნენ და ჰმოწამებდნენ კიდეც“.

წმიდა სტეფანემ იმ დროს არსებული ტექნიკური საშუალებების გათვალისწინებით, მაღალკვალიფიციურად გამოსცა კრებულები. მის მიერ გამოცემულ წიგნებს თან ახლავს სხვადასხვა სახის განმარტებები. იგი ბრძანებს:

„ჩუჭნი დიდბუნებოვანი სიტყვიერება დაეცა და დაცემული კვალად ეცემა ჩუჭნისავე დაუდევრობისა და ზარმაცობის მეოხებით: ლექსთა უმნიშვნელ-შეუფერებითა ხმარებისა გამო უადგილო ადგილას, საკუთარის ვნებისა გამო, რომ ახალი რამ მეც შევიტანო სიტყვიერებაში. ჭეშმარიტების აღსადგენად განვიზრახეთ თვითეულის უმართებულოდ ნახმარს ლექსს მიუწეროთ ხოლმე მთელი შენიშვნა“. სტეფანე კარბელაშვილს თავის გამოცემებში განმარტებული აქვს სიტყვები, რომლებიც დამახინჯებული მნიშვნელობით გამოიყენებოდა, ან მივიწყებული იყო. მაგალითად: კლიტე, გალობა, შვენიერი, ემღერის, გეჰენია, საჭურისი და სხვა.

გაბრიელ მცირის წიგნების გამოსაცემად მომზადებისას წმიდა სტეფანე სხვადასხვა ნუსხას იყენებდა. მაგალითად „გვრგვნის“ ტექსტის მომზადებისას მას გამოუყენებია ხელნაწერები, რომლებიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში A 723, A 537, A 427 ნომრითაა დაცული. ამას ხელნაწერებში წმიდა სტეფანეს მიერ შესრულებული მინაწერები მოწმობს.

„გვრგვნის“ A 723 ნომრით დაცული ხელნაწერის ტექსტში, 1r-ს მარჯვენა არშიაზე არის წმიდა სტეფანე კარბელაშვილის მინაწერი: „მაისის ორში მივეცი 1893 წ. ამხან. სტამბაში და დამიბრუნეს იანვრის 11, 1894 წ. ნათხოვნი“. იქვე, ტექსტში 80v-88r გვერდებზე ასევე წმიდა სტეფანეს მიერ სინგურით შესრულებული შენიშვნები, ხაზგასმები, კიდებზე სიტყვათა განმარტებები და ციტატების წყაროებია წარმოდგენილი.

„გვრგვნის“ A 537 ნომრით დაცულ ხელნაწერში, 1v, 52v, 81r, 88v, 89rv, 121v გვერდებზე მრავლად არის წმიდა სტეფანეს მინაწერები. ხელნაწერის 88v-89rv გვერდებზე არის სტეფანე კარბელაშვილის ტექსტი, რომელიც 1892 წლის გამოცემაში წინასიტყვაობადაა წარმოდგენილი.

„გვრგვნის“ A 427 ნომრით დაცულ ხელნაწერში, 933v, 34r, 36r-37r, 38r, 40rv, 43r, 45,v, 50rv და სხვა გვერდებზე, ფურცლის კიდებზე და თვით ტექსტში, წითელი და შავი მელნით, იშვიათად ფანქრით, უხვად არის რედაქტორული და პუნქტუაციური ჩასწორებები. ეს ხელნაწერი ასევე სტეფანე კარბელაშვილის სამუშაო ცალი იყო. მასში არის სასტამბო პროცედურებთან დაკავშირებული მინაწერებიც: „აქედან ამოაწყე“ (71r), „ეს გვერდი არ არის ამოწყობილი ბოლომდის“ (107r), აქნობამდისინ

არის აწყობილი მე-3 ფორმა 5.6.1894“ (120r). თვალსაჩინოა, რომ ბეჭდვის დროს ამ ხელნაწერსაც იყენებდნენ.

წმიდა სტეფანეს მიერ გამოცემულ ტექსტში სიტყვების თუ ფრაზების ვარიანტები არ არის წარმოჩენილი. როგორც ჩანს, იგი ხელნაწერებს მხოლოდ ძირითადი ტექსტის დადგენისთვის იყენებდა და მიზნად ხელნაწერთა შორის განსხვავებების წარმოჩენა არ ჰქონდა დასახული.

წმიდა სტეფანე მის მიერ გამოცემული წიგნების: „გზრგზნის“, „სამოთხის ყუავილის“ და „ოქროს წყაროს“ შემდგენლად გაბრიელ მცირეს არ მიიჩნევს. „გზრგზნი“, მისი აზრით, 1240 წელზე ადრეა შედგენილი პეტრეს მიერ, რომელიც დასაფლავებულია გელათის მონასტერში და რომ წიგნს ერქვა „გვირგვნი მოწამეობისა“. სტეფანე კარბელაშვილის ეს ვარაუდი არ დასტურდება.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა „სამოთხის ყუავილთან“ დაკავშირებით. წმიდა სტეფანე წერდა: „სამოთხის ყუავილი“ ეკუთვნის ერთ იმ წიგნთაგანს, რომლითაც იმოდღვრებოდა ერი ქართველთა უხსოვართა დროდთგან ქრისტეანობის შემოსვლის უმაღვე“ („სამოთხის ყუავილი“, 1895: V).

წიგნის „ოქროს წყაროს“ შესახებ სტეფანე კარბელაშვილი წერს: „ეს შრომაც ეკუთვნის იმ მწერლობასა და არის ნათარგმნი დაახლოვებით 1052 წელში გიორგი ოლთისელისგან, რომელიც გარდაიცვალა 1072 წელს. სრული სათაური ამ წიგნისა უნდა იყოს „იოანე ოქროპირის წყარო-სწავლა“ („ოქროს წყარო“, 1905: I).

გიორგი ოლთისარი 1065-1077 წლებში ივირონის წინამძღვარი იყო. მისი თაოსნობით გიორგი მთაწმინდელის წმიდა ნაწილები გადაუსვენებიათ ივერთა მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში და გიორგი მაშენებელის გვერდით დაუკრძალავთ. გიორგი ოლთისარი ზრუნავდა სასულიერო ლიტერატურის შექმნა-განვითარებისთვის. ამას არაერთი ხელნაწერის მინაწერ-ანდერძი მოწმობს. იგი ასევე იღვწოდა ივერთა მონასტრის ქონებრივი კეთილდღეობისთვის. მისი მცდელობით 1071 წელს მელოციანში მონასტერმა მიწები დაიბრუნა.

კორნელი კეკელიძე „ოქროს წყაროს“ შესახებ წერს: „გიორგი ოლთისელი, პლატონ იოსელიანის ცნობით, გარდაიცვალა ათონის მთაზე 1072 წელს. მან

გადმოთარგმნა ბერძნულიდან „ტიბიკონი“ საბა განწმედილის მონასტრისა, „სიტყვანი“ მაქსიმე აღმსარებელისა და „ოქროს წყარო“ იოანე ოქროპირისაო. გიორგი ოლთისელი იყო ცნობილი წინამძღვარი ათონის ივერიის მონასტრისა, რომელიც ამ თანამდებობაზე აღყვანილ იქმნა გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალების შემდეგ. ის არამცთუ 1072 წელს, 1077 წელსაც ცოცხალი იყო. ხელნაწერთა მინაწერებიდან ვგებულობთ, რომ გიორგის ბრძანებით ხშირად გადაიწერებოდა ხოლმე ესა თუ ის თხზულება, მაგრამ იმას რომ თვითონ ეთარგმნოს რამე, არსაითგან ჩანს. კერძოდ: „ტიბიკონი“ საბა განწმედილისა ქართულად ითარგმნა არაუადრეს მეთორმეტე საუკუნისა (Кекелидзе, 1908: 507-510). „სიტყვანი“ ან „თხზულებანი“ მაქსიმე აღმსარებლისა გადმოღებულია ექვთიმე ათონელისა და ნიკოლოზ გულაბერიძის მიერ. რაც შეეხება იოანე ოქროპირის „ოქროს წყაროს“ (S 2436, 2600, 3650), ის შედგენილია XVIII საუკუნეში გაბრიელ მცირის მიერ და საბუთს იმისას, რომ ის გიორგი ოლთისელის მიერაა ნათარგმნი, ვერსად ვპოულობთ“ (კეკელიძე, 1951: 312).

როგორც ვხედავთ, სტეფანე კარბელაშვილისა და პლატონ იოსელიანის ცნობები „ოქროს წყაროს“ წარმომავლობასთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვევა. სავარაუდოდ, წმიდა სტეფანე იზიარებს პლატონ იოსელიანის ცნობას. დღემდე არანაირი დოკუმენტური საფუძველი არ იძებნება იმისა, რომ „ოქროს წყაროდ“ გიორგი ოლთისელის მიერ ნათარგმნი ან შედგენილი იყოს.

ჩატარებულმა კვლევამ დაგვარწმუნა, რომ სამივე წიგნი: „გზრგზნი“, „სამოთხის ყუავილი“ და „ოქროს წყარო“ წმიდა გაბრიელ მცირის მიერ არის შედგენილი.

„გზრგზნი“ 1894 წლის შემდეგ არ გამოცემულა. მისი ტექსტი მეცნიერულად შევისწავლეთ ხელნაწერთა შედარების საფუძველზე და მომზადებულია გამოსაცემად. სავარაუდოდ, ის 2019 წელს დაისტამბება.

„სამოთხის ყუავილი“ მეორედ გამოიცა 2016 წელს (გამ. „მთაწმინდა“). მისი ტექტი დადგენილ იქნა ხუთი ხელნაწერის მეცნიერულად შესწავლის საფუძველზე. ხელნაწერთა შორის სხვაობები წარმოდგენილია სქოლიოებში. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს მიხეილ ქავთარიამ და გიორგი კალანდაძემ. წიგნს დართული აქვს კვლევა წიგნის ავტორობის, მასში შემავალ თხრობათა წარმომავლობისა და სხვა საკითხების შესახებ (ავტ. გ. კალანდაძე).

„ოქროს წყაროდ“ მეორედ გამოიცა 2019 წელს (გამ. „მთაწმინდა“). მისი ტექტი დადგენილ იქნა ოთხი ხელნაწერის მეცნიერულად შესწავლის საფუძველზე. მათ შორის სხვაობები სქოლიოებშია წარმოდგენილი. წიგნი გამოსაცემად მომზადებულია მიხეილ ქავთარიასა და გიორგი კალანდაძის მიერ. მას დართული აქვს გამოკვლევა წიგნის შემდგენლის ვინაობის, ასევე თხრობათა წარმომავლობისა და სხვა საკითხების ირგვლივ.

1932 წელს წმიდა გრიგოლ ფერაძემ ოქსფორდში წაიკითხა ოთხი ლექცია ქართული სასულიერო მწერლობის შესახებ<sup>8</sup>. მას 1933 წელსაც მოუხდა ოქსფორდში ყოფნა და მაშინ გაეცნო ხელნაწერების ქართულ კოლექციას; ნახა „ჯუარშემოსილის“ ხელნაწერი და 1934 წელს ჟურნალ „ჯვარი ვაზისაში“ ფრაგმენტულად გამოსცა წიგნის მეოთხე განყოფილება: „ღმრთივსულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყვარეთა ფრიად სარგებელნი“<sup>9</sup>.

ყურადსაღებია წმიდა გრიგოლ ფერაძის ცნობა დავით გარეჯის შესახებ და მისი პათოსი იქ მოღვაწე ბერების თავდადებაზე: „ვინ გაჰბედავდა და წავიდოდა იქ ბერად, სადაც მას ყოველ წამს ლეკების თავდასხმა და გვირგვინი მოწამეობრივი ელოდა; სადაც იყო უდაბნო ნამდვილი, უწყლო, უგზო და უკვლო, სავსე გველებით და ქვეწარმავლებით - დაშორებული ძლიერ ადამიანთა ბინებიდან... ატაცებულ ხალხთ, ასკეტებს, რომელნიც თავის ცხოვრებას მართლაც ღვთის მადლზედ, კურთხევაზედ - ნებაზედ და განგებაზედ ამყარებდნენ - მათი გონება და გულისყური მიმართულია ზეცისადმი და ამ ქვეყნიდან ძლიერ დაშორებულია“<sup>10</sup>.

1957 წელს ჟურნალ „ცისკარში“ (N 4, გვ. 151) ა. გამყრელიძემ თარგმნა და გამოაქვეყნა დ. ლენგის ნარკვევი, რომელშიც იყო ცნობები გაბრიელ მცირის „ჯუარშემოსილის“ შესახებ. ივანე ლოლაშვილი დაინტერესებულა ამ ხელნაწერით და 1957 წლის ნოემბერში განცხადებით მიუმართავს საქართველოს მეცნიერებათა

---

<sup>8</sup> „ცისკარი“, 1957, N 4, გვ. 149.

<sup>9</sup> „ჯვარი ვაზისა“, N4, პარიზი, 1934, გვ. 7-30.

<sup>10</sup> „ჯვარი ვაზისა“, N4, პარიზი, 1934, გვ. 28.

აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორის, ვ. უზნაძისთვის თხოვნით: ინგლისიდან გამოეთხოვათ ამ ნაშრომის მიკროფილმი, რაც მალევე დაუკმაყოფილებიათ. ასე გახდა „ჯუარშემოსილის“ მიკროფილმი და მისი ფოტოფირი 1958 წელს ხელმისაწვდომი ქართველ მკვლევართათვის (დაცულია მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკში - N B-3 და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში - Rt XVIII,2 ნომრებით).

1965 წელს ივანე ლოლაშვილმა წიგნში: „XVIII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები“ ფრაგმენტულად გამოაქვეყნა „ჯუარშემოსილის“ მეოთხე განყოფილებაში შემავალი: „ღმრთივსულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყვარეთა ფრიად სარგებელნი“<sup>11</sup>. შემდგომ კი იგივე ტექსტი 1982 წელს გამოსცა წიგნში სახელწოდებით „მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის.“<sup>12</sup>

2002 წელს ზაზა სხირტლადემ „ჯუარშემოსილის“ მეოთხე განყოფილებაში შემავალი ტექსტი: „ღმრთივსულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყვარეთა ფრიად სარგებელნი“ სრულად გამოსცა სახელწოდებით „ღვთივსულიერნი თხრობანი“<sup>13</sup>.

თხრობები „ჯუარშემოსილიდან“ 2014 წელს კახაბერ კენკიშვილის რედაქტორობით ფრაგმენტულად, ახალქართულად გამოქვეყნდა გამოცემათა სერიაში „საქართველოს იმედი“<sup>14</sup>.

ასევე „ჯუარშემოსილის“ მეოთხე განყოფილების ტექსტი: „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ცქემოსან ონისიჲორესი“ ორჯერ გამოსცა ივანე ლოლაშვილმა 1965<sup>15</sup> და 1982 წლებში<sup>16</sup>. ეს ტექსტი შეისწავლეს და

---

<sup>11</sup> „XVIII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები“, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1965, გვ. 119-141.

<sup>12</sup> „მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის“ (XVI-XIX სს.), გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1982, გვ. 121-142.

<sup>13</sup> „ღვთივსულიერნი თხრობანი“, გამომც. „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2002.

<sup>14</sup> „საქართველოს იმედი“, წიგნი 50, 2014, გვ. 55-115.

<sup>15</sup> „XVIII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები“, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1965, გვ. 141-149.

1989 წელს გამოსცეს მიხეილ ქავთარიამ და ენრიკო გაბიძაშვილმა<sup>17</sup>, 2007 წელს კი მიხეილ ქავთარიას ხელმძღვანელობით გამოქვეყნდა „მწიგნობრობა ქართულის“ მესამე ტომში<sup>18</sup>.

„ჯუარშემოსილის“ პირველ განყოფილებაში შემავალი ტექსტი: „ღმრთივშვენიერებით მღუდელმთავრის ლიტურდიისა განმარტებად სახისმეტყველებითი, ვითარმედ ყოველსა მღუდელ-შვენიერებით მოქმედებასა მისსა საიდუმლობითი ძალი უპყრიეს“ 1990 წელს გამოაქვეყნა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა<sup>19</sup>. 1992 წელს ეს ტექსტი ლუკა ლევიძემ ფრაგმენტულად დასტამბა ჟურნალ „ჯვარი ვაზისაში“<sup>20</sup>. 1996 წელს კი ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა გამოაქვეყნა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“<sup>21</sup>. 1999 წელს დასტამბა ვალერი სილოგავამ წიგნში სახელწოდებით: „წყაროები გარეჯის მრავალწყაროდან“<sup>22</sup>. 2017 წელს მიხეილ ქავთარიამ და გიორგი კალანდაძემ გამოაქვეყნეს ცალკე წიგნად<sup>23</sup>.

2018 წელს პირველად გამოიცა გაბრიელ მცირის ორიგინალური თხზულება „ჯუარშემოსილი“. ტექსტი მოამზადეს მიხეილ ქავთარიამ და გიორგი კალანდაძემ. ერთვის პირთა ანოტირებული საძიებელი და კვლევა წიგნ „ჯვარშემოსილის“ შესახებ (ავტ. გ. კალანდაძე).

---

<sup>16</sup> „მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის“ (XVI-XIX სს.), გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1982, გვ. 142-150.

<sup>17</sup> „მველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი V, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1989, გვ. 109-122.

<sup>18</sup> „მწიგნობრობა ქართული“, 3, გამომც. „ციცინათელა“, თბილისი, 2007, 492-504.

<sup>19</sup> ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის „სამეცნიერო შრომების კრებული“, 1990, გვ. 224-240.

<sup>20</sup> „ჯვარი ვაზისა“, N 4, 1992, გვ. 44-46.

<sup>21</sup> „სკოლა და ცხოვრება“, 1996, გვ. 105-123.

<sup>22</sup> „წყაროები გარეჯის მრავალწყაროდან“, 1999 წ., გვ. 249-262.

<sup>23</sup> „ღმრთივშვენიერებით მღუდელმთავრის ლიტურდიისა განმარტებად სახისმეტყველებითი, ვითარმედ ყოველსა მღუდელ-შვენიერებით მოქმედებასა მისსა საიდუმლობითი ძალი უპყრიეს“, 2017 წ..



გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი წიგნი „მანანა“ პირველად დაისტამბა 1904 წელს სათურით: „სულისა დამატკობელი მანანა ანუ შესხმანი ღვთივ-დიდებულთა წმინდათათვის თანა დართვითა მოკლეთა მოძღვრებათა ქრისტიანეთადმი“ (ტფილისი, ა. ქუთათელაძის სტ.). იგივე ტექსტი გამოქვეყნდა 1993 წელს „საქართველოს ეკლესიის კალენდარში“ (გვ. 143-278).

„მანანაში“ შემავალი თითო-თითო შესხმა გამოქვეყნდა სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის პერიოდულ გამოცემაში „მაყვლოვანი“: მცხეთა, 2012 წელი, 20 სექტემბერი. N3(9), გვ. 53-54 და 2014 წელი, 20 ივლისი, N2-3 (15-16), გვ. 6-8. საფუძვლად ამ პუბლიკაციებსაც 1904 წლის გამოცემა დაედო.

2014 წელს კახაბერ კენკიშვილმა შეადგინა წიგნი: „წმინდა გაბრიელ მცირე და მისი მანანაი“, რომელიც დაისტამბა გამოცემათა სერიის „საქართველოს იმედი“ ფარგლებში (წიგნი 49). მას საფუძვლად დაედო „საქართველოს ეკლესიის კალენდარში“ 1993 წელს გამოცემული ტექსტი.

გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი წიგნი „სამასეული“ გამოიცა 2013 და 2017 წლებში სათურით: „მამათა დარიგებანი. სამასეული“. გამოსაცემად მოამზადა პავლე წიკლაურმა. „სამასეულის“ მეცნიერულად შესწავლილი ტექსტი მომზადდა მიხეილ ქავთარიას და გიორგი კალანდაძის მიერ და 2018 წელს გამოიცა (გამ. „მთწმინდა“). მას დართული აქვს კვლევა კრებულ „სამასეულის“ შესახებ (გ. კალანდაძე).

გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი კრებული „კლიტე“ პირველად გამოიცა 2011 წელს, ხოლო განმეორებით 2012 წელს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დავით ჩანადირმა. ტექსტი დადგენილია ორი ხელნაწერის საფუძველზე.

გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი კრებული „სუფევა“ არ არის გამოცემული. ამ ნაშრომის მეცნიერულად შესწავლა დაწყებული აქვს გ. კალანდაძეს.

## თავი II.

### „გვრგუნის“ შემდგენლის ვინაობა, კრებულის სტრუქტურა და წყაროები

#### § 1. კრებულის შემდგენლის ვინაობა

წმიდა სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილი 1892 წელს მის მიერ გამოცემული „გვრგუნის“ წინასიტყვაობაში წერს: „შესახებ წიგნის [„გვრგუნის“] სიძველისა მე ვგონებ, რომ უნდა იყოს ეს წიგნი შედგენილი ბევრით უადრეს 1240 წელს. ვითომდა მამა პეტრეს მიერ, რომელიც აღესრულა 1250 წ. და დასაფლავებულია გელათის მონასტერში. „გვირგვინი მოწამეობისა“ იმასაც აქვს შედგენილი“<sup>24</sup>. როგორც მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, წმიდა სტეფანე „გვრგუნის“ შედგენას წმიდა გაბრიელ მცირეს არ უკავშირებდა, არც მამა პეტრეს შესახებ გამოთქვამს აზრს დარწმუნებით. რაც შეეხება ტექსტს „გვირგვინი მოწამეობისა“, ის სიძველეთსაცავებში არ იძებნება, ამიტომ ამ ეტაპზე შეუძლებელია „გვრგუნის“ ტექსტის მასთან შედარება.

შემდგომმა კვლევამ ამ მიმართულებით ცხადყო, რომ „გვრგუნი“ გაბრიელ მცირის მიერაა შედგენილი.

„გვრგუნის“ ტექსტი სრულდება გაბრიელ მცირის ანდერძით: „სრულ იქმნა სულისა გვირგვინი სადიდებელად ძისა ღმრთისა ცხოველისა. ქრისტე, მეუფეო, მაცხოვარო ყოველთაო, წმიდასა ამას წიგნსა შინა წერილთა, წმიდათა სათნომყოფელთა შენთა ღოღვითა, შეიწყალე სული მონისა შენისა ხუცეს-მონაზონისა გაბრიელისა. აღიწერა მრავლის სურვილით და ფრიადის ტრფიალებით წმიდა წერილი ესე მრავალმთის უდაბნოსა გარესჯისასა, მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა, წელსა განჯორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა 1794, თთუჭსა ივლისსა, რიცხვს 29“. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ გაბრიელ მცირე აქ წიგნის

---

<sup>24</sup> ვ. კარბელაშვილი, „გვირგვინი“, თბ., 1892, გვ. 344.

გადაწერას გულისხმობს და არა შედგენას, მაგრამ არსებობს მისი ავტორობის დამამტკიცებელი სხვა, უფრო კონკრეტული არგუმენტებიც.

„გვრგვნის“ შემდგენელის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გიორგი მეფის შვილი ბაგრატ: „ესე წმიდაა სულისა გარგვინი აღწერილი არს გაბრიელის მიერ მღვდელ-მონაზონისა, რომელიცა იყო მოწესე წმიდისა იოვანე ნათლისმცემელის მრავალმთის მონასტრისა, რომელმანცა გამოკრიბნა მრავალთაგან საღმთოთა მამათა წერილებთაგან წმიდანი ესე სწავლანი და შეაწყო ერთად სარგებლად ცოდვილთა სინანულისათვის“<sup>25</sup>. ეს ცნობა დაწერილია 1815 წელს, ხოლო წმიდა გაბრიელი აღესრულა 1802 წელს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ გაბრიელ მცირეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გიორგი მეფესთან (გიორგი მეთორმეტე). აქედან გამომდინარე, დასაჯერებელია, რომ მეფე გიორგის შვილს სანდო ცნობები ჰქონოდა გაბრიელ მცირის შემოქმედების შესახებ. კორნელი კეკელიძის დასკვნითაც, „გვრგვნი“ გაბრიელ მცირის მიერაა შედგენილი<sup>26</sup>. იმავე შეხედულებას იზიარებენ მიხეილ ქავთარია<sup>27</sup> და ნინო მელიქიშვილი<sup>28</sup>.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „გვრგვნის“ ხელნაწერის ყველაზე ადრეული ნუსხები გაბრიელ მცირის ხელითაა დაწერილი და მათზე წიგნის დასასრულს მისივე ხელრთვაა დართული. არსებობს გაბრიელ მცირის სულიერი შვილის, პორფირის, მიერ გადაწერილი ნუსხაც, რომელიც მას წმიდა გაბრიელის დაკვეთით შეუსრულებია.

აღსანიშნავია, რომ „გვრგვნის“ შედგენილობა და მისი სტრუქტურა ზედმიწევნით ჰგავს გაბრიელ მცირის მიერ აღწერილი სხვა წიგნების სტრუქტურას, რის შესახებაც ქვემოთ ვრცლად ვსაუბრობთ. მის მიერ შედგენილი შვიდი წიგნიდან

---

<sup>25</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, N 121, გვ. 478.

<sup>26</sup> „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, I ტომი, „სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 1951, გვ. 373.

<sup>27</sup> მ. ქავთარია, „დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა“, თბ., 1965, გვ. 80.

<sup>28</sup> „მუშაკი სულიერისა ვენახისაი“, მიხეილ ქავთარია - 80, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბ., 120-135.

ექვს ერთვის „ბეჭედი“, რომელთაგან ერთ-ერთი „გვრგვნი“. „ბეჭედში“, როგორც წესი, განმარტებულია კრებულის სტრუქტურა და სიმბოლური მნიშვნელობა. გაბრიელ მცირის მიერ შედგენილ კრებულებში თხრობათა რაოდენობას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ასეთივე სურათია „გვრგვნი“.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ბაგრატ ბატონიშვილის ცნობა და კორნელი კეკელიძის აზრი მართებულია და კრებულ „გვრგვნის“ შემდგენელი უდაოდ გაბრიელ მცირეა.

## § 2. „გვრგვნის“ სტრუქტურა

„გვრგვნის“ სტრუქტურა მტკიცეა. ცხადია, წმიდა გაბრიელს ნაშრომის დაწყებამდე კარგად ჰქონდა გააზრებული კრებულის დანიშნულება და ამ დანიშნულების მისაღწევად სასურველი სტრუქტურა. ასევე მტკიცე და წინასწარ გააზრებულია გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი სხვა კრებულებიც.

ადრე ნათარგმნი მნიშვნელოვანი ქართული სასულიერო ლიტერატურული ძეგლები, როგორც ჩანს, გარკვეულწილად დაზიანებული და, ამავე დროს, ფართო მკითხველისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო. ასევე ენობრივი ქსოვილის სიძველისა და ტერმინების უცოდინრობის გამო, ხშირ შემთხვევაში იმდროინდელი მკითხველისათვის ტექსტის გაგება და შეთვისება სათანადოდ ვერ ხერხდებოდა. გაბრიელ მცირემ მის შედგენილ კრებულებში, მათ შორის, „გვრგვნი“, ხსენებული სირთულეები გაითვალისწინა და როგორც რედაქტორ-შემოქმედმა, მკითხველს იგი ახლებურად შესთავაზა; იმგვარად, რომ უფრო გასაგები და ადვილად გასათავისებელი ყოფილიყო. მან თავის მიერ ჩატარებული შრომით შთამომავლობას შემოუნახა ქართული სასულიერო ლიტერატურის ოქროს ფონდი.

„გვრგვნის“ სათაურისა და მისი სტრუქტურის შესახებ ხელნაწერზე დართული გაბრიელ მცირის „ბეჭედიდან“ ვიგებთ: „ღმრთივსულიერსა ამას წერილსა ეწოდების „გვრგვნი“. ამათ ესევითართა მიზეზთათვის, რამეთუ ვითარცა გვირგვინი პატიოსანი შემკობილ არს მრავალფერთა პატიოსანთა ნივთთა და თუალ-მარგარიტთა მიერ, ეგრეთვე ესე გვირგვინი სულისა შეწყობილ არს და შემკობილ მრავალთა სამღთო

კეთილ თხრობათა მიერ. იგი გვირგვინი შვენიერ ჰყოფს თავსა ღირსთა მისთასა. და ესე - აბრწყინებს სულსა აღმასრულებელთა თვისთასა. რომელსა ჰქონან თვის შორის თავნი ხუთნი, მსგავსად ხუთ საგრძნობელთა ჩვენთა, რომელნი იპოვებიან თავსა შორის ჩვენსა. ხოლო სულიერთა თხრობათა რიცხვი არს ასი მეზრ იგავისა, რომელსა ედგა ასი ცხოვარი და მოსურნეთა ნაყოფიერ გვყოფს, ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად“.

„გვრგვინი“ შედგება ხუთი თავისაგან, ხოლო თითოეულ მათგანში ოცი თხრობაა გაერთიანებული. თავებს თემატური სათაურები აქვს და შემავალი თხრობებიც ამ თემით არის გამთლიანებული. ასეთი შედგენილობა წიგნს კომპოზიციურ სიმტკიცეს ანიჭებს და მის დიდაქტიკურ შედეგს აძლიერებს. წმიდა გაბრიელი მეთოდურად ამზადებს მკითხველს ხუთი ძირითადი საკითხის ზუსტად გაგებისათვის და, ამგვარად, ნაშრომის დედააზრი ზედმიწევნით აღწევს მკითხველამდე.

აღსანიშნავია, რომ მეხუთე თავის ოთხმოცდამეთოთხმეტე თხრობიდან ტექსტი გამოყოფილია ქვეთავით: „ღმრთივშვენიერნი თხრობანი სულიერნი ღირსთა და პატიოსანთა დედათათვის“. ამ ქვეთავიდან წიგნის ბოლო თხრობამდე ტექსტები წმიდა დედათა შესახებაა.

სასულიერო თხრობების შემდგომ დართულია „ბეჭედი“, რის მერეც არის სარჩევი, ანუ ზანდუკი. წიგნის თავებისა და მათში გაერთიანებული ოც-ოცი თხრობის სათაურებიდანაც ჩანს, რომ თითოეულ თავში წარმოდგენილ ძირითად საკითხს წმიდა გაბრიელი ოც-ოცი სხვადასხვა თხრობით ამყარებს და მრავალმხრივ განსწავლის მკითხველს.

მაგალითად, მესამე თავი ქველისმოქმედებისა და მოწყალების შესახებაა. მასში წმიდა გაბრიელი ოცი სხვადასხვა თხრობით წარმოგვიჩენს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ადამიანისთვის ქველმოქმედება და მოწყალება. მხოლოდ თხრობების სათაურებიც კი განსწავლის მკითხველს: „თუ ვითარ გლახაკთ მიმცემი ქრისტესა მისცემს“; „თუ ვითარ მოწყალებისა ძლით მკუდარი აღსდგა“; „მესტვირისათვის რომელი მოწყალებისა მიერ სცხონდა“; „ათასისთავისათვის, რომელი მოწყალებამან საპყრობილით იხსნა“; „ჭემამრიტისა მოწყალისათვის, რომელმან იხსნა სული კაცისა წარწყმედისაგან“; „მემტილისათვის, რომელი

მოწყალებისა ძლით განიკურნა“; „თუ ვითარ მოწყალებისა მოქმედი შვიდწილად მიიღებს“; „ვითარმედ გლახაკთა მიმცემი მრავალწილად მიიღებს“; „ვითარმედ გლახაკთ მოწყალე ასწილად მიიღებს“.

ამ თავებში, გარდა იმისა, რომ მოწყალება განხილულია, როგორც მართლადიდებლობისათვის აუცილებელი ქმედება, წარმოჩენილია მისი ძალა, როგორც განკურნებისა, საპრობილიდან მხსნელისა, კეთილდღეობისა და ცხოვნებისა. თხრობებში მაგალითები ეხება ასისტავს, მესტვირეს, მემტილეს, მდიდრებსა და გლახაკებს. ამიტომაც თითოეული საკითხი მრავალმხრივ გასაგები ხდება პრაქტიკული და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. ამდენად, საშემდგენლო-შემოქმედებითი გააზრება „გვრგვნისა“ ღრმაა და მისი დანიშნულების შესატყვისი.

თვით თხრობების რაოდენობას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული: ხუთი თავი - ხუთი საგრძნობელი, ასი თხრობა - ასი ცხვრის შესახებ უფლის იგავის გამოძახილია. გაბრიელ მცირეს აღნიშნული აქვს, რომ წიგნი: „ნაყოფირ ყოფს მკითხველს ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად“. ეს სიტყვებიც მთესველზე უფლის მიერ წარმოთქმული იგავიდანაა. როდესაც მთესველი კარგ ნიადაგში ჩააგდებს ნაყოფს, მიწა მას დაუბრუნებს ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად. ამ სიტყვებით წმიდა გაბრიელი შეაგონებს მკითხველს, რათა თხრობების კითხვისას შესაბამისი განწყობა და მცდელობა ჰქონდეთ, რომ კეთილი ნაყოფი გამოიღონ.

„გვრგვნის“ თხრობების შედარებამ სხვა პატერიკებთან ცხადყო, რომ ტექსტები მასში გადამუშავებული სახითაა შეტანილი. წმიდა გაბრიელმა არსებული თხრობების სიუჟეტები გამოიყენა და მათ ახლებური სახე მისცა. ენობრივი ქსოვილი და თხრობის აგებულება იმგვარად გამართა, რომ მისი თანამედროვე მკითხველისთვის ადვილად გასაგები ყოფილიყო, თვით პატერიკები კი შინაარსობრივი ჰარმონიით გააერთიანა ერთიმეორის განსამტკიცებლად და დიდაქტიკური ზემოქმედების სრულყოფისათვის.

### § 3. „გვრგვნის“ ნუსხები და მათი აღწერილობა

იმჟამინდელ საქართველოში გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი წიგნის, „გვრგვნის“ ხელნაწერთა განსაკუთრებული სიუხვე მასზე მაღალ ინტერესსა და მოთხოვნაზე მიუთითებს. ამჯერად „გვრგვნის“ ნუსხათა ყველაზე დიდი რაოდენობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. გარდა ამისა, ნაწილი ხელნაწერებისა ინახება როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ არსებულ სიძველეთსაცავებში. საჭიროდ ჩავთვალეთ „გვრგვნის“ ნუსხათა შეძლებისდაგვარად სრულყოფილი ჩამონათვალისა და აღწერილობის შედგენა, რასაც აქვე წარმოვადგენთ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი:

A ფონდი

1) 228 - ავტოგრაფი.

თარიღი: 26 აპრილი 1795 წელი (იხ. ანდერძი).

კრებული; 221 ფ.; 16,4X10,5; ქაღალდი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ახალი ყდა; მხედრულით; შავი მელანი (სათურები სინგურით).

1r-193v-ზე განთავსებულია „გვრგვნის“ ტექსტი. 194v-197v არის „გვრგვნის“ ზანდუკი. 194v-ზე წარმოდგენილია „გვრგვნის“ „ბეჭედი“. 198v-211r-ზე (198-221 გვ.) განთავსებულია „ღმრთივშვენიერებით მღუდელმთავრის ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი, ვითარმედ ყოველსა მღუდელ-შვენიერებით მოქმედებასა მისსა საიდუმლობითი ძალი უპყრიეს“ ტექსტი. 221r-v-ზე ავტორისეული მიძღვნა: „ყოვლად უსამღვდელოესო და ყოვლად ბრწყინვალეო მეუფებისა გვირგვინო, ნამდვილვე სავსეო სულითა წმიდითა სტეჰანე! სამღთოსა ტრფიალებითა სურვიელ ვიყავ, რათამცა მეხილვა დღე ეგე შენი და განმეხარა. ჰე, თუმცა მეხილვა პირი შენი, ვითარცა პირი ანგელოსისა. ვინაფთგან ცოდვათა ჩემთათვის ვგდივარ უდაბნოსა შინა დილეგსა და ვერ ვეწიფე, რამეთუ შორს ვიყავ ჯორცითა, არამედ მახლობელ სულითა და გონებითა. და გონებისა ჩემისა თუალნი ფრთოვან ვჰყვენ და გხედევდი მარჯულ ჩემსა დიდებულისა ამის საიდუმლოდსა აღმასრულებელად. და ესე მცირე რამე მღუდელმთავრობისა თქვენისა შესაბამი

სახის-მეტყველება ალვსწერე, ვითარცა შენ შორის დამკვიდრებულმან სულმან მამცნო. და [შე]ნდავე მოგიძღვნ, მეუფეო წმიდაო, სახსენებელად სიგლახაკისა ჩემისა. რათა რაჟამს აღასრულებდე ღმერთ-მყოფელსა ამას საიდუმლოსა, მომიხსენო მეცა მსასოებელი სიწმიდისა თქვენისა ყოვლად უღირსი იერომონახი გაბრიელი“.

1v-ზე დახატულია გვირგვინის გამოსახულება.

ანდერძი: „ღმერთო ყოვლისა კეთილისა მიზეზო, ღმრთივსულიერსა ამას წიგნსა შინა წერილთა წმიდითა შენითა მადლითა შეიწყალე სული მონისა შენისა, უღირსისა ხუცეს მონაზონისა გლახაკის გაბრიელის. აღიწერა მრავალმთის უდაბნოსა გარეჯისასა, მონასტერსა იოანე ნათლისმცემელისასა წელსა განწორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა 1795, თთუჭსა აპრილსა, რიცხუსსა 26“.

მინაწერები: 1. „მარტყოფის კელითუქმნელის სობოროსი არის“ (საცავი ფურცლის r); 2. „სრულ იქმნა სულისა გვირგვინი სადიდებელად ძისა ღმრთისა ცხოველისა“ (გაბრიელ მცირის ხელით, 197v).

2) 341 - ასლი (გადამწერი - ტარასი ალექსიშვილი, 11r).

თარიღი: XIX საუკუნე (ჭვირნიშანი: 1809, 160r).

II + 178 ფ.; 16,5X10; მოლურჯო ქაღალდი, ტყავგადაკრული ფიცრის ყდა; მხედრული; დასაწყისი ასოები მთავრულად; შავი მელანი (სათურები სინგურით); 11v-ზე გამოხატულია გვირგვინი, ქვეშ - ჯვარი; დაუწერელია: 1v, 175v-178v.

ანდერძი: „ჩემს სიყრმესა და ახალმოსწავლეობასა შინა აღმიწერია წიგნი ესე და აწ მოხუცებულობასა შინა შემიწირავს ქვათახევის ღვთისმშობლისათვის და ნუვინ გამოსწირავს. 1860 წელსა, არხიმანდრიტი ტარასი“ (11r).

მინაწერები: 1. „Книга пренадлежит о. Иеромонаху Тарасию“ (1r); 2. წიგნი მღუდელმონაზონის ტარასისა, სოლომონ დეკანოზის ძის ალექსიშვილისა“ (11r); 3. მამაო, წიგნი ესე სახსოვრად შენდა გადამიწერე, ქრისტეს სიყვარულისათვის, და სასყიდელსა მადლობის გარდახდით მიიღებთ“ (175r).

3) 427 - ასლი (გადამწერი - პავლე, 137r).

თარიღი: 19 ივნისი 1797 წელი (137r).

137 ფ.; 16,3X9,5; გახუნებული ცისფერი ქაღალდი; ახალი რესტავრირებული და აკინძული; მხედრული; საზედაო ასოები მთავრული; სათაურები და საზედაო



ასოები სინგურით; ნაკლული (აკლია 54v-სა და 58r-ს შორის); დაუწერელია 137v; აქვს რვეულებრივი აღრიცხვა და შეიცავს იმ რვეულს.

„გვრგვნის“ ტექსტი განთავსებულია 1r-133v-ზე; ერთვის „გვრგვნის“ „ბეჭედი“ (133v-134r); „გვრგვნის“ ზანდუკი წარმოდგენილია 134r-137r-ზე; კიდეებზე სინგურით, გადამწერის ხელით გატანილია ზოგი სიტყვის განმარტება (5v, 17r-v, 22r, 27v, 31v, 44r, 53r, 100v, 108r, 113r, 120r, 122v, 130r); ხელნაწერის კიდეებზე და ტექსტში გვიანდელი ხელით, წითელი და შავი მელნით, იშვიათად - ფანქრით უხვად არის რედაქტორული, პუნქტუაციური ჩასწორებები (933v, 34r, 36r-37r, 38r, 40r-v, 43r, 45,v, 50r-v და სხვა). ეს ხელნაწერი იყო სტეფანე კარბელაშვილის სამუშაო ვერსია „გვრგვნის“ გამოსაცემად მომზადებისას. წმიდა სტეფანეს ჩასწორებები 1892 წლის გამოცემაში უკვე ასახულია; ხელნაწერში ასევე არის სასტამბო პროცედურებთან დაკავშირებული მინაწერები: „აქედან ამოაწყე“ (71r), „ეს გვერდი არ არის ამოწყობილი ბოლომდის“ (107r), აქნობამდისინ არის აწყობილი მე-3 ფორმა 5.6.1894“ (120r). ეს მინაწერებიც წმიდა სტეფანეს ეკუთვნის. თვალსაჩინოა, რომ ბეჭდვის დროს ამ ხელნაწერსაც იყენებდნენ.

ანდერძი: „სრულ იქმნა სულისა გვირგვინი სადიდებელად ძისა ღმრთისა ცხოველისა, ივნისს ით [19] ქრონიკონსა უპე [485] [1797 წელი] პავლე“ (137r).

4) 537 - ასლი (გადამწერი - ქრისტეფორე ალაიბეგისშვილი, 121r).

თარიღი: XIX საუკუნე (ჭვირნიშანი 1801, 1803; 53, 67, 69, 87ფფ.).

122 ფ.; 16X20; ქალაღდი, თეთრი (ფ. 116-119 ლურჯი ფერის) გაყვითლებული, რესტავრირებული; შავი ფერის ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური, შავი მელანი, სათაურები სინგურით, დასაწყისები ასომთავრულით; დაუწერელია 1r.

2v-ზე ფერდაბით დახატულია გვირგვინი; „გვრგვნის“ ტექსტი განთავსებულია 3r-118r-ზე. 118v-ზე არის ბეჭედი და ზანდუკი; ეს ხელნაწერი არის წმიდა სტეფანე კარბელაშვილის ერთ-ერთი სამუშაო ნუსხა, რომელსაც მრავლად ერთვის მისი მინაწერები: 1v, 52v, 81r, 88v, 89rv, 121v გვერდებზე. ისინი სტეფანე კარბელაშვილის მიერ გამოცემულ წიგნში წარმოდგენილია სქოლიოებში და კვლევაში.

ანდერძი: „სრულ იქმნა წიგნი ესე ღმრთივ სულიერი, რომელსა ეწოდების „გვრგვნი“ ძალითა მღუთისათა. მშრომელი ამისი უღირსი დიაკონი ქრისტეფორე

ალაიბეგისშვილი. აღმომკითხუზღუნო, მწერლობისა ამის მეტ-ნაკლებობისათვის ნუ მწყევთ, რათა თქვენცა გეყოსთ სახიერი ღმერთი ჩემებრ შენდობისათვის ქრისტეანენო“ (121r).

5) 723 - ასლი.

თარიღი: 22 აპრილი, 1797 წელი (193r).

01+197ფ.; 16,8X11; ქაღალდი, მომწვანო, დალაქავებული; ახლად რესტავრირებული ტყავადაკრული ფიცრის ყდა, რომელზეც დაკრულია ძველი ყდის ნარჩენები; აქვს საცავი ფურცლები; თავნაკლული (აკლია მხოლოდ პირველი თავის („გამოცხადებისათვის წმიდისა საიდუმლოდსა“) დასაწყისი; მხედრული; შავი მელანი, სათაურები სინგურით; აქა-იქ აშიებზე გადამწერის ხელით (სინგურით) მიწერილია სიტყვათა განმარტებანი; 80v-დან 88r-მდე სინგურით შენიშვნებია მიწერილი წმიდა სტეფანე კარბელაშვილის მიერ და არის მისივე ხაზგასმები, კიდევზე სიტყვათა განმარტებები და ციტატების წყაროთა მითითებანი.

ანდერძი: „სრულ იქმნა სულისა გვირგვინი, სადიდებელად ღმრთისა ცხოველისა, აპრილს კბ, ქორონიკონსა უპე“ (197v).

მინაწერები: 1. „ეს წიგნი ივანე კოტეტოვის არის“ (01v). 2. „Из рукописей Ф. Д. Жордания“ (01v). იმავე გვერდზე: „დიდება შენ დიდება შენ დიდება შენ მამა დ დ დიმიტრი“. 3. „თფილისის საეკ. მუზეუმისათვის შემიწირავს ეს ჩემი საკუთრება. თ. ჟორდანია“ (38r). 4. წმიდა სტეფანე კარბელაშვილის მინაწერი: „მაისის ორში მივეცი 1893 წ. ამხან. სტამბაში და დამიბრუნეს იანვრის 11, 1894 წ. 4 ნათხოვნი“ (1r-ს მარჯვენა არშია). იმავე გვერდზე ნუსხურით: „სჯულის კანონი“. 5. „სულ 127 ფურცელი“ (?) „Венец“ (დასასრულს, ყდის შიგნითა მხარეს მიკრულ ფურცელზე).

6) 1052 - ასლი (გადამწერი - მღუდელ-მონაზონი ნეოფიტე, 141v).

თარიღი: 1795 წლის 14 ივლისი.

კრებული; 141 ფ; 22X18; ცისფერი ქაღალდი; დაშლილ-დაფურცლილი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით, გადამწერის ადგილი: მრავალმთის უდაბნო, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი; შემოწირულია იოანე დეკანოზიშვილისგან 1910 წელს.

„გვრგვნის“ ტექსტი განთავსებულია 1r-92v-ზე. ხოლო 93r-97r-ზე - „ცხოვრება და მოქალაქობა ევფემიანი[სი] და მისა მისისა ალექსი, კაცისა ღმთისა“ თხზულების ტექსტი; 97r-127r-ზე - „ცხოვრებაჲ წმიდისა და მოქალაქობა ნეტარისა მამისა ჩვენისა ნიკოლ[ოზ] მ[ი]რონ ლუკი[ი]ს ეპისკოპოსისა“ თხზულების ტექსტი; 127r-136v - „სიმკნე და მოთმინება წმიდისა ევსტათისა და მისა შემდგომად წამება“ თხზულების ტექსტი; 136v-141v - „[წამება წმიდათა ორმოცთა მოწამეთა]“ თხზულების ტექსტი.

ანდერძი: „უფალო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ნიკოლოზ. ორმოცნო მოწამენო, შემიწყალეთ მე ცოდვილი ნეოფიტე. ამინ“ (141v).

7) 1185 - ასლი.

თარიღი: XIX საუკუნე.

88 ფ.; 22X17,7; ქაღალდი; უყდო; თავ-ბოლონაკლული; მხედრული; აკლია დასაწყისში რვა თხრობა, ბოლოში კი - სამოცდამეხუთე თხრობის მეორე ნაწილიდან ბოლომდე.

8) 1318 - ასლი (გადამწერი - იოსები, უთრუთის შვილის, ნიკოლოზის, შვილი, 77v).

თარიღი: 1793 წელს (78v).

კრებული; 93+1 ფ.; 8X6,7; ქაღალდი; დაზიანებული ხის ყდა; მხედრული; შემკულობანი: 27v, 44v, 49r, 52r, 77r-v; ხელნაწერში არის 6 თხრობა, აქედან ორი „გვრგვნიდანაა“. „გვრგვნის“ მეექვსე თხრობა ემთხვევა A 1318 ნომრით დაცული ხელნაწერის პირველ თხრობას, ხოლო „გვრგვნის“ მეოთხე თხრობა ემთხვევა A 1318 ნომრით დაცული ხელნაწერის მეორე თხრობას.

ანდერძი: „პატიოსანნო მკითხველნო! დაიმარხენით შვიდგზის მაღლი ესე წერილისა და დააბრმეთ შვიდიცა ესე ცოდვა სუკუნოდ. მე უთრუთის შვილის ნიკოლოზის შვილმა იოსებ გადმოვსწერე და თუ რომ ჩემის უცოდინარობით შემცდარი იყოს რამე, ან ავი ხელი იყოს, რომ ვერ გამოიცნოთ, იმის გულისათჳს, რომ საკრებულოსა საქმესში ვიყავ ხოლმე და ვეშურებოდი, ამისთვის მოტევებას ვითხოვ თქვენის უწმიდესობისაგან. დაიწერა ნათლისმცემელის უდაბნოში, ივლისის იზ, ქრონიკონსა უპა, დამწერი მონა ღმრთისა იოსებ“ (77r-77v).

9) 1492 - ასლი (გადამწერი 1-185 ფურცლებისა, მღვდელმონაზონი იოანე ჭალაქანიძე (140r, 185v).

თარიღი: XVIII-XIX საუკუნე (ჭვირნიშანი: 1798, 1799, 1800).

კრებული; 292 ფ.; 21,5X15,5; თეთრი და ლურჯი ქაღალდი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ქვედა ფიცარი მოცილებულია); დაზიანებული (ზოგიერთი ფურცელი ჭიანჭამია, განსაკუთრებით 288-292); მხედრული (სათურები ნუსხურით, სხვადასხვა ხელით); დაუწერელია 1v-2v; „გვრგვნი“ ტექსტი განთავსებულია 3r-140v-ზე; „გვრგვნი“ ზანდუკი წარმოდგენილია 141r-142v-ზე.

ხელნაწერში ასევე შედის შემდეგი თხზულებები: 1. „თხრობა წმიდისა კლიმენტოს რომთა პაპისა, თუ როგორ დაემოწაფა მოციქულსა პეტრეს“ (143r-185v); 2. „სიმვლო წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ათანასი ალექსანდრიელ პატრიარხისა“ (186r-192r); 3. „სამოთხის კარი“ (192r-249v); 4. „მამათა თხრობანი“ (250r-285v); 5. „შვიდნი მომაკვდინებელი ცოდვანი და შვიდნი მისნი წინააღმდეგომნი მადლნი“ (285v-292r).

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე წიგნისა ამის მწერალი მღვდელ-მონაზონი ჭალაქანიძე იოანე, გუაკურთხენ“ (140v).

185v-დან იოანე ჭალაქანიძის ხელი წყდება და 186v-დან ტექსტი სხვა ხელითაა ნაწერი.

H ფონდი

10) 186 - ასლი (გადამწერი - იოანე, 43r).

თარიღი: 26 თებერვალი, 1797 წელი (43r).

კრებული; 136 ფ.; 19,7X15; თეთრი და მოლურჯო ქაღალდი; ტყავადაკრული ხის ყდა; მხედრული (სათურები სინგურით); „გვრგვნი“ კრებულის მეხუთე ნაწილია (89r-117v). შედის მხოლოდ „გვრგვნის“ პირველი 34 თხრობა.

ანდერძი: „სრულ იქმნა ფებერვალს კვ. წელსა 1797, ჯელითა იოანესითა (43r).

11) 211 - ასლი (გადამწერი - ბერი პორფირი, 250v).

თარიღი: 13 მაისი, 1796 წელი (250v).

კრებული; 252 ფ.; 20,3X15; ქალაღი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები ასომთავრულით, სინგურით, ზოგან ასოხვეულად); კაზმულოზანი: 1v-ზე დახატულია ფერადებით სამღვდელმთავრო მიტრა; დაუწერელია: ფ. 105, 202v, 251, 252.

„გვრგვნი“ კრებულის პირველი ნაწილია (2r-101r, გვ. 2-201); კრებული შედგება გაბრიელ მცირის შედგენილი წიგნებისგან („ოქროს წყარო“, გვ. 106-202; „სამასეული“, გვ. 203-249); ერთვის წმიდა გაბრიელ მცირის მოწაფის, პორჭირის, „ეპისტოლე მშობელთა მიმართ“ (249v-250v).

12) 409 - ასლი (გადამწერი - ზაქარია გაბაშვილი, 91v).

თარიღი: XVIII საუკუნის მიწურული.

105 ფ.; 21,3X17; ქალაღი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); „გვრგვნის“ ტექსტი განთავსებულია 1r-91r-ზე. 91v-105v-ზე იგივე ხელით ნაწერი ტექსტია, რომელიც ბოლონაკლულია და არ არის „გვრგვნის“ ნაწილი.

ანდერძი: „ზაქარიამან, ყოვლად უღირსმან ხუცეს-მოძღვარმან, ხოლო სქესითა ვიდრემდე გაბაონმან, უფერადოთ ლექსთ მიერ მდაბიურთა ენათა ზედა წარვსწერე ექვს წილად თხოვა ესე ღვთისა მიმართ. გლოვა არს მჭმუნვარება სულისა ღმობასა შინა გულისა მოწყალებისასა, მარადის საწყურელისა ზედა დადგრომითა მეძიებელი, ტკივილით მოგონება და გოდება თვისთა ცოდვათა ზედა“ (91v).

მინაწერი: „ეს გვირგვინი ეკუთვნის მღუდელს ანდრია ზინონის ძეს ოქროპირიძეს, ჩყვე წელსა შინა, ივნისისა, დ დღესა. ვინც მოიპაროს, ანუ წაართვას მძლავრობით, გაუწყრეს წმიდის სამების მადლი. ამინ. მღუდელი ანდრია ოქროპირიძე“.

13) 607 - ასლი (გადამწერი - ქართველი სტუდენტების ჯგუფი).

თარიღი: 1909-1910 წლები.

კრებული; 140 ფ.; 34,5X22; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული (სხვადასხვა ხელით); გადაწერის ადგილი - პეტერბურგი; შემოწირულია კირიონ ეპისკოპოსის მიერ 1911 წელს. „გვრგვნი“ კრებულის ნაწილია, წარმოდგენილია 150r-179v. მისი ნაწილი გრძელდება H 608 ნომრით დაცულ ხელნაწერში.

14) 608 - ასლი (გადამწერი - ქართველი სტუდენტების ჯგუფი).

თარიღი: 1909-1910 წლები.

კრებული; 140 ფ.; 34,5X22; ქალაღი; მუყაოს ყდა; გაღაწერის ადგილი - პეტერბურგი; შემოწირულია კირიონ ეპისკოპოსის მიერ 1911 წელს. „გზრგზნი“ ხელნაწერის დასაწყისშია წარმოდგენილი (3r-83r). იგი H 607 ნომრით დაცული ხელნაწერის გაგრძელებაა.

15) 667 - ასლი.

თარიღი: XIX საუკუნე.

87 ფ.; 10X8; ქალაღი; ხავერდგადაკრული ხის ყდა; მხედრული; ხელნაწერი ბოლონაკლულია. „გზრგზნის“ ტექსტი 41-ე თხრობის შუაში წყდება, რომელიც განთავსებულია 1r-83v-ზე; შემოწირულია კირიონ ეპისკოპოსის მიერ 1911 წელს.

16) 902 - ასლი (გადამწერი - იეროდიაკონი პორტირი, 279r).

თარიღი: 18 აგვიტო, 1795 წელი.

კრებული; 280 ფ.; 21X16,5; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით, ასომთავრულად); პირველი ყდის v-ზე დახატულია გვირგვინი; დამკვეთი - ნინოწმიდელი მიტროპოლიტი იოანე (278v); გაღაწერის ადგილი - დავით გარეჯის უღაბნო, იოანე ნათლისმცემლისა სახელობის მონასტერი (278v); შექმნილია დიმიტრი გრიგოლის ძე მაყაშვილისგან (სოფ. იყალთოდან). „გზრგზნი“ კრებულის პირველი ნაწილია (1r-122r); კრებულის მეორე ნაწილია გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი „ოქროს წყარო“ (127r-255v), ხოლო მესამე „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩუწნისა მაქსიმე აღმსარებელისანი, თარგმნილნი წმიდისა მამისა ჩუწნისა ევთიმის მიერ“ (259r-278r);

ანდერძი: „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუწნო, ლოცვთა წმიდისა და სათნოსა შენისა ნინა მოციქულისა ადიდე მრჩობლთავე ცხოვრებათა ყოვლად სამღუდელო ნინოწმიდელი მიტროპოლიტი იოანე, რომელიცა სათნოყოფითა შენითა დაადგინე მწყემსად პირმეტყუწლთა ცხოვართა შენთა და სიძედ ეკკლესიისა, რომელი მოიყიდე სისხლითა შენითა ყოვლად წმიდითა. მრავალჟამ კეთილ სუფევით ჰყავნ წელნი ცხოვრებისა მისისანი და სამთა მათ დიდთა სტიხიონთა შორის განაბრწყინვე გვირგვნითა საუკუნესა მას შენსა, რომლისა ბრძანებითა

აღიწერა ღმრთივსულიერი ესე სულთა განმანათლებელი წიგნი მრავალმთის უდაბნოსა გარეჯისასა, მონასტერსა ნათლისმცემლისასა, წესა განჯორციელებისა სიტყვსა ჩღჟე, თთუჭსა აგვისტოსა იჭ. სასოებით ლოცვასა ვითხოვ მორჩილებით მწერალი უღირსი დიაკონი პ.“ (278v-279r).

მინაწერები: „ეს წიგნი ეკუთვნის კნეინა ოლინკა სავარსამიძის ასულს მაყაევისას“, „ეს წიგნი უძვირფასესი ყოველთა წიგნთა“; სხვა მინაწერები მოიპოვება 200 v-სა და ქვედა ყდის r-ზე.

17) 2275 - ასლი.

თარიღი: XIX საუკუნე.

177 ფ.; 16,5X10,5; ქალაღდი; ტყავგადაკრული ხის ყდა, ტვიფრული; მხედრული; იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან (ძვ. N 314); მინაწერი: „ქ. საქართველოს მეფის სძლის ქეთევანის არის ესე წიგნი, წერეთლის ასულის“ (1r).

Q ფონდი

18) 330 - ასლი (გაღამწერი - დიაკონი ალექსი ბაქრაძე, 115v, 261r).

თარიღი: 18 სექტემბერი, 1861 წელი.

კრებული, 266 ფ.; 21,5x17,5; ქალაღდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა, მაგარი ფიცრისა; მხედრული, დასაწყისი ასოები - მთავრულით, სათაურები - ჭიაფერა მეღნით; დაუწერელია: IIv-Xr, 116r-120v, 133v, 184v, 228v, 261v-266v; ტექსტი გაღამწერიღია მწყემსმთავარ იოანეს ბრძანებით. ერთვის ფერადებით ნახატი იოანე ოქროპირის პორტრეტი (Xv). შეწირული ყოფიღა ბებნისის ეკლესიისთვის. წიგნის პირველ განყოფიღებაში შეღის: „ოქროს წყარო“(1r-115v). მეორეში - „მღუღელ-მთავრისა ლიტურღიის გაღმარტება სახისმეტყუღლებითი...“ (121r-133r). მესამე განყოფიღებაში შეტანიღია „გვრგვნი“(135r-261r).

ანღერძი: 1. „ყოვღად უსამღუღეღოესს მწყემსმთავარს იოანეს! თქუღწნის ყოვღად უსამღუღეღოესობის ბრძანებისა მიერ აღწერიღი ჩემ მიერ წიგნი ესე „ოქროს წყარო“ გემღუნის ყოვღად უმღაბღესად; თქუენი ყოვღად უსამღუღეღოესობის მარად მორჩიღ-ერთგული მონა - დიაკონი ალექსი ბაქრაძე“ (115v).

ანდერძი 2. „სრულ იქმნა სულისა გვირგვინი სადიდებელად ძისა, ღვთისა ცხოველისა. ამინ. ქრისტეს აქეთ 1861 წ., სექტემბერსა 18-სა. უკეთუ ცთომილება რამე იხილოთ, ნუ მწყევთ, არამედ შენდობა ბრძანეთ ბრძმის, უგუნურის და ცოდვილის დიაკონის ალექსისათვის. სისწორეს ვცდილობდი“ (261r).

19) 335 - ასლი (გადამწერი - იაკობ მთავარდიაკონი ავალოვი, 31v).

თარიღი: 1828 წელი.

კრებული; 120 ფ.; 21x17; ქაღალდი, ხის ყდა, ტვიფრული ტყავით შემოსილი; მხედრული; სათაურები სინგურით, დასაწყისები მთავრულით, ზოგან ჩართულად (116r); ჭიისგან ოდნავ დაზიანებულია 90-120-ე ფურცლები; დაუწერელია 32, 52, 116v, 119v, 120 ფფ. 116r - ჯვრის გამოსახულება; შემენილი ნინო შიოშვილისგან. წიგნის პირველ განყოფილებაში შედის „ოქროს აღნაქუსი“ (3r-31v), მეორეში - „გვრგვნი“ (33r-119r).

ანდერძი: „მე დავშუჭრ ამად, ერთი მწამს სამად: სულად, ძედ მამად, იუდეელთ ჟამად; 1828 აპრ. 18-სა დღესა იაკობ მთავარდიაკონის ჰელით დასრულდა წიგნი ესე, ავალოვით“ (31v).

20) 567 - ასლი.

თარიღი: XIX საუკუნე (ჰვირნიშანი 1857).

155 ფ.; 21x16,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; დაზიანებული; მხედრული; უანდერძო და უთარიღო; დაუწერელია 154v-155v; „გვრგვნი“ ერთვის აპოკრიფული თხრობა სოდომისა და გომორის შესახებ (147r-154r).

21) 654 - ასლი (გადამწერი - ხუცესი სვიმონ, 238r).

თარიღი: 1797 წელი (ჰვირნიშანი არ აქვს).

კრებული; 247 ფ.; 21,5x15,5; ქაღალდი; ტყვაგადაკრული ტვიფრული ხის ყდა, დაზიანებული; ნუსხური, სათაურები სინგურით, თავსამკაული (114v); გადაწერილია მღვიმის წინამძღვრის, არქიმანდრიტი იოანესთვის (238r); მისი მფლობელი ყოფილა მღვიმის მონასტერი; დაუწერელია 114r; წიგნის პირველ განყოფილებაში შესულია: „ოქროს წყარო“ (3r-100v); მეორეში - „ლიტურგიის განმარტება“ (101r-113v); მესამეში - „გვრგვნი“ 114r-238r) და სხვა. სულ შედის რვა ნაშრომი. მრავლად აქვს მინაწერები.



22) 718 - ასლი (გადამწერი - ბერი პორფირი (კალიგრაფიის მიხედვით).

თარიღი: მე-18 საუკუნის მიწურული (ჭვირნიშანი 1791, 175 ფ.).

კრებული; 213 ფ.; 16x10; მოლურჯო ფერის ქაღალდი; მხედრული, დასაწყისები მთავრულით, სინგურით; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; დაზიანებულია 1-3, 10, 35, 42, 179, 187, 212-213 ფურცლები; ფერებით შესრულებული გვირგვინი (20v); ყოველი თავის დასაწყისში თავსამკაული; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა; წიგნის პირველ განყოფილებაში შედის „ლიტურგიის განმარტება“ (1r-19v). მეორეში - „გზრგზნი“ (21r-210v), ბოლოს კი დართული აქვს „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა სწავლა ჭემმარტისა სიყვარულისათჳს“ (211r-213v).

23) 724 - ასლი (გადამწერი - მამუჩაშვილი იოანე, 143v).

თარიღი: 1810 წელი (143v).

კრებული; 169 ფ.; 19,5x15,5; ქაღალდი; ყდიდან შემორჩენილია მხოლოდ ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ქვემოთა ნაწილი; მხედრული, სათაურები სინგურით, დასაწყისი ასოები მთავრულით; თავბოლონაკლული; ქაღალდი გაყვითლებული და დალაქავებულია; გადაწერის ადგილი - მოსკოვი (143v); ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა; წიგნი იწყება ნაშრომით: „გზრგზნი“, რომელიც თავნაკლულია; პირველ თხრობას დასაწყისი აკლია.

ანდერძი: „სრულ იქმნა „გზრგზნი“ სადიდებელად ძისა ღმრთისა ცხოველისა. ამინ. მათის უდიდებულესობისა და უთვითმპყრობელობის სრულიად როსიის კელმწიფის იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძის პალატსა, ქალაქსა შინა სამეუფოსა მოსკოვს. კელითა ცოდვილის მღუდლის მამუჩაშვილის იოანესითა, დასაბამითგან წელსა კტიწ, ხოლო განხორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა ჩყი (1810)“ (143v). ვრცელი კვლევა იოანე მამუჩაშვილზე იხილეთ: „XVIII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები“. გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1965, გვ. 75-118; მეორე განყოფილებაში შესულია ზაქარია გაბაშვილის „განზრახვანი“ (145r-169v); ხელნაწერი ბოლონაკლულია.

შენიშვნა: 144r-v-ზე მოგვიანო, ძირითადი ხელისგან განსხვავებული ხელით დაწერილია „სამთვაროს“ ერთი ნაწილი. მინაწერი: „ეს წიგნი არის გვირგვინი, მოთხრობა რიცხვით ასისა,/ ღირსთა და მართალთ დედათა და წმიდათ მამათ დასისა,/ გასყიდვის ფიქრი არა მაქვს და არც აღებად ფასისა,/ და ვინცა მთხოვოს, არვის ვაჩუქებ, ცუდად აიგდებს თავს ისა“ (143v).

24) 769 - ასლი.

თარიღი: XIX საუკუნე.

კრებული; 84 ფ.; 33,5x21; ქაღალდი; ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა; დაზიანებული; მხედრული; სათაურები სინგურით, დასაწყისი ასოები მთავრულად; დაუწერელია 34, 37-84 ფურცლები; გადამწერი უცნობია; ხელნაწერი 1942 წელს მუზეუმს გადმოსცა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა. წიგნის პირველ განყოფილებაში შესულია „მოქცევა მირიან მეფისა...“ (1r-24r); მეორე განყოფილებაში - „გვრგვნი“ (25r-33v); შეიცავს „გვრგვნის“ პირველ თხუთმეტ თხრობას.

მინაწერი: „ჩემი წიგნების კატალოგი. 1929 წელი, „ზაჰესი“ (35r); დასახელებულია 71 წიგნი (35r-36r).

25) 1087 - ასლი.

თარიღი: XIX საუკუნე (ჰვირნიშანი 1819).

220 ფ.; 16X10; ტექსტის ხელით, არაბული ციფრებით აქვს გვერდობრივი აღრიცხვა; ლურჯი ფერის, დალაქავებული ქაღალდი, ახალი რესტავრირებული; ლურჯი ფერის ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, ახალი შეკინძული, ტყავის ორი საკეტით; აქვს ყდის საცავი ფურცლები; თავბოლონაკლული; მხედრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; შექმნილია 1954 წ. 29 თებერვალს კ. პ. ბაქრაძისაგან. თავბოლონაკლული, იწყება პირველი თხრობის შუიდან: „...იგი პირნი, რომელნი სდგეს წმიდისა ზედა ტრაპეზსა“ და მთავრდება მესამე თხრობის ბოლოს: „...მამაო, უკეთუ სათნო გიჩნს წყალობად, უბრძანე რათა მოვიდეს მღუდელიცა და პირველად აღასრულოს სამდთო მსახურება წირვისა“.

შენიშვნები: 1. დასაწყისში აკლია სამი ფურცელი. 2. კიდევზე მოთავსებულია განმარტებები იგივე კალიგრაფიით, რითაც ტექსტია შესრულებული: „კელავრა არს

მეკუჭნავე“(67r); „ფინიკი არს ხურმაა“(167v); „ორნატი არს სახნავი“(181v); „მდელო არს მწვანელი“ (205v); „ნუ გიკვრს, მსმენელო, უეკლესიობისთვის, რამეთუ პირველთა მღუდელთა, უწყოდე, გზათა მავალთა ნაკურთხისა ტრაპეზისა თანა ქონებად და მას ზედა სწირვიდენ საჭიროებისათვს“(212ა r). 212ა წარმოადგენს პატარა ნაგლეჯს, რომელიც, როგორც ჩანს, ადრე (შეკინძვამდე) 212r-ზე იყო დაკრული, დღეს იგი მოთავსებულია 211v-სა და 212r-ს შორის.

26) 1235 - ასლი (გადამწერი - ბეჟან გამყრელიძე).

თარიღი: 1813 წელი (177r). ჭვირნიშანი: 1812 (83v).

კრებული. 180 ფ.; 15,5X19,3; მოყვითალო სქელი ქაღალდი; რესტავრირებული, ნაწილობრივ დაზიანებულია ფფ. 36, 172, 178; ხის ყდა, ახლადშემოსილი ლურჯი კოლენკორით, ყუაც ამავე კოლენკორისაა. აქვს თეთრი საცავი ფურცლები; თავნაკლული; მხედრული, დასაწყისი ასოები მთავრულით; შავი მელანი, სათაურები სინგურით, დაუწერელია 179r. ფ. 178 სხვა ხელნაწერის ფრაგმენტია. მხედრულით ნაწერი [XVIII-XIX სს.] შინაარსით ასახავს წმიდა ანდრიას საქმიანობას. თავნაკლული.

შენიშვნები: 1. ერთვის ზანდუკი: „ესენი არიან ზანდუკი წერილსა ამის ღვთივ სულიერთა თხრობათანი“(130v-133v). 2. ტექსტი იწყება „თხრობა ბ“-ს დასასრულიდან. 3. „გვრგვნი“ მთავრდება გაბრიელ მცირის „ბეჭედით“: „ღვთივ სულიერსა ამას წერილსა ეწოდების გვირგვინი, ამათ ესევითართა მიზეზთათვის: რამეთუ, ვითარცა გვირგვინი პატიოსანი შემკობილი არს მრავალფერთა პატიოსანთა ნივთთა თვალმარგალიტთა მიერ, ეგრეთვე ესე გვირგვინი სულისა შეწყობილ არს და შემკობილ მრავალთა საღთოთა კეთილთხრობათა მიერ. იგი გვირგვინი შემკობილ ყოფს თავსა ღირსთა მისთასა და ესე აბრწყინვებს აღმასრულებელთა თვისთასა, რომელსა ქონან თვის შორის თავნი ხუთნი, მსგავსად ხუთ საგრძნობელთა ჩუენთა, რომელნი იპოებიან თავსა შორის ჩვენსა. ხოლო სულიერთა თხრობათა რიცხვი არს ასი. მეზრ იგავისა, რომელსა ედგა ასი ცხოვარი და მოსურნეთა ნაყოფიერებრ ყოფს ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად. ამინ“(130r).

ანდერძი 1. (გადამწერისა): „სრულ იქმნა სულისა გვირგვინი სადიდებელად მისა ღვთისა ცხოველისა, ამინ. ღვთისათვის გვედრები ყოველთა მხილელთა,

უკეთუ ცთომილება რადმე იხილოთ, ნუ მწყევთ, არამედ შენდობას ჰყოფდით ცოდვილისა ჩემთვის, უფალნო. აღიწერა წიგნი ესე პეტრე ბურხვს, ჰელითა გამყრელიძის ბეჟანისათა, რომლის ხსენება იყავნ უკუნისადმდე“(133v). ანდერძის ბოლო წინადადება მიწერილია სხვა ხელით. დასასრული ოთხი სიტყვა მეტად ბაცი მელნით წერია.

ანდერძი 2. (გადამწერისა): „აღიწერა ხელითა ბეჟან გამყრელიძისათა სანკტ პეტრე ბურდს, წელსა ჩყიდ აგუსტოს კგ. თუ შეცდომილება იხილოთ, ნუ მწყევთ, ღვთის მოყვარენო, შენდობას მიბრძანებდეთ“(177r). ბოლო წინადადება ანდერძს მიწერილი აქვს განსხვავებული ხელით. განსხვავებული ხელითვე გრძელდება მინაწერი: „ქ. ღმერთმან და განმაცხოველებელმან ჩვენმან ქრისტემ აცხონოს ამ წიგნის დამწერი ყოვლითურთ“(177r).

მინაწერები (მხედრულით): 1. „სვიმონ, ნიკოლოზ“(177r). 2. „[მო]ცემულ კალამს წვერი მამიტ[ყდა]. ჩემო სვიმონ, თუ ქონდეს ამის მეტი კალამი, მამეცი შენი...“(177r). 3. „ეი უძლურებაო ჩემო და ამ სოფლის ვითა[რებაო]. რა არს სოფელი ესე, ანუ ვითარება სოფლისა ამის, ანუ რა არს ცხოვრება ჩვენი სოფელსა ამას შინა, ვაი არს კაცისა მის, ვინცა მინდობილ არს სოფელსა ამას ჩემებრ უბადრუკისა“(179v). 4. „თქვენო კეთილშობილებაჲ. მოწყალეო ხელმწიფე ნიკოლაი ივანიჩ, შენ მშვიდობით...“(179v). ერთმანეთში არეული, გაურკვეველი ხელის, უმნიშვნელო მინაწერები 177r-v, 179v, 180r-v.

27) 1336 - ასლი (გადამწერი - ბერი პორფირი).

თარიღი: 1796 წლის 14 მაისი (გვ. 405); აქვს ჭვირნიშანი, წელი არ ფიქსირდება.

409 გვ.; 9X11; ცისფერი (1-235 გვ.) და თეთრი (236-409 გვ.) ქაღალდი, დალაქავებულია 1-2 გვერდები; რესტავრირებული ხის ყდა, მუქი შინდისფერი ტვიფრული ტყავით შემოსილი, ყუა მუქი ყავისფერი ტყავის. აქვს შესაკრავი თასმები, ყავისფერი ქაღალდის საცავი ფურცლები. ხელნაწერში დევს ყავისფერი ტვიფრული ტყავის ნაკუწი – ყოფილი ყუის ნაწილი; აკლია 8-11 გვერდები. კალიგრაფიული მხედრული, წვრილად ნაწერი თავთა სათაურები ჩართული მთავრულით, თხრობათა სათაურები - მხედრულით. სათაურები სინგურით. დასაწყისი ასოები – მთავრულით. დაუწერელია გვ. 403; ტექსტი განთავსებულია 1-

393 გვერდებზე. ერთვის: „ბეჭედი“ (გვირგვინის). ზანდუკი (გვ. 395-402). თითოეული თავის ბოლოს დიდი ზომის მხედრული ასოთი წითლად წერია იმ თავის რიცხვითი სათვალავი: ა, ბ, გ, დ, ე. ასოთა მოხაზულობებს ქმნის ასომთავრულით შესრულებული სიტყვები: დასასრული პირველისა თავისა, მეორისა თავისა და ა. შ.

მინაწერები: 1. „თუჯსა ფებერვალსა იდ. წმიდისა მამისა ჩუჭნისა ავექსენტი საკვრველთმოქმედისა, რომელი იყო მცირისა თეოდოსის ზე კერძოთაგან აღმოსავალისათა...“ (გვ. 404-405).

28) 1356 - ასლი.

თარიღი: 31 [??] 1806 წელი.

კრებული; 125 ფ.; 21X16,5; მოლურჯო ქაღალდი; ჩასმულია ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში; ყდაზე, წინა და უკანა მხარეს ამოტვიფრულია მცირე ვარდულები, რომლებიც ქმნიან ჩარჩოსა და დიაგონალებს; წინა მხარეს ჩარჩოს შიგნით ჩახაზულია რომბი დიაგონალებით; რომბის გვერდებისა და დიაგონალების გადაკვეთაზეც ვარდულებია ამოტვიფრული; ტექსტი და სათაურები ნაწერია მხედრულად, შავი მელნით. სათაურები არ გაირჩევა დანარჩენი ტექსტისაგან; ბოლო ფურცელს (125) ქვედა ნაწილი მოხეული აქვს; ყდაზე დაწებებულ ოთხკუთხა ფურცელზე მიწერილია: „სიბრძნე ბალავარისა“ (გვ. 1-100) და „გვრგვნი“ (გვ. 140-249); იქვე მიწერილია: „ლოცვა“ (გვ. 100-108), „სიტყვა ანასტასი სინელისა“ (გვ. 109-139); ხელნაწერს აქვს ძველი პაგინაცია ორმაგად: ანბანური (კაბადონის ქვემოთ, შუაში) და ციფრობრივი (კაბადონის ზემოთ, გარე კიდეზე). ახალი პაგინაცია – ფანქრით. საცავ ფურცელზე წერია „გვრგვნის“ სარჩევი, გვერდების მითითებით; დაუწერელია გვ. 166.

მინაწერები: 1. „მარიამ, მის მაღალს კეთილშობილებას“ (საცავ ფურცელზე). 2. „ენკენისთვის ნახევარს ჩყვ წელსა ბეჭდები დავხსენ ტერგისესაგან“ (I საცავი ფურცელი). 3. „თარგმნილი ეფრემისი“ (გვ. 119). 4. „ერთი უტევანი არის ას ორმოცდასამი ბიჯი“ (გვ. 148). 5. „აღიწერა ლა დღეს წელსა ჩყვ 13-სა, უჟა, მკათათვის ვ. ოცს დღეს გამოვედით სოფლიდამ და მთვარის ოთხსა დ“ (გვ. 250). გადაწერის დასრულების თარიღი - 1806 წელი. კრებულში შედის „გვრგვნის“ მხოლოდ 30 თხრობა.

29) 1418 - ასლი (გადამწერი - გრიგორი ნერგიძე).

თარიღი: 20 ნოემბერი, 1836 წელი.

227 ფ.; 16X10; მოყვითალო ფერის ქაღალდი; მუყაოს ყდა, მუქი ყავისფერი კალენკორით შემოსილი; მხედრული, დაშლილი. ანდერძი: „1836-სა წელსა, ნოემბრის 8-სა რიცხვსა ვიწყე აღწერაჲ ამის წმიდისა მოთხრობისა და სასარგებლოდ სულისა და ხორცთათჳს. წოდებული ესე გვირგვინი სასულიეროს სემინარიის უჩიტელმან მესამეს კლასისამ - გრიგორი ნერგიძემ და სრულ ვყავ 20-სა რიცხუსა საპალატოსა აღსულასა ტახტსა ზედა ხელმწიფისა ნიკოლოზ პავლესძისასა, და ღირსისავე მამისა ჩვენისა გრიგოლ დევაპოლელისასა. ხოლო წარმკითხველნი ამისნი და დამმარხუელნი წმიდისა ამის მოთხრობისანი, ღირსეულად იჩინოს და ღირს ჰყოს სასუფეველსა ცათასა ყოვლად სახიერმან იესუ ქრისტემან ოდეს მოვიდეს დიდებითა თჳსითა და ყოველნი ანგელოსნი მისნი მისთანა და მეცა უღირსი და ცოდვილი ასთა ამათ წმიდათა მოთხრობათა შინა მომიგონებდეთ და სიყუარულსა ჰყოფდეთ ჩემ ზედა. უკეთუ რამე შეცთომა ასოთა, ანუ სიტყუათა, ანუ წერილთა იხილოთ, ნუ შეურაცხყოფთ, არამედ თორმეტსა დღესა სრულ-ვჰყავ, რამეთუ სულმოკლეობასა მიცემულ იყო წიგნისა ამის მთხოვნელი, რომლისა დედანისაგანაც აღვსწერე. სრულ იქმნა საულისა გვირგვინი სადიდებელად ძისა ღმრთისა ცხოველისა“.

მინაწერები: 1. „ალექსანდრე დავიდოვ“(1r); 2. „Из Книг Григория Аергидзева 1837 года февраля 12 числа“(1r); 3. „წმიდის გიორგისა. ეს წიგნი ეკუთვნის გორის უეზდის წაღვლის პრიხოდის დიაკონს სფირიდონ გქლიემ“(227v); 4. „ესე წიგნი ეკუთვნის გორის, უეზდის წაღვლის პრიხოდის დიაკონს სფირიდონ გრძელიევსა ჩღპდ (1884), 4, მაის“(227v); 5. „Етого Книга Следует Гориской уезда Диякона Спиридон Грзелиева 1884 года“(227v); მინიატურები: 1v, 3r-v, 93r, 134v, 171v.

30) 1505 - ასლი (გადამწერი - მღუდელმონაზონი თეოდოსი).

თარიღი: 15 თებერვალი, 1885 წელი.

57 ფ. 21x16; მოყვითალო ქაღალდი; მუყაოს ყდა, ახლადშემოსილი მუქი მწვანე კოლენკორით, რომელსაც დაკრული აქვს მომწვანო დეკორაციული ქაღალდი; ტექსტი - შავი მელნით; თხრობათა სათაურები - მხედრულით, მოიისფრო მელნით;

თავასოები - ასომთავრულად, მოიისფრო მელნით; 55-57 ფურცლები დაუწერელია; 2r განთავსებულია „ბეჭედი“.

ანდერძი: „ღუთივ სულიერის ამა წერილისა გადმოწერილ იქმნა ქ. თფილისსა შინა წმიდა ფერიცვალების მონასტერსა შინა მყოფის მოსამსახურის კაზნაჩეად წოდებულის უღირსის ხელით მღუდელმონაზონის თეოდოსეს მიერ, მოსახსენებელად სულისა ჩემისა. წარმკითხველნო შენდობას ვითხოვ თუ რადმე შეცდომანი იპოვნოთ. 1885 წელსა იე-ს თებერვალისასა“(2r).

მინაწერი: „Изъ Книгъ Діакона Тифліскаго Катедральнаго Сионскаго Собора Димитрія Лазарева, 1896 года“(1r).

31) 1618 -ასლი (გადამწერი -კანდელაკი გიორგი იაკობისძე).

თარიღი: 1892 წელი.

252 გვ. 22x17; მოყვითალო ქაღალდი; მუყაოს ყდა, ახლადშემოსილი ყავისფერი კოლენკორით, ყუაზე დაწერილია: „გვირგვინი“; ტექსტი - მხედრული, შავი მელნით; თხრობათა სათაურები - მხედრულით, სინგურად; თავასოები - ასომთავრულად, სინგურად. სათაურები - წითელი მელნით; პირველ გვერდზე ფერადებში წარმოდგენილია გვირგვინისა და ჯვრის გამოსახულება.

ანდერძი: „წიგნი ესე გვირგვინი გადმოვსწერე ქვათახევის მონასტრის ბიბლიოტეკიდან, რომელიც იყო ხელთ ნაწერი და მაშინ დაბეჭდილი არ იშოვებოდა ჩემს მუნ მყოფობასა შინა. შეიწყალე უფალო გიორგი იაკობისძე კანდელაკი. 1892-სა წელსა.

32) 1644 - ასლი.

თარიღი: XVIII-XIX საუკუნე (ჭვირნიშანი - 1791, 171 ფ.).

კრებული; 218 ფურცელი; 21x16; მომწვანო ქაღალდი; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა; თავბოლონაკლული - დასაწყისში აკლია 1 ფურცელი; ტექსტი - მხედრული, შავი მელნით; თხრობათა სათაურები და თავასოები - ასომთავრულად, სინგურად. აქვს შესაკრავი თასმები; პირველ განყოფილებაში შესულია „გვრგვნი“(2r-88v), მეორე განყოფილებაში - „მოთხრობა წმიდისა კლემენტოსისა“(89r-147v), მესამე განყოფილებაში კი - წმიდა მაქსიმე აღმსარებლის შრომანი (147r-218v). პირველ და ბოლო საცავ ფურცელზე გამოხატულია გვირგვინი.

მინაწერები: 1. მაღალ ბეჯითი რატომ/ღირსი იყავ თუ/მამაო არა დიად/იოანე დამემდურ/მერომ ები აქამ/მგავდინაც მეგ/ენე იმ ნა რომ გამ/საქმეზე ირგებდი (1 საცავი ფურცელი); 2. „მომწერე თუ რაც ცხოვრებ/ღირსების ამბავი წურილად/გამოჩინებულო. თქუენი/ მონა მონათა შორის მისთა/სანატრელო და პატიოსანო“(1r); აქვს სხვა მინაწერებიც.

1v ფერადებით გამოსახულია გვირგვინი, ასევეა ბოლო საცავ ფურცელზეც.

S ფონდი

33) 1380 - ასლი.

თარიღი: XIX საუკუნე (ჭვირნიშანი 1808-1809).

კრებული; 370 გვ.; 19,5X15,8; ქაღალდი (თეთრი და ლურჯი ფერის); ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა; ბოლონაკლული; მხედრული; სათაურები და დასაწყისები სინგურით; დაუწერელია 329v; 312-ე გვერდზე არის „გვრგვინის“ ბეჭედი, ხოლო 312-319 გვ. - ზანდუკი. 321-370 განთავსებულია ზაქარია გაბაშვილის „განზრახვანი“(ბოლონაკლულია).

მინაწერები: ჩყვ [1836] წელსა თებერვლის ჩვიდმეტს დაიბადა მაკრინე (319 გვ.); „მარიამობის თვის ოთხსა დაიბადა ანჭსიაკვისა“(319).

34) 2331 - ასლი (გადამწერი - პავლე ჯავახიშვილი).

თარიღი: 15 ივნისი, 1803 წელი.

1+195 გვ.; 20,5X16,5; ქაღალდი მოლურჯო ფერის; ლიდერინგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; დასაწყისები მთავრულით; თავსამკაულად ლითოგრაფიულად დაბეჭდილი გამოსახულებები იესო ქრისტესი, ღმრთისმშობლის და იოანე ნათლისმცემლისა (1 გვ.); Iv-ზე დახატულია გვირგვინი; ამ წიგნის ანდერძი მოქცეულია S 2330 ნომრით დაცულ ხელნაწერში. როგორც ჩანს, პირველად ეს ორი ხელნაწერი ერთი წიგნი იყო, ხოლო მოგვიანებით სხვადასხვა ყდაში ჩაუსვამთ.

ანდერძი: „სრულ იქმნა სულისა დამატკობელი ესე წიგნნი სამნი, რომელ არიან „გვრგვინი“, „სამოთხის ყუავილი“ და „მანანა“ ჳელითა უღირსის მღუდლის ჯავახიშვილის პავლესითა, გარნა თუ ცთომანი მრავალნი არიან, მარა სრული და უცთომელი ღმერთი არს და არა კაცი. ამისთვის ვითხოვ შენდობასა, მიზეზნიცა



მრავალნი მქონან და რალა განვაგბო. აკურთხევდით მწყევართა თქუწნთა, აკურთხევდით ნუ სწყევთ, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. თვესა ივნისსა იე, წელსა ჩყგ“.

საქართველოს ეროვნული არქივი

35) 99 - ასლი.

თარიღი - XVIII-XIX საუკუნე.

61 ფ.; 17,2x10,7; ქაღალდი (მოლურჯო); მუყაოგადაკრული ტყავის ყდა; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); შემოსულია 1924 წელს დიმიტრი დეკანოზიშვილისგან (თელავი).

36) 121 - ასლი (გადამწერი - მეფის ძე ბაგრატ, 481 გვ.).

თარიღი - 3 აპრილი, 1815 წელი.

481 გვ.; 20,5x12,8; ქაღალდი (ლურჯი); მხედრული, თავასოები ასომთავრულად, სათაურები და თავასოები სინგურით. შემოსულია 1925 წელს ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

ანდერძი: „სრულ იქმნა ძალითა ღმრთისაჲთა სულისა გარგვინი, სადიდებელად ძისა ღმრთისაჲ ცხოველისა, ამინ. წელსა 1815, აპრილის 3, ჳელითა მეფის ძის ბაგრატისათა. ს პეტერბურხს“(478 გვ.).

მინაწერი: „წმიდაო მამაო გაბრიელ, მეოხ მეყავ ქრისტესთანა და მფარველ, მყოფსა მწირობასა შინა ჩემსა როსიას. აღმწერსა ამა გარგანისასა საქართველოს მეფის გიორგის ძეს ბაგრატს, მეუღლით, ძით და ასულებითურთ. ჳი მკითხველნო, ცოდვილის სულისა ჩვენისა შენდობა უბრძანეთ მეფის ძეს ბაგრატს საკთ პეტერბურხს 4.4.1815“(481 გვ.). სხვა მინაწერები იხილე გვ. 10-11-ზე.

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

37) K 117 - K 309 - ასლი (გადამწერი - ხუცესი სიმონი, 176r).

თარიღი - 1797 წელი.

კრებული; 414 ფ.; 16X11; ქალაღი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ზედა ყდაზე შიგნიდან გადაკრულია ნუსხა ხუცური წიგნის ფურცელი); ნუსხური; სათაურები სინგურით; 1797 (414r); გადამწერი ცოდვილი ხუცესი სიმონი (176r); დამკვეთი - მთვარეპისკოპოზი ანტონ ჩიჯავაძე (174v); ძველი პაგინაციით 52 რვეულია; წიგნის პირველი ნაწილია - „ოქროს წყარო“(1r-176r), მეორე - „ლიტურგიის განმარტება“(177r-197v), მესამე - „გვრგვნი“(198r-414r).

38) K 191 - ასლი (გადამწერი - ონოფრე ბაქრაძე).

თარიღი - 22 დეკემბერი, 1823 წელი.

160 ფ.; 20X16; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; ანდერძი: „ალიწერა წიგნი ესე ხელითა ონოფრე ბაქრაძისათა, წელსა ჩყვბ, დეკემბრის კბ დღესა“(146r).

39) K 309 - ასლი (გადამწერი - ალექსი ბაქრაძე).

თარიღი - 1861 წელი.

კრებული; 205 ფ.; 16,5X10; ქალაღი; ქსოვილგადაკრული ხის ყდა; ნუსხური და მხედრული; სათაურები სინგურით; 1861 (90v, 205r); ნაწილობრივ დაზიანებული; გადამწერი ალექსი ბაქრაძე (205r); დასურათებული; შემოსული ბაგრატის ტაძრის სამხრეთ კედელზე მიშენებული პატარა ეკლესიიდან; წიგნის პირველი ნაწილია „ოქროს წყარო“(1r-88r), მეორე - „ლიტურგიის განმარტება“(91r-99v), მესამე - „პირი წიგნისა... ფუბლიო ზენტულო მთავრისაგან...“(100r-101r), მეოთხე - „გვრგვნი“(103r-202r).

ანდერძი 1: „ოქრომდინარისა იოანეს სატკბილსიტყვაობისათჳს ყოვლადის სურვლით და ფრიადის ტრფიალებითა მღელვარესა ზღვასა უძლე დაუნთქმელად, 8 ივლისიდან ვიდრე 20 ივლისადმდე, შეპყრობილმან მხურვალე სენითა ძალითა ღმერთ მამაკაცისა ღმრთისა სიტყჳსათა წარვსწერე 1861 წელსა. და მწერალი ამისი გევედრები ყოველთა მხილველთა ლოცვით მომიხსენეთ, რამეთუ ფრიად სიჩქარით ვსწერდი, მომიხსენეთ, ძმანო, ყოვლად უღირსი დიაკონი ი. ალექსი ბ.“(90v).

ანდერძი 2: „დასაბამითგან ჳტდთ - 7369, ხოლო ქრისტეს აქეთ ჩყდა - 1861 და ქართულსა ქრონიკონსა ფმთ, ალექსი ყოვლად უღირსმან დიაკონმა, სქესით ვითარ

აზნაურთაგანმან, ბაქრაძემ დაბასა შინა სევას აღჰვსწერე წიგნი ესე. ღმრთისათჳს გევედრები ყოველთა მხილველთა, ცთომილება თუ რადმე იხილოთ წერილსა, ანუ უმეტესად მხატვრობისა, ნუ მწყევთ, რამეთუ ესე საქმე დიდთა წმიდათა არს სამოქმედო, ხოლო მე ვაიძულე უძლური და უგუნური თავი ჩემი მოქმედებად მხატვრობათა თავთავის მოქმედებისათჳს ძალითა და თანამოქმედებითა სულისა ყოვლად წმიდისა და ფრიადითა სასოების დადებითა და წადილითა საღმრთოისა ამის საქმეთათა. გევედრები ყოველთა შენდობა ბრძანოთ ჩემ უღირსისათჳს“(205r).

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, ზუგდიდი  
40) ზსიემ 23374/ხწ 16 - ავტოგრაფი.

თარიღი - 29 ივლისი, 1794 წელი.

194 ფ; 16X11; ქაღალდი ჭვირნიშნით; მხედრული; ხის ტყავადაკრული ტვიფრული ყდა; გადაწერის ადგილი: მრავალმთის უდაბნო, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი.

მინაწერები: 1. „დაგადგა უფალმან თავსა შენსა გვრგვნი ქვისა მისგან პატიოსნისა“(1v).

სერგი მაკალათიას სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, გორი  
41) გსიემ 82/4595 - ასლი.

თარიღი - XVIII-XIX საუკუნე.

8 ფ.; 21,3X13,5; ქაღალდი ჭვირნიშნით; მხედრული; უყდო; სათაურები და საწყისი ასოები მთავრულით, სინგურად; ნაკლული; ფრაგმენტი, სულ რვა გვერდია. იწყება „გვრგვნის“ მეხუთე თავიდან; რესტავრირებულია.

მინაწერი: 1. „წმიდათა კაცთა ცხოვრება“(1r)

ოქსფორდის უნივერსიტეტი, ბოდლეს სახელობის ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი,  
უორდროპის კოლექცია

42) MS wardr. e15 - ასლი.

თარიღი - 1864 წელი.

კრებული, 88 გვ., 21X16; ქალაქი; წიგნის პირველი ნაწილია - „გვრგვნი“ (3-36 გვ.), ხოლო მეორე - „სიბრძნე სიცრუვის წიგნი, ნათარგმნი რუსულით ენითგან“ (39-88 გვ.).

43) MS wardr. f7 - ასლი.

თარიღი - XIX საუკუნის დასაწყისი.

169 ფ.; 16X10; ქალაქი; მხედრული; სათაურები მთავრულით, სინგურით; ბოლონაკლული (აკლია სარჩევის ნაწილი)<sup>29</sup>.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი (პეტერბურგი)

44) C30 (C18) - ასლი (გადამწერი - ხუცესი სიმონი, 179r).

თარიღი - 1800 წელი.

183 ფ.; 10,5x16,5; დასაწყისი სამი ფურცელი და ბოლო გვერდი დაუწერელია; ჭვირნიშანი 4, 5, 7, 68 და სხვა; ნუსხური; საზედაო ასოები მთავრულით; ყავისფერტყავადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა.

ანდერძი: „ღმრთისათვის გვედრები ყოველთა მხილველთა უკეთუ ცთომილებაჲ რამე იხილოთ, ნუ მწყევთ, არამედ შენდობას ყოფდით ცოდვილის ხუცის სჯომნისათჳს. ირწმუნეთ, დიდად სიმართლეს ვცდილობდი, მაგრამ ადამის შული უცთომელი ძნელად იქნებაჲ, უფალნო. აღიწერა წელსა ქრისტეს აქეთ ჩყ, თუჴსა ნოენბერს კვ“ (179r).

მინაწერები: 1. „ღმერთი, რომელი სიყვარული არს“ (4r); 2. „სრულ იქმნა სულისა გვრგვნი სადიდებელად ძისა ღმრთისა ცხოველისა. ამინ. ჩყ“ (178v).

აქვე აღვნიშნავთ, რომ არსებობს უთარიღო, მხედრულად შესრულებული ხელნაწერი სახელწოდებით: „გვირგვინი“, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში Q 540 ნომრით არის დაცული. ის არ არის გაბრიელ მცირის მიერ

---

<sup>29</sup> David Barrett „Catalogue of the Wardrop collection and of other Georgian books and manuscripts in the Bodleian library“, Oxford, 1973, pp. 342-343 and p. 346.

შედგენილი „გზრგზნი“, არამედ წარმოადგენს ლოცვების კრებულს. მასში შედის ლოცვა დიდმარხვისა და „ჯვარის გზა“. ყოფილა ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის კუთვნილება. გადაწერილი უნდა იყოს XIX საუკუნეში.

წამოდგენილი სია და აღწერილობა ასახავს არა მარტო „გზრგზნის“ ტექსტთა გამრავლების ისტორიას, არამედ მათ ენობრივ განსხვავებებს. მათზე მინაწერები კი - მრავალ ფაქტსა და მოვლენას.

ყურადღებით შევისწავლეთ ყველა ეს ხელნაწერი, რათა მოგვეპოვებინა დამატებითი ცნობები კრებულის შემდგენლის - გაბრიელ მცირისა და ნუსხათა წარმომავლობის შესახებ. ამ მხრივ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში A 228-ე ნომრით დაცული ავტოგრაფის ის ადგილი, საიდანაც ჩანს, რომ ამ წიგნის აღმწერი („მლუდელმთავრობისა თქვენისა შესაბამი სახის-მეტყველებაჲ აღვსწერე“) არის „იერომონახი გაბრიელი“. ეს ადგილი შევადარეთ ტექსტის დანარჩენ ნაწილებს, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ მთელი ტექსტი ერთი ხელით არის დაწერილი. შემდეგ ამ ავტოგრაფიდან ამოკრებილი ხელწერის ნიმუშები გრაფიკულად შევადარეთ გაბრიელ მცირის მიერ შესრულებულ სხვა ხელნაწერებს, როგორც ორიგინალურს, ისე გადაწერილს, რათა დაგვედგინა, რომელია მათ შორის გაბრიელ მცირის ავტოგრაფი და რომელი არა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გაბრიელ მცირის კალიგრაფია წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ამასთანავე შეიძლება ითქვას, რომ ყველა ხელნაწერი, რომელიც სიძველეთსაცავებშია დაცული, როგორც წმიდა გაბრიელის ავტოგრაფი, ნამდვილად გაბრიელ მცირის ხელით არის შესრულებული.

### თავი III.

## „გზრგზნის“ წყაროთა ტენდენციები

მეცნიერული, კრიტიკული გამოცემის მოსამზადებლად, კერძოდ, ძირითადი ტექსტის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს წყაროთა ანალიზს და გენეტიკურ კვლევას. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ უცხოეთის მრავალ ქვეყანაში გენეტიკური კვლევები ახალ სიმაღლეზე აიყვანა. შემუშავდა როგორც მოდერნიზებული მეთოდები, ისე მათზე მისადაგებული კომპიუტერული პროგრამები. ახალი მიდგომები, მაგალითად, გერდ მინკის კოჰერენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდი (Gurry, 2016) განსაკუთრებით მოსახერხებელია ხელნაწერ წყაროთა ისეთი სიმრავლის დროს, როგორც გვაქვს გაბრიელ მცირის „გზრგზნის“ შემთხვევაში. სიძველეთსაცავებში მისი 44 ნუსხა ინახება. წყაროთა ურთიერთმიმართების გასარკვევად შესასწავლია, რომელ ხელნაწერებში მეორდება ერთნაირი ფორმები და რომლებში გვაქვს იდენტური შეცდომები. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ტექსტი შეიძლება გადაწერილი იყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე ნუსხიდან (კონტამინაცია). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთნაირი შეცდომა ტექსტებში ყოველთვის არ მიანიშნებს მათ გენეტიკურ კავშირზე. შეცდომა მექანიკურადაც შეიძლება განმეორდეს.

იმის გამო, რომ თითოეული ვარიანტული სხვაობის ანალიზისას ამ ყველაფრის გააზრება და მთელი ინფორმაციის ერთმანეთთან შეჯერება ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს სცილდება, შემუშავდა კომპიუტერული პროგრამები (ამ ეტაპზე საუკეთესოა პროგრამა PAUP - ფილოგენეტიკური ანალიზი პარსიმონიისა და სხვა მეთოდების გამოყენებით (Hall, 2011), რომლებიც ამ ინფორმაციას თან აგროვებს და თან გადაამუშავებს. ამის შესახებ ვრცლად არის საუბარი ტექსტოლოგიის უახლეს სახელმძღვანელოში (ნინიძე, გიგაშვილი, 2018: 64-79). სამწუხაროდ, საქართველოში გენეტიკური კვლევის ასეთი პროგრამები და მათი გამოყენების პრაქტიკა ჯერ არ არსებობს. ამიტომ იძულებული გავხდით, წყაროთა ურთიერთმიმართების

გასარკვევად ისევ ძველი, მექანიკური ხერხებისა და ვარიანტულ სხვაობათა ტრადიციული, შედარებითი ანალიზისთვის მიგვემართა.

„გვრგვნის“ 44 ნუსხიდან ნაშრომისათვის დართული მეცნიერული გამოცემის მოსამზადებლად გამოვიყენეთ რვა უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი: ზსიემ 23374/ხწ 16; A 228; A 723, A 427; S 2331; S 1389; A 341; A 537. ეს ხელნაწერები შევარჩიეთ მათი სიძველის, ავთენტურობისა და სისრულის საფუძველზე. „გვრგვნის“ არსებულ ნუსხათაგან ყველაზე ძველია გაბრიელ მცირის ავტოგრაფი - ზსიემ 23374/ხწ 16. ვარიორუმში ხელნაწერების გარდა წარმოდგენილია სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის მიერ 1892 წელს წიგნად გამოცემული „გვრგვნის“. ამ პუბლიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან არ არის გამორიცხული, რომ გამომცემელს ხელთ ჰქონოდა ისეთი წყაროებიც, რომლებიც ჩვენამდე არ არის მოღწეული.

„გვრგვნის“ 44 ნუსხიდან მხოლოდ ორია ავტოგრაფი. ერთი თარიღდება 1794 წლის 29 ივლისით და დაცულია ზუგდიდში, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში, ხოლო მეორე - 1795 წლის 26 აპრილით და ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ბუნებრივია, კრიტიკული ტექსტის დასადგენად ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს ხელნაწერებია. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში ზსიემ 23374/ხწ 16 ნომრით დაცულ ხელნაწერს შემდგომში მოვიხსენიებთ, როგორც N 16-ს, ხოლო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდში A 228 ნომრით დაცულს კი - როგორც - A 228-ს. ამ ორი ავტოგრაფის შედარების საფუძველზე გამოკვეთილ ტენდენციებზე ქვემოთ ვსაუბრობთ.

## **§ 1. ავტოგრაფების ზოგადი დახასიათება**

XVI-XIX საუკუნეები ქართული ენისა და მისი მართლწერის განვითარებაში ძველიდან ახალზე გარდამავალი პერიოდია. ამის გამო ენის თვალსაზრისით XVIII საუკუნეში ჭრელი სურათია. გაბრიელ მცირის „გვრგვნის“ ავტოგრაფულ ტექსტებში ორთოგრაფია ერთი ხელნაწერის ფარგლებშიც კი არ არის მკაცრად დაცული.

მართლწერაში წარმოდგენილ სხვაობათა დაჯგუფებითა და ანალიზით იკვეთება, რომ გაბრიელ მცირე:

იყენებს როგორც გრაფემა „უ“-ს, ისე „ვ“-ს: ზუაობა - ზვაობა; აქვს - აქუს; მოგვცა - მოგუცა; ქვაჲ - ქუაჲ; ქვაბი - ქუაბი და სხვა.

ერთსა და იმავე სიტყვაში თანაბრად წარმოდგენს როგორც ძველ გრაფემა „წ“-ს, ისე „ე“-ს: ჰრქუწს - ჰრქუეს; თუწ - თვე; გუწრდსა - გვერდსა და სხვა.

ასევე იყენებს:

ძველი ქართულიდან შემორჩენილ ასოთა კომპლექსს „უწ“ და მის ახალ შესატყვისს: „ვე“: თუწ - თვე; სეფისკუწრი - სეფისკვერი და სხვა.

იყენებს ცალკეული სიტყვების ხან არქაულ და ხან ახალ მართლწერას: ქმნილ - ქმნულ; სიმთელე - სიმრთელე; მსუბუქი - სუბუქი და სხვ.

გვხვდება როგორც სიტყვების, ისე გრამატიკულ ფორმათა სხვადასხვაგვარი დაწერილობები: ქველისაქმე (N 16), ქველისაქმე (A 228); განრომილ (N 16), განვრომილ (A 228); განუტეონ (N 16), განუტევეონ (A 228); ეკრძალოდა (N 16), ეკრძალვოდა (A 228); შესჭამენ (N 16), შემჭამენ (A 228) და სხვა.

საგულისხმოა, რომ ხელნაწერებში გაბრიელ მცირე წიგნის სათაურებს, როგორც წესი, ასომთავრულით წერს და იყენებს ძველი ქართულის ორთოგრაფიულ ნორმებს. მაგალითად: „გვრგვნი“, „სამოთხის ყვაილი“, „ჯვარშემოსილი“. იგივე სიტყვები ტექსტში მხედრულად, უკვე ახალი მართლწერით გვხვდება: „გვირგვინი“, „სამოთხის ყვაილი“, „ჯვარშემოსილი“. ასევე აღსანიშნავია, რომ ავტოგრაფების ტექსტებში ასო ჯ საერთოდ არ არის გამოყენებული, ხოლო ხუცურად დაწერილ სათაურებში გამოყენებულია. საზედაოდ ასომთავრულის გამოყენება ამ დროის წერილობითი ძეგლებისთვის ზოგადად დამახასიათებელია.

ავტოგრაფებში უფლის სახელი ორი ფორმითაა წარმოდგენილი: ქარაგმით, ხუცურად - ოჲ და ქარაგმის გარეშე, მხედრულად - იესო. განსაკუთრებული მოწიწების აღსანიშნად ტექსტში ნებისმიერი სიტყვა, რომელიც ღმერთს აღნიშნავს, იწყება მთავრულით, ანუ მისი პირველი ასო მთავრულადაა დაწერილი. გამოცემისთვის გამიზნულ, ძირითად ტექსტში ეს ქარაგმა ყველგან გავხსენით.



ტექსტში არ გვხვდება გადახაზული და გადაშლილი ადგილები. როცა ერთი და იგივე სიტყვა შეცდომით ორჯერ წერია, მეორე მათგანი წერტილებით არის ხოლმე შემოსაზღვრული, რითაც გადამწერი მიგვანიშნებს, რომ წერტილებით შემოფარგლული სიტყვა ზედმეტია.

## § 2. გაბრიელ მცირის კალიგრაფია და წიგნთა მხატვრული შემკულობა

ავტოგრაფებზე სამუშაოდ საგანგებოდ შევისწავლეთ გაბრიელ მცირის კალიგრაფია (ცალკეული გრაფემების მოხაზულობები, ასოთა გადაბმები, ქარაგმები) და ხელნაწერთა ზოგადი თავისებურებები: წინადადების წყობა, მართლწერა, პუნქტუაცია და სხვა.

წმიდა გაბრიელის ხელწერა ნატიფი, მკაფიო და ადვილად წასაკითხია. იხ. მისი ავტოგრაფების საფუძველზე შედგენილ გრაფემათა ტიპური მოხაზულობების ცხრილი, დალაგებული ასოთა ანბანური რიგის მიხედვით:

ა, ა, ა - ა  
ბ - ბ  
გ, გ - გ  
დ, დ - დ  
ე, ე - ე  
ვ - ვ  
ზ - ზ  
თ - თ  
ი - ი  
კ - კ  
ლ - ლ  
მ, მ - მ

ნ - ნ  
ო - ო  
პ - პ  
რ, რ - რ  
ს - ს  
ტ - ტ  
უ - უ  
ფ, ფ - ფ  
ქ, ქ - ქ  
ღ - ღ  
ყ - ყ

შ - შ  
ჩ, ჩ - ჩ  
ც - ც  
ძ - ძ  
წ, წ - წ  
ჭ - ჭ  
ხ - ხ  
ჯ - ჯ  
ღ - ღ  
ყ - ყ

წმიდა გაბრიელ მცირის ნაშრომ „გვრგუნის“ ავტოგრაფებში იკვეთება ასოთა სპეციფიკური გადაბმებიც. ისინი ზოგ შემთხვევაში ხელნაწერის გამშვენებას ემსახურება, ზოგ შემთხვევაში კი სწრაფი წერით არის გამოწვეული.

ღ, ბ - და	მ - მო	ეს - ეს
წ - ალ	ფ - ფა	ლო - ლო
ვ - ვი	ვა - ვა	

„გვრგუნის“ ავტოგრაფებში არსებული ქარაგმები გამოცემის ძირითად ტექსტში გავსენით და ახალი ენობრივი ნორმების გათვალისწინებით წარმოვადგინეთ, რადგან ჩვენ მიერ ძირითად წყაროდ არჩეულ ავტოგრაფში უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ეს ფორმებია გამოყენებული. მაგალითად: ჩნი - ჩვენი, ჯრი - ჯვარი, თქნ - თქვენ და სხვა. აქვე გთავაზობთ წმიდა გაბრიელის ავტოგრაფებში არსებული ქარაგმების მოხაზულობებს და მათ სრულ შესატყვისობებს:

რომელსა	წმიდაო	უკუნისამდე
თვისი	გიხაროდენ	მარადის
ყოვლად	თქვენ	წინასწარმეტყველი
ჯვართა	ყოველ	დიდება
ხოლო	რაჟამს	არამედ
ქვეყანად	ყოველნი	ვითარცა
რამეთუ	უფლისა	ღმრთისა
ქრისტესო	ჩვენისა	ქრისტე
შინა	უკუნითი	ვითარ
		შორის

ყურადღებას იპყრობს გაბრიელ მცირის მიერ შექმნილი, შედგენილი და რედაქტირებული ტექსტების მხატვრული შემკულობა: თავასოთა გრაციოზულობა, ლაკონური და გარაფიკულად უაღრესად დახვეწილი ხელრთვა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს წმიდა გაბრიელის მიერ შესრულებული მხატვრობის,

მინიატურების შესახებ, რომელთა საფუძვლიანი შესწავლა კარგ სამსახურს გაუწევს წმიდა გაბრიელ მცირის სრული შემოქმედებითი პორტრეტის შექმნას, წარმოსახავს მის წვლილს არა მარტო ქართული სასულიერო ლიტერატურის, არამედ ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმების განვითარებაში.

თუმცა მის მიერ შესრულებული მინიატურები რაოდენობრივად არ არის ბევრი, მაგრამ ისინი გამოირჩევიან ღრმა სიმბოლური გააზრებით, რაც ერთგვარად გვახსენებს მის მიერ შექმნილ კრებულებში თხრობებისა და თავთა სათაურების რაოდენობათა სიმბოლიკას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კრებულ „კლიტეს“ სატიტულო გვერდის გაფორმება. მასზე გამოსახულია ორი გასაღები, რომლებიც კომპოზიციურად ისეა განლაგებული, რომ ტამარში შემავალი კარების ფორმას ქმნის. ამ მხრივ ასევე ყურადღებას იპყრობს კომპოზიციები, სადაც სიმბოლურადაა გამოხატული რომელიმე ცხოველი, ან ფრინველი და ამ შემთხვევაში მინიატურათა დანიშნულება არა მარტო წიგნის შემკულობაა, არამედ მიმართულია ამა თუ იმ საკითხთა თვალსაჩინოდ წარმოჩენისაკენ, სწავლათა სიღრმისეულად გააზრებისაკენ და დამატებითი დიდაქტიკური ეფექტის მიღწევისაკენ. მხატვრობის ამ ნიმუშთა შემოქმედებითი ხარისხი მაღალია. გვიყალიბდება შეხედულება, რომ სწორედ ამგვარი ნამუშევრები გვევლინება ფიროსმანის სტილისტური თვითმყოფადობის საძირკვლად.

გთავაზობთ გაბრიელ მცირის მიერ შექმნილი მხატვრული გაფორმებების ჩამონათვალს: ჯვრის სახედ დაწერილი ტექსტები - ხეც A 232, h906, S4806; გვირგვინის გამოსახულებანი - ზუგიდში დაცული N 16 და ხეც A228; ორი კლიტე, რომელიც ქმნის კარებს - ხეც A 227; ბარძიმი - ხეც H 1748, ქუთაისში დაცული k 584; ჯვრის გამოსახულება - ხეც A 224, A 884, S 2436, ინგლისი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, ბოდლეს სახელობის ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი, MS. Wardr; წმიდა იოანე ოქროპირის მინიატურა - ხეც A 1568, S 3650; მზის და სამკუთხედის გამოსახულება, რომელშიც ჩაწერილია ღმერთი - ხეც S 3650; ლარნაკში ყვავილი და მზე - ხეც A 244, A 852, ქუთაისი k 190, S 128; ლომის, ბაყაყის, ფარშევანგის, დრაკონის და თხის გამოსახულებები - ხეც Q 1617.

### § 3. ორთოგრაფიული და გრამატიკული თავისებურებები

#### ძველი ქართული გრაფემების ხმარება:

ძველი ქართული მწერლობის ენობრივ ქსოვილში, რომელიც ერთიან, მყარ სისტემას ეფუძნებოდა, XVI-XVII საუკუნეებში სასაუბრო და დიალექტურმა ფორმებმა იმპლავრა. ეს საფრთხეს უქმნიდა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის არსებობას, რაც თავისთავად საშიში იყო თვით ქვეყნის ერთიანობისათვის. „...ენის დაშლა და დიალექტებად დანაწევრება საბოლოოდ გამოუთხრიდა ძირს საქართველოს ერთიანობას“ (კიკნაძე, 2001: 42). XVII-XVIII საუკუნეში გაჩნდა ტენდენცია ძველი დროის ენობრივი სიმტკიცის აღდგენისა. XVIII საუკუნის დიდმა მოღვაწემ ანტონ I-მა მნიშველოვანი როლი შეასრულა ენის სიმტკიცის აღდგენისათვის. გაბრიელ მცირის მიერ შექმნილ და რედაქტირებულ კრებულებში ნათლად ჩანს ავტორის სურვილი ენობრივი სიმტკიცის დაცვისა.

XVIII საუკუნის მიწურულს სამეტყველო ენაში თითქმის აღარ იყენებდნენ გრაფემების: **ღ ზ ჳ ჭ ჴ** შესატყვის ბგერებს. წერის დროს კი ეს ასო-ნიშნები ჯერ კიდევ გამოიყენებოდა, რადგან მართლწერის რეფორმა გატარებული არ იყო. ამ გრაფემების ამოღების საჭიროების საკითხი პირველად 1850-იანი წლების მიწურულს წამოიჭრა ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე და მის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ილია ჭავჭავაძემ. მე-19 საუკუნის შუა წლებშიც კი, ამ გადაწყვეტილებას დიდი პოლემიკა და ძველი და ახალი თაობების დაპირისპირება მოჰყვა. მეორე მხრივ, ირკვევა, რომ ცალკეული პირები ამ ასოებს თავიანთ ნაწერებში უკვე აღარ იყენებდნენ. ილია ჭავჭავაძე განცვიფრებული დარჩა, როდესაც წაიკითხა ბარათაშვილის ავტოგრაფები და გაიგო, რომ პოეტი ამ ასოებს ძალიან იშვიათად ხმარობდა და ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი თავად ამატებდა ამ ნიშნებს პოეტის გამოსაქვეყნებელ ლექსებში.

მე-18 საუკუნის მიწურულს ეს ორი ტენდენცია ჯერ კიდევ ებრძოდა ერთმანეთს, რაც კარგად არის ასახული გაბრიელ მცირის ავტოგრაფებშიც. აქ არ არის მკვეთრად გამოხატული ერთი რომელიმე პრინციპი - გვხვდება შემთხვევები, როდესაც ეს გრაფემები პირველ ავტოგრაფში იყო და შემდეგ ამოიღო ავტორმა და

ისეთებიც, რომლებშიც თავდაპირველ ავტოგრაფში არ ყოფილა და გვიანდელში მოხდა ჩამატება.

გვიანდელ ავტოგრაფში „დ“ ჩამატებულია შემდეგ სიტყვებში: ჟამისწირვა (N 16), ჟამისწირვა (A 228); ღვინო (N 16), ღვინოდ (A 228); ლოცვა (N 16), ლოცვა (A 228); წყალობა (N 16), წყალობა (A 228); უნდო (N 16), უნდოდ (A 228); მოწყალება (N 16), მოწყალებად (A 228); ლესვა (N 16), ლესვა (A 228); დათრგუნვა (N 16), დათრგუნვა (A 228); ოქრო (N 16), ოქრო (A 228); საგლახაკოსა (N 16), საგლახაკოდ (A 228); წყალობა (N 16), წყალობა (A 228);

გვიანდელ ავტოგრაფში „ა“ ამოღებულია შემდეგი სიტყვებიდან: ბრძოლა (N 16), ბრძოლა (A 228); რტო (N 16), რტო (A 228); წყალობა (N 16), წყალობა (A 228); ლოცვა (N 16), ლოცვა (A 228); ჯმა (N 16), ჯმა (A 228); დაფარვა (N 16), დაფარვა (A 228); გულარძნილება (N 16), გულარძნილება (A 228);

გვიანდელ ავტოგრაფში „ვ“ შეცვლილია „უ“-თი შემდეგ სიტყვებში: წვნა (N 16), წვნა (A 228); მაქეს (N 16), მაქუს (A 228); მოართვას (N 16), მოართუას (A 228); სხვათა (N 16), სხუათა (A 228); გვამი (N 16), გუამი (A 228); მიითვალა (N 16), მიითუალა (A 228); უტყვ (N 16), უტყუ (A 228); მიიცვალა (N 16), მიიცუალა (A 228); გვეყნე (N 16), გუყნე (A 228); ბორცვსა (N 16), ბორცუსა (A 228); ქვა (N 16), ქუა (A 228); დაეცვა (N 16), დაეცუა (A 228); მსთვად (N 16), მსთუად (A 228); კვართსა (N 16), კუართსა (A 228); გეთქვას (N 16), გეთქუას (A 228); აღუთქვა (N 16), აღუთქუა (A 228); მეთვალეთა (N 16), მეთუალეთა (A 228);

გვიანდელ ავტოგრაფში „უ“ შეცვლილია „ვ“-თი შემდეგ სიტყვებში: აღიკუეცა (N 16), აღიკვეცა (A 228); მიიცვალა (N 16), მიიცვალა (A 228); გურწმენეს (N 16), გვრწმენეს (A 228); მაქუს (N 16), მაქეს (A 228); შეითქუნეს (N 16), შეითქვნეს (A 228).

გვიანდელ ავტოგრაფში „ვე“ შეცვლილია „უწ“-თი შემდეგ სიტყვებში: გვესმა (N 16), გუწსმა (A 228); თვე (N 16), თუწ (A 228); გვერდსა (N 16), გუწრდსა (A 228); ჰრქვეს (N 16), ჰრქუწს (A 228); ვითქვენ (N 16), ვითქუწნ (A 228);

გვიანდელ ავტოგრაფში „უწ“ შეცვლილია „ვე“/“უე“-თი: ჰსთქუწს (N 16), ჰსთქვეს (A 228); ჰრქუწს (N 16), ჰრქუეს (A 228); ჩუწნდა (N 16), ჩვენდა (A 228);

იშვიათად გვხვდება კომპოზიტები. უფრო ხშირია სიტყვების ცალ-ცალკე დაწერილობა. მაგალითად, ტექსტში უდევისოდ არის წარმოდგენილი: პატივს ჰსცემდი, გულისკმა ჰყავ, უგულებელს ჰყოფ, წმიდა ჰყოს, მოწყალე ჰყოფს, უღებ ჰყოფ, შეურაცხ ჰყოფ, კაცად კაცადი, დღითი დღედ და სხვა.

აქა-იქ ორივე ხელნაწერში გვხვდება მექანიკური შეცდომებით დაწერილი სიტყვები. მაგალითად, ხეც N 16 ნომრით დაცულ ხელნაწერში: ანგელოსინი, ესმე, მოილა, დადგინა, ქადაპებდენ, უტევობ, იხლა, ბლელსა, დრდვინვიდენ, უნრწემისსა, საცემდა, შემთხვია; A 228-ში: მომითხა, თქული, ჰგყო, წმიდაოო, უკანნასკნელი, კონსტანტილე, განაწილა, დამყარა, შეშინა, განაწილენ, გიჩენს, ჩემდაო (ჩემდამო), ქალაქსა (ქალაქისა).

#### § 4. პუნქტუაცია

განყოფის ნიშნებს ჯერ კიდევ V საუკუნის ტექსტში ვხვდებით, ხოლო ცნობა პუნქტუაციის ნიშნების ფუნქციის შესახებ მხოლოდ XI საუკუნიდან დასტურდება. კერძოდ, ეფრემ მცირისეულ იოანე დამასკელის „წყარო ცხოვრებისაჲს“ ტექსტში (ხეც A 24). ეფრემ მცირე აღნიშნავს: „...ყოველივე ჩემ მიერ თარგმნილი წიგნი ერთ წერტილად და ექუს წერტილად განმიკუჭთია. ერთ წერტილი უკუჭ მცირედ სასუჭნად, ორ წერტილი განსაკუჭთელად სიტყვსაჲ და სამ წერტილი დიდად სასუჭნად და ექუს წერტილი სრულად დასაბოლოებელად და ახლად დასაწყებელად სიტყვსა“ (ხეც A 24, 4r).

XVIII საუკუნეში ანტონ I კათოლიკოსმა, რომლის ერთ-ერთი აღმზრდელი დავით გარეჯის წინამძღვარი სპირიდონი იყო, შემოიტანა სასვენი ნიშნების სხვაგვარი სისტემა. იგი წინადადებას ყოფდა: უსრულად, სრულად და დასასრულად. ანტონი წერდა: „დანიშუნა არა სრულისა სიტყვსა იქმნების წერილთა შინა ღრამით ამით, მაგალითებრ (,) და ამას უკუჭ ზედწოდებულ არს ვარია, ხოლო ჩუჭნებრ მძიმე; დანიშუნა სრულისა იქმნების ნიშნითა ამით, მაგალითებრ (.) და ამას უკუჭ ზედწოდებულ სტილმა, ხოლო ჩუჭნებრ - წერტილი; ხოლო დანიშუნა დასასრულ სიტყვსა იქმნების ნიშნითა ამით, მაგალითებრ (:) და ამას უკუჭ

ზედწოდებულ ჩუწნებრ ორი წერტილი“ (ანტონ I, 1885: 293). ანტონ კათოლიკოსი ხსენებული სასვენი ნიშნების გარდა ხმარობდა კითხვის ნიშანს (?), ძახილის ნიშანს (!) და სხვა.

წმიდა გაბრიელ მცირე ნაწილობრივ ეფრემ მცირის დროის ნორმებს მიჰყვება და ნაწილობრივ ანტონ კათოლიკოსის მიერ შემოტანილსაც. მის მიერ სასვენი ნიშნების გამოყენება მოწესრიგებული და სისტემატიზირებულია. იგი წერტილს დღევანდელი მძიმის ფუნქციით იყენებს, ორწერტილს კი - წერტილის ნაცვლად. აბზაცის აღსაღნიშნავად სიტყვის პირველ ასოს წერს ასომთავრულით და ზოგჯერ თვალსაჩინოების გასაძლიერებლად და შემკულობის მიზნით - სინგურით. კითხვის ნიშანი ასე გამოიყურება - (?) და მის წინ მდებარე სიტყვას ემატება „ა“ ხმოვანი, მაგალითად: „უკეთუ ქრისტეანენი არიანა?“. თუ ლექსიკური ერთეული ისედაც „ა“-ზე მთავრდებოდა, ხდება მისი გაორკეცება, მაგალითად: „არა თვით მიხვალთა?“.

წმიდა გაბრიელ მცირის ტექსტის დადგენაზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა თავისებურებამ: წმიდა წერილიდან მოყვანილი ციტატები ბრჭყალებს შორის კი არ არის მოქცეული, არამედ ბრჭყალები ციტატის გასწვრივ არშიაზეა გატანილი. შესაძლოა, ბრჭყალების ასეთი გამოყენება გამოსავალი იყო იმ შინაგანი უხერხულობის დასაძლევად, რომელსაც წმიდა წერილის ამონარიდების ბრჭყალებში ჩასმა იწვევდა. ამ აზრს განგვიმტკიცებს ისიც, რომ ტექსტის რამდენიმე ადგილას ვინმეს ნათქვამი, რომელიც არ წარმოადგენს ამონარიდს წმინდა წერილიდან, ფრჩხილებშია ჩასმული. მაგალითად: (დიდისა მაგის სიმდაბლისათვის, ზ, ეპისკოპოსო, მიგეტევნენ შენ ცოვანი შენნი) (N16, გვ. 132r).

## § 5. არაავტორიზებული ასლები და პირველი გამოცემა

„გვრგვნის“ ავტოგრაფულ ტექსტს შევადარეთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული არაავტოგრაფული ნუსხები: A 723, A 427, S 2331, S 1380, A 341, A 537. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ხელნაწერი სრულად არ მისდევს „გვრგვნის“ პირველ ან მეორე ავტოგრაფულ წყაროს. გვხვდება გადახვევებიც და აღრევებიც. ამის გამო

ზოგან ჭირს მტკიცება იმისა, თუ რომელი ასლი რომელი ავტოგრაფიდან მომდინარეობს. შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ მსგავსების მეტნაკლებობაზე.

ჩვენ მიერ გამოყენებულ არაავტოგრაფულ ნუსხათა შორის უადრესია A 723 ნომრით დაცული ხელნაწერი. მისი გადაწერა დასრულებულა 1797 წლის 22 აპრილს (193r). ის წმიდა გაბრიელ მცირის სიცოცხლეშივეა შესრულებული, N 16 ავტოგრაფის შექმნიდან 3 წლის და A 228 ავტოგრაფის გადაწერიდან 2 წლის შემდეგ. ხეც A 723 ნომრით დაცული ნუსხა უმეტესწილად A 228 ავტოგრაფს მიჰყვება. არის ადგილები, სადაც ხელნაწერი A 723 არ მიჰყვება A 228 ნუსხას და მიჰყვება N 16 ავტოგრაფს. ასევე გვხვდება შემთხვევები, როდესაც A 723 ხელნაწერი ორთოგრაფიულად სხვაობს ორივე ავტოგრაფისგან. A 723-ის ორთოგრაფიული თავისებურებაა ის, რომ ყველგან არის გამოყენებული დაწერილობა „მონოზანი“, რაც გამოსაცემი ტექსტის ვარიორუმში შემთხვევათა სიმრავლის გამო აღარ ავსახეთ.

A 427 ნომრით დაცული ხელნაწერის გადაწერა დასრულებულა 1797 წლის 19 ივნისს, გადაუწერია პავლეს (137r). ეს ნუსხაც წმიდა გაბრიელ მცირის სიცოცხლეშივე, პირველი არაავტოგრაფული ნუსხის გადაწერის დასრულებიდან ორი თვის შემდეგ არის შექმნილი. A 427 ხელნაწერი ძირითადად A 228 მისდევს, მაგრამ ხშირია ისეთი ადგილები, სადაც იგი მიჰყვება ხელნაწერ N 16, ზოგჯერ კი არც ერთ ავტოგრაფს არ მისდევს. A 427 შინაარსობრივად ავტოგრაფებისგან არ განსხვავდება. სხვაობები არის მხოლოდ ორთოგრაფიული ხასიათის. A 427-ის მართლწერის თავისებურებაა ის, რომ აქ სისტემურად არის გამოყენებული ფორმები: ეკლესია, შესულა, მაჰმედი, წარსულა, მოსულა, ანგელოზი, ეპისკოპოზი, ქრმისა, რათა და ვყავ. ამ დაწერილობათა განსხვავებები სიმრავლის გამო გამოსაცემი ტექსტის სქოლიოებში არ ავსახეთ. ხშირ შემთხვევაში გადამწერი იყენებს „ჯ“-ს, თუმცა წმიდა გაბრიელს თხზულების ტექსტში „ჯ“ საერთოდ არ აქვს ნახმარი და მის ნაცვლად იყენებს „ვი“-ს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაბრიელ მცირე „ჯ“-ს მხოლოდ თხზულების სათაურებში ხმარობს, სადაც სიტყვასაც ხუცურად წერს და არა მხედრულად.

S 2331 ნომრით დაცული ხელნაწერის გადაწერა დასრულებულა 1803 წლის 15 ივნისს, გადაუწერია მღვდელ პავლე ჯავახიშვილს. ეს ნუსხა და შემდგომი



ხელნაწერები წმიდა გაბრიელ მცირის მოწამეობრივად აღსრულების შემდგომ არის გადაწერილი. S 2331 უმეტესწილად A228-ს მისდევს, იშვიათად კი იმეორებს N 16-ის ვარიანტებს.

S 1389 ნომრით დაცული ხელნაწერის გადაწერა დასრულებულა XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ჭვირნიშანი 1808-1809).

A 341 ნომრით დაცული ხელნაწერის გადაწერა დასრულებულა XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ჭვირნიშანი: 1809, 160r). გადაუწერია ტარასი ალექსიშვილს (11r). ის უმეტესწილად მიჰყვება N 16 ნომრით დაცულ ავტოგრაფს.

A 537 ნომრით დაცული ხელნაწერის გადაწერა დასრულებულა XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ჭვირნიშანი 1801, 1803; 53, 67, 69, 87ფფ.). ის გადაუწერია დიაკონ ქრისტეფორე ალიბეგაშვილს (121r). ტექსტი სრულია და თითქმის უხარვეზო. უმეტესწილად მიჰყვება N 16 ნომრით დაცულ ავტოგრაფს, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ის ხელნაწერ A 228-ის ვარიანტებს იმეორებს, ან გვთავაზობს სიტყვის ისეთ ფორმას, რომელიც არც ერთ ავტოგრაფში არ გვხვდება.

კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ „გვრგვნის“ ჩვენ მიერ შესწავლილი და ვარიანტებში წარმოდგენილი ასლების წყარო ძირითადად გაბრიელ მცირის ავტოგრაფებია. A 723, A 427, S 2331, S 1380 ნომრებით დაცული ხელნაწერები უმეტესწილად მისდევს A 228 ნომრით დაცულ ავტოგრაფს, ხოლო A 341, A 537 ნომრებით დაცული ხელნაწერები ძირითადად მიჰყვება N 16 ნომრით დაცულ ავტოგრაფს.

ორი ავტოგრაფისა და ექვსი ხელნაწერი ასლის საფუძველზე ჩავატარეთ სტატისტიკური კვლევა, რომლის მიხედვითაც ყველაზე დიდი სიახლოვე ავტოგრაფებთან გამოავლინა S 2331 ხელნაწერმა. მასში 578 წაკითხვაა N 16 ავტოგრაფისგან განსხვავებული და ამათგან 363 ემთხვევა A 228 ავტოგრაფისას. A 723-ში 772 წაკითხვაა N 16 ავტოგრაფისგან განსხვავებული და ამათგან 342 ემთხვევა A 228 ავტოგრაფისას. A 427-ში 932 წაკითხვაა N 16 ავტოგრაფისგან განსხვავებული, და ამათგან 236 ემთხვევა A 228 ავტოგრაფისას.

განხილული ექვსი ასლიდან ყველაზე მეტ სხვაობას ავტოგრაფებისგან ამჟღავნებს A 537 ხელნაწერი. მასში 1246 წაკითხვაა N 16 ავტოგრაფისგან

განსხვავებული, რომელთაგან მხოლოდ 144 ემთხვევა A 228 ავტოგრაფისას. A 341-ში 588 წაკითხვაა N 16 ავტოგრაფისგან განსხვავებული, რომელთაგან 218 ემთხვევა A 228 ავტოგრაფისას და S 1380-ში 611 წაკითხვაა N 16 ავტოგრაფისგან განსხვავებული, რომელთაგან 154 ემთხვევა A 228 ავტოგრაფისას. როგორც ვხედავთ, ვარიანტულ სხვაობათა რიცხვი საკმაოდ დიდია, მაგრამ მაინც იკვეთება ხელნაწერი ასლების მეტ-ნაკლები მსგავსება ავტოგრაფებთან. მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, როგორც აღვნიშნეთ, კონცეპტუალური სხვაობა წყაროებს შორის არ შეინიშნება.

აღსანიშნავია, რომ ხეც A 723, A 537, A 427 ნომრით დაცული ნუსხები სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილსაც გამოუყენებია „გზრგზნის“ ტექსტის გამოსაცემად მომზადებისთვის. ამას მოწმობს ხელნაწერებში წმიდა სტეფანეს მიერ შესრულებული მინაწერები.

მაგალითად, A 723 ნომრით დაცული ხელნაწერის ტექსტში, 1r-ზე მარჯვენა არშიაზე არის წმიდა სტეფანე კარბელაშვილის მინაწერი: „მაისის ორში მივეცი 1893 წ. ამხან. სტამბაში და დამიბრუნეს იანვრის 11, 1894 წ. 4 ნათხოვნი“. იქვე ტექსტში 80v-88r გვერდებზე ასევე წმიდა სტეფანეს მიერ სინგურით შესრულებული შენიშვნები, ხაზგასმები, კიდევზე სიტყვათა განმარტებები და ციტატების წყაროებია წარმოდგენილი.

ასევე A 537 ნომრით დაცულ ხელნაწერში, 1v, 52v, 81r, 88v, 89rv, 121v გვერდებზე მრავლად არის წმიდა სტეფანეს მინაწერები. ხელნაწერში 88v-89rv გვერდებზე მოთავსებულია ტექსტი, რომელიც 1892 წლის გამოცემაში წინასიტყვაობადაა წარმოდგენილი.

A 427 ნომრით დაცულ ხელნაწერში, ფურცლის კიდევებზე და თვით ტექსტში (933v, 34r, 36r-37r, 38r, 40rv, 43r, 45,v, 50r-v და სხვა გვერდებზე) წითელი და შავი მელნით, იშვიათად კი ფანქრით უხვად არის რედაქტორული და პუნქტუაციური სწორებები. A 427 ნომრით დაცული ხელნაწერი ასევე სტეფანე კარბელაშვილის სამუშაო ცალი იყო. მასში არის სასტამბო პროცედურებთან დაკავშირებული მინაწერებიც: „აქედან ამოაწყე“(71r), „ეს გვერდი არ არის ამოწყობილი ბოლომდის“(107r), აქმობამდისინ არის აწყობილი მე-3 ფორმა 5.6.1894“(120r). თვალსაჩინოა, რომ ბეჭდვის დროს ამ ხელნაწერსაც იყენებდნენ.

ზემოხსენებულ ხელნაწერებში წმიდა სტეფანეს მიერ გაკეთებული ჩასწორებები, განმარტებები და მინიშნებები 1892 წლის გამოცემაში უმეტესწილად ასახულია.

წყაროთა ვარიანტული შედარების ანალიზმა საკმაოდ ჭრელი სურათი მოგვცა. სხვაობები ბევრი და მრავალგვარია. არის როგორც არსებითი სხვაობები (substantives), რომლებიც აზრის შეცვლას იწვევს, ისე არაარსებითი (accidentals), როგორებიცაა ცვლილება მართლწერაში, სიტყვის ჩანაცვლება მისი სინონიმით და სხვა. ტექსტში უხვად არის ძველ და ახალ ფორმათა მონაცვლეობა. ვფიქრობთ, ჩატარებული სამუშაო წარმოდგენას გვიქმნის არა მხოლოდ გაბრიელ მცირის ენასა და სტილზე, არამედ მის ეპოქაზეც და კარგ მასალას იძლევა ენის ისტორიის შესასწავლად.

## თავი IV.

### ავტოგრაფების შედარებითი კვლევა

როგორც აღვნიშნეთ, „გვრგვნის“ ორი ავტოგრაფი არსებობს: 1. უადრესი ავტოგრაფი, რომელიც დაცულია ზუგდიდში, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში (ზსიემ 23374/ხწ 16), დათარიღებული 1794 წლის 29 ივლისით და 2. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული (A 228), დათარიღებული 1795 წლის 26 აპრილით. ამ ოტი ავტოგრაფიდან უნდა აგვერჩია ძირითადი ტექსტი. არჩევანის სიზუსტისთვის აუცილებლად ჩავთვალეთ ამ ავტოგრაფთა შესწავლა და ურთიერთშეჯერება.

#### § 1. ავტოგრაფთა შედარებითი ანალიზი

ავტოგრაფული ხელნაწერების შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, რომლებშიც ადრეული ავტოგრაფისთვის დამახასიათებელი ძველი ქართული ენის ფორმები შეცვლილია ახლით:

ფრაზაში: „მოიხსენენ, უფალო, პირველნი საქმენი ჩემნი“ ფორმა „მოიხსენენ“ ძველი ქართული ენის ფორმაა, რომელიც მიანიშნებდა მრავლობითში მდგარ პირდაპირ ობიექტზე და სავსებით ესადაგებოდა კონტექსტს. გვიანდელ ავტოგრაფში წარმოდგენილი ფორმა კი „-ენ“ სუფიქსის გარეშეა ე. ი. ახალი ქართულის ფორმაა.

ფრაზაში: „ჩემი იგი პირველ ქმნული მოწყალება არს, ხოლო მაგისი ეგე ოქროდ“ გვიანდელ ავტოგრაფში წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობა „ქმნული“ (N 16) შეცვლილია ახალი ენობრივი ფორმით „ქმნილი“ (A 228). ხელნაწერთა შექმნის დროს ორივე მათგანი გამოიყენებოდა.

ფრაზაში: „უჩვენა წყლულებანი ორისავე ბეჭისანი“ (N 16) ფორმა „წყლულებანი“ გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია ახალი ქართულის ფორმით „წყლულები“ (A 228).

ფრაზაში: „მეფემან აღიყვანა ქორი და მოუტივნა“ (N 16) ზმნის ძველი ფორმა „მოუტივნა“ გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია ახლით - „მოუტია“ (A 228).

ფრაზაში: „ხოლო მე ვხედვედი თუალითა სულისათა“ (N 16) გვიანდელ ავტოგრაფში სიტყვა „სულისათა“ ჩანაცვლებულია სიტყვით „სულიერითა“ (A 228). ეს წინადადების აზრს არ ცვლის, რადგან ძველ ქართულში „სულის თვალი“ სწორედ სულიერი თვალის მნიშვნელობით იხმარებოდა.

განსხვავებული ენობრივი ფორმების მაგალითები უხვადაა: სახილველი (N 16), სახილავი (A 228); დასცვივნეს (N 16), დასცვივდეს (A 228); შერისხნა (N 16), შერისხა (A 228); შევსწირნეთ (N 16), შევსწიროთ (A 228); მოგეახლნეთ (N 16), მოგეახლოთ (A 228); იქმნენით (N 16), იქმენით (A 228).

არის შემთხვევა, როდესაც კუმშვადი არსებითი სახელის შეუკუმშველი ფორმა შეცვლილია შეკუმშულით: ნელსაცხებელისა (N 16), ნელსაცხებლისა (A 228).

გვაქვს მწკრივსა და რიცხვში მონაცვლეობის ნიმუში. მაგ., აწმყოს მრავლობითის ფორმა იტყვიან (N 16) შეცვლილია უწყვეტლის მხოლობითის ფორმით: იტყოდა (A 228).

შეინიშნება ცვლილებები კომპოზიტური შედგენილობის სიტყვათა მართლწერაშიც: ჯელთსაქმისა (N 16), ჯელსაქმისა (A 228); შეჰკრვენ (N 16), შეჰკვრენ (A 228); თაყვანისსცა (N 16), თაყვანისცა (A 228); საკვირველთმოქმედსა (N 16), საკვირველმოქმედსა (A 228).

ერთი შეხედვით შეიძლება გასაკვირი იყოს, რომ გვიანდელ ავტოგრაფში კიდევ უფრო მეტია შემთხვევები, როდესაც სიტყვის ან გრამატიკული ფორმის ახალი მართლწერა შეცვლილია ძველით:

შესაძლოა ძველი ფორმის გამოყენება ავტორისთვის ხშირად უფრო მისაღები იყო მკითხველისათვის აზრის უფრო სიღრმისეულად და მოქნილად მიწოდებისათვის.

ფრაზაში: „შემიწყალე მე, რამეთუ არარაჲ მაქვს შესამოსად!“ გვიანდელ ავტოგრაფში ბოლო სიტყვა შეცვლილია უფრო ძველი ფორმით - „შემოსად“.

ფრაზაში: „შეშინა სიკუდილისა და მისცა მოწყალეობა გლახაკთა“ გვიანდელ ავტოგრაფში „სიკუდილისა“ (N 16) შეცვლილია ფორმით „სიკუდილისაგან“ (A 228), რაც ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი.

ფრაზაში: „ჰყო მეორესაცა თუჴსა ჩვეულებისაებრ მოწყალეობად მცირე მცირედ“ (N 16) „მცირე მცირედ“ ახალი ქართულისთვის სწორი ფორმაა, რომელიც გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია ფორმით „მცირედ მცირედ“ (A 228).

ფრაზაში: „და მირავედ მე სიწმიდესა ღმრთისასა, ლოცვა ვჰყავ და ნათელ ვეც...“ (N 16) ზმნის ტმესური ფორმა „მირავედ“ თავის თავში მოიცავს თანამედროვე მაკავშირებელი სიტყვის „როცა“ ტოლფას კავშირს „რა“, რაც ამ წინადადებისთვის ორგანულია. გვიანდელ ავტოგრაფში შემოტანილი ფორმა „მივედ“ (A 228) გრამატიკულად ასევე მართებულია.

ფრაზაში: „ღმერთსა ჩვენსა დიდება, რომელსა ჰნებავს ყოველთა კაცთა ცხოვნება უკუნითი უკუნისამდე“ (N 16) გვიანდელ ავტოგრაფში სიტყვა „ცხოვნება“ შეცვლილია „ცხოვრებით“ (A 228), რომელიც ძველ ქართულში სინონიმური მნიშვნელობით იხმარებოდა.

ფრაზაში: „ვიხილე... წმიდა მცველი მისი ანგელოსი მახლობელად მისა მხიარული“ (N 16) ზმნიზედის ფორმა „მახლობელად“ გვიანდელ ავტოგრაფში ჩანაცვლებულია უფრო ძველი ფორმით „მახლობელ“ (A 228).

ფრაზაში: „უხილავ არს ღმერთი და უხილავითა ძალითა განაგებს სოფელსა“ (N 16) ფორმა „უხილავ“ გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია ფორმით „უხილავი“ (A 228).

ფრაზაში: „ადმოთხარეს წინაშე კარსა ქვაბისასა საფლავი“ (N 16) თანამედროვე ქართულის ნორმებით ამ კონტექსტისთვის სრულიად შესაფერისი სიტყვა „ადმოთხარეს“ გვიანდელ ავტოგრაფში ჩანაცვლებულია სიტყვით „ადმოჰკვეთეს“ (A 228).

ზმნისწინის ახალი დაწერილობა - გა, ზოგჯერ შეცვლილია ძველით - გან: გამხმარ (N 16), განმხმარ (A 228); გავათავისუფლე (N 16), განვათავისუფლე (A 228).

გრამატიკული ფორმის ახალი მართლწერა შეცვლილია ძველით: ასწავლოს (N 16), ასწაოს (A 228); უწყლოობითა (N 16), უწყლოებითა (A 228); მიდგას (N 16), მიდგს

(A 228); ურთიერთას (N 16), ურთიერთარს (A 228); განუკვირდა (N 16), განჰკვირდა (A 228); აღვსებულმან (N 16), აღვსილმან; წარსაწყმედელად (N 16), წარწყმედად (A 228); მივიდა რა (N 16), მირავიდა (A 228); მოვუძღურდი (N 16), მოუძღურდი (A 228).

მსგავსი მაგალითები კიდევ უხვად არის: ორმოცდაათი (N 16), ორმეოცდაათი (A 228); ცარიელი (N 16), ცალიერი (A 228); სამეფო (N 16), სამეუფო (A 228) და სხვა.

ავტოგრაფებს შორის არსებული სხვაობა განეკუთვნება ვარიანტების იმ ჯგუფს, რომლებიც არ იწვევს შინაარსის ცვლილებას. ავტოგრაფებს შორის ხშირია ისეთი სხვაობებიც, რომლებიც ეპოქის ნორმებით არ არის გამოწვეული. ზოგან ნაწილაკიანი ფორმა გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია უნაწილაკოთი: ცოლსაცა (N 16), ცოლსა (A 228); სადამე (N 16), სადა (A 228); სამთაცა (N 16), სამთა (A 228); რომელთაცა (N 16), რომელთა (A 228); არის საპირისპირო შემთხვევაც, როცა უნაწილაკო ფორმა შეცვლილია ნაწილაკიანით: ეგრეთ (N 16), ეგრეთცა (A 228).

გვხვდება შემთხვევები, რომლებშიც ზმნისწინიანი ფორმა ჩანაცვლებულია სხვა ზმნისწინიანით: მიუხდა (N 16), მოუხდა (A 228); შთავიდა (N 16), შთამოვიდა (A 228); წარმოვედ (N 16), წარვედ (A 228); მოილეს (N 16), მიილეს (A 228); შემოჰკრიბნა (N 16), შეჰკრიბნა (A 228); მივიდა (N 16), მოვიდა (A 228); შთამოხდა (N 16), გარდამოჰდა (A 228); აღიღო (N 16), მიიღო (A 228).

ზოგან გვიანდელ ავტოგრაფში მავრცობი „ა“ აღარ არის გამოყენებული: ლოცვითა (N 16), ლოცვით (A 228); ქვისა (N 16), ქვის (A 228); ეკლესიისა (N 16), ეკლესიის (A 228); შაბათსა (N 16), შაბათს (A 228); ქმრითა (N 16), ქმრით (A 228); სიმდიდრითა (N 16), სიმდიდრით (A 228); ქრისტეანესა (N 16), ქრისტეანეს (A 228). ზოგან კი პირიქით, გვიანდელ ავტოგრაფში მავრცობი „ა“ არის დამატებული: სიგლახაკით (N 16), სიგლახაკითა (A 228); ამის (N 16), ამისა (A 228); შუაღამეს (N 16), შუაღამესა (A 228); ვერვინ (N 16), ვერავინ (A 228).

ზოგჯერ კითხვითი ფორმა N 16-ში -ა კითხვით ნაწილაკს დაირთავს, ხოლო A 228-ში - არა: ხარაა (N 16), ხარა (A 228); არსაა (N 16), არსა (A 228); ეტყოდიას (N 16), ეტყოდია (A 228).

ზოგან საპირისპირო ვითარებაა, ადრეულ ავტოგრაფში არ ჩანს კითხვითი ნაწილაკი, გვიანდელში კი არის: იქმენა (N 16), იქმენაა (A 228); დაისაჯეა (N 16),

დაისაჯეა (A 228); განმსდევნია (N 16), განმსდევნია (A 228); გეტყოდა (N 16), გეტყოდა (A 228); გიკადრებიესა (N 16), გიკადრებიესა (A 228).

ხშირია შემთხვევები, როდესაც შეცვლილია სინტაქსური კონსტრუქციები, მაგრამ აზრი არ იცვლება. ფრაზაში: „მოვიდა შიშსა ღმრთისასა სარკინოზი და დაუტევა სარწმუნოება სარკინოზთა“ სიტყვები „შიშსა ღმრთისასა“ (N 16) ჩანაცვლებულია კონსტრუქციით „შიშად ღმრთისა“ (A 228).

ფრაზაში: „სასწაული პატიოსნისა ჯვარისა გამოსახა დასა მას ზედა. და განსდევნა ეშმაკი და განიკურნა და იგი“ (N 16) ადრეული ავტოგრაფის ფორმა „განიკურნა“ გრამატიკულად გამართულია, რადგან მას ახლავს მხოლოდ ქვემდებარე „და“. გვიანდელ ავტოგრაფში კი შემასმენლის „განკურნა“ (A 228) შემოტანით „და“ იქცა დამატებად, მაგრამ წინადადების აზრი არ შეცვლილა.

ფრაზაში: „სხვით კერძო მიიხილა, ზრახვიდა და ეუბნებოდა წმიდათა ანგელოსთა, რომელნი იგი მოსრულ იყვნეს მოკითხვად მისსა“ (N 16) მეორე და მესამე ზმნები უწყვეტლის მწკრივშია, რაც სავსებით ესადაგება კონტექსტს. საგულისხმოა ისიც, რომ ზმნები „ზრახვა“ და „თქმა“ ხშირად გვხვდება გვერდიგვერდ (მაგალითად: იწყო ზრახვად ჳმითა მალლითა და თქუა“). მეორე, გვიანდელ ავტოგრაფში კი ეს ფრაზა შემდეგნაირადაა: „სხვით კერძო მიიხილა ზრახვად და ეუბნებოდა წმიდათა ანგელოსთა, რომელნი იგი მოსრულ იყვნეს მოკითხვად მისსა“ (A 228). აქ წარმოდგენილი ფორმა „ზრახვად“ (A 228) ასევე მართებული ფორმაა, თუ მას მოვიაზრებთ „მიიხილა“ ზმნასთან დაკავშირებულ მიზნის ზმნიზებად.

ფრაზის: „უფალნო ჩემნო, მეცა მიხარის, უფლისათვის თქვენისა“ (N 16) გვიანდელი ავტოგრაფის ვარიანტია: „უფალნო ჩემნო, მეცა მიხარის, უფლისა თქვენისათვის (A 228), რაც შინაარსობრივად იდენტურია.

ფრაზაში: „იხილა რა მკუდარი იგი, ილოცვიდა და განხურდა გული მისი“ (N 16) სიტყვები: „განხურდა გული მისი“ შეცვლილია სიტყვებით: „განხურდა გულითა“ (A 228) და სხვა.

ჩვენ ხელთ არსებული ორი ავტოგრაფის შედარებითმა კვლევამ გამოავლინა, რომ ხშირად ტექსტში ხდება წინადადების გავრცობა ან პირიქით, შემოკლება. არის



შემთხვევები, როდესაც N 16-ში აზრი სამი სიტყვითაა გადმოცემული, ხოლო A 228-ში - ორით და პირიქით.

გვიანდელ ავტოგრაფში სიტყვის გამოტოვების შესახებ აღსანიშნავია, რომ უმრავლეს შემთხვევაში ის სიტყვები, რომლებიც გვიანდელ ხელნაწერში გამოტოვებულია, არის ნაცვალსახელები და ფრაზის შინაარსის გაგება კონტექსტის დახმარებით მათ გარეშეც შესაძლებელია:

წარვიდეს თითოეული სენაკად (N 16), წარვიდეს სენაკად (A 228); კვალად მათთაცა მოწაფეთა (N 16), კვალად მოწაფეთა (A 228); მითხრობად მათდა ზრახვა (N 16), მითხრობად ზრახვა (A 228); ეტყოდა მათ: „უფალნო (N 16), ეტყოდა: „უფალნო (A 228); შენისა თვითვე დაიხშნეს (N 16), შენისა დაიხშნეს (A 228); განუძლიერებვიარ მე ღმერთსა (N 16), განუძლიერებვიარ ღმერთსა (A 228); ეშმაკი იგი შურისა (N 16), ეშმაკი შურისა (A 228); დაიკლა ჩვენთვის ქრისტე (N 16), დაიკლა ქრისტე (A 228); მეორესა მას ღამესა (N 16), მეორესა ღამესა (A 228); უბრძანა მას წმიდამან (N 16), უბრძანა წმიდამან (A 228); (A 228); დაუტევე შენ სიმდიდრე (N 16), დაუტევე სიმდიდრე (A 228); აქუნდათ მათ ჯელთა (N 16), აქუნდათ ჯელთა (A 228); მიუგო მას პაჭნოტი (N 16), მიუგო პაჭნოტი (A 228); ჭეშმარიტმან მან მოწყალემან (N 16), ჭეშმარიტმან მოწყალემან (A 228); ჭირისა მის, რომელი (N 16), ჭირისა, რომელი (A 228), მღუდელი, ყოვლითურთ ვითარცა (N 16), მღუდელი, ვითარცა (A 228).

ზოგან გვიანდელ ავტოგრაფში ამოღებულია ისეთი ზმნიზედები, ან ნაწილაკები, რომელთა გამოტოვება აზრის გაგებას ხელს არ უშლის:

ვინმე მუჴნ მისთანა (N 16), ვინმე მისთანა (A 228); ამისთვის უკუჴც (N 16), ამისთვის (A 228); და აწ მოხარულ (N 16), და მოხარულ (A 228); ღმრთისა თანა, უკეთუ (N 16), ღმრთისა, უკეთუ (A 228); ჩემთა; ხლლლ შვილნი (N 16), ჩემთა; შვილნი (A 228); თქვენ ღდენ გიხილეთ (N 16), თქვენ გიხილეთ (A 228).

არის რამდენიმე შემთხვევა, რომლებშიც სიტყვებს შორის „და“ კავშირი გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია სასვენ ნიშნით, სიტუაციის მიხედვით - მძიმით ან წერტილით:

ქალაქისასა და ეკკლესიასა (N 16), ქალაქისასა, ეკკლესიასა (A 228); შევედ და ვიხილე (N 16), შევედ, ვიხილე (A 228); მარადის და ღმობიერად (N 16), მარადის,

ლმობიერად (A 228); აღმავალნი“. და ამას (N 16), აღმავალნი“. ამას (A 228); ვინმე, და შემახო (N 16), ვინმე, შემახო (A 228); შენთა“. და კვალად (N 16), შენთა“. კვალად (A 228).

ზოგჯერ მეორე პირისადმი მიმართვისას ადრეულ ავტოგრაფში დასახელებული იყო, ვის მიემართებოდა ეს სიტყვები, გვიანდელ ავტოგრაფში კი მიმართვის ობიექტები ამოღებულია: მოხუცებულო ბერო?“ (N 16), მოხუცებულო?“ (A 228); ჩვენ, შვილო, ვითარმედ (N 16), ჩვენ, ვითარმედ (A 228); ჩემსა უფალნო?!“ ხოლო (N 16), ჩემსა?!“ ხოლო (A 228).

ერთგან ამოღებულია შორისდებული: ჰყოფ, ზ, შვილო (N 16), ჰყოფ, შვილო (A 228).

რამდენიმე ადგილას ამოღებულია მსაზღვრელი, რაც არსებითად არ ცვლის ტექსტის შინაარსს, რადგან ის ნაგულისხმევია კონტექსტით: თქვენი ზეცათა მოწყალე (N 16), თქვენი მოწყალე (A 228); წმიდამან ღმრთისამან ვასილი (N 16), წმიდამან ვასილი (A 228); სახლსა წმიდისა მის (N 16), სახლსა მის (A 228); ორნი ერის კაცნი (N 16), ორნი კაცნი (A 228); თვისსა ლმობიერსა ყოვლადგანწმედილი (N 16), თვისსა ყოვლადგანწმედილი (A 228).

მხოლოდ ორი შემთხვევაა, როდესაც გვიანდელ ავტოგრაფში არსებითი სახელებია ამოღებული, მაგრამ მათ შინაარსს კონტექსტი შეიცავს და სიტყვის გამოტოვებით წინადადების აზრი არ იცვლება: შესლვად სენაკად მისსა (N 16), შესლვად მისსა (A 228); ათასისთავი, კაცი სახელოვანი (N 16), ათასისთავი სახელოვანი (A 228).

გვხვდება ორი შემთხვევა, როდესაც N 16 ხელნაწერში აზრის გადმოსაცემად ოთხი სიტყვაა გამოყენებული, ხოლო A 228-ში - ორი. ამ ცვლილებით გვიანდელ ავტოგრაფში იკარგება გარკვეული დამატებითი ინფორმაცია, მაგრამ შინაარსი არ იცვლება: იგი რომელი იხილა და (N 16), იგი და (A 228); მიუთხრეს და ვითარ ყოფილიყო ეტყოდეს (N 16), მიუთხრეს, ეტყოდეს (A 228).

როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ საპირისპირო შემთხვევებიც გვხვდება - გვიანდელ ავტოგრაფში სიტყვაა ჩამატებული: N 16 ხელნაწერიდან ორი სიტყვა A 228 ხელნაწერში სამი სიტყვითაა გადმოცემული.

არის შემთხვევა, როდესაც გვიანდელ ხელნაწერში ჩამატებულია მიმართვის ობიექტი: მიერ დამსდუა (N 16), მიერ, უფალო, დამსდუა (A 228);

არის მაგალითები, რომლებშიც სასვენი ნიშნების ნაცვლად ამჯერად პირიქით, „და“ კავშირია ჩამატებული: სხუად“. გამოართუა (N 16), სხვაა!“ და გამოართვა (A 228); გლახაკსა, იგიცა (N 16), გლახაკსა, და იგიცა (A 228); მიერ. მოვიდა (N 16), მიერ. და მოვიდა (A 228).

ჩამატებულია თანდებული: კელთა მათთა (N 16), კელთა შინა მათთა (A 228).

ჩამატებულია მსაზღვრელი: მამაო, გარნა (N 16), მამაო წმიდაო, გარნა (A 228).

არის ერთი შემთხვევა, როდესაც ადრეულ ხელნაწერში აშკარად მექანიკურადაა გამორჩენილი არსებითი სახელი, გვიანდელ ხელნაწერში კი ჩამატებულია: მხოლოდშობილი მეფისა (N 16), მხოლოდშობილი ძე მეფისა (A 228).

ასევე არის ერთი შემთხვევა, როდესაც N 16 ხელნაწერში აზრის გადმოსაცემად ორი სიტყვაა გამოყენებული, ხოლო A 228 - ხუთი. აქ პირიქით, დამატებითი შინაარსის მომცველი ერთი ფრაზაა ჩამატებული: „ადგილისაცა, ანუ“ (N 16), „ადგილსაცა, და ვითარ ჰყვეს, ანუ“ (A 228). ასეთი მაგალითები გაცილებით ნაკლებია ტექსტში, ვიდრე ისეთი, როდესაც N 16 ხელნაწერში გამოყენებული სამი სიტყვა A 228 ხელნაწერში ორი სიტყვითაა გადმოცემული.

წმიდა გაბრიელ მცირის ავტოგრაფებში არსებული სხვაობები, რომლებიც აქ წარმოვადგინეთ, მიუთითებს მისი, როგორც რედაქტორ-შემდგენლის, შინაგან თავისუფლებაზე. ზოგჯერ მას არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია აზრის გადმოცემის ვრცელი ფორმა და მას უფრო ლაკონურად გადმოსცემს. ზოგჯერ კი აზრის გადმოცემის მოკლე ფორმა არ აკმაყოფილებს და უფრო მეტად აკონკრეტებს, რის გამოც სიტყვათა რაოდენობა იზრდება.

არის შემთხვევები, რომლებშიც გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია სიტყვათა თანმიმდევრობა: გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციული წყობის შეცვლა პოსტპოზიციურით და პირიქით, ისევე როგორც წინადადების სხვა წევრების გადაადგილება:

მამაო წმიდაო (N 16), წმიდაო მამაო (A 228); შევედ რა (N 16), რა შევედ (A 228); ქრისტე იესოს (N 16), იესო ქრისტეს (A 228); ვითარცა ესე (N 16), ესე ვითარცა (A 228);

და მოწყალეებისათვის მისისა (N 16), და მოწყალეებისა მისთვის მისისა (A 228); მოეხსენა გლახაკისადა რა იგი აღეთქუა (N 16), მოეხსენა რა იგი გლახაკისადა აღეთქუა (A 228); ხოლო ეტყოდა რა იგი ამას, განუტევა იგი მონასტერსა (N 16), ხოლო ამას რა ეტყოდა იგი, განუტევა მონასტერსა (A 228).

ხშირია შემთხვევები, რომლებშიც გვიანდელ ავტოგრაფში სიტყვა შეცვლილია სინონიმით, იმავე აზრის ან განწყობის გამომხატველი სხვა მსაზღვრელით. ზოგჯერ ძველი და ახალი ფორმების მონაცვლეობაა - ძველი ახლით არის შეცვლილი და ახალი - ძველით:

ესრეთ (N 16), ეგრეთ (A 228); მეორე (N 16), სხვა (A 228); ყოვლადსანატრელო (N 16), ყოვლადპატიოსანო (A 228); გეტყოდი (N 16), გითხრობდი (A 228); მოწიწებით (N 16), ძრწოლით (A 228); ეგრეთ (N 16), ესევითარითა (A 228); ვერ მიხვდებოდეს (N 16), ვერ გულისჴმა ჰყოფდეს (A 228); მიუთხრა (N 16), მიუგო (A 228); შემზადებული (N 16), შეზავებული (A 228); და (N 16), ხოლო (A 228); საღმობა (N 16), სწეულება (A 228); კადნიერად (N 16), კეთილად (A 228); გარდამოხდა (N 16), გარდამოვიდა (A 228); ეკლესიისა (N 16), საყდრისა (A 228); სახე (N 16), სქემა (A 228); ქმნა (N 16), ყოფა (A 228); ნაშრომსა (N 16), ნამუშავესა (A 228); მოგაგო (N 16), მოგცა (A 228); შეიწყნარა (N 16), შეიწყალა (A 228); მოწყალეობა (N 16), წყალობა (A 228); შესაწონელად (N 16), შესწორებულად (A 228); განდევნად (N 16), განგდებად (A 228); მოწევნულ (N 16), მოსრულ (A 228); შეწყნარებისა (N 16), მოყვარებისა (A 228); ამა (N 16), მამა (A 228); გამოხდებოდა (N 16), გამოვიდოდა (A 228); პირველთაგანი (N 16), პირველიდგან (A 228); განვისვენებთ (N 16), განვსცხრებით (A 228); ნეტარსა (N 16), სანატრელსა (A 228); რა (N 16), არღარა (A 228); მოსწრაფედ (N 16), მსწრაფლ (A 228); არა (N 16), არარა (A 228); გარდამოცენებულთა (N 16), გარდამოცემულთა (A 228); შვერდომილნი (N 16), შვედრებულნი (A 228); შევარდა (N 16), შევიდა (A 228); სალოცავსა სენაკსა (N 16), სასუფნებელსა (A 228); განგებულებითა (N 16), განგებითა (A 228).

ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლება არა სინონიმები, არამედ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვები, მაგრამ კონკრეტულ კონტექსტში მათ ერთნაირი დატვირთვა აქვს და ამ ჩანაცვლებით ტექსტის შინაარსი არ იცვლება.

მაგალითად, ეპიზოდში, რომელშიც საუბარია უძღური ურიების განკურნებაზე, ერთგან სიტყვა „უძღურთა“ (N 16) ჩანაცვლებულია სიტყვით „ჭურიათა“ (A 228).

ფრაზაში: „ვითარცა ვსდევ მუნ, ვედრებასა და გალობასა შინა, აჰა, შუაღამეს ვიხილე კაცი ვინმე საგლახაკოსა სამოსლითა შემოსილი“ (N 16) შემასმენელი „ვიხილე“ ყურადღებას ამახვილებს ამ კაცის დანახვაზე, გვიანდელ ავტოგრაფში მის ნაცვლად შემოტანილი „შემოვიდა“ (A 228) კი ამას უმატებს კიდევ ერთ დეტალს, რომ მანამდე ის ტაძარში არ იყო და შემდეგ შემოვიდა. ამით ეპიზოდის არსი არ იცვლება.

ვარიანტული სხვაობები ცხადყოფს, რომ ტექსტის ხელახლა გადაწერისას გაბრიელ მცირეს, როგორც ავტორ-შემდეგენელს და არა რიგით გადამწერს, ტექსტში თავისუფლად შეჰქონდა ენობრივი და სტილური ცვლილებები.

ფრაზაში: „არცა ასწავებენ არავის თვინიერ ღმრთისა ბრძანებისა. მისა დიდება უკუნითი უკუნისამდე“ (N 16), ნაცვალსახელის „მისა“ გამოყენება შესაძლოა ტავტოლოგიის თავიდან ამორებით იყოს განპირობებული, რადგან მის წინ, ახლოსვე წერია სიტყვა „ღმრთისა“. გვიანდელ ავტოგრაფში მაინც დაზუსტებულია ამ წინადადების აზრი და ნაცვალსახელი „მისა“ შეცვლილია სიტყვებით „ღმერთსა ჩვენსა“ (A 228).

ხშირია შემთხვევები, როდესაც უწყვეტელსა და წყვეტილში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის სუფიქსი „-ენ“ ჩანაცვლებულია ძველი სუფიქსით „ეს“ (შანიძე, 1976: 63): ივენენ (N 16), ივენეს (A 228); ებიებდენ (N 16), ებიებდეს (A 228); ადიდებდენ (N 16), ადიდებდეს (A 228); მწყსიდენ (N 16), მწყსიდეს (A 228); დასდგენ (N 16), დასდგეს (A 228); აიძულებდენ (N 16), აიძულებდეს (A 228); მოიქცენ (N 16), მოიქცეს (A 228); მოგვითხრობდენ (N 16), მოგვითხრობდეს (A 228) და ერთადერთი შემთხვევა გვაქვს ამის საპირისპირო: განისვენებდეს (N 16), განისვენებდენ (A 228).

არის შემთხვევები, რომლებშიც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშანი „ჰ/“ს“ ადრეულ ავტოგრაფში არის, გვიანდელში კი - არა: ჰხლდნა (N 16), ხლდნა (A 228); განჰკვირდებოდენ (N 16), განკვირდებოდენ (A 228); დაჰფარავ (N 16), დაფარავ (A 228); განხსენ (N 16), განჰხსენ (A 228) და არის საპირისპირო ორი შემთხვევა: დაბერდე (N 16), დაჰბერდე (A 228); სდგათ (N 16), ჰსდგათ (A 228).

ხშირია შემთხვევები, როდესაც გვიანდელ ავტოგრაფში დაკარგულია მესამე ობიექტური პირის ნიშანი: ჰნებავს (N 16), ნებავს (A 228); მონებენ (N 16), ჰმონებენ (A 228) და არის საპირისპირო შემთხვევებიც: ნებავს (N 16), ჰნებავს (A 228); ნებავსთ (N 16), ჰნებავსთ (A 228).

გვაქვს მაგალითები, როდესაც ფუძისეული „ნ“ თანხმოვანი გვიანდელ ვარიანტში გაორმაგებულია: იქმნეს (N 16), იქმნნეს (A 228); განიკურნეს (N 16), განიკურნნეს (A 228); წარგზავნა (N 16), წარგზავნნა (A 228) და გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც: წარავლინნა (N 16), წარავლინა (A 228); იქმნნეს (N 16), იქმნეს (A 228); რაოდენნიცა (N 16), რაოდენიცა (A 228).

არის შემთხვევები, როდესაც სიტყვაში გრაფემა „ჰ“ წარმოდგენილია, ხოლო გვიანდელ ავტოგრაფში - არა: განჰსდევნა (N 16), განსდევნა (A 228); დაჰფლეს (N 16), დაფლეს (A 228); დაჰკლეს (N 16), დაკლეს (A 228); უფრო ხშირია შემთხვევები, რომლებშიც გრაფემა „ჰ“ სიტყვაში არ არის, ხოლო გვიანდელ ავტოგრაფში - წარმოდგენილია: ვსთქვენ (N 16), ვჰსთქვენ (A 228); ვპოვე (N 16), ვჰპოვე (A 228); დაკლა (N 16), დაჰკლა (A 228); რეკა (N 16), ჰრეკა (A 228); შემოიკრიბნა (N 16), შემოჰკრიბნა (A 228); შევკრიბენ (N 16), შევჰკრიბენ (A 228); განვყიდე (N 16), განვჰყიდე (A 228).

გვიანდელ ავტოგრაფში ზოგ ერთპირიან ზმნასაც აქვს დართული ეს სუფიქსი: ფრინვიდა (N 16), ჰფრინვიდა (A 228); მოკულების (N 16), მოჰკულების (A 228).

გვიანდელ ავტოგრაფში შეტანილი სწორებები ზოგჯერ იწვევს აზრის ნიუანსობრივ ცვლილებას. ფრაზა: „ჟამსა მას, ოდეს გამოვიდა სული ჩემი ჯორცთაგან, ვიხილე ცეცხლი ძლიერი“ (N 16) მოიცავს აზრს, რომ მოსაუბრემ ძლიერი ცეცხლი იხილა ხორციდან სულის გამოსვლის შემდეგ; მაგრამ, როგორც ჩანს, წმიდა გაბრიელმა დააზუსტა, რომ ცეცხლის დანახვა მოხდა ხორცისაგან სულის გაყრის დროს და არა მის შემდეგ. შესაბამისად, გვიანდელ ავტოგრაფში წყვეტილის მწკრივის ფორმა „გამოვიდა“ ჩანაცვლებულია უწყვეტილის ფორმით: „გამოვიდოდა“ (A 228).

ერთ-ერთ თხრობას ადრეულ ავტოგრაფში სათაურად აქვს „ცრემლით ცოდვის ამხოცელთათვის (N 16), გვიანდელში კი - „ცრემლით ცოდვათა ახოცისათვის“ (A

228); მათ შორის ნიუანსობრივი სხვაობაა. პირველში აქცენტი იმ ადამიანებზეა გადატანილი, ვინც ამის გაკეთება შეძლო, მეორეში კი - თავად ფაქტზე.

ფრაზაში: „მოწყალებასა კეთილად ვიქმოდეთ და მართლითა სარწმუნოებითა ვიღვწიდეთ და სათნო ვეყოფოდეთ ღმერთსა“ (N 16) ყველა ზმნა ერთ მწკრივში დგას და წინადადება გრამატიკულად გამართულია. გვიანდელ ავტოგრაფში (A 228) „ვეყოფოდეს“ მაგვივრად არის „ვეყვნეთ“. სავარაუდოა, რომ გვიანდელ ავტოგრაფში ფორმის „ვეყვნეთ“ (A 228) შემოტანით გაბრიელ მცირეს სურვილი ჰქონოდა ნიუანსობრივი ცვლილება მოეხდინა.

არის შემთხვევები, როდესაც ავტოგრაფებში განსხვავებულია სიტყვათა გრამატიკული ფორმები რიცხვის მიხედვით. მაგალითად, N 16-ში მხოლობითის ფორმით არის ნახმარი, ხოლო A 228 ნომრით დაცულ ხელნაწერში - მრავლობითის და პირიქით. მაგალითად: ჭურჭელთა (N 16), ჭურჭელსა (A 228); სისხლთაგან (N 16), სისხლისაგან (A 228); საქმენი ჩვენნი (N 16), საქმე ჩვენი (A 228); მაღალთა სათნოებათა (N 16), მაღალსა სათნოებასა (A 228); (A 228); სახმარნი (N 16), სახმარი (A 228); ქრისტეანენი (N 16), ქრისტეანე (A 228); მივიდენ (N 16), მივიდა (A 228); ნაწილთა (N 16), ნაწილისა (A 228); ჰყოფდენ (N 16), ჰყოფდა (A 228); ადიდებდენ (N 16), ადიდებდა (A 228); ყურთა (N 16), ყურსა (A 228); სულთაგან (N 16), სულისაგან (A 228); ცოდვილთა (N 16), ცოდვილისა (A 228); პური შესაწირავი განაწესა (N 16), პურნი შესაწირავნი განაწესნა (A 228); საუფლო კრავი (N 16), საუფლონი კრავნი (A 228); შანთნი ელვისანი (N 16), შანთი ელვისა (A 228); ჰყვათ (N 16), ჰყვა (A 228); ბჭესა (N 16), ბჭეთა (A 228); მისი (N 16), მათი (A 228); მისგანი (N 16), მათგანი (A 228).

მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკული რიცხვი მნიშვნელოვანი კატეგორიაა, ზემოთ განხილულ შემთხვევებში კონტექსტი გვაძლევს სწორ ორიენტაციას და წარმოდგენილ ვარიანტთაგან არც ერთი არ იწვევს აზრობრივ ცვლილებას.

გვაქვს კიდევ არაერთი შემთხვევა, რომლებშიც ორივე ვარიანტული წაკითხვა მისაღებია, მაგალითად, ფრაზაში: „შეაგდო საპყრობილესა, რათა კვალად არღარა იქმნეს შემასმენელ“ (N 16) ფორმა „იქმნეს“ შეცვლილია ფორმით „იქმნას“ (A 228); ეს მხოლოდ „გვრგვნის“ ტექსტის წყაროების თავისებურება არ არის. ბიბლიის ხელნაწერებშიც ხშირია II კავშირებითში მწკრივის ნიშნების (-ე / -ა) მონაცვლეობა.

## § 2. გვიანდელი ავტოგრაფის ხარვეზები

გვხვდება შემთხვევები, რომლებშიც ადრეული ვარიანტის სიტყვათა სწორი მართლწერა გვიანდელში შეცვლილია. მაგალითად, აუსლაუტში ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული „დ“ თანხმოდანი დაყრუებულია: უმიზეზოდ (N 16), უმიზეზოთ (A 228); თემის ნიშანი -ავ შეცვლილია -ამ ნიშნით: შეჰკრავა (N 16), შეჰკრამა (A 228).

ადრეულ ავტოგრაფში ზოგიერთი სიტყვა „ს“ გარეშეა წარმოდგენილი, ხოლო გვიანდელ ავტოგრაფში - „ს“-თი. მაგალითად: გამოწერე (N 16), გამოსწერე (A 228), დაწვეს (N 16), დასწვეს (A 228).

ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც გვიანდელ ავტოგრაფში (A 228) ადრეული ავტოგრაფის (N 16) სწორი გრამატიკული ფორმა შეცვლილია:

ფრაზაში: „სურვიელ იყო გლახაკთა და უცხოთა თანა პურისა ჭამად“ (N 16) ვითარებითი ბრუნვის სწორი ფორმა „ჭამად“ (N 16) შეცვლილია ფორმით: „ჭამად“ (A 228), რომელიც კონტექსტს არ შეესაბამება.

ფრაზაში: „ვითარცა შეეხნეს მღუდელნი განტეხად წმიდასა მას პურსა“ (N 16) მიცემით ბრუნვაში მდგარი კონსტრუქცია „წმიდასა მას პურსა“, რომელსაც ითხოვდა გარდაუვალი ზმნა „შეეხნეს“, შეცვლილია ნათესაობითი კონსტრუქციით: „წმიდისა მის პურისა“ (A 228), რომელიც მოცემულ კონტექსტთან შესაბამისობაში იმ შემთხვევაში იქნებოდა, „შეეხნეს“ ნაცვლად სხვა ზმნა რომ ყოფილიყო, მაგალითად „შეკრებულ იყვნეს“.

ერთ-ერთ ქვესათაურში „ხატისა მიერ ქმნილი სასწაული“ (N 16) ბოლო სიტყვის სახელობითი ბრუნვის ფორმა შეცვლილია ნათესაობითით - „სასწაულისა“: „ხატისა მიერ ქმნილი სასწაულისა“ (A 228). ვფიქრობთ, ეს ინერციით უნდა იყოს გაკეთებული. არაერთი ქვეთავის სათაური მთავრდება ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით, რადგან შეიცავს კონსტრუქციას: „გამოცხადებისათვის ...ისა“, მაგალითად: „გამოცხადებისათვის წმიდისა საიდუმლოდსა“ ან იხმარება „თვის“ თანდებულიან ფორმასთან, რომელსაც მოსდევს სუბსტანტიური მსაზღვრელი, მაგალითად: „ეპისკოპოსისათვის მუშაკისა და მოწყალისა“.



რამდენადაც ამ სათაურში ასეთი ვითარება არ არის, ადრეული ფორმა, სადაც „სასწაული“ სახელობით ბრუნვაში იდგა, სწორი იყო.

ფრაზაში: „აიძულებდენ უარისყოფად ქრისტესა, და ზიარებად შეგინებულისა მაჰმადისა სარწმუნოებასა“ (N 16) ბოლო სიტყვის მიცემითი ბრუნვის მართებული ფორმა, რომელსაც ითხოვდა ზმნა „ზიარება“ (იხ. მაგ. „ღირს ვიქმენ ზიარებად ჭემმარიტსა ჯორცსა და სისხლსა“) შეცვლილია ნათესაობითის ფორმით „სარწმუნოებისა“ (A 228).

ფრაზა: „ქმრისა ჩემისათვის იტყვია, უფალო?“ (N 16) გრამატიკულად გამართულია, რადგან „თვის“ თანდებული ხშირად იხმარებოდა „თქმა“ ზმნასთან საუბრის ობიექტის აღსანიშნად. გვიანდელ ავტოგრაფში იგი შეცვლილია ფორმით „ქმარსა ჩემსა“ (A 228).

ფრაზაში: „გლახაკათავის სახმართა განაგებდა: რომელნიმე საზრდელსა, რომელნიმე სამოსელსა“ (N 16) ორწერტილის შემდეგ დაკონკრეტებულია, რა ტიპის „სახმარზეა“ საუბარი. შესაბამისად, სიტყვები „საზრდელსა“ და „სამოსელსა“, რომლებიც უკავშირდება გარდამავალ ზმნას „განაგებდა“, მართებულად იდგა მიცემით ბრუნვაში. გვიანდელ ავტოგრაფში ეს სიტყვები „თვის“ თანდებულისანი ფორმებით არის შეცვლილი და თან არასწორად წერია: „საზრდელსათვის“ და „სამოსელსათვის“ (A 228). ვფიქრობთ, გაუგებრობა გამოიწვია ფრაზის გაგრძელებამ: „ხოლო სხუანი სხუათა სახმართათვის მოვიდოდეს“. მართალია, აქ გვაქვს „თვის“ თანდებულისანი ფორმა, მაგრამ იგი სხვა ზმნასთან - „მოვიდოდეს“ არის შეწყობილი. საუბარია რაღაცისთვის მოსვლაზე და უბრალო დამატებისთვის „თვის“ თანდებულისანი ფორმა სავსებით ბუნებრივია.

ფრაზაში: „მაკარი ეგრეთვე სიმდაბლით მიუგებდა: „არღა განრომილ ვარ, არამედ ჯერეთ მეშინის“ (N 16), ნაწილაკი „არღა“ (ჯერ არ) კარგად ესადაგება კონტექსტს. მაკარი მიანიშნებს, რომ ჯერ კი არ გადარჩენილა, ჯერ კი არ ცხოვნებულია, არამედ ჯერ კიდევ ეშინია. შესაბამისად, „არღა“ ფორმა უფრო მართებული იყო, ვიდრე გვიანდელ ავტოგრაფში შეტანილი „არა“ (A 228) ფორმა, თუმცა ეს სწორება აზრობრივ ცვლილებას არ იწვევს.

ფრაზაში: „ვითარილა სვეტი ნათლისა დამიტევებს ჩვენ დღეს!“ (N 16) ზმნა სწორი ფორმით არის მოცემული, რადგან მისი ფუძე არის „დატევება“. ხოლო გვიანდელ ავტოგრაფში გვხვდება ფორმა „დამიტეობს“ (A 228).

ერთ-ერთი ქვეთავის სათაური: „მკუდრისა აღდგომილისათვის“ (N 16) გვიანდელ ავტოგრაფში ჩანაცვლებულია ფორმით „მკუდრისა აღდგომისათვის“ (A 228). ადრეული ავტოგრაფის სათაური უკეთ ესადაგება თხრობის შინაარსს, რომელშიც ერთ კონკრეტულ მკვდრეთით აღდგენილ მიცვალებულზეა საუბარი და არა ზოგადად მკვდრის აღდგენაზე.

ფრაზაში: „ჰრქუა მეორემან ანგელოსმან: „ღე, თავსმდებ ვიქმნები და მისცა ჯელი თავდებობისათვის“ (N 16). ფორმა „თავსმდებ“ მართებულია. იგი მიღებულია ფრაზიდან „თავს მდები“ - თავის თავზე ამღები, გვიანდელ ავტოგრაფში კი შეტანილია ფორმა „თავსდებ“(A 228).

ფრაზაში: „ვიხილე სულისა ჩემისა ბუნება, ვითარცა რა მარგარიტი ბრწყინვალე“ (N 16) არსებითი სახელი „ბუნება“ წყვეტილის მწკრივში მდგარი გარდამავალი ზმნის „ვიხილე“ პირდაპირი ობიექტია და მართებულად დგას სახელობით ბრუნვაში. გვიანდელ ავტოგრაფში კი წარმოდგენილია ფორმა „ბუნებასა“ (A 228).

ფრაზაში: „ვინებე უშინაგანესთა უდაბნოთა წარსლვად, უკეთუმცა ვჰპოვო მუნ მსახური ქრისტეს მეუფისა“ (N 16) ზმნა „ვჰპოვო“ გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია ფორმით: „ვჰპოვე“ (A 228).

ფრაზაში: „ვიგულსმოდგინე სხვისადა ოთხისა დღისა უშორეს წარსლვად“ (N 16) იგულისხმება დამატებით კიდევ ოთხი დღის სავალზე წასვლა. ფრაზა „ოთხისა დღისა“, რომლის ორივე წევრი ნათესაობით ბრუნვაშია, უკავშირდება სიტყვას „უშორეს“ და მიუგებს კითხვაზე „რის უშორეს?“. გვიანდელ ავტოგრაფში კი წარმოდგენილია ფორმა „სხვასადა“ (A 228).

ფრაზაში: „რაოდენნი კეთილნი განგიმზადე შენ, ერთისათვის საბლარდნელისა, რომლითა შემმოსე მე“ (N 16) მაკავშირებელი სიტყვა „რომლითა“ კონტექსტს სავსებით ესადაგება, რადგან ზმნა „შემმოსე“ ითხოვს მოქმედებით ბრუნვაში მდგარ

უბრალო დამატებას (მაგ. „შემოსე შენი სამოსელით“). მეორე მხრივ, გვიანდელ ავტოგრაფში წარმოდგენილი „რომელი“ (A 228) ზმნის ფორმას არ ესადაგება.

ფრაზაში: „მოისპეთ უკეთურება სულთაგან თქვენთა“ (N 16) ბოლო ორი სიტყვა მსაზღვრელ-საზღვრულია პოსტპოზიციურ წყობაში. ამიტომ მათი რიცხვში შეთანხმება აუცილებელია. გვიანდელ ავტოგრაფში წარმოდგენილი „თქვენისა“ (A 228) კი მისი საზღვრულისგან განსხვავებით მხოლოდობითში დგას.

ფრაზაში: „რათამცა შეწირულ იყო წინაშე ქრისტესა სურვილით მოწყალეა ჩემი“ (N 16). სინტაგმა „წინაშე ქრისტესა“ პასუხობს კითხვაზე „ვის წინაშე“ და მოითხოვს არსებით სახელს ნათესაობით ბრუნვაში. ნათესაობითი ბრუნვის ფორმას „ქრისტეს“ აქ ემატება მავრცობი „ა“. გვიანდელ ავტოგრაფში შემოტანილია ფორმა „ქრისტესსა“ (A 228), მაგრამ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის გაორმაგების საჭიროება არ არის.

ფრაზაში: „დღესა ერთსა ისხდნენ გლახაკნი მცირედნი უბანთა ზედა“ (N 16). ფორმა „ისხდნენ“ გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია ფორმით: „ისხდენ“ (A 228).

ფრაზაში: „სახესა მას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა თავთა ზედა გლახაკთასა მდგომარესა“ (N 16) საზღვრული „თავთა“ მრავლობით რიცხვში შეითანხმებს სუბსტანტიურ მსაზღვრელს - „გლახაკთასა“. გვიანდელ ავტოგრაფში წარმოდგენილი ფორმა „თავსა“ კი იმავე მსაზღვრელს ითანხმებს მიცემით ბრუნვაში: „გლახაკთასა“ (A 228).

ფრაზაში: „მსწრაფლ მივიდა მისა, რათა აწოოს ძუძუჲ. და ოდეს გარდახადა საბურველი პირსა... იწყო ყრმამან ჩვეულებისაებრ ტირილად“ (N 16) ზმნას „გარდახადა“ დამატება სწორად აქვს შეთანხმებული მიცემით ბრუნვაში - „პირსა“. გვიანდელ ავტოგრაფში კი მის ნაცვლად არის „პირისა“ (A 228). გრამატიკულად წინადადება ასეთი ფორმითაც გამართულია.

ფრაზაში: „ესე ჰრქუა და ჰყო ლოცვა“ (N 16) სამპირიანი ფორმა „ჰრქუა“ სწორად არის გამოყენებული, რადგან ამ ეპიზოდის წინ ვკითხულობთ: „კაცმან ღმრთივსულიერმან – მარკოზ ჰრქუა მას...“ და წარმოდგენილ ფრაზაშიც ნაცვალსახელში „ესე“ სწორედ ამ ქმედებაზე ხდება აპელირება. გვიანდელ

ავტოგრაფში კი გამოყენებულია ფორმა „სთქუა“ (A 228), რომელიც ირიბ დამატებას არ გულისხმობს.

ფრაზაში: „უკეთუ არა მოიკვეთო ფერჯი ესე დამპალი, ყოველი გუამი შენი განირყვნას“ (N 16), „მოიკვეთო“ გვიანდელ ავტოგრაფში ჩანაცვლებულია ფორმით „მოიკვეთოს“.

ფრაზაში: „წარვიდა იერუსალიმს და ნათელილო პატრიარხისაგან“ ზმნის ფორმა „ნათელილო“ (N 16) გვიანდელ ავტოგრაფში ჩანაცვლებულია ფორმით - „ნათელსილო“ (A 228).

ფრაზაში: „იხილეს იგი, რამეთუ საჭურისი იყო, არამედ ვინათგან ჭაბუკ იყო; ამისთვის არა ვისგან საცნაურ იყო“ (N 16) სიტყვა „ამისთვის“ ნაცვლად გვიანდელ ავტოგრაფში გამოყენებულია ფორმა „მისთვის“ (A 228).

ფრაზაში: „ქრისტემან... ხსნილ გყოს შენ აწ დათხევითა სისხლთა შენთათა სახელისა მისისათვის, შემოვედ და ეგენ ჩვენ თანა!“ (N 16). „ეგენ“ (იყავი) გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია ფორმით: „ეგე“ (A 228).

ფრაზაში: „დასცხრა ძრვად იგი ქვეყანისა“ (N 16) საუბარია მიწისძვრის დაცხრობაზე და გვიანდელ ავტოგრაფში სიტყვის „ქვეყანისა“ ნაცვლად შემოტანილია სიტყვა „ქალაქისა“ (A 228).

ფრაზაში: „დასხდეს სერობად ზოილეს თანა“ (N 16) საუბარია სადილად დასხდომაზე. გვიანდელ ავტოგრაფში შემოტანილი სიტყვა „დასდგენ“ (A 228) „გაჩერდნენ, დარჩნენ“ მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი.

ფრაზაში „სამღთო მსახურება აღასრულო“ (N 16). „სამღთო მსახურება“ გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია „სამღთო მსხვერპლით“ (A 228), რაც ერთსა და იმავე აზრს გამოხატავს.

ფრაზაში: „იხილეთ, ზ, ძმანო, ძალი მოწყალებისა!“ (N 16) სიტყვა „იხილეთ“ ზუსტად ესადაგება სიტყვა „ძალს“, გვიანდელ ავტოგრაფში კი შემასმენელად შემოტანილია „ისმინეთ“ (A 228).

ფრაზაში: „განჰკვირდა ნაწერისა მის შვენიერებასა“ (N 16) ადრეული ავტოგრაფის ფორმა „ნაწერისა“ გრამატიკულად სწორია, გვიანდელ ავტოგრაფში კი შემოტანილია სიტყვა „წერისა“ (A 228).

ფრაზაში: „მიითვალენ შვილნი შენნი, რამეთუ ჭემმარიტად შეინანეს“ გრამატიკული სტრუქტურა გამართულია, რადგან საუბარია ორ შეცოდებულ ადამიანზე. გვიანდელ ავტოგრაფში კი „შვილნი შენნი“-ს მაგივრად შემოტანილია „შვილო ჩემო“. მაგრამ ეს სიტყვები რომ წერილის ადრესატს მიემართებოდეს, მაშინ შემასმენელი „მიითვალენ“ დამატების გარეშე დარჩებოდა.

ფრაზაში: „შერავიდოდა ნავად, ეტყოდა მას ცოლი მისი“ გრამატიკული სტრუქტურა გამართულია. ეს არის დროის გარემოებით დამოკიდებულიანი რთული ქვეწყობილი წინადადება და შემასმენელი „შერავიდოდა“ (N 16) ამავე დროს მაკავშირებელ სიტყვასაც შეიცავს ტმესის სახით (როცა შედიოდა). გვიანდელ ავტოგრაფში შემოტანილი ფორმა „შევიდა“ (A 228) ტმესის გარეშეა და წყვეტილის მწკრივში დგას, თუმცა მთავარი წინადადების შემასმენელი უწყვეტელში რჩება. ასეთი შემთხვევები უცხო არ არის ძველი ქართულისთვის.

### **§ 3. გვიანდელ ავტოგრაფში შეტანილი მართებული სწორებები**

„გვრგვინის“ ავტოგრაფებში არის ისეთი შემთხვევები, სადაც ადრეული ავტოგრაფის ვარიანტული წაკითხვა გვიანდელში მართებულადაა გასწორებული, მაგრამ ასეთი შემთხვევები საპირისპიროსთან შედარებით რაოდენობრივად თითქმის სამჯერ ნაკლებია.

მაგალიტები:

ფრაზაში: „მოღვაწება აჩვენეს ზიარებისათვის წმიდათა საიდუმლოთასა“ (N 16) გვიანდელ ავტოგრაფში ნათესაობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ფორმა, რომელსაც ბრუნვის ნიშანიც დაერთვის - „საიდუმლოთასა“, შეცვლილია მართებული ფორმით „საიდუმლოთა“ (A 228).

ფრაზაში: „მოვლეს იგი სამგზის გარემოს მისა“ (N 16) გვიანდელ ავტოგრაფში ფორმა „მისა“ შეცვლილია ფორმით „მისსა“ (A 228).

ფრაზაში: „არარაჲ აქუნდა მიცემად მისსა“ (N 16) ბოლო სიტყვა გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია ფორმით „მისა“ (A 228), რომელიც გრამატიკულად უფრო

მართებულია, მაგრამ ძველ ტექსტებში, მათ შორის „წმინდა წერილშიც“ ანალოგიურ კონტექსტში გვხვდება პირველი ფორმაც „მისსა“.

ფრაზაში: „თვითოეულისა ცოდვისა განმკითხველნი: რომელნიმე ტყუილისა, რომელნიმე ამპარტავნებისა, რომელნიმე განკითხვისა და რომელნიმე სიძვისათვის ბოროტისა“ (N 16) ორწერტილის მარჯვნივ ჩამოთვლილი ცოდვები, ისევე როგორც მათი განზოგადებული სახელი „ცოდვისა“ უკავშირდება სიტყვას „განმკითხველნი“. ამიტომ ბუნებრივია, რომ ყველა სიტყვა ნათესაობითში იდგეს. ისე, როგორც გვიანდელ ავტოგრაფში გვხვდება: „სიძვისა“ (A 228).

ფრაზაში: „მოუხდა მთავარსა ქალაქისასა და აღუარნა მას ცოდვანი თვისნი მპარავობისა“ (N 16) ბოლო სიტყვა არის მრავლობითში მდგარი არსებითი სახელის „ცოდვანი“ მსაზღვრელი. რამდენადაც წყობა პოსტპოზიციურია და გვაქვს მრავლობითი რიცხვის ნარ-თანიანი ფორმა, მსაზღვრელიც უნდა იდგას მრავლობითში, ისე, როგორც გვიანდელ ავტოგრაფშია: „მპარავობისანი“ (A 228).

ფრაზაში: „მისცა მსახურსა და სთქუა: „ვინ იპოვოს უსარწმუნოესი ღმრთისა...“ (N 16) „სთქუა“ არ არის სამპირიანი ზმნა, კონტექსტის მიხედვით კი წინადადებაში არის ირიბი ობიექტიც - „მსახურს“. გვიანდელ ავტოგრაფში მართებულად, „სთქუა“-ს ნაცვლად „ჰრქუა“ არის შემოტანილი.

ფრაზაში: „შესლვასა მისსა ბჭეთა შინა მონასტრისასა იხილა ერთი დაჲ“ (N 16) სიტყვები „ბჭეთა“ და „მონასტრისასა“ პოსტპოზიციური წყობის მსაზღვრელ-საზღვრულია. გვიანდელ ავტოგრაფში მათ შორის რიცხვში შეთანხმება არის მომხდარი სიტყვის „მონასტრისასა“ სიტყვით „მონასტრისათა“ (A 228) ჩანაცვლებით.

ფრაზაში: „რამსა ეგრე მარადის სტირ, დედაო?“ (N 16) სიტყვა „ეგრე“ გვიანდელ ავტოგრაფში შეიცვლილია სიტყვით „ეგე“ (A 228).

ფრაზაში: „მოვიდეს ანგელოსნი საშინელნი ძიებად კეთილთა საქმეთა მისათა“ ბოლო სიტყვა ორმაგი სუფიქსით წერია - „მისათა“ (N 16), ხოლო გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია ფორმით „მისთა“ (A 228).

ფრაზაში: „რომელნიმე სადიაკონოსა იტყოდეს და რომელნიმე ჰგალობდა“ (N 16) ზმნა „ჰგალობდა“ შეცვლილია ფორმით „ჰგალობდეს“ (A 228), რადგან

უწყვეტელში ამ ტიპის ზმნებს მესამე სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნად ძველ ქართულში სუფიქსი „ეს“ ჰქონდათ.

ფრაზაში: „წარვედ და ვერ შეუძლე საქმესა მას ქმნად“ (N 16) სინტაგმა „საქმესა მას“ მიცემით ბრუნვაში დგას და წინადადებაში ირიბი დამატების ფუნქციას ასრულებს, გვიანდელ ავტოგრაფში მას პირიანობა დაკარგული აქვს და მსაზღრელის ფუნქცია აქვს ნაკისრი: „საქმისა მის“ (A 228).

ფრაზაში: „რომელი მისცემდეს გლახაკსა, ქრისტესა ავასხებს“ ზმნა „მისცემდეს“ მყოფადის კავშირებითის მწკრივშია და მომავალ დროს გამოხატავს, ასევე მყოფადის მნიშვნელობით არის გამოყენებული მეორე ზმნა „ავასხებს“. გვიანდელ ავტოგრაფში მწკრივთა განსხვავებულობა მოხსნილია: „მისცემს“ (A 228).

ფრაზაში „ვედრებიან და არავინ არს მხსნელ მათდა, და არცა შემწე“ (N 16) სიტყვა „მხსნელ“ გვიანდელ ავტოგრაფში ჩანაცვლებულია სიტყვით „მსმენელ“ (A 228).

ფრაზაში: „უკეთუ მისცე მას ვახშად რომელი, არა წარსწყმიდო, არამედ უმეტესად მოგაგოს შენ“ (N 16). შემასმენლები - „წარსწყმიდო“ და „მოგაგოს“ მეორე პირს სხვადასხვა ფუნქციით გულისხმობს, პირველისთვის „შენ“ არის ქვემდებარე, მეორისთვის კი დამატება. სიტყვა „მოგაგოს“ გვიანდელ ავტოგრაფში შეცვლილია ფორმით „მოილო“ (A 228).

#### **§ 4. ძირითადი წყაროს არჩევა**

ტექსტოლოგიური პრინციპების მიხედვით, ძირითადი ტექსტის არჩევისას ავტოგრაფს ცალსახა უპირატესობა აქვს არაავტორიზებულ ასლთან მიმართებით, ანუ იმ შემთხვევაში, თუ ასლს არ ეტყობა რაიმე ნიშანი იმისა, რომ იგი ავტორმა წაიკითხა და ჩაასწორა. რამდენადაც გაბრიელ მცირის „გზრგზნის“ 42 ასლიდან არც ერთი არ არის ავტორიზებული, ძირითადი ტექსტი უნდა აგვერჩია ჩვენ ხელთ არსებული ორი ავტოგრაფიდან.

ჩვეულებრივ ვითარებაში, XIX-XX საუკუნეების ხელნაწერ ტექსტებთან მიმართებაში ძირითად ტექსტად ვირჩევთ ხოლმე გვიანდელ ავტოგრაფს, თუ იგი

უკეთ გამოხატავს ავტორის ბოლო ნებას. ამ შემთხვევაში გაბრიელ მცირის „გვრგუნის“ ავტოგრაფთა შედარებითმა კვლევამ დაგვარწმუნა, რომ გვიანდელ ავტოგრაფში (A 228) ავტორს კონცეპტუალური ცვლილებები არ შეუტანია, მექანიკური შეცდომები და ლაფსუსები კი გაცილებით მეტია, ვიდრე ადრეულში (თითქმის სამჯერ მეტი. იხ. ავტოგრაფების შედარებითი ანალიზი). როგორც ჩანს ავტორები და რედაქტორ-შემდგენლები განსაკუთრებული ყურადღებით ქმნიდნენ ტექსტის პირველ, დასრულებულ ვარიანტს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გაბრიელ მცირის მიერვე შედგენილ კრებულ „მანანას“ მინაწერი, რომლის მიხედვითაც რედაქტორ-შემდგენელი ტექსტის უადრეს ვარიანტს ასახელებს ყველაზე სანდო წყაროდ ასლების გადასაღებად, „დედნად სახმარად“ და აღნიშნავს: „ჭეშმარიტებით გასწორებული, მრავლითა გულსმოდგინებითა (ხეც H 1748, 1r). რა თქმა უნდა ასეთივე მიმართებით ექნებოდა მას მომზადებული სხვა ნაშრომთა „დედნად სახმარი“ ტექსტები.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გაბრიელ მცირის ავტოგრაფებს შორის კონცეპტუალური სხვაობა არ არის. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ის ერთი შემთხვევაც, რომელში შეტანილი სწორებაც აზრის შეცვლას იწვევს, შემთხვევითობას უნდა მივაწეროთ. ფრაზიდან: „ღმერთმან განაგო კაცთათვის კაცნი წარსამართებელად, რამეთუ არცა ანგელოსნი ამხილებენ და არცა ასწავებენ არავის თვინიერ ღმრთისა ბრძანებისა“ მნიშვნელოვანი სიტყვების: „თვინიერ ღმრთისა ბრძანებისა“ ამოღება გვიანდელი ავტოგრაფიდან მექანიკური შეცდომაა, გამორჩენაა და არა განზრახ შეტანილი ცვლილება, რადგან ამის ამოღებით აზრი მნიშვნელოვნად იცვლება. სულ სხვაა თუ ვიტყვით, რომ ანგელოზები საერთოდ არ ამხელენ და ასწავლიან ადამიანებს და სულ სხვაა თუ ვიტყვით, რომ ამას ღვთის ბრძანების გარეშე არ აკეთებენ.

ამ ვითარებათა გათვალისწინებით, ძირითად ტექსტად ავირჩიეთ ჩვენ ხელთ არსებული ადრეული (N 16) და არა გვიანდელი (A 228) ავტოგრაფი. ვარიანტულ სხვაობათა წარმოსაჩენად სწორედ მას შევადარეთ ყველა დანარჩენი ხელნაწერი და ვასილ კარბელაშვილისეული გამოცემა. დანართის სახით წარმოდგენილ ტექსტში



წყაროები ქრონოლოგიური პრინციპით არის დალაგებული და ნუსხებს შორის გამოვლენილი სხვაობები მითითებულია სქოლიოებში.

## თავი V.

### „გვრგვნი“ შემავალ თხრობათა წარმომავლობა

„გვრგვნის“ ბეჭედში გაბრიელ მცირე წერს: „ღმრთივსულიერსა ამას წერილსა ეწოდების „გვრგვნი“ ამათ ესევიტართა მიზეზთათვის, რამეთუ ვითარცა გვირგვინი პატიოსანი შემკობილ არს მრავალფერთა პატიოსანთა ნივთთა და თუალ-მარგარიტთა მიერ, ეგრეთვე ესე გვირგვინი სულისა შეწყობილ არს და შემკობილ მრავალთა სამღთო კეთილ თხრობათა მიერ“.

ამ ცნობის მიხედვით ცხადდება, რომ კრებული „გვრგვნი“ უკვე არსებული ლიტერატურული წყაროებიდან გამოკრებილი თხობებითაა შედგენილი. დასადგენია, თუ რომელი წყაროებით ისარგებლა გაბრიელ მცირემ და რა საფუძველზე შექმნა ამ კრებულში შეტანილ თხრობათა ერთიანი, თანმიმდევრული სისტემა.

ქართული მწერლობა მდიდარია ორიგინალური თუ ნათარგმნი ტექსტებით, რომლებიც მოიცავს პატერიკებს და წმიდა მამათა ცხოვრებებს. „გვრგვნის“ თხრობათა წარმომავლობის დასადგენად ძველ ქართულ სასულიერო ლიტერატურაში მოვიძიეთ „გვრგვნი“ შემავალი თხრობების მსგავსი ტექსტები. მათ შორის:

იოანე მოსხის (550-634) პატერიკების კრებული, „ლიმონარი“; „ანბანური პატერიკი. სწავლანი მამათა სკიტელთანი გამოკრებული“; წმიდა პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონი“; ეფთვიმე ათონელის თარგმნილი „სწავლანი წმიდათა მამათანი“ (XI ს.); თეოფილე ხუცესმონაზონის XI-XII საუკუნეების წმიდა მამათა სწავლათა და თხრობათა კრებული; რუსულ-ბერძნული წყაროდან გადმოთარგმნილი „ლიმონარი“; რუფინუსის „მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“; ასევე წიგნი სახელწოდებით: „The anonymous sayings of the Desert Fathers“, სადაც თხრობები ბერძნულად და ინგლისურად არის გამოქვეყნებული. იგი წარმოადგენს აპოთეგმური თხრობების კრებულს (Apothegmata Patrum).

სასულიერო თხრობათა კრებული „გვრგვნი“ გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ხსენებულ ნაშრომებთან. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ათონზე

არსებული ხელნაწერი, რომელიც თარიღდება 977 წლით: „დაიწერა წმიდად ესე წიგნი დიდებულსა ლავრასა ოშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემელისასა, მამობასა საბაძსა, ქრისტემან აკურთხენ, კელითა სტეფანე დეკანოზისადათა და მისივე კელითა შეიმოსა... ქორონიკონი იყო რჳზ (780+297=977 წ.)“. ეს წიგნი ცნობილია, როგორც „ოშკის სამოთხე“. ხსენებული ხელნაწერი 1915 წელს ილია ფანცულაიას გადაუწერია.

ილია ფანცულაიას ნუსხაში (A-1142) სხვა ტექსტებთან ერთად შესულია იოანე მოსხის „ლიმონარი“. მასში ვკითხულობთ: „ამას წიგნსა სამოთხე ეწოდების, რომელსა შინა წერილ არიან საქმენი და განგებანი წმიდათა მამათანი და ქრისტესმოყვარეთა დედათანი, რომელი აუწყებს ყოველთა სათნოებათა, სარგებელად კაცთა და ბოროტის მოქმედათაძესცა, რომელთა არა ეშინოდა ღმრთისა...“(Ath 9, 287v-345r). იმავე ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „ხოლო ჩუენ, ცოდვილი ყოველთა მორწმუნეთა უსაწყალობელესთა სახელით იოვანე თორნიკ-ყოფილმან და ძმამან ჩემმან იოვანე ვარაზვაჩე, რომელთა წმიდად ესე წიგნი მოვიგეთ, რომელსა ეწოდების სამოთხე...“

ჩვენამდე მოღწეულია საბერძნო-საქართველო დანიშნულების კრებული, – ხელნაწერი, რომელიც 925 წელს საბაწმიდის ლავრაშია გადაწერილი (Sin. 36) და დაცულია სინას მთის წმიდა ეკატერინეს სახელობის მონასტრის ქართულ კოლექციაში. მასში გაერთიანებულია ეკლესიის ცნობილი მამების – იოანე ოქროპირის, ეფრემ ასურის, ბასილი დიდის, საჰაკ მონაზონის, მარტვირი მონაზონის ქადაგებები და იოვანე მოსხის ავტორობით ცნობილი პატერიკების კრებული – „ლიმონარი“, რომელიც ხელნაწერის შესავალშივე ავტორის მიერ „სამოთხედ“ იწოდება. ამ წყაროს თითქმის ზედმიწევნით განმეორებას წარმოადგენს 977 წელს ოშკის ლავრაში გადაწერილი კრებული და 1915 წელს ილია ფანცულაიას მიერ შესრულებული მისი ასლი (A 1142).

ზემოაღნიშნულ ხელნაწერებში, როგორც ვთქვით, შესულია იოანე მოსხის ავტორობით შექმნილი VII საუკუნის თხზულება: „ლიმონარი“, რომელიც ილია

აბულაძემ გამოსცა და რომელსაც ქართულად „სამოთხე“ ჰქვია<sup>30</sup>. აღნიშნული გამოცემა ეფუძნება სამ ხელნაწერს: ათონის 9 (977 წლის), სინას 36 (925 წლის) და სინას 68 (XIII საუკუნისა).

რადგან ილია ფანცულაიას მიერ 1915 წელს გადაწერილი და საქართველოში ჩამოტანილი პირი გაბრიელ მცირის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა, სავარაუდოდ, წმიდა გაბრიელი ისარგებლებდა საქართველოში არსებული სხვა ადრინდელი ხელნაწერით, რომელიც დღეს სიძველეთსაცავებში არ ჩანს.

„გვრგვნი“ შევადარეთ იოანე მოსხის „ლიმონარის“ როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ წყაროს. შედარების საფუძველზე, მართლაც, იკვეთება ამ ნაშრომთა შორის გარკვეული მსგავსება და კავშირ-დამოკიდებულება. „ლიმონარის“ ქართული ხელნაწერის ბერძნულ წყაროსთან შედარებისას ჩანს, რომ მათი თხრობათა დანომვრა ერთმანეთს ხშირ შემთხვევაში არ მისდევს. ასევე გვხვდება თხრობები, რომლებიც ქართულ ვარიანტში არის, ბერძნულში კი – არა და პირიქით.

„გვრგვნი“ მეტ თანხვედრას ამჟღავნებს „ლიმონარის“ ბერძნულ წყაროსთან. „გვრგვნის“ შედარებისათვის „ლიმონარის“ ქართულ ვერსიასთან გამოვიყენეთ ილია აბულაძის გამოცემა<sup>31</sup>, ხოლო ბერძნულთან შესადარებლად – 2014 წელს გამოცემული „ლიმონარი. მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“<sup>32</sup>. ამ წიგნის პირველ განყოფილებაში შესულია „ლიმონარის“ ტექსტი, რომელიც რუსულიდანაა გადმოთარგმნილი: „Луг духовный“ свято-троицкая сергиева лавра, 1896. რუსულის პირველწყარო კი არის მინეს გამოცემული: „Patrologiae cursus completus“, T. LXXXVII, 2845-3116.

„გვრგვნისა“ და იოანე მოსხის „ლიმონარის“ ქართული ვარიანტის შედარებამ ცხადყო, რომ „გვრგვნის“ 3, 19, 28, 3 თხრობები შინაარსობრივად ემთხვევა იოანე მოსხის „ლიმონარის“ ტექსტს. ხოლო „გვრგვნის“ 13, 15, 19, 28, 57, 59, 63, 64, 65, 76, 95,

---

<sup>30</sup> ილ. აბულაძე, ლიმონარი, თბ., 1960, გვ. 07-08.

<sup>31</sup> ილ. აბულაძე, ლიმონარი, თბ., 1960.

<sup>32</sup> „ლიმონარი. მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“, თბ. 2014.

97 თხრობები თანხვედრაშია „ლიმონარის“ ბერძნული ტექსტის 2014 წლის გამოცემასთან. „გვრგუნის“ აქ ხსებულ ტექსტთა ურთიერთდამოკიდებულება ასახულია: „იდენტურ თხრობათა შედარებით ცხრილში“.

აღსანიშნავია „გვრგუნის“ თხრობათა აზრობრივი (არასიტყვასიტყვითი) თანხვედრა ტექსტებთან, რომლებიც შეტანილია წიგნში: „ანბანური პატერიკი. სწავლანი მამათა სკიტელთანი გამოკრებილნი“<sup>33</sup>. აღნიშნული წიგნი ეყრდნობა სამ ხელნაწერს: ათონის 12 (X-XI სს.); სინას 35 (X ს.); სინას 8 (XI ს.). აღნიშნულ გამოცემაშიც მოიძებნა „გვრგუნში“ შემავალი თხრობების შინაარსობრივი შესატყვისები. ესენია „გვრგუნის“ 23, 24, 26, 44, 51, 75, 82, 84, 90, 96, 97 თხრობები. თხრობათა ურთიერთდამოკიდებულება ასახულია ამ ქვეთავისთვისვე თანდართულ შესაბამის ცხრილში.

შედარებამ ასევე ცხადყო, რომ „გვრგუნის“ 90 და 91-ე თხრობა თანხვედრაშია „ლავსაიკონის“ ტექსტთან (ხეც A 143). „ლავსაიკონის“ ავტორია IV საუკუნის მოღვაწე წმიდა პალადი ჰელენოპოლელი. მისი ნაშრომის მნიშვნელობას აძლიერებს ის ფაქტი, რომ წმიდა პალადი იყო თანამოღვაწე და მომსწრე მის დროს მოღვაწე დიდი წმიდა მამებისა. იგი წიგნში აღწერილი უმეტესი ამბის თვითმხილველიც იყო, ზოგი ამბავი კი სანდო წყაროზე დაყრდნობით თვად მას შეუტანია წიგნში. „ლავსაიკონი“ XI საუკუნეში ეფრემ მცირემ ქართულ ენაზე თარგმნა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მისი არაერთი ნუსხაა დაცული (A 143, 154, 164, 196, 362, 400, 682 და სხვა).

ექვთიმე ათონელის თარგმანთან<sup>34</sup> „გვრგუნის“ შემდეგი თხრობებია აზრობრივ თანხვედრაში: 72, 74, 75, 80, 85, 98.

2014 წელს გამოიცა XI-XII საუკუნის მოღვაწის თეოფილე ხუცესმონაზონის წიგნი სახელწოდებით: „მამათა სწავლანი და თხრობანი“. ეს გამოცემა

---

<sup>33</sup> გამოცემულია სერიით: „შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები“, ტომი II, „ანბანურ-ანონიმური პატერიკები“ გამოსაცემად მოამზადა მ. დვალმა. თბ., 1974.

<sup>34</sup> გამოცემულია სერიით: „შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები“, I ტ., ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხედვით „მამათა სწავლანი და თხრობანი“, გამოსაცემად მოამზადა მ. დვალმა, თბ., 1966.

დაფუძნებულია თეოფილე ხუცესმონაზონის XI-XII საუკუნის ავტოგრაფზე (A 1105), რომელიც მას ბერძნული წყაროდან გადმოუთარგმნია. „გზრგზნი“ ყველაზე დიდ თანხვედრას ამ ხელნაწერთან ამჟღავნებს. მის ტექსტთან შინაარსობრივ თანხვედრაშია „გზრგზნის“ თხრობები: 1, 4, 5, 6, 22, 23, 24, 26, 37, 39, 40, 44, 48, 49, 51, 56, 59, 69, 70, 71, 72, 74, 75, 77, 80, 81, 82, 84, 85, 86, 90, 96, 98. ხსენებულ ტექსტთა ურთიერთდამოკიდებულება ამ ქვეთავისთვის თანდართულ ცხრილშია ასახული.

ამ შემთხვევაში საჭიროდ ვთვლი შემდეგ განმარტებას: შედარებისთვის გამოვიყენეთ III ტომი გამოცემათა სერიისა: „შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები“, კერძოდ – „მამათა სწავლანი და თხრობანი“, თბ., 2014. მასში თეოფილე ხუცესმონაზონის ავტოგრაფი შეჯერებულია A 1339, A 528, H 1342, Qut 40, A 169 ნომრით დაცულ ტექსტებთან (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი). ზემოაღნიშნულ ხელნაწერებში წიგნის სათაური არ არის შემორჩენილი, რადგან ისინი თავნაკლულია.

A 1105-ის ზანდუკში ვკითხულობთ: „ესე წიგნი არს წმიდათა მამათაჲ, რომელსა შინა წერილ არიან სწავლანი და თხრობანი და მოქალაქობანი წმიდათა მამათანი, რომელი აღსავსე არს და შემკობილ ყოველთა მიერ კეთილთა, ვითარცა სამოთხჳ ღმრთისაჲ“. ამავე ხელნაწერის შესავალში ვკითხულობთ: „ამას წმიდასა და სანატრელსა სამოთხესა შინა შეუძლოს პოვნად“(11 r). H 1342 დაცულ ხელნაწერს (XII ს.), რომელიც თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმნილ თხრობებს შეიცავს, ერთვის ანდერძი, სადაც ვკითხულობთ: „ითარგმნა უკუჳ წიგნი ესე წმიდაჲ სამოთხე აურაცხელითა მიერ [სახიე]რებითა და სულგრძელებითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობელისა დედისა ღმრთისაჲთა, წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ეფთჳმესითა და გიორგისათა. ლოცვა ყავთ ჩუენთ[ჳს] თეოფილესთჳსცა ცოდ[ვილისა]“.

თუ გავითვალისწინებთ A 1105, A 1339, A 528, H 1342, Qut 40, A 169 ნომრებით დაცული ხელნაწერების შინაარსს და მინაწერებს, დამაჯერებელი ხდება, რომ მათი სახელწოდებაა „სამოთხე“. სავარაუდოდ, ეს სათაური უნდა ყოფილიყო აღნიშნული ამ ხელნაწერთა დაკარგულ, დასაწყის ნაწილებში.

A 1339 ნომრით დაცული ხელნაწერი ეკუთვნოდა დავით გარეჯის მონასტერს. 3r-ზე არის მინაწერი: „ესე წიგნი დავით გარეჯისა არს და ვინცა მოიპაროს, გაუწყრეს წმიდა დავითის მადლი“. A 1339 პალეოგრაფიულად თარიღდება XII საუკუნით. ასევე A 169 დავით გარეჯის მონასტრის საკუთრება ყოფილა (გადაუწერიათ 1745 წ.). 192r-ზე ვკითხულობთ: „ეს მამათა ცხოვრება დავით გარესჯლის მონასტრისა არის, ვინც მოიპაროს, გაუწყრეს ღირსი მამა“.

შესაძლოა, რომ წმიდა გაბრიელ მცირე „გვრგვნის“ შედგენის დროს ზემოთ ჩამოთვლილ ხელნაწერებსაც იყენებდა, განსაკუთრებით კი – A 1339 და A 169 ნომრით დაცულ ნუსხებს, რადგან ისინი დავით გარეჯის მონასტრის კუთვნილება იყო.

2014 წელს ქართულ ენაზე დაისტამბა პროტოპრესვიტერ რუფინუსის (344/345-411) „მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“<sup>35</sup>. ეს ტექსტი გადმოთარგმნილია რუსულიდან: „Жизнь пустынных отцов“. Творение пресвитера Руфина, свято-троицкая сергиева лавра, 1898. რუსულის პირველწყარო კი არის მინეს გამოცემული: „Patrologiae cursus completus“, T. XXI. მასთან თანხვედრაშია „გვრგვნის“ 45 და 99-ე თხრობები (იხ. „იდენტურ თხრობათა შედარებითი ცხრილი“ გვ. 248-250).

„გვრგვნში“ შემავალი სასულიერო თხრობები შევადარეთ კემბრიჯში გამოცემულ წიგნს სახელწოდებით: „The anonymous sayings of the Desert Fathers“<sup>36</sup>, სადაც თხრობები ბერძნულად და ინგლისურად არის მოწოდებული. იგი აპოთეგმური თხრობების კრებულს (Apophtegmata Patrum) წარმოადგენს. მასთან „გვრგვნის“ თხრობების შედარებამ ცხადყო, რომ „გვრგვნის“ 40, 51, 53, 56, 70, 72, 81, 97, 98 თხრობები შინაარსობრივ თანხვედრაშია კემბრიჯის გამოცემასთან, რომელიც დაფუძნებულია სამ ხელნაწერზე: Paris Coislin 126 (XI ს.); Sinai St. Catherine 448 (1004 წ.); Vatic. Graec. 1599 (X ს.). ტექსტთა ურთიერთდამოკიდებულება ასევე

---

<sup>35</sup> „ლიმონარი. მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“, თბ. 2014. თხზულება ხსენებულ წიგნიში მეორე ნაწილადაა წარმოდგენილი.

<sup>36</sup> John Wortley, Cambridge University Press, 2013.

ამ ქვეთავისთვის დართულ „იდენტურ თხრობათა შედარებით ცხრილშია“ ასახული.

გაბრიელ მცირეს „გვრგუნის“ თხრობათა დასათაურება ზოგ შემთხვევაში პირველწყაროდან აქვს გადმოღებული, მაგრამ ისინი ერთი იდეით აქვს გაერთიანებული. იგი არსებულ თხრობებს სიუჟეტურად მეტად კრავს, ენობრივად სრულყოფს და ამდიდრებს წმიდა წერილის ციტატებით. უნდა აღინიშნოს, რომ „გვრგუნის“ თხრობების სტილი და ენობრივი ქსოვილი სხვაობს ზემოხსენებული ხელნაწერებისგან.

ცნობილია, რომ დავით გარეჯის და იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრებს მდიდარი ბიბლიოთეკები ჰქონდათ. ცხადია, წმიდა გაბრიელს ხელი მიუწვდებოდა მასალაზე, რომელიც ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდს წარმოადგენს. სწორედ ამ მდიდარი და მრავალფეროვანი კოლექციიდან მან რჩევით გამოკრიბა მისთვის თემატურად საინტერესო და ამავე დროს წიგნის შედგენის ძირითად იდეასთან შესაბამისი თხრობები.

წიგნი მოიცავს ხუთ თავს. თითოეულ მათგანში ოცი თხრობაა შინაარსობრივად გაერთიანებული. წიგნის ასეთი შედგენილობა კრებულს კომპოზიციურ სიმტკიცეს ანიჭებს და დიდაქტიკურ შედეგს აძლიერებს. წმიდა გაბრიელ მცირე ტექსტის დასაწყისიდან მის დასასრულამდე მეთოდურად ამზადებს მკითხველს ხუთი ძირითადი საკითხის ზუსტად გაგებისათვის და ამგვარად ნაშრომის დედააზრი მაქსიმალურად აღწევს მკითხველის გონებამდე და გულამდე.

სხვადასხვა წყაროებთან „გვრგუნის“ ტექსტთა სხვაობებისა და შინაარსობრივი მსგავსების ნათლად წარმოჩენისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ რამდენიმე, კერძოდ ოთხი მაგალითის მოყვანა. მაგალითების ეს რაოდენობა საჭირო გახდა იმ მიზნისათვის, რომ ნათლად წარმოგვეჩინა „გვრგუნის“ გაბრიელ მცირისეული ტექსტის სპეციფიკური განსხვავებები თუ მსგავსებები შედარებისთვის გამოყენებულ სხვა ყველა წყაროსთან მიმართებაში.

მ ა გ ა ლ ი თ ი 1

გვრგუნი, თხრობა 28



ღმრთისმშობლისა მიმართ შევედრებულისათვის

იყო ვინმე კაცი, ქრისტესმოყვარე, ალექსანდრიასა შინა, ღმრთისმოშიში, მოწყალე გლახაკთა და კეთილად შემწყნარებელი უცხოთა. ხოლო ესუა ცოლი ფრიად მშვიდი და მმარხველი მარადღე და ჰყვათ ასულიცა ექვსისა წლისა.

ხოლო დღესა ერთსა ქრისტესმოყვარე კაცი იგი წარვიდოდა კოსტანტინუპოლის, ვინათგან იყო ვაჭარ. და დაუტევა სახლსა შინა ცოლი და ასული და მონა ერთი; და შერავიდოდა ნავად, ეტყოდა მას ცოლი მისი: „უფალო ჩემო, ვის შეგვედრებ ჩვენ?“ და ჰრქუა ქმარმან: „დედოფალსა ჩვენსა, ღმრთისმშობელსა“. და წარვიდა.

ხოლო დღესა ერთსა სჯდა რა დედაკაცი იგი ქმნად ჯელთსაქმრისა თვისისა, და მის თანა ასულიცა მისი. ხოლო მონამან, ბირებულმან ემმაკისაგან, განიზრახა სიკუდილი დედაკაცისა და ქალისა მისისა და წარღებად რადცა აქუნდათ სიმდიდრე. და აღიღო მონამან ბოროტმან მახვილი სამზარეულოსი და მოვიდოდა სახლსა, სადა იყო დედოფალი მისი. ხოლო შესღვასა კარსა მის სახლისასა, იქმნა უხილავად შეპყრობილ და ვერღარა შეუძლებდა სახლისა მიმართ და ვერცა სამზარეულოსა შესღვად. იწყო ჯმოზად დედოფლისა თვისისად, მეტყველმან: „მოვედ ჩემდამდე!“ ხოლო იგი განჰკვირდა, რამეთუ სდგა მონა იგი შორის კარისა და უწოდს მას და უბრძანებდა: „შენ მოვედ, შვილო, აქა!“ – ვინათგან არა უწყოდა თუ შეპყრობილ არს უხილავად. ხოლო იწყო მონამან ბორგვად და ჯმოზად დედოფლისა მის, რათამცა მივიდა მახლობელად მისსა და იგი არა მივიდოდა. ხოლო ქალი იგი ეტყოდა: „მიტევე მე, დედაო, მისღვად“. და მან არცა იგი უტევა, არამედ ეტყოდა იგი სიმშვიდით: „უკეთუ გნებავს, ძმაო, შენ აქა მოვედ“.

მაშინ იხილა რა მონამან, რამეთუ ვერარას უძლო ქმნად, იცა მახვილი თავსა თვისსა და განიჭრა. ხოლო იხილა რა ესე დედოფალმან მისმან, მოუწოდა მეზობელთა. მოვიდეს და ჰპოვეს მონა ჯერეთ ცოცხალიდა და ესე ყოველი მისგან ეუწყათ. და მსმენელნი ადიდებდეს ღმერთსა და ყოვლად-წმიდასა ღმრთისმშობელსა მარიამს, რომელმან აჩვენა ესევეთარი საკვირველება და აცხოვნა მისდა შევედრებული დედაკაცი და ასული მისი და ვერარაჲ ავნო ემმაკმან. ღმერთსა ჩვენსა დიდება უკუნითი უკუნისამდე.

იოანე მოსხი, ლიმონარი

თხრობა 75

და კუალად იგივე პალადიოს გვთხრობდა, ვითარმედ: აქა, ალექსანდრიას, იყო კაცი ვინმე ქრისტეს მიყუარჭ და გლახაკთ მოწყალჭ. და ისტუმრებდა იგი უცხოთა და მონაზონთა. და ესუა მას ცოლი ფრიად მორწმუნჭ, მსგავსი მისი. და ამათ ესუა ასული მცირჭ, ვითარ რვისა წლისაჲ. და დღესა ერთსა განიზრახა კაცმან მან აღსლვა კოსტანტინედ ვაჭრობად. და ვითარ შევიდოდა ნავსა, დაუტევა მშვდობაჲ ცოლსა თვსსა და ასულსა, და ერთი მონათაგანი დაუტევა მსახურად მათა. და ვითარ წარემართებოდა იგი, ჰრქუა მას ცოლმან მისმან: ვის შეგუვედრენ? ხოლო მან ჰრქუა: წმიდასა ღმრთის მშობელსა შემვივედრებიეთ და მან დაგიცვნეს თქუნ. და წარვიდა იგი.

და დღესა ერთსა შეუჭდა ეშმაკი მონასა მას და აღაზრზინა იგი, რადთა მოკლას დედოფალი თვისი და ყრმაჲ იგი, და წარიღოს მონაგები მათი და წარვიდეს. და აღილო დანაკი და აღვიდა იგი ქორსა მას, სადა მსხდომარე იყუნეს იგინი და იქმოდეს ჯელთსაქმარსა. და ვითარ მიიწია შუვა ოდენ კარსა და ენება შესლვაჲ, დაშთა იგი საშუვალ კარსა. შეუძლო ვერცა შინა შესლვაჲ და ვერცა ზეუკუნ სლვაჲ. მაშინ იწყო ჯმობად დედოფლისა თვისისა: მომეახლე მე ვიდრე აქამომდე. ხოლო მან, ვითარცა იხილა, რამეთუ დაშთა იგი შუვაოდენ კარსა, განკვრდა გონებითა თვისითა, თუ რადსა არა შევალს მათა. ჰრქუა მას დედაკაცმან მან; - რაჲ გნებავს, შემოვედ და მაუწყე მე, ხოლო მე მანდა არა მოვალ. მაშინ იწყო ფიცებად და ვედრებად მისა, რადთა მივიდეს მისა ოდენ. ხოლო იგი ეფუცა, რადთა არა მისა მივიდეს. და ჰრქუა მას მონამან მან: მაშა ყრმაჲ ეგე მომივლინე. და მან არცაღა იგი მიუვლინა მას.

მაშინ, ვითარცა იხილა მონამან მან, ვითარმედ ვერას შემძლებელ არს ნებისა თვისისა ბოროტისა აღსრულებად, განიგმირა დანაკითა მით თავი თვისი. და ვითარცა იხილა დედაკაცმან მან, რაჲ-იგი ყო მონამან მან, ჯმა-ყო ძლიერად. და შემოკრბეს მოძმენი მისნი და შურტანი ჯელმწიფისანი და იხილეს საკვრველი იგი. და უთხრა ყოველი ნებაჲ თვისი ბოროტი და მოკუდა იგი. და დაუკვრდა ყოველთა, ვითარ იქსნა

დედაკაცი იგი და ასული მისი და მოკლა ძვრის მზრახველი იგი, და ადიდებდეს ღმერთსა.

ლიმონარი, 2014 წლის გამოცემა

„ვის შეჰვედრე ჩვენი თავი“, თხრობა 75

სხვა დროს აბბა პალადიმ მოგვითხრო:

ალექსანდრიაში ერთი ღმრთისმოყვარე ვაჭარი ცხოვრობდა. იგი ძალიან მოწყალე იყო და თანაგრძნობის უნარით გამოირჩეოდა. თავის სახლში ყოველთვის სიხარულით იღებდა მონაზვნებს. ჰყავდა ცოლი – საოცრად თავმდაბალი და მოკრძალებული, მკაცრი მმარხველი. მათი ასული დაახლოებით ექვსი წლისა იქნებოდა. ერთხელ ვაჭარი კონსტანტინოპოლში გასამგზავრებლად გაემზადა; თავის ცოლ-შვილთან ერთი მონა დატოვა და სახლიდან გავიდა. გემზე რომ ადიოდა, ცოლმა ჰკითხა:

– ვის შეჰვედრე ჩვენი თავი?

– ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელს, – უპასუხა ვაჭარმა, – ის იქნება თქვენი მფარველი.

მისი გამგზავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ მონას ეშმაკმა შთააგონა, მოეკლა თავისი ქალბატონი და მისი ასული, მთელი ქონება გაეტაცებინა და სახლიდან გაქცეულიყო. ამ განზრახვით იგი სამზარეულოში შევიდა, დანა აიღო და იმ ოთახისკენ გაემართა, სადაც ქალი და ბავშვი ისხდნენ. მაგრამ კართან რომ მივიდა, უცბად დაბრმავდა და ვეღარც შიგნით შესვლა მოახერხა, ვეღარც სამზარეულოსკენ გამობრუნდა. ერთი საათი წვალობდა, აქეთ-იქით ეხეთქებოდა და ცდილობდა, როგორმე შესულიყო ოთახში. ბოლოს ძალა გამოეცალა და ყვირილი დაიწყო:

– ქალბატონო, ერთი წუთით აქ მოდი!

ქალს გაუკვირდა, ვერ მიხვდა, თვითონ რატომ არ მოდიოდა მონა, ან რატომ ყვიროდა.

– შენ თვითონ მოდი, – გასძახა ოთახიდან.

მონა ყვირილს განაგრძობდა, აფიცებდა ქალს, მხოლოდ ერთი წუთით მისულიყო მასთან. ქალმაც ფიცით აღუთქვა, რომ ადგილიდან არ დაიძვრებოდა.

– ბავშვი მაინც გამოუშვი! – შესძახა მონამ. მაგრამ ქალი არც ამაზე დათანხმდა. მაშინ მონამ სრულიად დაკარგა გონება და დანა მუცელში ჩაირტყა. ამის დანახვაზე ქალმა ხმამაღლა შეჰკვივლა. მოირბინეს მეზობლებმა. მალე ხელისუფლებიც მოვიდნენ. მონა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ყველაფერი აღიარა მათ წინაშე. ყველამ განადიდა ღმერთი, რომელმაც დედა-შვილი სასწაულებრივად იხსნა დაღუპვისაგან“.

## მ ა გ ა ლ ი თ ი 2

გვრგვნი, თხრობა 51

სერაპიონისთვის უპოვარისა

ღირსი მამა ჩვენი სერაპიონ იყო სიყრმითგან მონაზონ. და არა იმია სოფლისა ამის სიმდიდრე, არამედ ესრეთ იყო ცხოვრება მისი, ვითარცა ერთისა მფრინველთაგანისა, რამეთუ სრულიად არარადასა მოიგებდა: არცა სახლსა, არცა სხუასა რასამე, არამედ საბლარდნელი ერთი ოდენ შეემოსა და მცირე სახარება ეტვირთა და ესრეთ ვიდოდა, ვითარცა უჯორცომ. ხოლო მრავალგზის იპოვის იგი გარე დაბისა გზასა ზედა მჯდომარე და მწარედ მტირალი. და ჰკითხვიდეს მას მეტყველნი: „რადსა უკუფ სტირ, ბერო?“ და იგი მიუგებდა მათ: „უფალმან ჩემმან მარწმუნა სიმდიდრე თვისი და წარვსწყმიდე იგი უდებებითა ჩემითა და ეგულების ტანჯვა ჩემი“. ხოლო მსმენელნი ჰგონებდეს თუ ოქროსა იტყვის, ანუ ვეცხლსა და მისცემდეს მას პურისა ნატეხსა და ეტყოდეს: „მიიღე ესე, ძმაო, და სიმდიდრესა, რომელსა იტყვი, ძალუმს ღმერთსა წარწყმედულისაცა მოცემად შენდა!“ და მიუგებდა ბერი: „ამინ, ამინ!“

ხოლო ოდესმე წარვიდა ეგვიპტედ და შეემთხვია შიშველსა გლახაკსა ზამთრისაგან ათროთლებულსა. დასდგა და იწყო განზრახვად: „ვითარ უკუფ მე მონაზონი ვარ და მუშაკი ქრისტეს მცნებათა, რომელ სამოსელი მმოსიეს მე და ესე გლახაკი უფროსდა ქრისტე შიშველი, სიცივისა მიერ მოკუდების! ჭეშმარიტად, უკეთუ დაუტეო მოსიკუდიდ, ვითარცა კაცის მკლველი დავისჯები. და დღესა მას საშინელსა მეტყვის ქრისტე: „შიშველ ვიყავ და არა შემმოსე მეო“[მთ. 25,43]. და მსწრაფლ განიდარცვა სამოსელი თვისი და მისცა გლახაკსა. და თვით შიშველმან ილლითა იტვირთა წმიდა იგი სახარება. და შეემთხვია მას მეცნიერი ვინმე და

იხილა იგი შიშველი და ჰრქუა მას: „მამაო სერაპიონ, ვინ განგმარცვა შენ?“ ხოლო მან გამოიღო წმიდა იგი სახარება და ჰრქუა: „ამან განმმარცვა მე, ძმაო“.

და შემდგომად ამისა შეემთხვია მას ერთი შეპყრობილი ვახშისათვის და არარად აქუნდა მიცემად მისსა, და შეეწყალა ნეტარსა სერაპიონს. აღიღო წმიდა იგი სახარება და განჰყიდა და გამოიხსნა კაცი იგი შეჭირვებისაგან და მივიდა სენაკსა თვისსა. იხილა რა მოწაფემან მისმან შიშველი, ეტყოდა: „სადა არს, პატიოსანო მამაო, სამოსელი შენი?“ მიუგო ბერმან და ჰრქუა: „წინასწარ წარვგზავნე იგი, შვილო, სადაცა უფროს სახმარ იყო ჩემდა“. და ჰრქუა მოწაფემან: „სადა არს, მამაო, მცირე იგი სახარება?“ მიუგო ბერმან: „შვილო, მარადის იგი მეტყოდა: „განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა“ [ლკ. 18,22], მე თვით იგი განვყიდე და მივეც ქველისსაქმედ. და აწ მოხარულ ვარ მისთვის, „რამეთუ მხიარულებით მისაცემელი უყვარს უფალსა“ (2 კორ. 9,7), რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე.

ანბანური პატერიკი

მამისა სერაპიონისთვის

გვითხრობდეს მამისა სერაპიონისთვის, ვითარმედ ესრეთ იყო ცხორებად მისი, ვითარცა ერთი მფრინველთაგანი. არა იყო მის თანა საკმარი რამე ამის საწუთროდსა, არცა სენაკი საყოფლად. არამედ ერთი კოლობი ემოსა უსაჯლოდ და მცირე კინდონი იყო მჯართა მისთა და მცირე სახარებად იყო ჯელთა მისთა. ესრეთ იქცეოდა, ვითარცა უკორცოდ. მრავალგზის პოვიან იგი გზასა ზედა მჯდომარე და მტირალი მჯურვალედ. ჰკითხვიედ მას: რადას ესრეთ სტირ, ბერო? ხოლო მან მიუგის და არქვის: უფალმან ჩემმან მარწმუნა საცხორებელი თვისი, ხოლო მე უდებ ვყავ და ეგულების მიცემად ჩემი სატანჯველსა და წარწყმედად. ეგრე ჰგონებდეს, თუ ოქროსა იტყვის და მრავალგზის მისციან მას მცირე პური და ეტყოდიან: აღიღე, აღიღე ეგე და ჭამე, ძმაო, და ხუასტაგი, რომელი წარსწყმიდე, ღმერთმან მოგცეს. ხოლო მან მიუგის: ამენ.

და კვალად ხოლო სხუასა ჟამსა შევიდოდა იგი ალექსანდრიად და შეემთხვია მას გლახაკი შიშველი, დაძრწოდა იგი სიცივითა. ხოლო იგი ეტყოდა თავსა თვისსა: შენ იტყვი, ვითარმედ მონაზონი ვარ და მუშაკი და სამოსელი გმოსიეს. ხოლო ისი

არა გლახაკი არს, არამედ თვით ქრისტე არს და სიცივითა მოკუდების. უკუეთუ განუტეო იგი, მოკუდეს, და მე ვითარცა კაცის მკლველი დავისაჯო. და განიძარცუა თავი თვისი, ვითარცა კეთილმან მოლუაწემან, და აღიჭადა სამოსელი თვისი და მისცა იგი გლახაკსა მას და დაჯდა იგი შიშველი, და მცირე იგი სახარებად აქუნდა კელთა მისთა. მი-ვინმე-ვიდოდა გზასა მას, და ვითარცა იხილა იგი შიშველი, ჰრქუა მას: მამაო სერაპიონ, ვინ განგძარცუა შენ? ხოლო მან გამოიღო მცირე იგი სახარებად და უჩვენა მას და ჰრქუა: ამან განმძარცუა მე. და აღდგა და წარვიდა და მუნით და სხუად ვინმე იხილა, რომელი შეეპყრა მოვალესა. ხოლო მას არაჲ აქუნდა, რადმცა მისცა. და განყიდა უკუდავი იგი მამამან სერაპიონ, რომელი აქუნდა კელთა მისთა მცირე იგი სახარებად და მისცა იგი ჭირვეულსა მას კაცსა და წარვიდა სენაკად თვისად შიშველი. ვითარცა იხილა იგი მოწაფემან თვისმან შიშველი, ჰრქუა მას: სადა არს მცირე იგი კოლოზი. მამაო? ჰრქუა მას: მიმიცემია იგი, სადა მიწმდა. ჰრქუა მას მამამან: სადა არს მცირე იგი სახარებად? შვილო, იგი რომელი მეტყოდა ყოველთა დღეთა, „განყიდე ყოველი რაჲ გაქვს და მიეცე იგი გლახაკთა“, მას ვჰყიდე და მიმიცემიეს, რადთა მოგუცეს ჩვენ ფრიადი დღესა მას სასჯელისასა და დავდგეთ წინაშე მისა კადნიერად.

ეფთვიმე ათონელი

თავი III, სინანულისათვის, თხრობა 15, გვ. 29

იტყოდეს მამისა სერაპიონისთვის: ესრეთ იყო ცხოვრებად მისი, ვითარცა ერთისა მფრინველთაგანისაჲ, რამეთუ არაჲ მოეგო ჭურჭელი ამის საწუთროისაჲ და არცა თუ საყოფელი, სადამცა შეყო თავი თვისი, არამედ ეცუა სიღონი ერთი ტანსა თვისსა და ჰყვა მას მცირე სახარებდ. და ესრეთ იქცეოდა, ვითარცა უჯორცოდ. და მრავალგზის პოვიან იგი გზასა ზედა მჯდომარე და გოდებით მტირალი და ჰკითხონ მას: რად ესრეთ სტირ, ბერო? ხოლო მან მიუგის მათ ესრეთ, ვითარმედ: მეუფემან ჩემმან მარწმუნა მე საფასე თვისი და მე წარვწყმიდე იგი და უნებს ტანჯვად ჩემი. ხოლო მათ ეგონის, ვითარმედ საფასისა რადსათვისმე იტყვის, და მისციან მას პური და ჰრქვიან: მიიღე, ბერო და ჭამე, ხოლო საფასისა მისთვის, რომელი წარსწყმიდე,

შემძლებელ არს ღმერთი კვალად მოცემად. ხოლო ბერმან ესე ოდენ მიუგის და თქვის. ამენ!

თეოფილე ხუცესმონაზონი  
ლმობიერებისათვის XXII. 1.

იტყოდეს მამისა სერაპიონისთვის, ვითარმედ: ესრეთ იყო ცხორებაჲ მისი ვითარცა ერთისა რადსმე მფრინველთაგანისაჲ, რომელმან არა მოიგო რადთურთით მონაგებთაგან ამის საწუთროდსათა, ვიდრეღა არცა თუ დაადგრა სენაკსა შინა, არამედ სინდონი ერთი ემოსა, რომელ არს პალეკარტი, და მცირე სახარებაჲ აქუნ ჴელთა და ესრეთ მიმოიქცევინ იგი და ვალნ ვითარცა უკორცოჲ. მრავალგზის იპოვის იგი მჯდომარე გზასა ზედა გარეშე დაბისა და მწარედ მტირალი, ვიდრეღა ჴკითხვიედ მას თანაწარმავალნი იგი გზისანი და ეტყვიედ: რადსათვს ესრეთ სტირ, ჴ კაცო? ხოლო იგი ეტყვნ მათ ესრეთ: მეუფემან ჩემმან მარწმუნა სიმდიდრე თვისი დიდძალი და წარვწყმიდე იგი და აწ ეგულების ტანჯვა ჩემი. ესმინ რად ესე მოგზაურთა მათ, ჴგონებედ იგი, ვითარმედ ოქროსა იტყვს და საფასეთა წარმავალთა, ვინაჲცა მრავალგზის მიუგდიან მას მცირე პურის ნატეხი და ჴრქვან: მიილე, ძმაო, ესე და ჴამე და სიმდიდრე იგი, რომელ წარწყმიდე, შემძლებელ არს ღმერთი კვალად მოცემად მისა. და ბერმან თქვს: ამინ!

უცხოთმოყუარებისათვის XI

იტყოდეს მამისა სერაპიონისთვის ვითარმედ, შეემთხვა ოდესმე ალექსანდრიას შიშუელი ვინმე, რომელი სასტიკად განცივნებოდა. და დადგა თვისაგან და იგონებდა: ვითარ მე, რომელი მოღუაწედ საგონებელ ვარ, მმოსიეს შესამოსელი და ესე გლახაკი, უფროდსღა ქრისტე, ყინელითა მოკუდების. გრწმენინ, უკუეთუ უტეო ესე მოსიკუდიდ, ვითარცა კაცისმკლველი განვიკითხვი დღესა მას დიდსა სასჯელისასა. და მეყსეულად აღიმარცუა ვითარცა ახოვანმან მჴედარმან სამოსელი თვისი და მისცა გლახაკსა მას და დაჯდა იგი ესრეთ შიშუელი და მცირედ იგი სახარებაჲ, რომელი აქუნდა, აღმოიდვა ილლიასა ქუემე, წარჴვლიდა უკუე მეცნიერთა მისთაგანი ვინმე და ჴრქუა მას: მამაო სერაპიონ, ვინ განგმარცუა შენ? და მან გამოიღო სახარებაჲ იგი, უჩუენა მას

და ჰრქუა: ამან განმმარცუა მე. და აღდგა მიერ და შეემთხვა ვისმე სხუასა, რომელი ვალისათჳს შეეპყრა და მიზიდვიდეს, რამეთუ არა აქუნდა, თუ რადთა გარდაიკადოს. განყიდა უკუე მცირე იგი სახარებაჲ მიმსგავსებულმან უკორცოთამან სერაპიონ და მისცა მას, რომელი ვალისათჳს აჭირვებდა კაცსა მას და განათავისუფლა იგი. და წარვიდა და შევიდა სენაკად თჳსად ყოლად შიშუელი. და ვითარცა იხილა იგი მოწაფემან მისმან ესრეთ შიშუელი, ჰრქუა მას: მამო, სადა არს მცირე იგი პალეკარტი შენი? და ბერმან ჰრქუა მას: წინა წარმიგზავნიეს იგი შვილო, სადა-იგი უფროდს გუეკმარების. ჰრქუა მას ძმამან: და სადა არს მცირე იგი სახარებაჲ? ჰრქუა ბერმან: ჰრიდე, შვილო, რომელი-იგი მარადის მეტყოდა მე, თუ: განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა, თვთ იგი განვყიდე და მივეც მათ, რადთა უმეტესი კადნიერებაჲ ვპოოთ დღესა მას დიდსა სასჯელისასა.

Ἀποφθέγματα τῶν ἁγίων γερόντων

N. 565

Ἔλεγον περὶ τοῦ ἀββᾶ Σεραπίωνος ὅτι οὕτως ἐγένετο ὁ βίος αὐτοῦ ὡς ἐνὸς τῶν πετεινῶν, μὴ κτησάμενος ὄλωσ πρᾶγμα τοῦ αἰῶνος τούτου μηδὲ εἰς κελλίον καρτερήσας, ἀλλὰ σινδῶνα φορῶν καὶ μικρὸν εὐαγγέλιον ἔχων, οὕτως ἐγύρευεν ὡς ἀσώματος. Πολλάκις οὖν εὗρισκον αὐτὸν ἔξωθεν κώμης ἐν τῇ ὁδῷ καθήμενον καὶ δεινῶς κλαίοντα καὶ ἠρώτων αὐτόν· Διατί οὕτως κλαίεις, γέρον; Καὶ ἀπεκρίνατο αὐτοῖς· Ὁ δεσπότης μου ἐπίστευσέ μοι τὸν πλοῦτον αὐτοῦ καὶ ἀπώλεσα αὐτόν καὶ βούλεται με τιμωρήσασθαι. Ἐκεῖνοι ἀκούοντες ἐνόμιζον περὶ χρυσοῦ αὐτὸν λέγειν, καὶ πολλάκις ρίπτοντες αὐτῷ μικρὸν ἄρτον ἔλεγον· Δέξαι, ἀδελφέ, φάγε καὶ περὶ τοῦ πλοῦτου οὗ ἀπώλεσας, δυνατός ἐστιν ὁ Θεὸς πέμψαί2 σοι αὐτόν. Καὶ ἀπεκρίνατο ὁ γέρον· Ἀμήν.

The anonymous sayings of the desert fathers

N.565/15.116

They used to say of Abba Serapion that, such was his life that it was like that of one of the birds. Not a thing of this world did he possess, nor did he remain in a cell. He used to go around like an incorporeal being, wearing a sheet and carrying a little gospel [book]. They would often



find him sitting by the roadside outside a village, weeping bitterly. They would ask him: “Why are you weeping like this, elder?” and he would answer them: “My Lord-and-master entrusted me with his wealth; but I have lost and squandered it and he wants to take vengeance on me.” As they listened to this they used to think that he was talking about money and often, throwing him a little bread, they would say: “Take this and eat it brother; and, regarding the wealth you lost, God is powerful enough to send it [back] to you”, to which the elder answered: “Amen.”

N.566/15.117

Another time he met a pauper in Alexandria shivering with cold. Coming to a standstill, he thought to himself: “How can I who am supposed to be a monk be wearing a smock while this pauper (or rather, Christ) [Mt 25.35–45] is dying of cold? If I leave him to die, naturally I shall be judged to be a murderer at the Day of Judgement.” Like a good athlete, he took off the tunic he was wearing and gave it to the pauper. Then he sat down with the little gospel [book] he always carried tucked under his arm. When the so-called “guardian of the peace” came by and saw him naked, he said to him: “Abba Serapion, who stripped you?” – producing the little gospel [book], he said to him: “This one stripped me.” Getting up from there, he met a person who was being seized for debt by somebody else, because he had nothing to give him. This immortal Serapion sold his little gospel [book] and, giving [the proceeds] for the debt of the man who was being violated, went naked into his cell. When his disciple saw him naked, he said to him: “Abba, where is your little smock?” The elder told him: “I sent it on to where we shall need it, my son.” “And where is the little gospel [book]?” he said. The elder replied: “Well, naturally, he being the one who says to me every day: ‘Sell all that you have and give to the poor’ [Mt 19:21], I sold him and gave the proceeds to him, so that we shall enjoy greater freedom of speech with him at the Day of Judgement.”

მ ა გ ა ლ ი თ ი 3

გვრგვნი, თხრობა 89

ამონისთვის ნიტრიელისა

მოგვითხრობდეს, ვითარმედ: ესე ამონ დაშთა მშობელთა თვისთაგან ობლად. და იქმნა რა იგი წლისა ოცდაორისა, აიძულებდა მას მამის ძმა მისი, რათა იქორწინოს, ხოლო იგი ვერ წინააღუდგებოდა ბრძანებასა მისსა; ამისთვის თავს იდვა დადგმად გვირგვინი და წესი ქორწინებისა. და ვითარცა შევიდეს მარტონი საწოლსა მათსა, ჰრქუა მეუღლესა თვისსა: „მოვედ, დაო ჩემო და დედოფალო, რათა მიგიტხრა

საქმე, რომელი მეგულების თხრობად შენდა, რამეთუ ქორწინებასა ამას, რომელსა ჰხედავ, ესე არს სრული სიხარული და სხუა უმეტესი შესაძინელი არარაჲ აქუს. კეთილ არს უკუჭ ჩვენდა ამიერითგან, რათა თვითოეული თვისსაგან ვიყვნეთ და სიწმიდით დავიცვათ ქალწულება ჩვენი, შეუხებელად, რათა უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა სათნო ვეყვნეთ“. ესერა სთქუა, გამოიღო უბისაგან თვისისა წიგნი, რომელსა შინა დაეწერნეს სიტყვანი წმიდისა სახარებისანი, რომელი ჰრქუა მაცხოვარმან მოწაფეთა თვისთა ქორწინებისათვის და ქალწულებისა და წარუკითხნა იგინი ქალსა მას. ვინათგან იყო იგი გამოუცდელ, წერილისა ძალსა სიტყვათასა განუმარტებდა მადლითა ღმრთივმოცემულითა მისდა სიბრძნისათა. და ყოვლითურთ მოსწრაფე იყო, რათა განამტკიცოს იგი ქალწულებით და სიწმიდით მოქალაქობად, ვიდრემდის გულსავე იქმნა მადლითა ქრისტესითა ნეტარი იგი ქალი. და ჰრქუა მას: „გრწმენინ, უფალო ჩემო, რამეთუ ვიდრე მოაქამდე სიწმიდით წარმოვლენ დღენი ჩემნი და ამიერითგან ვითარცა ბრძანო, ეგრეთცა ვჰყო“. ხოლო მან ჰრქუა: „ამას გევედრები, დაო ჩემო, რათა თვითოეული ჩვენი თვისაგან ვიყოფოდეთ“. ესე უკუჭ არა თავს იდვა ქალმან მან, არამედ ჰრქუა: „ამასვე სახლსა შინა ვიყვნეთ, უფალო ჩემო, თვითოეული თვისსა ცხედარსა“.

და ესრეთ დაჰყვეს სახლსა მას შინა წელი ათრვამეტი, ესევეითარითა სახითა. რამეთუ დღე ყოველ წარვიდის სანატრელი ამონ საქმედ ბოსტნისა და ვენახისა, დაშვრებინ იგი ვიდრე მიმწუხრამდე მრავლითა ღვაწლითა და მიმწუხრი მივიდის სახლად და ერთბამად მიიღიან საზრდელი. და აღასრულიან ლოცვანი ღამისანი და გალობა ცისკრისა. და განთენდის რა, კვალად წარვიდის თვისსავე საქმესა. ამას ესევეითარსა მოქალაქობასა შინა, სიწმიდით და ქალწულებით ცხონდებოდეს.

ხოლო ლოცვითა წმიდისა ამონისათა წარემატა მოღვაწეებითა და სათნოებითა ღირსი იგი დედაკაცი და ჰრქუა ესრეთ: „მაქუს რაჲმე სიტყვად შენდა, უფალო ჩემო. და უკეთუ მისმინო, მაშინლა უწყი, ვითარმედ: ღმრთისა მიერ გიყვარ მე“. ხოლო მან ჰრქუა: „სთქუ რაჲცა გნებავს, დედოფალო ჩემო“. და ნეტარმან მან მიუგო: „ვინათგან ხარ შენ, მამაკაცი, უფალო ჩემო, ღმრთისმსახური და ჭემმარიტებისა მოღვაწე, რომლისა სახედ და ბაძვად მეცა შემოდგომილ ვარ. ხოლო აწ ჯერ არს შენდა, რათა

ამიერითგან თვისაგან იყოფოდე და მრავალთა სარგებელ ექმნებოდე, რამეთუ უჯერო არს ჩემ ძლით დაფარვად შენისა მაგის სიბრძნისა და სათნოებისა“.

ესერა ესმა ნეტარსა ამონს, პირველად მაღლი შესწირა ღმერთსა და ფრიად ემადრიელა მასცა. და ჰრქუა: „კეთილად ინებე ესე, დედოფალო და დაო ჩემო, გაქუნდინ შენ სახლი ესე, ხოლო მე წარვიდე და ვიშენო თავისა ჩემისა სხუა სახლი“.

გამოვიდა მიერ და წარვიდა უშინაგანესსა უდაბნოსა მთასა ნიტრიისასა, რამეთუ არღა შენებულ იყვნეს მუნ ჯერეთ მონასტერნი. პირველად მან აღაშენა სენაკნი ორნი კამარედად, რომელთა შინა დაჰყვნა მრავლითა მოღვაწებითა წელნი ოცდაორნი. ესრეთ უკუჴ მოღვაწებითა თავსა სათნოებათასა აღვიდა და მონაზონებისა მოქალაქობასა შინა წარმატებული განბრწყინდა და წინამძღვარ მრავალთა სულთა იქმნა.

ხოლო ნიშითა და სასწაულითა განათლებულმან ამონ ინება ოდესმე განსლვა მდინარესა, რომელსა ეწოდების მგელ და თანა ჰყვანდა თეოდორე, მოწაფე მისი. და ეკრძალვოდა მოწაფესა თვისსა განშიშვლებად. და ილოცა გონებითა ღმრთისა მიმართ და მეყსეულად ანგელოსმან უფლისამან აღიტაცა ღირსი იგი და იმიერ კიდესა მდინარისასა იპოვა თვინიერ ყოვლისა ჭირისა.

ესრეთ სასწაულთა მოქმედი და სრულსა საზომსა სათნოებათასა აღსრული, და ჰასაკსა სამეოცდარისა წლისა ჟამთა მიწევნულმან, ყოვლადგანწმედილი სული თვისი ჳელთა ღმრთისათა შევედრა და დაიძინა, ძილი იგი მართალთა მშვიდობით უფლისა მიერ. ხოლო ყოვლადსანატრელმან დიდმან ანტონი იხილა სული ამის ნეტარისა ანგელოსთა მიერ ღაღადებითა და დიდითა ბრწყინვალებითა აღყვანებული ზეცად და ზეცისა სავანეთა განწესებული ადიდებს სახიერებასა ღმრთისასა, რომელსა ჰშვენის დიდება უკუნითი უკუნისამდე.

ლავსაიკონი

ნეტარი ამონი და მისი მეუღლე (თხრობა ამონისათვის)

ახლა ამონის შესახებ მოგიტხრობ. მასზე ნიტრიელმა მამებმა მიაძხეს. როცა ამონი დაობლდა, ოცდაორი წლის იყო. მას ბიძა აიძულებდა, რომ ცოლი შეერთო. ამონი ვერ შეეწინააღმდეგა მის სურვილს და დაქორწინდა. ქორწილის

დასრულების შემდეგ, როცა მოსასვენებლად ის მეუღლესთან ერთად მარტო დარჩა, ცოტა მიიძინა. შემდეგ ადგა, გამოაღვიძა მეუღლე და უთხრა: "ჩემო დედოფალო და დაო, ერთი რამ მინდა, გაუწყო. დაქორწინებაში სახარბიელო არაფერია. კარგი იქნება, თუ დღეიდან ჩვენ განცალკევებულად სიწმინდით ვიცხოვრებთ და ერთმანეთთან შეუხებლად დავიცავთ ჩვენს ქალწულებას. ამით ჩვენს დამბადებელ უფალს ვესათნოებით".

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ნეტარმა მამამ უბიდან წიგნი ამოიღო. მასში წმინდა სახარებიდან ის სიტყვები ეწერა, რომელიც უთხრა მაცხოვარმა თავის მოწაფეებს ქორწინებისა და ქალწულების შესახებ. მან ეს ყველაფერი თავის მეუღლეს წაუკითხა, რომელიც წმინდა წერილს არ იცნობდა. ამ სიტყვების ძალას მამა ამონი მას ღვთისგან მიცემული სიბრძნით განუმარტავდა. ის ყოველმხრივ ცდილობდა, რომ მეუღლე ქალწულებასა და სიწმინდით მოღვაწეობაში განემტკიცებინა. უფლის მადლით, ქალი სულიერად გაძლიერდა და ამონს უთხრა:

- გჯეროდეს ჩემი, დღემდე სიწმინდით გამიტარებია ჩემი ცხოვრება და დღეიდანაც მზად ვარ, ვიცხოვრო ისე, როგორც მიბრძანებ.

წმინდა ამონმა უპასუხა:

- გთხოვ, რომ ამიერიდან ერთმანეთისგან განცალკევებით ვიცხოვროთ.

ქალი არ დაეთანხმა და უთხრა:

- მე ჯერ სულიერ ცხოვრებაში გამოუცდელი ვარ და უმჯობესია, ორივემ ერთ სახლში ვიცხოვროთ, ოღონდ თითოეულს თავისი საწოლი ჰქონდეს.

მართლაც, ამონმა და მისმა მეუღლემ ასე უბიწოდ გაატარეს ერთად თვრამეტი წელი. ნეტარი მამა ყოველდღე ბოსტანში ფუსფუსებდა, უვლიდა მას, სხლავდა და რგავდა ვაზს. როცა მოსაღამოვდებოდა, სახლში ბრუნდებოდა და მეუღლესთან ერთად კითხულობდა ლოცვებს, გალობდა ცისკრის საგალობლებს, როცა გათენდებოდა, ისევ სამუშაოდ მიდიოდა. ამგვარად ცხოვრობდნენ ისინი და სიწმინდესა და ქალწულებას იცავდნენ.

ბოლოს, წმინდა ამონის ლოცვით, ქალი გაძლიერდა და მეუღლეს უთხრა:

- რაღაც მინდა გითხრა, ჩემო ბატონო, და თუ მომისმენ, ვირწმუნებ, რომ ნამდვილად გიყვარვარ.

მან უპასუხა:

- თქვი, რაც გინდა.

ნეტარმა ქალმა მიუგო:

- შენ ღვთისმსახური კაცი ხარ და ჭეშმარიტი მოღვაწე. შენი მიზანმიმართული მეც შევუდექი ამ გზას. ახლა კი დადგა ჟამი, მარტო იღვაწო და სხვა ადამიანებსაც მოუტანო სარგებელი. უსამართლობაა ჩემი მხრივ ჩვენი ერთად ყოფნით შენი სიბრძნისა და სათნოების დაფარვა.

ეს რომ მოისმინა წმინდა ამონმა, ჯერ ღმერთს შეწირა მადლობა, შემდეგ კი კეთილ მეუღლეს, და უთხრა:

- კარგად მოგიფიქრებია, ჩემო დედოფალო და დაო, თუ გსურს, შენ აქვე, ამ სახლში დარჩი, მე კი წავალ და სხვაგან ვიღვაწებ.

მართლაც, გამოვიდა წმინდა მამა თავისი სახლიდან და ნიტრიის უმინაგანეს უდაბნოს მიაშურა. იქ მონასტრები ჯერ არ იყო გაშენებული. ნეტარმა ამონმა ორი სენაკი ააშენა, სადაც ოცდაერთი წელი დაყო. იგი წელიწადში ორჯერ ნახულობდა თავის მეუღლეს. ასე, სათნოებისა და მოღვაწეობის მწვერვალზე ასულმა და მონაზონებრივ ცხოვრებაში წარმატებულმა სამოცდაორი წლის ასაკში თავისი სული უფალს შეავედრა და მშვიდობით დაიძინა.

საჭიროდ მიმაჩნია, ამ წმინდანის მიერ აღსრულებულ ერთ სასწაულზე მოგიხსნო, რომელიც ათანასე ალექსანდრიელმა ანტონი დიდის ცხოვრებაში აღწერა: ერთხელ ნეტარმა მამამ მდინარეზე გადასვლა მოისურვა. ამ მდინარეს სახელად მგელი ერქვა. წმინდანს მოწაფე ახლდა და რცხვენოდა, რომ ვინმეს შიშველი ენახა. ამის გულში გაფიქრებისთანავე იგი უფლის ანგელოზმა აიტაცა და მდინარის მეორე ნაპირზე გადაიყვანა. ასეთი იყო მამა ამონი, ასე იცხოვრა და გარდაიცვალა. მისი სული იხილა ანტონი დიდმა, თუ როგორ აჰყავდათ ანგელოზებს ზეცაში.

მდინარე მგელზე გადასვლა ერთხელ მეც მსურდა. შეშინებულმა დიდი წვალეებით ძლივს შევძელი ნაპირზე გადასვლა. ეს მდინარე ნილოსიდან შტოდ გამოდის და ადიდებისას ძალიან საშიშია.

მ ა გ ა ლ ი თ ი 4

გზრგზნი, თხრობა 45

მესტვირისათვის რომელი მოწყალებისა მიერ სცხონდა

იყო ვინმე მონაზონი უდაბნოსა შინა ქვეყანასა ირაკლი თეზაიდისასა, სახელით პაჭნოტი, რომლისათვის მრავალნი ფრიადსა ქველისსაქმესა და მაღალთა სათნოებათა მოგვითხრობდენ. ესე პატიოსანი მამა, შემდგომად მრავალთა შრომათა, ევედრა ღმერთსა, გამოცხადებად მისა, თუ რომელთა წმიდათა მსგავს არს. ხოლო გამოუჩნდა მას ანგელოსი უფლისა და ჰრქუა: „მსგავს ხარ შენ მესტვირისა ვისმე, რომელი ქალაქსა შინა იყოფის“.

ხოლო პაჭნოტი მოსწრაფედ წარვიდა მესტვირისა მიმართ და ეტყოდა: „ვინ ხარ შენ, ძმაო და ვითარ არს ცხოვრება შენი?“ ხოლო მან ჰრქუა: „ფრიად ცოდვილ, მტაცებელ და მემთვრალე ვარ მე, მამაო პატიოსანო, და მცირედ ოდენ ჟამი არს ვინათგან მოვეგე თავსა ჩემსა და ავაზაკობისაგან გამოვედ“. კვალად გამოეძიებდა მისგან პაჭნოტი და ეტყოდა: „ნუუკუჭ კეთილი რამე გიქმნიესაა, ძმაო?“ ხოლო მან ჰრქუა: „არარაჲ კეთილი მიქმნიეს, უფალო ჩემო, გარნა ამისა, რამეთუ ოდეს ავაზაკობასა შინა ვიყავ, ორნი ქრისტეს მოყვარენი შეიპყრნეს ავაზაკთა – მოყვასთა ჩემთა. ხოლო მე განვარინენ იგინი ღამით და სოფლადმდე წარუმართე მათ. და კვალად ოდესმე ვჰპოვე დედაკაცი ფრიად შვენიერი შეცთომილი უდაბნოსა ადგილსა და მტირალი მწარედ. ხოლო მე ვჰკითხვედი მიზეზსა ტირილისა მისისასა და მან მრქუა: „ნუ მკითხავ მე უბადრუკსა რაღსამე, უფალო ჩემო, არამედ ვითარცა მხევალი შენი წარმიყვანე სადაცა გნებავს, რამეთუ ქმარსა ჩემსა მრავალგზის ჰგვემდენ ორ წელ ვახშისათვის სამასისა ოქროდსა, და შეაყენეს საპყრობილესა და სამთაცა შვილთა განმსყიდველ ვიქმნენით. და მისთვის ვიქმენ მე მავალ ადგილითი ადგილად. და აწ უდაბნოსა ამას ვრონინებ, რამეთუ მრავალგზის ვიპოვე მე მათგან და ვიგვემებოდი წამ და წამ. და აჰა, სამი დღე ვარ აწ უდაბნოსა ამას შინა უჭმელი.“

ხოლო მე ესერა მესმა, შევიწყალე იგი და წარვიყვანე ქვაბსა ჩემსა და დაუგე მას ჭამადი და მივეც სამასი ოქროდ. და მივიყვანე იგი ქალაქადმდე და გავათავისუფლე იგი მოვახშეთაგან ქმრითა და შვილებითურთ.

მაშინ მიუგო მას პაჭნოტი: „მე თავით თვისით არარაა უწყოდი შენთვის, ძმაო, გარნა სასმენელ ჩემდა იქმნა, რამეთუ დიდებულ ხარ და არარაათ ჩემსა უდარეს ხარ, რომელსა მრავალნი წელნი ფრიადითა შრომითა უდაბნოსა შინა დამიყოფიან. აწ ნუ უდებ იქმნები, შვილო, რამეთუ გამომიცხადა მე ღმერთმან შენთვის, რათა არღარა შეაჭირვო შენ სულსა შენსა“.

ხოლო მან მეყსეულად განაგდო სტვირი და საგალობელი თვისი და შეუდგა მას. და წარვიდა უდაბნოს და სამ წელ კეთილად შვრებოდა მოღვაწებითა, ლოცვითა და გალობითა. ცხოვრება თვისი ადასრულა და სანატრელსა მას ცხოვრებასა საუკუნესა მიისწრაფა და გუნდსა წმიდათასა შეეძინა ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩვენისა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე.

მეუდაბნოე მამათა ცხოვრება

მამისა პაფნუტისთვის

თეზაიდის ქალაქ ჰერაკლეოპოლის მხარეში ჩვენ ვეწვიეთ კიდევ ერთი სახელგანთქმული მოსაგრის - აბბა პაფნუტის მონასტერს, რომელიც ყველაზე შორეულ უდაბნოში მდებარეობდა. ამ მართალი კაცის შესახებ ბევრი რამ მოგვითხრეს მეუდაბნოე მამებმა.

სრულყოფილების უმაღლეს საზომს რომ მიაღწია, პაფნუტიმ სთხოვა ღმერთს, გაემხილა მისთვის, რომელ მოსაგრეს უტოლდებოდა იგი თავისი ღვაწლით. და ეჩვენა მას ღმრთის ანგელოზი: - შენ უტოლდები ერთ ოინბაზს, რომელიც მეზობელ სოფელში ცხოვრობს და თავისი ხელოვნებით ირჩენს თავს.

ამ უჩვეულო პასუხით შეფიქრიანებული ბერი მაშინვე დასახელებული სოფლისკენ გაემართა, ოინბაზი მოძებნა და გულდასმით დაუწყო გამოკითხვა, რა სიკეთე ჰქონდა გაკეთებული ცხოვრების მანძილზე, და, საერთოდ, შეეცადა ყველაფერი გამოწვლილვით შეეტყო მისი საქმიანობის შესახებ.

- მე ერთი ცოდვილი კაცი ვარ, - უპასუხა ოინზაზმა, - ჩემი საქმე წასულია. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ყაჩაღობით ვირჩენდი თავს, ახლა კი, შენც კარგად ხედავ, რა სამარცხვინო საქმიანობასაც ვეწევი.

მაგრამ პაფნუტი არ ეშვებოდა: - ერთი კეთილი საქმე მაინც არ გახსენდება? თუნდაც ყაჩაღობის დროს ჩადენილი... - არა, არ მახსოვს, რომ ოდესმე ვინმესთვის სიკეთე გამეკეთებინოს... თუმცა ერთ შემთხვევას გავიხსენებ. ერთხელ მე და ჩემმა მეგობრებმა ერთი ქალწული მოვიტაცეთ, რომელსაც თავი ღმერთისთვის მიეძღვნა. ჩემს მეგობრებს უნდოდათ, ძალა ეხმარათ მასზე, მაგრამ მე ამაში მხარი არ დავუჭირე, ქალწული უბედურებისგან დავიხსენი და უვნებლად მივიყვანე სახლში. სხვა დროს, ისევ ყაჩაღობისას, უდაბნოში მოხეტიალე ერთ მანდილოსანს წავაწყდი, რომელსაც საკმაოდ დარბაისლური გარეგნობა ჰქონდა. - როგორ მოხვდი აქ, ამ უდაბურ ადგილას, - ვკითხე მე. - ოჰ, ნურაფერს მკითხავ, - მიპასუხა ქალმა, - ჩემზე უბედური ადამიანი არ დადის ქვეყანაზე... ნუ ეცდები გამოიძიო ამ უბედურების მიზეზი. თუ მხევალი გჭირდება, ამიყვანე მხევლად და როგორც გინდა, ისე მიმსახურე... მე ქმარი მყავს, მაგრამ ის ციხეშია და საშინელ წამებას ითმენს. თავისი საკნიდან მხოლოდ იმისთვის გამოჰყავთ, რომ ახალი და ახლი ხერხებით აწამონ; და ეს ყველაფერი - სახაზინო ვალის გამო... ჩვენ სამი ვაჟიშვილი გვყავდა. ისინიც, ამავე ვალის გამო, სხვადასხვა ქვეყნებში გაგვიყიდეს მონებად. ახლა მეც დამეძებენ, უნდათ დამიჭირონ და ჩემი ქმარით მტანჯონ... ასე გადავდივარ ერთი ადგილიდან მეორეზე - მშიერი, სასომიხდილი... ამ უდაბნოშიც იმისთვის შემოვედი, რომ მღევრებს დავემალო. სამი დღეა არაფერი მიჭამია...

მე შემეწყალა საბრალო ქალი. წავიყვანე ჩემს გამოქვაბულში და კარგად დავაპურე. შიმშილისგან სულ წართმეოდა ძალ-ღონე. შემდეგ სამასი ოქროს მონეტა გადავეცი: ამ თანხის გამო იტანჯებოდნენ მისი ქმარი და შვილები. ქალაქში დაბრუნებულმა, მან ვალი გადაიხადა და თავისიანებიც გამოიხსნა.

პაფნუტიმ თქვა:

- მე არაფერი ამის მსგავსი არ გამიკეთებია... მაგრამ ალბათ გსმენია, როგორაა განდიდებული პაფნუტის სახელი მონაზონთა შორის... და ვინ იცის,



რამდენი შრომა, რამხელა ნების უარყოფა დამჭირდა იმისთვის, რომ ჩემი ცხოვრება მოღვაწეობის მკაცრ წესებზე დამეფუძნებინა. მაგრამ, აი, დღეს ღმერთმა გამიმხილა, რომ შენი დამსახურება მის წინაშე არაფრით ჩამოუვარდება ჩემსას. ასე რომ, ძმაო, გაფრთხილდი! ნუ დაივიწყებ საკუთარ სულზე ზრუნვას. ჩანს, დიდ სასყიდელს გიმზადებს ღმერთი.

ოინზაზმა იმავე წამს დააგდო თავისი სტვირი და უდაბნოში გაჰყვა პაფნუტის. ამგვარად, მან ამქვეყნიური, მიწიერი ხელოვნება ზეციურზე გადაცვალა და სამი წელიწადი მკაცრ თავშეკავებაში, ლოცვასა და ფსალმუნთგალობაში გაატარა. სამი წლის შემდეგ კი, სულიერ სრულყოფილებას მიღწეული, იგი მშვიდობით აღესრულა და მისი სული ანგელოზების გუნდმა აიყვანა ზეცაში.

ამ მაგალითებიდან იკვეთება გაბრიელ მცირის მიმართება ტექსტისა თუ შინაარსის დანიშნულებისამებრ გამართვისადმი. წმიდა გაბრიელ მცირისეული ტექსტი ისეა მიწოდებული მკითხველისათვის, რომ მისი ენობრივი ქსოვილი გათვლილია არა მარტო ლიტერატურულად განსწავლული, სასულიერო განათლების მქონე პირთათვის, არამედ მთლიანი ქართველი ერისათვის; მისადაგებულია ნაციონალური ხასიათის თავისებურებებთან და ქართული ყოფა-ცხოვრების სინამდვილესთან.

აქვე წარმოვადგენთ იდენტურ თხრობათა შედარებით ცხრილს:

1<sup>37</sup> = თ. ხ.<sup>38</sup>, თავი XIX, თხრობა XXI, 25

3 = ლიმონარი<sup>39</sup> 196

4 = თ. ხ., თავი X, თხრობა IX

5 = თ. ხ., თავი X, თხრობა XII = ე. ა.<sup>40</sup>, თავი IX, თხრობა 10

---

<sup>37</sup> ცხრილის პირველ სვეტში ასახულია „გურგუნის“ თხრობების ნუმერაცია.

<sup>38</sup> თ. ხ. = თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანი.

<sup>39</sup> ლიმონარი = „ლიმონარი. მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“, თბ. 2014. გადმოთარგმნილია რუსლიდან: „Луг духовный“ свято-троицкая сергиева лавра, 1896. რუსულის პირველწყარო კი არის მინეს გამოცემული: „Patrologiae cursus completus“, T. LXXXVII, 2845-3116).

- 6 = თ. ხ., თავი XIX, თხრობა XXI 2
- 7 = ლიმონარი 199
- 13 = ლიმონარი 150
- 14 = ლიმონარი 108
- 19 = იოანე მოსხი, ლიმონარი<sup>41</sup> (II დამატება) 10
- 22 = თ. ხ., თავი XX, თხრობა XIV,6
- 23 = თ. ხ., თავი XX, თხრობა III,4 = ა. პ.<sup>42</sup>, მამისა ბესარიონისთვის
- 24 = თ. ხ., თავი XX, თხრობა XIII,2 = ა. პ., მამისა სისოისთვის თებელისა
- 26 = თ. ხ., თავი XX, თხრობა VIII,1 = ა. პ., მამისა მაკარისთვის მეგვიპტელისა
- 28 = იოანე მოსხი, ლიმონარი, თავი 75 = ლიმონარი 75
- 37 = თ. ხ., თავი XVIII, თხრობა XVI,3
- 39 = თ. ხ., თავი XI, თხრობა XXXVIII,72
- 40 = თ. ხ., თავი XIX, თხრობა XIX = A.S.<sup>43</sup>, N.599
- 44 = თ. ხ., თავი XXI, თხრობა II = ა. პ., ევქარისტონისთვის ერისკაცისა
- 45 = მ. მ. ც.<sup>44</sup>, თავი 18, გვ. 333-334
- 46 = ლიმონარი 186
- 48 = თ. ხ., თავი VII, თხრობა XXIII,7
- 49 = თ. ხ., თავი XVIII, თხრობა XVI,17
- 51 = თ. ხ., თავი IV, თხრობა XXII; თავი XIV, თხრობა XI = ა. პ., მამისა სერაპიონისთვის = ე. ა., თავი III, თხრობა 15 = A.S., N.565/15.116, N.566/15.117
- 53 A.S., N.47 BHG 1322zj = მიმსგავსებული სამოთხესა (ლიმონარის დამატება) 3 (692) ფრჩხილებში ნომერი გაარკვეიე მოსხის ლიმონარში

---

<sup>40</sup> ე. ა. = ეფეთიმე ათონელის თარგმანი.

<sup>41</sup> იოანე მოსხი, ლიმონარი = ილ. აბულაძე, „ლიმონარი“, თბ., 1960,

<sup>42</sup> ა. პ. = ანბანური პატერიკი.

<sup>43</sup> A. S. = The anonymous sayings of the desert fathers.

<sup>44</sup> მ. მ. ც. = პრესვიტერი რუფინუსი „მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“. „ლიმონარი. მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“, თბ., 2014.

- 56 = თ. ხ., თავი XVI, თხრობა XLIV,18 = A.S., N.308/15.85
- 57 = ლიმონარი 175
- 58 = თ. ხ., თავი XIV, თხრობა XII,15
- 59 = ლიმონარი 185
- 63 = ლიმონარი 143
- 64 ლიმონარი 166
- 65 = ლიმონარი 78
- 69 = თ. ხ., თავი XVI, თხრობა XLIV,1
- 70 = თ. ხ., თავი XVI, თხრობა XLIV,48 = A.S., N.31 BHG 1322hb; N.334/15.111
- 71 = თ. ხ., თავი VI, თხრობა XVII,24
- 72 = თ. ხ., თავი IV, თხრობა XXV,16 = ე. ა., თავი III, თხრობა 24 = A.S., N.179/5.31 BHG 1440j
- 74 = თ. ხ., თავი IV, თხრობა XXV,21 = ე. ა., თავი III, თხრობა 28
- 75 = თ. ხ., თავი IV, თხრობა XXV,5 = ა. პ., ანონიმური პატერიკი = ე. ა., თავი III, თხრობა 19
- 76 = ლიმონარი 101
- 77 = თ. ხ., თავი IV, თხრობა XXV,54
- 80 = თ. ხ., თავი IV, თხრობა XVIII,7 = ე. ა., თავი III, თხრობა 13
- 81 = თ. ხ., თავი XXI, თხრობა XIII,5 = A.S., N.132.3/20.16
- 82 = თ. ხ., თავი XXI, თხრობა VII,2 = ა. პ., მამისა სისოისთვის თებელისა
- 84 = თ. ხ., თავი XVI, თხრობა I,1,2 = ა. პ., mamisa arsenisaTვის
- 85 = თ. ხ., თავი IV, თხრობა XXV,14-15 = ე. ა., თავი III, თხრობა 23
- 86 = თ. ხ., თავი XIX, თხრობა XXI,20
- 88 = მ. მ. ც., თავი 18, გვ. 335-337
- 89 = ლავსაიკონი - ნეტარი ამონი და მისი მეუღლე (თხრობა ამონისათვის)
- 90 = თ. ხ., თავი XXI, თხრობა III,2 = ა. პ., მამისა მაკარისთვის მეგვიპტელისა
- 91 = ლავსაიკონი, პაისიო და ესაია
- 95 = ლიმონარი 179
- 96 = თ. ხ., თავი XXI, თხრობა XIII,6 = ა. პ., ანონიმური პატერიკი

97 = ა. პ., ანონიმური პატერიკი = ლიმონარი 170 = A.S., N.132.4/20.12

98 = თ. ხ., თავი VIII, თხრობა VIII,2 = ე. ა., თავი VII, თხრობა 5 = A.S., N.596.2 BHG 79

ეს ცხრილი მკითხველს საშუალებას მისცემს სხვადასხვა წყაროში არსებულ იდენტურ თხრობათა შორის განსხვავებების თვალნათლივ აღქმისა.

## დასკვნები

XVIII საუკუნის ბოლოს გარეჯის კომპლექსში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში მოღვაწე ბერი გაბრიელ მცირე ამ დროის გარეჯის ლიტერატურული სკოლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. ამ წმიდა ბერის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევა და მის მიერ შექმნილ ტექსტთა მეცნიერულად დამუშავება - არსებული ნაშრომების შესწავლა, მათი ახალი ფაქტებით შევსება და ჯერ შეუსწავლელი საკითხების ანალიზით მათი გამდიდრება იყო საგანი ჩვენი კვლევისა.

გაბრიელ მცირის შემდგენლობით-რედაქტორული მემკვიდრეობიდან ნუსხათა რაოდენობის მიხედვით (44 ხელნაწერი) გამოირჩევა კრებული „გზრგზნი“. ეს ტექსტი დღემდე მეცნიერულად არ იყო შესწავლილი. მისი რვა ხელნაწერისა და ერთი ბეჭდური წყაროს შედარების საფუძველზე ჩვენ გამოსაცემად მოვამზადეთ მისი ტექსტი და დავურთეთ სამეცნიერო აპარატი.

წმიდა გაბრიელ მცირის ბიოგრაფია შეივსო ახალი დეტალებით. „ჯუარშემოსილის“ ხელნაწერის კვლევამ გამოვლინა მონასტერში გაბრიელ მცირის მისვლის თარიღი. წმიდა გაბრიელი მონასტერში დიდსქემოსანი სერაფიონის გარდაცვალების შემდგომ მისულა. მამა სერაფიონი 1773 წელს გარდაიცვალა. აქედან ცხადი ხდება, რომ გაბრიელ მცირე მონასტერში 1773 წლის ახლო ხანებშია მისული. ამ თარიღამდე იგი ბერად ჯერ არ იქნებოდა აღკვეცილი.

ივანე ლოლაშვილის აზრით, წმიდა გაბრიელი მონასტერში 20-25 წლის მივიდა. თუ იგი ამ აზრის დამადასტურებელ დოკუმენტურ ცნობას ფლობდა, არსებობის უფლება ექნებოდა ვარაუდს, რომ გაბრიელ მცირის დაბადების თარიღია 1748 წლიდან 1753 წლამდე (1773 წელს გამოკლებული 20-25 წ.).

ფაქტების შეჯერებისას გამოიკვეთა დროის მონაკვეთი, როდესაც წმიდა გაბრიელი მღვდლად აკურთხეს: 1. „ჯუარშემოსილში“ წმიდა გაბრიელს მოთხრობილი აქვს შემთხვევა, როდესაც იგი 6000 მოწამის სამვალეზე ასულა სალოცავად. ამ დროს, 1786 წლის 25 იანვარს დიდი ბრძოლა გამართულა დავით მეორესა და თურქ-ლეკთა ჯარს შორის. წმიდა გაბრიელი ხსენებული შემთხვევის

დროს თავს იეროდიაკონად იხსენიებს. 2. გაბრიელ მცირის თხზულების ერთ-ერთ მინაწერზე, რომელიც 1892 წლის 10 ივლისითაა დათარიღებული, იგი თავს იერომონაზად იხსენიებს. ამდენად, გაბრიელ მცირის მღვდლად კურთხევა 1786 წლის 25 იანვრიდან 1892 წლის 10 ივლისამდე დროის მონაკვეთში უნდა მომხდარიყო.

წმიდა გაბრიელ მცირის გარდაცვალების თარიღისა და გარემოების შესახებ ერთმანეთს ორი სხვადასხვა ხელნაწერის ცნობები ავსებს. ესენია: 1. „გვრგვინის“ ნუსხა, გადაწერილი ბატონიშვილ ბაგრატის მიერ და 2. „ჯუარშემოსილი“. ორივე წყარო გვამცნობს, რომ გაბრიელ მცირე ლეკებს მოუკლავთ მონასტრისკენ მიმავალ გზაზე.

ამ ორ ხელნაწერში განსხვავებულია მონათხრობი მონასტრიდან გაბრიელ მცირის წასვლის მიზეზის შესახებ. პირველი წყაროს მიხედვით, წმიდა გაბრიელის მონასტრიდან გასვლის მიზეზად მთავარდიაკონ იოანე ჩუბინიძის თბილისში წაყოლა დასახელებული, ხოლო მეორე წყაროს მიხედვით - გაბრიელ მცირის ავადმყოფობა. ჩვენი აზრით, შესაძლოა მამა გაბრიელი ავადაც ყოფილიყო და, ამასთანავე, იოანე ჩუბინიძის (მისი სულიერი ძმის) მართო გაშვება მიზანშეწონილად არ ჩაეთვალა და ამიტომ თან გაჰყოლოდა.

„გვრგვინის“ მინაწერში მხოლოდ გაბრიელ მცირის აღსრულების წელია მითითებული (1802 წ.), ხოლო „ჯუარშემოსილის“ ხელნაწერში - დღე, რიცხვი და თვე (სამშაბათი, 11 მარტი). აღმოჩნდა, რომ 1802 წლის 11 მარტი მართლაც სამშაბათი დღეა და, ამდენად, სწორედ ეს არის გაბრიელ მცირის მოწამებრივად აღსრულების თარიღი. იგი იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერშია დაკრძალული.

წმიდა გაბრიელის წმიდანად შერაცხვის თარიღი არსად გვხვდება, მაგრამ კვლევამ გამოავლინა დროის მონაკვეთი ხსენებული ფაქტისა. მეფე გიორგის ძის ბაგრატის ცნობაში, რომელიც 1815 წლის 3 აპრილით თარიღდება, გაბრიელ მცირე წმიდანადაა მოხენიებული. რადგან იგი 1802 წლის 11 მარტს აღესრულა, დგინდება დროის მონაკვეთი მისი წმიდანად შერაცხვისა: არაუადრეს 1802 წლის 11 მარტისა და არაუგვიანეს 1815 წლის 3 აპრილისა.

გაბრიელ მცირემ ლიტერატურული საქმიანობა XVIII საუკუნის ოთხმოციან წლებში დაიწყო. იგი თვდაპირველად ხელნაწერების გადაწერას აწარმოებდა, მაგრამ არა როგორც უბრალო გადამწერი. მას წესრიგში მოჰყავდა ხელნაწერები სტრუქტურული და ენობრივი თვალსაზრისით.

წმიდა გაბრიელმა შექმნა ორიგინალური თხზულებები: „მღუდელმთავრისა ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყველებითი“, „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ცქემოსან ონისიფორესი“, „სულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყვარეთანი“, „განმარტება მამაო ჩვენოსი“, „განმარტება მაზარისა“, „მოთხრობა პორჭირისათვის“, „ეპიტაჟია სტავროჭორესი საფლავსა ზედა პორჭირისსა“ და გააერთიანა (1801-1802 წწ.) კრებულში სახელწოდებით - „ჯუარშემოსილი“.

კვლევა ადასტურებს ამ კრებულის ავტორის ვინაობას და დაწერის სავარაუდო თარიღს. „ჯუარშემოსილში“ შემავალ ორ თხზულებას, რომელიც ცალკე ნუსხებად არის გადაწერილი, ახლავს მინაწერები, საიდანაც დგინდება, რომ მათი ავტორი წმიდა გაბრიელია. „ჯუარშემოსილი“ ვერ შეიქმნებოდა 1802 წლის 11 მარტის შემდგომ, რადგან ამ დროს წმიდა გაბრიელი მოწამეობრივად აღესრულა. ასევე ვერ დაიწერებოდა 1801 წელზე ადრე, რადგან ბერი პორფირი ცოცხალი იყო, წიგნში კი იგი უკვე გარდაცვლილად არის მოხსენიებული და მასზე გაბრიელ მცირეს მოთხრობა და ეპიტაჟია აქვს მიძღვნილი. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ „ჯუარშემოსილის“ შედგენა დასრულებულა 1801 ან 1802 წელს.

წმიდა გაბრიელმა, როგორც რედაქტორ-შემდგენელმა, საეკლესიო მამათა ნაფიქრ-ნააზრევის საფუძველზე შექმნა წიგნები: „გვრგვნი“, „სამოთხის ყუავილი“, „ოქროს წყარო“, „კლიტე“, სუფევა“, „მანანა“ და „სამასეული“. მათი შედარებითი ანალიზით და სხვადასხვა წყაროში არსებული ცნობებით მტკიცდება: ყველა ხსენებული კრებული გაბრიელ მცირის მიერაა შედგენილი; თითოეულ წიგნში თხრობათა და თავთა რაოდენობა სიმბოლურადაა გააზრებული, ხოლო თხრობები გადამუშავებული სახითაა შეტანილი. ამ კრებულთა იდენტური რედაქტორულ-შემდგენლური მიდგომა და ტექსტის თავისუფალი გადამუშავება ცხადყოფს მათი შემდგენლის მიერ დამკვიდრებულ სალიტერატურო პრინციპებს, რასაც

მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული სასულიერო მწერლობის განახლება-განვითარებაში. ამ წიგნთა ავტოგრაფების უმეტეს ნაწილს ერთვის გაბრიელ მცირის ხელრთვა, ისეთივე, როგორც მის ორიგინალურ ტექსტებს.

გაბრიელ მცირის ბოლო ტექსტად ჩანს „ქებითი სიტყვა“. მისი დოკუმენტური წყარო მოხსენიებულია, მაგრამ დღეს აღარ იძებნება. წმიდა გაბრიელს „ქებითი სიტყვა“ წარმოუთქვამს ბერ იოანიკეს დაკრძალვისას, რომელიც 1802 წელს გარდაცვლილა. აქედან გამომდინარე, „ქებითი სიტყვა“ 1802 წლის დასაწყისიდან 1802 წლის 11 მარტამდეა (გაბრიელ მცირის გარდაცვალების თარიღი) დაწერილი.

გაბრიელ მცირის ლიტერატურული მემკვიდრეობის ბეჭდური გამოცემები, შეიძლება დროის მიხედვით ორ ფაზად წარმოვადგინოთ: 1) 1892-1905 წლებში წმიდა სტეფანე კარბელაშვილის მიერ გამოცემული რამდენიმე კრებული და 2) 1934-2019 წლებში გ. ფერადის, ი. ლოლაშვილის, ზ. სხირტლადის, კ. კენკიშვილის, ე. კოჭლამაზაშვილის, ე. გაბიძაშვილის, მ. ქავთარიას, ვ. სილოგავას, პ. წიკლაურის, დ. ჩანადირის და გ. კალანდაძის მიერ მომზადებული წმიდა გაბრიელ მცირის სრული და ფრაგმენტული ტექსტების გამოცემები.

დღემდე არ არსებობდა და ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვედგინა გაბრიელ მცირის ავტოგრაფებისა და მათი ასლების, ასევე პუბლიკაციების ბიბლიოგრაფია.

იმის შესახებ, რომ „გვრგვნის“ შემდგენელი ნამდვილად გაბრიელ მცირეა, მოვიძიეთ დამატებითი არგუმენტები: 1. „გვრგვნის“ ანდერძში ადგილსა და თარიღთან ერთად ნახსენებია მისი შემდგენლის სახელი: ხუცეს-მონაზონი გაბრიელი. 2. „გვრგვნის“ შემქმნელის სახელი ასევე მოხსენიებული აქვს გიორგი მეფის ძეს ბაგრატს: „მღვდელ-მონაზონი გაბრიელი“. 3. ადრეული ნუსხები „გვრგვნის“ ხელნაწერისა გაბრიელ მცირის ხელითაა დაწერილი და მათ წმიდა გაბრიელის ხელთრთვა აქვთ დართული. 4. „გვრგვნისა“ და გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი სხვა კრებულების შედარებითი ანალიზით საბოლოოდ დგინდება, რომ იგი ნამდვილად გაბრიელ მცირის მიერ არის შედგენილი, რადგან „გვრგვნში“ იკვეთება ზუსტად ისეთივე საშემდგენლობო სტილი, როგორცაა მის მიერ შედგენილ სხვა კრებულებში.



„გზრგზნის“ სტრუქტურა წინასწარაა გააზრებული. თავებისა და თხრობების რაოდენობას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. კერძოდ: კრებულის თავთა რაოდენობა, ხუთი თავი სიმბოლურად გააზრებულია, როგორც ხუთი საგრძნობელი ადამიანისა; კრებულში შემავალი ასი თხრობა კი - „მებრ იგავისა რომელსა ედგა ასი ცხოვარი და მოსურნეთა ნაყოფიერ ყოფს, ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად“.

„გზრგზნში“ შემავალ თხრობათა სხვა ადრეულ, არსებულ პატერიკებთან შედარებამ ცხადყო, რომ ისინი გადამუშავებულია, მათ ახლებური სახე აქვთ მიცემული.

„გზრგზნის“ ტექსტი (სულ კაბადონის 235 გვ.) მეცნიერულად დავადგინეთ და დავურთეთ სამეცნიერო აპარატი. ტექსტის საფუძვლიანად შესწავლისათვის სიძველეთსაცავებში დაცული ხელნაწერებიდან (44 ნუსხა) გამოვიყენეთ რვა უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი, რომლებიც გამოვარჩიეთ მათი სიძველის, ავთენტურობისა და სისრულის საფუძველზე (ზსიემ 23374/ხწ 16; A 228; A 723, A 427; S 2331; S 1389; A 341; A 537). ნუსხებს შორის გამოვლენილი სხვაობები სქოლიოებში მივუთითეთ. ამასთანავე, გამოვიყენეთ სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის მიერ 1892 წელს წიგნად გამოცემული „გზრგზნი“. ამ გამოცემას მნიშვნელობა მივანიჭეთ, იმ მიზეზის გამო, რომ მისი მომზადებისას წმიდა სტეფანეს შესაძლოა ხელთ ჰქონოდა წყაროები, რომელთაც დღეს ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

„გზრგზნის“ ნუსხათაგან მხოლოდ ორია ავტოგრაფი, დათარიღებული 1794 წლის 29 ივლისით და 1795 წლის 26 აპრილით. კრიტიკული ტექსტის დადგენას საფუძვლად დაედო უადრესი, 1794 წლის ავტოგრაფი, რადგან: 1. გვიანდელ ავტოგრაფში (A 228) შეცდომები გაცილებით მეტია, ვიდრე ადრეულში (თითქმის სამჯერ მეტი. იხ. ავტოგრაფების შედარებითი ანალიზი); 2. ავტოგრაფებს შორის კონცეპტუალური სხვაობანი არ არის; 3. გაბრიელ მცირე მის მიერ შედგენილი ერთ-ერთი წიგნის უადრეს ხელნაწერს ასახელებს „დედნად სახმარად“. ვფიქრობთ, ეს წესი მის მიერ შედგენილი ყველა კრებულის მიმართ გავრცელდებოდა. ანუ „დედნად სახმარად“ ყველა წიგნის, მათ შორის „გვირგვინის“ უადრეს ავტოგრაფს ჩათვლიდა.

ხელნაწერ კრებულ „გზრგზნის“ დასრულების სავარაუდო თარიღად მისი ადრეული ავტოგრაფის დასრულების თარიღი მივიჩნით.

სიძველეთსაცავებში „გზრგზნის“ ორმოცდაოთხი ნუსხა ინახება. შევქმენით მათი შემოღებისდაგვარად სრულყოფილი ჩამონათვალი და აღწერილობა, რაც დღემდე არ იყო გაკეთებული.

„გზრგზნის“ ავტოგრაფებში ორთოგრაფია არ არის მტკიცედ დაცული. მრათლწერაში წარმოდგენილ სხვაობათა დაჯგუფებითა და ანალიზით იკვეთება, რომ გაბრიელ მცირე: ბგერა „უ“-სა და თანხმოვან „ვ“-ს პარალელურად იყენებს; ხმარობს როგორც არქაულ ლექსიკას, ისე ახალს; იყენებს როგორც სიტყვების, ისე გრამატიკულ ფორმათა სხვადასხვა დაწერილობებს. ვფიქრობთ, ამ მხრივ ჩატარებული სამუშაო არა მარტო გაბრიელ მცირის ენასა და სტილზე ქმნის წარმოდგენას, არამედ მის ეპოქაზეც და ამდენად კარგი მასალაა ენის ისტორიის შესასწავლად.

წმიდა გაბრიელი მის მიერ შექმნილი წიგნების სათაურებს ასომთავრულით წერს, სადაც იყენებს ძველი ქართულის ორთოგრაფიულ ნორმებს. მაგალითად: ტექსტში ასო „ჯ“ საერთოდ არ არის გამოყენებული, ხოლო ასომთავრულად დაწერილ სათაურებში გამოყენებულია.

თუ ტექსტში შეცდომით ერთი და იგივე სიტყვა ორჯერ წერია, ის არ არის გადაშლილი, რომ თვალშისაცემი არ იყოს, არამედ წერტილებითაა შემოფარგლული, რაც მის ზედმეტობაზე მიანიშნებს.

წმიდა გაბრიელ მცირეს უფლის სახელი ორგვარად აქვს ტექსტში წარმოდგენილი: ქარაგმით, ხუცურად და ქარაგმის გარეშე, მხედრულად. განსაკუთრებული მოწიწების გამოსახატავად ტექსტში ნებისმიერი სიტყვა, რომელიც ღმერთს აღნიშნავს, მთავრულით იწყება, ანუ მისი პირველი ასო მთავრულადაა დაწერილი.

წმიდა გაბრიელის ხელწერა ზოგადად და, მათ შორის „გზრგზნისა“, დახვეწილია და მკაფიო. ამ მხრივ სრული სურათის წარმოსადგენად მისი ავტოგრაფების საფუძველზე შევადგინეთ გრაფემების ტიპიურ მოხაზულობათა ცხრილი. ცხრილის სახითაა ასევე წარმოდგენილი ქარაგმები. კვლევამ ცხადყო, რომ

გაბრიელ მცირის კალიგრაფია წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

ხელნაწერთა საცავებში გაბრიელ მცირის მიერ შესრულებულად დაცული ხელნაწერების გრაფოლოგიური ანალიზით დადგინდა: ყველა ხელნაწერი, რომელიც სიძველეთსაცავებში ისეა დაცული, როგორც გაბრიელ მცირის ავტოგრაფი, ნამდვილად წმიდა გაბრიელის ხელითაა დაწერილი.

ჰ, ზ, ჭ, ჭ, ჯ, ე გრაფემებს მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს წერის დროს ხან იყენებდნენ და ხან - არა. გაბრიელ მცირის ავტოგრაფებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი გრაფემა პირველ ავტოგრაფში არის, გვიანდელში კი - ამოღებულია. ზოგჯერ კი - პირიქითაა.

გაბრიელ მცირის ხელნაწერ ტექსტებში სასვენი ნიშნები მოწესრიგებულია და სისტემატიზირებული, მათ შორის, წერტილი გამოყენებულია მძიმის ფუნქციით, ხოლო ორი წერტილი - წერტილის მნიშვნელობით. აბზაცის აღსანიშნავად სიტყვის პირველი ასო მთავრულით და ასომთავრულადაა, ზოგჯერ - სინგურით.

წმიდა წერილიდან მოყვანილი ციტატები გაბრიელ მცირეს არა აქვს ბრჭყალებში მოქცეული, არამედ ბრჭყალები ციტატის გასწვრივ, არშიაზე აქვს გატანილი. ჩვენი ვარაუდით, წმიდა გაბრიელ მცირის მიერ ბრჭყალების ასეთი გამოყენება გამიზნული გამოსავალი იყო იმ უხერხულობიდან, რასაც მასში წმიდა წერილის ადგილთა ბრჭყალებში მოქცევა იწვევდა.

წმიდა გაბრიელ მცირის ავტოგრაფთა შედარებითი კვლევის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, რომლებშიც უადრესი ავტოგრაფისთვის დამახასიათებელი ძველი ენის ფორმები ახლითაა შეცვლილი. ზოგჯერ სიტყვა ჩანაცვლებულია სინონიმით. ზოგიერთი სიტყვა ამოღებულია, ან დამატებულია. არის შემთხვევები, როდესაც შეცვლილია კონსტრუქციები და სიტყვათა ფორმები, მაგრამ აზრი არ იცვლება. გვხვდება შემთხვევები, როდესაც არსებულ სიტყვათა სწორი მართლწერა გვიანდელში არასწორი ფორმითაა, ან სწორი გარმატიკული ფორმაა შეცვლილი. არის შემთხვევები, სადაც ადრეული ვარიანტული წაკითხვა გვიანდელში დაზუსტებულია და გასწორებული. ასეთი მაგალითები საპირისპიროსთან შედარებით თითქმის სამჯერ მეტია.

ავტოგრაფებს შორის არსებული სხვაობა განეკუთნება ვარიანტების იმ ჯგუფს, რომლებიც არ იწვევს შინაარსის ცვლილებას, ანუ ავტოგრაფებს შორის კონცეპტუალური სხვაობა არ არის.

„გვრგუნის“ ტექსტის შედარებამ არაავტორიზირებულ ნუსხებთან ცხადყო: არც ერთი არაავტორიზირებული ნუსხა ზედმიწევნით არ მისდევს „გვრგუნის“ არსებულ ორ ავტოგრაფულ წყაროს, არის გადახვევებიც და აღრევებიც.

კვლევამ ცხადყო, რომ „გვრგუნის“ ჩვენ მიერ შესწავლილი და ვარიანტებში წარმოდგენილი ასლები ძირითადად ავტოგრაფებიდან არის გამრავლებული. A 723, A 427, S 2331, S 1380 ნომრებით დაცული ხელნაწერები უმეტესწილად მისდევს A 228 ნომრით დაცულ ავტოგრაფს, ხოლო A 341, A 537 ნომრებით დაცული ხელნაწერები ძირითადად მიჰყვება N 16 ნომრით დაცულ ავტოგრაფს.

ორი ავტოგრაფისა და ექვსი ხელნაწერი ასლის საფუძველზე ჩავატარეთ სტატისტიკური კვლევა, რომლის მიხედვითაც ავტოგრაფებთან ყველაზე დიდი სიახლოვე S 2331 ხელნაწერმა გამოამჟღავნა. შესწავლილი ექვსი ასლიდან ავტოგრაფებისგან ყველაზე მეტ სხვაობას A 537 ხელნაწერი ამჟღავნებს. ავტოგრაფებთან მიმართებაში არაავტოგრაფული ტექსტების ვარიანტულ სხვაობათა რიცხვი საკმაოდ დიდია. ამისდა მიუხედავად, მკაფიოდ იკვეთება ავტოგრაფებთან ხელნაწერი ასლების მეტ-ნაკლები მსგავსება. მიუხედავად ამისა, კონცეპტუალური სხვაობა წყაროებს შორის არ შეინიშნება.

„გვრგუნში“ შემავალ თხრობათა წარმომავლობის დასადგენად ისინი შევადარეთ სხვადასხვა დროს გადმოთარგმნილ პატერიკებს, რამაც ცხადყო: „გვრგუნის“ 13, 15, 19, 28, 57, 59, 63, 64, 65, 76, 95, 97 თხრობები შინაარსობრივ თანხვედრაშია იაონე მოსხის „ლიმონართან“; „გვრგუნის“ 23, 24, 26, 44, 51, 75, 82, 84, 90, 96, 97 თხრობები თანხვედრაშია ტექსტთან „ანბანური პატერიკი. სწავლანი მამათა სკიტელთანი გამოკრებილნი“; 90 და 91-ე თხრობა თანხვედრაშია „ლავსაიკონის“ ტექსტთან; 72, 74, 75, 80, 85, 98 თანხვედრაშია ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ ტექსტთან „სწავლანი წმიდათა მამათანი“; „გვრგუნის“ 1, 4, 5, 6, 23, 24, 26, 37, 39, 40, 44, 48, 49, 51, 56, 59, 69, 70, 71, 72, 74, 75, 77, 80, 81, 82, 84, 85, 86, 90, 96, 98-ე თხრობები შინაარსობრივ თანხვედრაშია თეოფილე

ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილ პატერიკებთან; „გვრგვნის“ 45-ე თხრობა შინაარსობრივ თანხვედრაშია რუფინუსის „მეუდაბნოე მამათა ცხოვრების ტექსტთან“; 40, 51, 53, 56, 70, 72, 81, 97, 98 თხრობები შინაარსობრივ თანხვედრაშია აპოთეგმური თხრობების ინგლისურ-ბერძნულ გამოცემასთან.

გაბრიელ მცირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევამ გამოავლინა მისი ცხოვრების ამსახველი ჯერ გამოუკვლეველი დეტალები, ცხადყო ამ წმიდა ბერის მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართული ორიგინალური მწერლობის განვითარებაში; აგრეთვე მისი ღვაწლი, როგორც პატერიკული კრებულების შემდგენლისა, რომელთაც საფუძვლად უდევთ დიდაქტიკური თვალსაზრისით სრულიად ახლებური და ეფექტური სარედაქციო კონცეფცია.

შენიშვნა: ნაშრომი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის (NDP2016\_18, პროექტი „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“) ფარგლებში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე, ი. (2007). თხზ. სრ. კრებ. 20 ტომად, ტ. 10, ვ. 23. თბილისი.
2. ქავთარია, მ. (1965). დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა. თბილისი.
3. კეკელიძე, კ. (1951). ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I ტომი. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. გაბრიელ მცირე. (2018). ჯუარშემოსილი. თბილისი: მთაწმინდა.
5. იოსელიანი, პლ. (1893). ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა. თბილისი.
6. ჟორდანია, თ. (1903). ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები. ფოთი: ეპისკოპოსი ალექსანდრეს გამოცემა.
7. აბულაძე, ილ. (1960). ლიმონარი. თბილისი.
8. დვალი, მ. (რედ.) (1966). ეფთვიმე ათონელი. შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტომი I, ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხედვით, „მამათა სწავლანი და თხრობანი“. თბილისი.
9. დვალი, მ. (რედ.) (1974). შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტომი II, „ანბანურ-ანონიმური პატერიკები“. თბილისი.
10. თეოფილე ხუცესმონაზონი. (2014). მამათა სწავლანი და თხრობანი, შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტომი III, თბილისი.
11. Wortley J. (2013). The anonymous sayings of the Desert Fathers, Cambridge University Press.
12. „ლიმონარი. მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“. (2014). თბილისი.
13. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1973). ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A ფონდის კოლექციისა, ტომი I (1). თბილისი: მეცნიერება.
14. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1976). ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A ფონდის კოლექციისა, ტომი I (2). თბილისი: მეცნიერება.
15. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1980). ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A ფონდის კოლექციისა, ტომი I (3). თბილისი: მეცნიერება.

16. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1985). ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A ფონდის კოლექციისა, ტომი I (4). თბილისი: მეცნიერება.
17. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1986). ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A ფონდის კოლექციისა, ტომი II (1). თბილისი: მეცნიერება.
18. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (2004). ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A ფონდის კოლექციისა, ტომი II (2), თბილისი: მეცნიერება.
19. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1954). ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ტომი IV. თბილისი: მეც. აკადემიის გამომცემლობა.
20. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1955). ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ტომი V. თბილისი: მეც. აკადემიის გამომცემლობა.
21. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1946). საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი I. თბილისი: მეც. აკადემიის გამომცემლობა.
22. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1951). საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი II. თბილისი: მეც. აკადემიის გამომცემლობა.
23. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1948). საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი III. თბილისი: მეც. აკადემიის გამომცემლობა.
24. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1950). საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი IV. თბილისი: მეც. აკადემიის გამომცემლობა.

25. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1949). საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი V. თბილისი: მეც. აკადემიის გამომცემლობა.
26. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1953). საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი VI. თბილისი: მეც. აკადემიის გამომცემლობა.
27. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. (1957). მუზეუმის ხელნაწერთა ახალი Q კოლექცია. ტომი I. თბილისი: მეც. აკადემიის გამომცემლობა.
28. „ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, „ხელნაწერთა აღწერილობა“. (1964). ტომი II. თბილისი: მეცნიერება.
29. „სამოთხის ყუავილი“. (2017). თბილისი: მთაწმინდა.
30. „სამასეული“. (2018). თბილისი: მთაწმინდა.
31. „ოქროს წყარო“. (2019). თბილისი: მთაწმინდა.
32. „ოქროს წყარო“. (1905). გამოცემა მ. ი. ჩიგოგიძისა. თბილისი: არ. ქუთათელაძის სტ.
33. „სამოთხის ყუავილი“. (1895). ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა.
34. Кекелидзе, К. (1908). Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. Тифлис.
35. „ცისკარი“. (1957). N4.
36. „ჯვარი ვაზისა“. (1934). .N4. პარიზი.
37. „XVIII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები“. (1965). თბილისი: მეცნიერება.
38. „მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის“ (XVI-XIX სს.). (1982). თბილისი: მეცნიერება.
39. „ღვთივსულიერნი თხრობანი“. (2002). თბილისი: ნათლისმცემელი.
40. „საქართველოს იმედი“. (2014). წიგნი 50, თბილისი.



41. „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. (1989). წიგნი V. თბილისი: მეცნიერება.
42. „მწიგნობრობა ქართული“. (2007). 3. თბილისი: ციციანთელა.
43. ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის „სამეცნიერო შრომების კრებული“. (1990). თბილისი.
44. „ჯვარი ვაზისა“. (1992). N 4.
45. „სკოლა და ცხოვრება“. (1996).
46. „წყაროები გარეჯის მრავალწყაროდან“. (1999).
47. „გვირგვინი“. (1892). I-II ნაწ. თბილისი: სტამბა გრ. ჩარკვიანისა.
48. „გვირგვინი“. (1893). III ნაწ. თბილისი: тип. грузин. издат. тов-а.
49. „გვირგვინი“. (1894). IV-V ნაწ. თბილისი. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის სტ.
50. „მუშაკი სულიერისა ვენახისაჲ“. (2012). მიხეილ ქავთარია - 80, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი.
51. Barrett, D. (1973). „Catalogue of the Wardrop collection and of other Georgian books and manuscripts in the Bodleian library“. Oxford.
52. „მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა, ტიმოთესგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა“. (1852). თბილისი: სტამბასა შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისსა.
53. „საქართველოს სახელმწიფო არქივები“. (1949). თბილისი: საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს გამომცემლობა.
54. „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. (1989). წიგნი V. თბილისი: მეცნიერება.
55. „გულანი“. (1989). თბილისი: მეცნიერება.
56. ლოლაშვილი, ი. (1962). ძველი ქართული მწელობის საკითხები, I ტომი. თბილისი: მეც. აკად. გამომცემლობა.
57. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ძეგლთა მდგომარეობისა და მათი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შესახებ. (1976). ძეგლის მეგობარი. 41. თბილისი.

58. სხირტლაძე, ზ. (1987). კვლავ ნათლისმცემლის მონასტრის საკტიტორო გამოსახულებების შესახებ. საბჭოთა ხელოვნება. თბილისი.
59. აბრამიშვილი, გ. (1970). დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის კედლის მხატვრობის თარიღისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. 5. თბილისი.
60. სხირტლაძე, ზ. (1983). სამეფო ქტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში. საბჭოთა ხელოვნება. 11. თბილისი.
61. „ქართლის ცხოვრება“, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა. (1955). ტომი I. თბილისი.
62. თოდუა, თ. (1973). გარეჯა (მონასტერთა ლოკალიზაციისთვის). ძეგლის მეგობარი. 31-32. თბილისი.
63. ალიბეგაშვილი, გ. (1966). თამარ მეფის ოთხი პორტრეტი. ძეგლის მეგობარი. 8. თბილისი.
64. Чубинашвили, Г.Н. (1948). Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тб.
65. Муравьев, А.Н. (1848). Грузия и Армения. ч. I, СПб.
66. კლდიაშვილი, დ. და სხირტლაძე, ზ. (1990). გარეჯის ნაკაწრი ნახატები. საბჭოთა ხელოვნება. 5: 71-79. თბილისი.
67. ბულია, მ. (1990). მეფე დემეტრე თავდადებულის გამოსახულება უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში. საბჭოთა ხელოვნება. 5. თბილისი.
68. მელიქსეთ-ბეგი, ლ. (1940). გარეჯის მრავალმთის სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა - ქართულ - სომხურ - სპარსულ - უიღურული. „ენიმკის მოამბე“, ტ. V-VI.
69. ქაჯაია, ლ. (2018). პუნქტუაცია ქართულ ხელნაწერებში. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი.
70. კლდიაშვილი, დ. და სხვ. (1985). გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1.

71. სხირტლაძე, ზ. (1982). ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლი ბერთუბნის ტაძრის მოხატულობაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, 2.
72. გაფრინდაშვილი, გ. (1988). სამონაზვნო მოძრაობა საქართველოში. ძეგლის მეგობარი. 2. თბილისი:.
73. თვალჭრელიძე, ზ. (1988). „გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნო-მონასტერი“. ძეგლის მეგობარი. 2. თბილისი.
74. კერატიშვილი, ბ. (1971). რამდენი მონასტერია გარეჯაში? ძეგლის მეგობარი. 27-28. თბილისი.
75. ბერიძე, ვ. (1974). ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი.
76. მუსხელიშვილი, ლ. (1941). არქეოლოგიური მოგზაურობა მაშავერის ხეობაში. თბილისი.
77. „ივრის ხეობაში“. (1964). „საბჭოთა ხელოვნება“, 2.
78. „სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი (2001). თბილისი.
79. „ივერია“. (1890). 55 (14 მარტი).
80. „დროება“. (1880). 134 (26 ივნ.).
81. „დროება“. (1881). 56 (15 მარტი).
82. ბარამიძე, რ. (1900). „ივერია“. 57 (15 მარტი).
83. ბერძენოვი, ი. (1881). „დროება“. 118 (10 ივნ.).
84. „ერთი მეინახეთაგანი“. (1899). „ცნობის ფურცელი“. 855.
85. „მორჩილი“. (1899). „ცნობის ფურცელი“. 836.
86. ლაშქარიჯვრელი. (1902). „ივერია“. 131. (23 ივნ.).
87. სხირტლაძე, ზ. (1985). საბერეების ფრესკული წარწერები. თბილისი.
88. კალისტრატე მღვდელ-მონაზონი. (1884). წმიდა დავით გარესჯელის უდაბნო. თბილისი.
89. კალისტრატე მღვდელ-მონაზონი. (2017). წმიდა დავით გარესჯელის უდაბნო. ლაკლაკეთი. 6. თბილისი.
90. საბინინი, მ. (1881). „დროება“. 133 (27 ივნ.).

91. „აღწერა საქართველოს მონასტერთა“. (1864). საქართველოს სასულიერო მახარებელი. 7. თბილისი.
92. „უდაბნო ღირსის მამისა ჩუჭნისა დავით გარეჯელისა“. (1864). საქართველოს სასულიერო მახარებელი. 8. თბილისი.
93. „უდაბნო წმიდისა წინამორბედისა იოანე ნათლისმცემლისა“. (1864). საქართველოს სასულიერო მახარებელი. 9. თბილისი.
94. „დროება“. (1884). 69 (28 მარტი).
95. „დროება“. (1879). 48 (4 მარტი).
96. წმიდა პოლიევქტოს კარბელაშვილი. (1895). „ივერია“, 179 (22 აგვ.).
97. წმიდა პოლიევქტოს კარბელაშვილი, (1893). „ივერია“, 64 (28 მარტი).
98. მღვდელი მიხეილ ხელაშვილი. (1886). ნათლისმცემლის უდაბნო კახეთში. „ივერია“. 207.
99. ქართული პროზა. (1982). წიგნი I. თბილისი.
100. იოსელიანი, პ. (1866). Описание древностей города Тифлиса.
101. აბულაძე, ი. (1955). ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები ო რედაქცია. თბილისი.
102. ჯავახიშვილი, ი. (1928). ქართველი ერის ისტორია. I. თბილისი.
103. აბრამიშვილი, გ. (1972). დავით გარეჯელის ციკლი ქართული კედლის მხატვრობაში. თბილისი.
104. აბრამიშვილი, გ. (1962). დავით გარეჯის უდაბნოს მთავარი საქტიტორო წარწერა. „მაცნე“. 3.
105. ალიბეგაშვილი, გ. და ვოლსკაია, ა. (1964). დავით გარეჯის მოხატულობა. ძეგლის მეგობარი. თბილისი.
106. ამირანაშვილი, შ. (1964). დავით გარეჯის უდაბნოს ფრესკები. ძეგლის მეგობარი. 1. თბილისი.
107. გონაშვილი, დ. (1965). ივრის ხეობაში. 12. თბილისი: საბჭოთა ხელოვნება.
108. დოლიძე, ვ. (1950). დავით გარეჯის ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლის დათარიღებისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XI, 9.
109. გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები. (1999). ტ. I, ნაკვ. I, თბილისი.

110. ალიბეგაშვილი, გ. (1992). ეკრანზეა დავით გარეჯი. N3-10. თბილისი: ხელოვნება.
111. ამირანაშვილი, შ. (1971). ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი.
112. „აღდგომისა წამებული“. (1997). საქართველო: ენციკლოპედია. თბილისი.
113. ბარნაველი, თ. (1961). კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. თბილისი.
114. „ბერთუბნის მონასტრის ფრესკები“. (1998). თბილისი.
115. XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება. (1983). თბილისი.
116. ბულია, მ. (1989). უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის მოხატულობის შესახებ, ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენცია მიძღვნილი პროფესორ ლ. რჩელიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი.
117. ნაკაშიძე, ლ. (2003). საქართველოს საქმიანი და გამოჩენილი ადამიანები. თბილისი.
118. „წამებული. დარბაზული ეკლესია მონასტრის ცენტრალურ ნაწილში“. (1997). ღია საზოგადოება საქართველო, ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა. საანგარიშო კრებული. თბილისი.
119. დოდოს რქა. (1978). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. III. თბილისი.
120. ვოლსკაია, ა. (1981). დავით გარეჯის ძეგლების შესწავლის პრობლემები გიორგი ჩუბინაშვილის გამოკვლევებში. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი გ. ჩუბინაშვილის დაბადების 95-ე წლისთავისადმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. 1981 წლის 29-30 იანვარს. თბილისი.
121. თვალჭრელიძე, ზ. (1993). დოდოს რქის უდაბნო-მონასტერი, 16 გვ., თბილისი.
122. თვალჭრელიძე, ზ. და ქებულაძე, ნ. (2000). გარეჯის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევის ახალი ასპექტი (ნავთობი IX-X სს. ჭრაქებში). ძეგლის მეგობარი. 2 (109). თბილისი.
123. მელითაური, კ. (1960). ბერთუბნის მონასტრის სამშენებლო ხუროთმოძღვრული ორგანიზაცია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, N1. თბილისი.

124. მირიანაშვილი, ლ. (1996). მივიწყებული დავითგარეჯი, არტანუჯი. 5.
125. სილოგავა, ვ. (2000). წარწერები გარეჯის მრავალმთიდან. (IX-XIII სს). თბილისი.
126. სილოგავა, ვ. (1998). თარიღის აღმნიშვნელი წარწერა გარეჯის მრავალწყაროდან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 158, 1.
127. სხირტლაძე, ზ. (1983). ბერთუბნის ტაძრის მოხატულობის ფრაგმენტები საქართველოს ხელოვნების მუზეუმიდან. ძეგლის მეგობარი. 63, 65. თბილისი.
128. სხირტლაძე, ზ. (1981). ბერთუბნის ტაძრის მოხატულობის იკონოგრაფიისათვის. საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა III რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. თბილისი.
129. სხირტლაძე, ზ. (1996). დავით გარეჯის ფრესკული მხატვრობა, დავით გარეჯი. თბილისი.
130. სხირტლაძე, ზ. (2000). ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში.
131. სხირტლაძე, ზ. (1991). რაზე მეტყველებენ კედლები. ძეგლის მეგობარი. 1. 49-54. თბილისი.
132. ქვლივიძე, ი. (1981). დავით-გარეჯა. თბილისი.
133. ყაუხჩიშვილი, თ. (2004). საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. თბილისი.
134. ციციშვილი, ირ. (1995). ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი.
135. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1986). ტ. X. თბილისი.
136. დავითგარეჯის მონასტრები: ლავრა უდაბნო. (2008). ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრი. თბილისი.
137. ბერთუბნის მონასტერი. (1977). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2. თბილისი.
138. მირიანაშვილი, ლ. (2001). გარეჯის ადრეული მონასტიციზმი და ჩიჩხიტურის ზოსიმე-პიმენის კერძო სამლოცველოს მოხატულობის პროგრამა, როგორც ბერული ცხოვრების არსის ანარეკლი. კრებულში: *Analecta Iberica* (ისტორიის,

რელიგიისა და კულტურის საკითხები), I, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის კლდის ძეგლები. თბილისი.

139. მირიანაშვილი, ლ. ჩიჩხიტურის მონასტერი და მისი უცნობი კედლის მხატვრობა.
140. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. (1964). ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1.
141. ყაუხჩიშვილი, ს. (1955). ქართლის ცხოვრება. ტ. 1. თბილისი.
142. ჯავახიშვილი, ივ. (1928). ქართველი ერის ისტორია. 1. თბილისი.
143. ბაქრაძე, დ. (1889). ისტორია საქართველოჲსა. თბილისი.
144. ჟორდანიას, თ. (1892). ქრონიკები. 1.
145. კეკელიძე, კ. (1965). ეტიუდები, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. 1.
146. Чубинашвили, Г. Н. (1959). Архитектура Кахети. Том. 1.
147. „საეკლესიო კალენდარი“ (1954).
148. ჟორდანიას, თ. ქრონიკები. II.
149. შოშიაშვილი, ნ. რკონის დაწერილი, როგორც საისტორიო წყარო, საკანდიდატო დისერტაცია.
150. კიკნაძე, ლ. (2001). ანტონ პირველი და მისი ქართული ღრამმატიკა, მრავალთავი.
151. „საქართველოს ისტორია“. (1946). ნაწ. I.
152. ფურცელაძე, დ. (1881). Грузинские церковные гуджари. Тифлисъ.
153. ბარამიძე, ალ. (1947). ვახტანგ VI, ლექსები და პოემები. თბილისი.
154. აბულაძე, ილ., გაბიძაშვილი, ე., გოგუაძე, ნ., დოლაქიძე, მ., კიკნაძე, გ. და ქურციკიძე, ც. (1971). ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III. თბილისი: მეცნიერება.
155. „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ“ (2018). თბილისი.
156. მერკვილაძე, დ. (2016). სტეფანე ბურნაშევი და მისი ნაშრომი საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა. ქართული წყაროთმცოდნეობა.

157. კენკიშვილი, ვ. (2005). წმიდა იოანე მანგლელი. ჟურნ. კარიბჭე. 4 (15).
158. სირაძე, რ. (1997). წმინდა ნინოს ცხოვრება და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა. თბილისი.
159. Gurry, P. J. (2016). A Simple Introduction To The Coherence-Based Genealogical Method (CBGM) The Journal of the Evangelical Theological Society, JETS 59/4.
160. Hall, B. G. (2011). Phylogenetic Trees Made Easy, Oxford University Press.
161. ნინიძე, მ. და გიგაშვილი, ქ. (2018). ტექსტოლოგია: სახელმძღვანელო დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის. თბილისი: პრინტჯეო.
162. შანიძე, ა. (1976). ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
163. „საეკლესიო კალენდარი“. (1993).
164. ამირანაშვილი, შ. (1971). ქართული ხელოვნების ისტორია.
165. „კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. (1961). თბილისი.
166. გონაშვილი, დ. (1950). (ისტორიული მონასტრები ივრის ხეობაში. სახალხო განათლება. 9, VIII, N 32.
167. 1089 წლის წარწერა მიწისძვრის შესახებ გარეჯის წამებულის უდაბნოს „ხარიტონის ქვაბიდან“. (1976). „მაცნე“, ისტორიის სერია. N 2.
168. ჯავახიშვილი, ივ. (1919). საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფილისი.
169. ბატონიშვილი, ვახუშტი. (1904). საქართველოს გეოგრაფია, გამოცემული ჯავახიშვილის რედაქციით. ტფილისი. გვ. 67, შნშ. 122.
170. Тифлисские ведомости, Гр. Гордее. (1832). 1-3.
171. საბინინი, მ. (1882). საქართველოს სამოთხე. პეტერბურდი.



## სარჩევი

შესავალი.....	3
თავი I.....	10
წმიდა გაბრიელ მცირის ცხოვრება და მოღვაწეობა .....	10
§ 1. მასალები ბიოგრაფიისათვის.....	10
§ 2. წერილობითი მემკვიდრეობა .....	23
§ 3. ორიგინალური სასულიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა .....	24
§ 4. რედაქტორ-შემდგენლობითი მოღვაწეობა .....	29
§ 5. გაბრიელ მცირის ორიგინალური თხზულებებისა და მის მიერ შედგენილი კრებულების ბეჭდური გამოცემები .....	42
თავი II. ....	50
„გვრგვნის“ შემდგენლის ვინაობა, .....	50
კრებულის სტრუქტურა და წყაროები .....	50
§ 1. კრებულის შემდგენლის ვინაობა.....	50
§ 2. „გვრგვნის“ სტრუქტურა .....	52
§ 3. „გვრგვნის“ ნუსხები და მათი აღწერილობა.....	55
თავი III.....	78
„გვრგვნის“ წყაროთა ტენდენციები .....	78
§ 1. ავტოგრაფების ზოგადი დახასიათება .....	79
§ 2. გაბრიელ მცირის კალიგრაფია და წიგნთა მხატვრული შემკულობა.....	81
§ 3. ორთოგრაფიული და გრამატიკული თავისებურებები .....	84
ძველი ქართული გრაფემების ხმარება: .....	84
§ 4. პუნქტუაცია .....	86
§ 5. არავტორიზებული ასლები და პირველი გამოცემა .....	87
თავი IV.....	92
ავტოგრაფების შედარებითი კვლევა .....	92
§ 1. ავტოგრაფთა შედარებითი ანალიზი .....	92
§ 2. გვიანდელი ავტოგრაფის ხარვეზები .....	104
§ 3. გვიანდელ ავტოგრაფში შეტანილი მართებული სწორებები.....	109

§ 4. ძირითადი წყაროს არჩევა .....	111
თავი V .....	114
„გზრგუნში“ შემავალ თხრობათა წარმომავლობა.....	114
დასკვნები .....	141